ქუთაისი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო
ალ. წულუკიძის სახ. ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტი

1947.

ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები

ТРУДЫ

Кутаисского Государственного Пединститута имени А. Цулукидзе

TRANSACTIONS

of the Tsulukidze State Pedagogical Institute of Kutaisi

VII

ქუთაისი, ჯორჯიაშვილის ქ. №5

1947



საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო
ალ. წულუკიძის სახ. ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტი

ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები

ТРУДЫ

Кутаисского Государственного Пединститута имени А. Цулукидзе

TRANSACTIONS

of the Tsulukidze State Pedagogical Institute of Kutaisi

Ч 840

VII



ქუთაისი 1947

დაიბეჭდა ალ. წულუკიძის სახელობის ჭუთაისის
პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორის
დოც. ლ. ა. ჭ ე ლ ი ძ ი ს განკარგულებით

შ ი ნ ა ა რ ს ი

		გვერდი
1.	სიმონ ყაუხჩიშვილი, ,,ქართლის ცხოვრება'' და ,,მსოფლიო ისტორია'' . . .	1—7
2.	შალვა აბრამიძე, კატილინას შეთქმულება .	8—29
3.	მიხეილ მახათაძე, ,,ქართლის ცხოვრების'' ერთი ადგილისათვის	31—38
4.	ვალერიან ბახტაძე, ანტონ ფურცელაძის ეკონომიური შეხედულებანი . . .	39—72
5.	კონსტანტინე მეძველია, რომანტიზმის მოტივები აღორძინების პერიოდის ქართულ ლიტერატურაში	73—115
6.	მიხეილ ალავიძე, ოქროპირ ბაგრატიონის პიესა ,,ვეფხისტყაოსანი''	117—136
7.	გიორგი სამხარაძე, ილ. ჭავჭავაძის ესთეტიკის ფოლკლორული წყაროები . . .	137—172
8.	შალვა ჩხარტიშვილი, მ. ლერმონტოვის ,,დემონის'' ფსიქოლოგიური ანალიზი . .	173—183
9.	მიხეილ ზარქუა, იდეები და გრძნობადი სახეები ნ. ბარათაშვილის ,,მერანში''. . .	185—203
10.	ოთარ ჯინორია, ვილი ბრედელი—გერმანელი ანტიფაშისტი მწერალი	205—246
11.	გიორგი როგავა, „საძირკველი“ სიტყვის შედგენილობისათვის	247—251
12.	იასონ მეცხვარიშვილი, ნეიმანის მწკრივის ერთი თვისების შესახებ	253—257
13.	გრიგოლ ჭელიძე, ზოგიერთი შენიშვნა ,,გურიის შრეების“ ფაუნის შესახებ . . .	259—264
14.	თამარ ახვლედიანი, ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის წლებში (ბიბლიოგრაფია) . . .	265—337

СОДЕРЖАНИЕ

		стр.
1.	С. Каухчишвили, „Картлис цховреба" и „Всемирная история"	1—7
2.	Ш. Абрамидзе, Заговор Катилины	8—29
3.	М. Махатадзе, К вопросу об одном сведении „Картлис цховреба"	31—38
4.	В. Бахтадзе, Экономические взгляды Ан. Пурцеладзе	39—72
5.	К. Мевзвелия, Мотивы романтизма в грузинской литературе периода возрождения	73—115
6.	М. Алавидзе, Пьеса Окропира Багратиони „Вепхисткаосани"	117—136
7.	Г. Самхарадзе, Фольклорные источники эстетики И. Чавчавадзе	137—172
8.	Ш. Чхартишвили, Психологический анализ „Демона" М. Лермонтова	173—183
9.	М. Заркуа, Взаимоотношения идей и наглядных представлений в стихотворении Н. Бараташвили „Мерани"	185—203
10.	О. Джинория, Вилли Бредель—немецкий писатель антифашист	205—246
11.	Г. Рогава, К этимологии грузинского слова „საძირკველი" (фундамент)	247—251
12.	И. Мецхваришвили, Об одном свойстве ряда Неймана	253—257
13.	Г. Челидзе, Несколько замечаний о фауне „гурийских слоев"	259—264
14.	Т. Ахвледиани, Кутаисский Государственный Педагогический Институт им. А. Цулукидзе в годы Великой Отечественной войны советского народа (библиография)	265—337

CONTENTS

	Page
1. S. Kaukchishvili, „Kartlis Tskhovreba" and „World History"	1—7
2. Sh. Abramidze, The Conspiracy of Catilina	8—29
3. M. Makhatadze, On one Passage of „Kartlis Tskhovreba"	31—38
4. V. Bakhtadze, Anton Purtseladze's Economic Views	39—72
5. K. Medsvelia, Romantic Motivs in the Georgian Literature of the Period of its Renaissance	73—115
6. M. Alavidze, Okropir Bagrationi's drama „Vepkhistkaosani"	117—136
7. G. Samkharadze, The Folk-lore Sources on the Aesthetics of Ilia Tshavtshavadze	137—172
8. Sh. Chkhartishwili, Psychological Analysis of Lermontov's „Demon"	173—183
9. M. Zarkhua, Concepts and Sensuous Images in Baratashvili's „Merani"	185—203
10. Ot. Jinoria, Willy Bredel—German Antifascist Writer	205—246
11. G. Rogava, Construction of the word „sadzirkveli"	247—251
12. Jas. Metskhvarishvili, One Property of Neuman's Series	253—257
13. Gr. Chelidze, Some Remarks on the Fauna of „Guriastrata"	259—264
14. Th. Akhvlediani, Tsulukidze State Pedagogical Institute of Kutaisi in the Years of the Patriotic War of the Soviet People (Bibliography)	265—337

ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები, ტ. VII, 1947.

Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, т. VII, 1947.

Transactions of the Tsulukidze State Pedagogical Institute of Kutaisi v. VII, 1947.

სიმონ ყაუხჩიშვილი

„ქართლის ცხოვრება“ და „მსოფლიო ისტორია“

1. ქართულ საისტორიო წერილობაში არსებული შეხედულებით „ქართლის ცხოვრება“ იწყება ლეონტი მროველის თხზულებით „ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“[1]. მართლაც, „ქართლის ცხოვრების“ თითქმის ყველა ნუსხა იწყება სიტყვებით: «სახელითა მამისათა, ძისათა და სულისა წმიდისათა ვიწყო მითხრობად ცხოვრებასა ქართველთა მეფეთასა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა. პირველად ვახსენოთ ესე, რამეთუ სომეხთა და ქართველთა, რანთა და მოვაკნელთა, ჰერთა და ლეკთა და მეგრელთა — ამათ ყოველთა ერთი იყო მამა, სახელით თანგამოს», ე. ი. იწყება ლეონტი მროველის თხზულებით, რომელიც შეიცავს საქართველოს ისტორიის ამბებს უძველესი დროიდან V საუკუნემდე, მირტატ IV-ის მეფობამდე.

ერთადერთი ნუსხა, რომელიც ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენდა, მარიამისეული ნუსხა იყო. ამ ნუსხაში „ქართლის ცხოვრება“ ხელნაწერის 95 გვერდიდან იწყება; მხოლოდ ამ გვერდზე იწყება ლეონტი მროველის „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“, პირველი 94 გვერდი კი უჭირავს სულ სხვა თხზულებას, რომელშიაც მოთხრობილია ამბები ქვეყნის გაჩენიდან, ადამიდან, ქრისტემდე. ამ თხზულებას შემდეგი სათაური აქვს: «თქმული წმიდისა მამისა ჩვენისა ეფრემისი თარგმანი დაბადებისათჳს ცისა და ქუეყანისა, და ადამისთჳს, ვითარ მისცუალეს გუამი მისი და დამარხეს გოლგოთას, და ცვალება ნათესავთა, ვითარ ვპოვეთ ნათესაობა ქრისტესი კორცითა, ვითარცა წერილ არს სახარებასა ლუკას თავსა ადამისითგან ყოველთა მამათა ვიდრე ქრისტესამდე უფლისა ჩუენისა. პირველად ხოლო ესე თარგმანა წმიდამან მამა[მა]ნ ჩუენმან

[1] იხ. ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ძველი ქართული საისტორიო წყაროლოგია, თბილისი, 1945, გვ. 171, 300.

ეფრემ, შობა მამათმთავართა ადამისითგან ვიდრე ქრისტესამდე მაცხოვრისა და ღთისა, გუაკურთხენ მამაო» [1].

ასეთი თხზულების არსებობა ,,ქართლის ცხოვრების'' ხელნაწერში, იმ პირობებში, როდესაც არც ერთი სხვა ნუსხა ,,ქართლის ცხოვრებისა'' მას არ შეიცავდა, რასაკვირველია, მიჩნეულ იქმნა შემთხვევით მოვლენად და მარიამისეული ნუსხის გამომცემელმა აკად. ე. თაყაიშვილმა ეს ტექსტი გამოთიშა ,,ქართლის ცხოვრებას'' და დაბეჭდა დამატების სახით გამოცემის ბოლოში, სათაურით ,,აპოკრითიული მოთხრობანი, რომელნიც წინ მიუძღვიან მარიამ დედოფლის ქართლის ცხოვრების ხელნაწერს'' [1].

დამატებითი კვლევა-ძიება, რომელიც ჩვენ გაწარმოეთ ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში (1941-1947 წ. წ.) ,,ქართლის ცხოვრების'' ნუსხებზე, საქმის ვითარებას სულ სხვანაირად ვხედავენებს. სახელდობრ, ირკვევა, რომ **ეს აპოკრიფული თქმულება, რომელიც წინ უძღვის მარიამისეულ ნუსხაში „ქართლის ცხოვრებას“, წარმოადგენს „ქართლის ცხოვრების“ ორგანულ ნაწილს.**

2. ,,ქართლის ცხოვრების'' ნუსხების შესწავლა გვარწმუნებს იმაში, რომ ,,ქართლის ცხოვრების'' წინ აპოკრიფული თხზულების წარმძღვარება მხოლოდ მარიამისეულ ნუსხას არ ახასიათებს: ამგვარადვე თქმულების წარმძღვარება ახასიათებდა, როგორც ჩანს, სხვა ნუსხებსაც. ასე, მაგალითად, ჩვენ მიერ 1942 წელს გამოვლინებული მაჩაბლისეული ნუსხაც პირდაპირ ლეონტი მროველის თხზულებით კი არ იწყება, არამედ ქართველ ისტორიკოსთა თხზულებებს წინ უძღვის აპოკრიფული თქმულებები ქვეყნის გაჩენის შესახებ; ეს თქმულებები იწყება ხელნაწერის პირველი გვერდიდანვე და უჭირავს 36 გვერდი ხელნაწერისა [2].

ასეთი შეხვედრა ორი ნუსხისა, ე. ი. ის გარემოება, რომ მარიამისეულ ნუსხაშიაც და მაჩაბლისეულშიაც ,,ქ. ცხოვრება'' ლეონტი მროველის თხზულებით კი არ იწყება, არამედ მოთხრობით ქვეყნის გაჩენაზე, შემთხვევითი არ შეიძლება იყოს. ჩვენის აზრით, ამ ორ

[1] იხ. ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გამოცემული ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, თბილისი, 1906, გვ. 786. მხოლოდ კ. კეკელიძემ სცნო ეს ტექსტი ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრების“ შესავალ და პროპედევტიკულ ნაწილად, რომელსაც ქართველთა ისტორია მსოფლიო ისტორიასთან უნდა დაეკავშირებინა (ქ. ლიტ. ისტ. II, 220; ძვ. ქარ. მწერლ. III, 45).

[2] იხ. ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისეული ნუსხა, გამოც. ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბილისი, 1942, გვ. XXX-XXXII.

ნუსხაში „ქართლის ცხოვრების“ (ე. ი. საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს) დაწყებამდე მოთხრობილი თქმულებები წარმოადგენენ „მ ს ო ფ ლ ი ო ი ს ტ ო რ ი ა ს“ (მაშინდელი გაგებით), სადაც ისტორიის სახელმძღვანელოს რედაქტორი გადმოსცემს მკითხველს ქვეყნის გაჩენის ამბავს, ამის მომდევნო პირველ მამათა ისტორიას, ისრაელთა თავგადასავალს და ა. შ.

შესაძლებელია ადამიანმა იფიქროს, რომ, რადგან, როგორც ეს ჩვენ მიერ ნათელყოფილია, მარიამისეული და მაჩაბლისეული ნუსხები მონათესავე ნუსხებია[1], არა აქვს მნიშვნელობა მაჩაბლისეულ ნუსხაში არსებულ „მსოფლიო ისტორიას“: შეიძლება ვიფიქროთ, რომ მაჩაბლისეულ ნუსხაში ეს აპოკრიფები („მსოფლიო ისტორია“) მექანიკურად მოხვდა. მაგრამ ამ შესაძლებლობის დაშვება გარისაყოფია ორი მოსაზრებით: 1) მაჩაბლისეული ნუსხა მარიამისეულიდან არ არის გადმოწერილი: ამ ორ ნუსხას შორის არსებული განსხვავებანი გვათქმევინებენ მხოლოდ იმას, რომ ორივე ნუსხა ერთისა და იმავე ხასიათის დედნიდან მომდინარეობს[2]; 2) ამ ნუსხებში მოთავსებული „მსოფლიო ისტორია“ ერთსა და იმავე ტექსტს არ წარმოადგენს. ორივე ნუსხის „მსოფლიო ისტორიის“ თემა ერთი და იგივეა, მაგრამ შინაარსი სულ სხვადასხვაა; მოცულობაც მარიამისეულ ნუსხაში უფრო მეტია (94 გვერდი; მაჩაბლისეულში — 36 გვერდი).

ასეთი განსხვავებულობა ამ ორ ნუსხას შორის გვაფიქრებინებს, რომ „ქართლის ცხოვრების“ ნუსხათა რედაქტორები პირველ სტატიად ათავსებდნენ „მსოფლიო ისტორიას“, ხოლო ეს ისტორია შეიძლებოდა დაწერილი ყოფილიყო სხვადასხვანაირად, შესაძლებელია არსებობდა „მსოფლიო ისტორიის“ სხვადასხვა ვარიანტი.

მაჩაბლისეული ნუსხის „მსოფლიო ისტორიაში“, მაგალითად, გადმოცემულია „ექუსთა დღეთა“-ს ამბავი, რომელიც თავდება ადამიანის გაჩენით; ადამიანის ბუნებისა და აგებულების განხილვა: ადამიანი შექმნილია ხატად ღმრთისა და მასში განსახიერებულია ერთიანობა „სამებიანსა შინა“ (გონება, სიტყვა, სული); მსჯელობა იმაზე, თუ რატომ ჰქვია პირველ ადამიანს „ადამ“: «დასდვა სახელი მისი ადამ, ვინათგან ოთხი კუთხე არს

[1] იხ. ქართლის ცხოვრება, ანუ დედოფლისეული ნუსხა, გამოც. ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბილისი, 1942, გვ. XXXII.

[2] იხ. იქვე, გვ. XXXIII.

ქუეყანისა: აღმოსავლეთი, დასავლეთი, სამკრეთი და ჩრდილოეთი, და ამისთვისცა სახელ-სდვა სახელი ესე. ხოლო პირველი ა ნ ი აღმოსავლეთად ითქმის, და დ ო ნ ი დასავლეთად, და მეორე ა ნ ი ჩრდილოეთად, და მ ა ნ ი სამკრეთად». შემდეგ ამას მოსდევს მსჯელობა ადამისა და ევას შეცდენაზე ეშმაკის მიერ, ისტორია აბელისა და კაენისა... ენოსისა, გაიდადისა, მალალელისა და სხვა პირველ მამათა ვიდრე ნოემდე, წყლით-რღვნამდე, და ეს ,,მსოფლიო ისტორია'' თავდება ასე:

«ხოლო მას ჟამსა იყვნეს შვილის-შვილთაგან ნოესთა და გამოსჩნდეს გმირნი და გონება-მაღალნი მესრემ და ნებროთ. ხოლო იყო ძის ძე ნოესი ავანან, რომელნი შვა ი ა ფ ე თ ძემან ნოესმან, და ავანან შვა თარიშის, და თარიშის შვა თარგამოზ. და ეს თარგამოზ იყო მამა სომეხთა, და ქართველთა, და რანთა, და მოვაკანელთა, ჰერთა და ლეკთა, მეგრელთა და კავკასიელთა. და იყო კაცი გმირი. და შემდგომად განყოფისა ენათასა ოდეს აღაშენა ნებროთ ბაბილოვანსა გოდოლი. და განუყუნეს მუნ ენანი, და განბნივნეს ყოველსა ქუეყანასა». ზემომოყვანილი ციტატის მეორე ნახევარი, დაწყებული სიტყვებით ,,და ესე თარგამოზ იყო მამა...'', წარმოადგენს უკვე ლ ე ო ნ ტ ი მ რ ო ვ ე ლ ი ს თხზულების ტექსტის დასაწყისს.

ამგვარად, ,,ქართლის ცხოვრების'' რედაქტორმა თავისი ,,მსოფლიო ისტორია'' მიიტანა კაცობრიობის ისტორიის იმ ადგილამდე, როდესაც ნოეს ძემ ი ა ფ ე ტ მა შვა ავანანი, ხოლო ამან თარიშის, ამ უკანასკნელმა კი თ ა რ გ ა მ ო ზ ი. აქედან უკვე ,,მსოფლიო ისტორია'' გადაებმება საქართველოს ისტორიას, რადგან ჩვენი ისტორიის პირველი თხზულება (ლ ე ო ნ ტ ი მ რ ო ვ ე ლ ი ს ,,ცხოვრება ქართველთა მეფეთა'') სწორედ იმით იწყება, რომ ქართველური ტომების მამათმთავარი თ ა რ გ ა მ ო ს ი არისო.

ამრიგად, მაჩაბლისეული ნუსხის ,,აპოკრიფული თქმულება'' (ჩვენის გაგებით ,,მსოფლიო ისტორია'') შემთხვევით მიკერებულად არ ჩანს ,,ქართლის ცხოვრებაში''; იგი მის ორგანულ ნაწილს წარმოადგენს, როგორც საქართველოს ისტორიის შესავალი, რომელმაც უნდა ასწავლოს ქართველ მკითხველს, რომ საქართველოს ისტორია არის ნაწილი მსოფლიო ისტორიისა, და რომ მსოფლიო ისტორიის იმ ეტაპზე, როდესაც თ ა რ გ ა მ ო ს ი გაჩნდება, დაიწყება საქართველოს ისტორია.

მარიამისეული ნუსხის აპოკრიფული თქმულება მსოფლიო ისტორიის უფრო ერცელ ვარიანტს შეიცავს: იქ მოთხრობილია

ქვეყნის გაჩენიდან ვიდრე ქრისტემდე. ამ მსოფლიო ისტორიას ცალკე თავები აქვს:

დაბადებისათჳს ცისა და ქუეყანისა და ადამისთჳს და ცუალება ნათესავთა,
შესუენება იელუსალემს, ვითარ აღაშენეს.
შესულა ისრაელთა ეგვიპტედ.
გამოსლვა ისრაელთა ეგვიპტით.
აქა იწყების მეფობა მეფეთა.
მობა მამათმთავართა ადამისითგან ვიდრე ქრისტეს მოსულადმდე.

3. ამგვარად, მარიამისეულსა და მაჩაბლისეულს ნუსხებში „ქართლის ცხოვრების" დაწყება არა ლეონტი მროველის თხზულებით, არამედ მსოფლიო ისტორიის შემცველი აპოკრიფული თქმულებით, ცხადი უნდა იყოს ზემორე მოხსენებული მასალების მიხედვით.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ „ქართლის ცხოვრების" ანასეული ნუსხაც არ იწყებოდა პირდაპირ ლეონტი მროველის თხზულებით. ანასეულ ხელნაწერს თავში აკლია 60 გვერდი, ხოლო დანაკლისი ტექსტი ლეონტი მროველის თხზულებისა მოცულობით 45 გვერდი იქნება. მაშასადამე, თავისუფალი რჩება 15 გვერდი. თუ ეს ჩვენი გამოანგარიშება სწორია, მაშინ სავარაუდებელია ის, რომ ანასეულ ნუსხასაც შესაძლებელია ჰქონდა „მსოფლიო ისტორიის" შემცველი შესავალი, რომელსაც 15 გვერდი ეჭირა.

ამგვარად, „ქართლის ცხოვრების" ნუსხათაგან ორს (მარიამისეულსა და მის მონათესავე მაჩაბლისეულს) მოეპოვება „მსოფლიო ისტორიის" შემცველი შესავალი, ერთს (ანასეულს) სავარაუდებელია, რომ ჰქონდა. დანარჩენ ნუსხებში ეს „მსოფლიო ისტორია" არ არის წარმოდგენილი.

რადგან ჩვენ „მსოფლიო ისტორიის" შემცველი აპოკრიფული თქმულება მხოლოდ ორ თუ სამ ნუსხაში მოგვეპოვება, ცხადია, თავისთავად ისმება საკითხი: იყო „ქართლის ცხოვრებაში" ეს „მსოფლიო ისტორია" იმთავითვე, თუ შემთხვევით მოხვდა ეს ტექსტი მხოლოდ ორსა თუ სამ ხელნაწერში? ჩვენის აზრით, „მსოფლიო ისტორია" იმთავითვე მოიპოვებოდა „ქართლის ცხოვრებაში", როგორც მისი შესავალი ნაწილი. ამის დამადასტურებელია შემდეგი ორი გარემოება.

1) ის სამი ხელნაწერი, რომლებშიც მოიპოვება აპოკრიფული თქმულება, მომდინარეობს „ქართლის ცხოვრების" უძველესი ნუსხებიდან: ა) მარიამისეული ნუსხა XVII საუკუნისა, ბ) მაჩაბლისეული ნუსხა 1736 წლისა, რომელიც მარიამისეულის მსგავსი ნუსხიდან მომდინარეობს და გ) ანასეული ნუსხა XV საუკუნისა. მაშასადამე,

,,მსოფლიო ისტორია" ყოფილა ვახტანგის წინადროინდელ ნუსხებში (არის კიდევ ერთი ნუსხა ვახტანგის წინადროინდელი, ე. წ. ჭალაშვილისეული XVI-XVII საუკუნისა, მაგრამ მას თავში ბევრი აკლია და ძნელია იმის გარკვევა, იყო თუ არა აქაც ,,მსოფლიო ისტორია"). როგორც ცნობილია, ვახტანგ VI-ის დროს ,,ქართლის ცხოვრებამ" განიცადა რედაქცია და, შესაძლებელია, სწავლულ კაცთა ჯომისიამ, რომელიც ამ რედაქციას აკეთებდა, შესავალი ნაწილი გამოსტოვა. ამით უნდა აიხსნებოდეს, რომ ვახტანგის შემდეგდროინდელი ნუსხები აღარ შეიცავენ ,,მსოფლიო ისტორიას".

2) საკუთარი ისტორიისათვის წინ წარმძღვარება ,,მსოფლიო ისტორიის" მოკლე მიმოხილვისა (ვთქვათ აპოკრიფული თქმულებისა ქვეყნის გაჩენაზე), როგორც ირკვევა, საერთო წესი ყოფილა საშუალო საუკუნეების ბიზანტიურ ისტორიოგრაფიაში. ფრიად საყურადღებოა ის გარემოება, რომ ჩვენ მოგვეპოვება რამდენიმე ნუსხა ერთი ბიზანტიური ქრონოგრაფისა, რომელშიც ყოფილა სწორედ ასეთივე ,,მსოფლიო ისტორია" (ქვეყნის გაჩენიდან ნოეს შვილებამდე, ვიდრე თარგამოსამდე), რომელიც ,,ქართლის ცხოვრების" მაჩაბლისეულ ნუსხაში გვაქვს და რომელიც ასე იწყება: «სათნო უჩნდა სიბრძნითა შემოქმედსა მას ღმერთსა და უფალსა ჩუენსა, რათა შექმნას სოფელი ესე მრავლითა სიბრძნითა მისითა და აურაცხელითა სახიერებითა მისითა არა არსებისაგან (ვარ.: არარასაგან) არსებად მიყუანებად ამისად, და ვითარცა იტყუიან ღმრთის მეტყუელნი ეკლესიანი, ვითარმედ მხოლოდ სიტყუათა ოდენ თქუა და ყოველივე იქმნა...» ასეთი შესავალი ჩვენ პირველად ვნახეთ ერთი ბიზანტიური ქრონოგრაფის ხელნაწერში, რომელიც აკად. ივ. ჯავახიშვილმა გადმოგვცა 1919 წელს, როდესაც ჩვენ ვმუშაობდით ,,გიორგი ამარტოლის ქრონოგრაფზე". ასეთივე ,,ქრონოგრაფის" ორი ხელნაწერი აღწუსხულია ამჟამად ,,საქართველოს მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობაში" (ტ. I, თბილისი, 1946, № 166 და № 294). ქრონოგრაფიის პირველი ნაწილი გადმოთარგმნილია ბერძნული ენიდან ბაგრატიოს სოლაღაშვილის მიერ, როგორც ეს ჩანს ანდერძიდან, ხოლო მეორე ნაწილი — არჩილ მეფის მიერ რუსული ენიდან.

ამგვარად, ,,მსოფლიო ისტორიის" წარმძღვარება ,,ქართლის ცხოვრებისათვის" მიღებული ყოფილა ერთ დროს ბიზანტიურსა და ქართულ ისტორიოგრაფიაში.

С. Г. КАУХЧИШВИЛИ

„КАРТЛИС ЦХОВРЕБА“ И „ВСЕМИРНАЯ ИСТОРИЯ“

Резюме

Известный памятник грузинской историографии „Картлис цховреба“ („История Грузии“), составление которого началось в XI-XII веках, представляет собой сборник сочинений древне-грузинских историков, повествующих последовательно о событиях и судьбах грузинского народа с древнейших времен до XVIII века. По общепринятому мнению „Картлис цховреба“ открывается историческим трудом Леонтия Мровели „История царей“ (ცხოვრება მეფეთა), историей Грузии с древнейших времен (с Таргамоса) до V века. За ним идут последовательно: труд Джуаншера (V-VIII в. в.), „Матиане Картлиса“ (VIII-IX в. в.), История царя Давида и т. д.

На основании изучения рукописей „Картлис цховреба“ автор настоящей статьи приходит к заключению, что сборник „К. цх.“ начинался не с труда Леонтия Мровели, а с краткого изложения „Всемирной истории“.

А именно: первой статьей сборника в рукописи Марии XVII века является сочинение некоего Ефрема: „Апокрифические сказания о сотворении неба и земли, об Адаме... вплоть до господа нашего Христа“ (по всей вероятности перевод с греческого); рукопись Мачабели 1736 года (той же группы рукописей, что и рук. Марии) начинается также историей „Сотворения мира“ и повествует об истории древнейших племен: рассказ в этой „Всемирной истории“ доводится до потомков Ноя... Иафета, пра-правнуком которого является Таргамос, родоначальник картвельских племен (рассказ переведен, безусловно, с греческого языка). С этого места уже рассказ увязывается с сочинением Леонтия Мровели, который начинает свое повествование с Таргамоса.

Есть основания предположить, что и рукопись Анны (XV века) начиналась „Всемирной историей“ (в рукописи недостает начальных листов).

Таким образом, по исторической концепции древне-грузинских историков „История Грузии“ рассматривалась, как часть „Всемирной истории“. Та же самая концепция усматривается и в некоторых византийских „Хронографиях“. Так, автор анализирует предлежащую в грузинских рукописях (Н-166, Н-294, А-697 и рук. Джавахишвили) одну „Хронографию“, которая начинается именно тем текстом „Всемирной истории“, которым открывается рукопись Мачабели „Картлис цховреба“.

ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები, ტ. VII, 1947.

Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, т. VII, 1947.

Transactions of the Tsulukidze State Pedagogical Institute of Kutaisi v. VII, 1947.

ზალვა აბრამიძე

კატილინას შეთქმულება [1]

I

რომის ისტორიის ერთ-ერთ ფრიად მნიშვნელოვანსა და საინტერესო ხანას წარმოადგენს სამოქალაქო ომების პერიოდი. ამ პერიოდში განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ჩვენ ერამდე სამოციანი წლების მოძრაობა, მიმართული სენატისა და მევახშეთა წინააღმდეგ. კატილინართა მოძრაობა, რომელსაც სათავეში ედგა კატილინა, ცნობილია კატილინას შეთქმულების (Coniuratio Catilinae) სახელწოდებით.

კატილინას მოძრაობის შესწავლა იზიდავდა როგორც რომის ისტორიის მკვლევარებს, ისე მწერლებსაც, რომელთაც XVII ს. დასაწყისიდან კატილინა თავიანთ ნაწარმოებთა გმირად გამოჰყავდათ. მაგალითად: ჯონსონს, ვოლტერს, ჰიბსენს (Саллюстий „Заговор Катилины", гл. XX, Москва, 1916) და ბლოკს.

აღნიშნული მოძრაობის შესწავლისათვის აუცილებელია რომის რესპუბლიკის უკანასკნელე პერიოდის წყაროების შესწავლა.

პელმანის სამართლიანი შენიშვნით ის კატასტროფა, რომლის დროსაც დაიღუპა ორიგინალური წყაროები ციცერონისა და იულიოს კეისრის წინაპრებს რომ მიეკუთვნებოდნენ, შეუძლებლად ხდის სოციალური მოძრაობის ნამდვილი ისტორიის შესწავლას: ჩვენამდე მოღწეული გვიანა ლიტერატურა სოციალურ-ისტორიული მიმართულებით განუზომელი სიმცირით ხასიათდება. ისეთი შრომაც კი, როგორიც არის ა პიანეს „სამოქალაქო ომები", რომელიც გრაკხუსებიდან იულიოს კეისრამდე რეოლუციურ პერიოდს თავის მონოგრაფიულ გამოკვლევის საგნად ხდის, პელმანის აზრით, შეიცავს მხოლოდ სამხედრო ისტორიას. სამოქალაქო ომების ამ

[1] წაკითხული იყო მოხსენებად პედინსტიტუტის მესამე სამეცნიერო სესიაზე 1941 წლის 26 თებერვალს.

ისტორიკოსს სოციალურ-ისტორიული გაგებისა და ინტერესის კვალი არ აქვსო. მაგრამ იგი (ჰელმანი) იმას ც კი დასძენს, რომ ager publ'cus-ის შესახებ მას ძვირფასი და შესანიშნავი ცნობები მოეპოვება. იმპერატორის პერიოდის ლიტერატორებისაგან — პლუტარქესა, აპიანესა, კასიუს დიონისაგან იგი არ მოელის რაიმეს, რადგან რესპუბლიკის შინაგანი ცხოვრება მათგან უკვე დაშორებული იყო (Р. Гельман, „История античного коммунизма и социализма", С-Пет., 1910).

აპიანეს მაღალ შეფასებას აძლევს კ. მარქსი. მარქსი 1861 წლის თებერვალში კითხულობს აპიანეს ნაშრომს. „...საღამოობით დასასვენებლად ვერთობოდი აპიანეს „სამოქალაქო ომებით რომში" ბერძნულ ორიგინალში. იგი ფრიად ძვირფასი წიგნია. აპიანე შთაბეჭდილებით ეგვიპტელია. ზლოსერი ამბობს, „რომ „მას სული არ აქვსო", ალბათ იმიტომ, რომ იგი ცდილობს ჩაწვდეს ამ სამოქალაქო ომების მატერიალურ საფუძვლებს. აგრეთვე ენგელსიც აღნიშნავს, რომ „ძველი ისტორიკოსებიდან, რომელნიც რომის რესპუბლიკაში წარმოებულ ბრძოლას ასწერდნენ, მხოლოდ ერთადერთი აპიანე ამბობს ნათლად და გარკვეულად, რომ ის მიწათმფლობელობისათვის ხდებოდაო". (Энгельс, „Гражданские войны", 1935, გვ. 7, 8).

რესპუბლიკის უკანასკნელი ათეული წლებისათვის წყაროების მხრივ მდგომარეობა გაცილებით უკეთესია. ჩვენთვის საინტერესო პრობლემისათვის მოგვეპოვება ორიგინალური ნაწარმოები რომაელი ისტორიკოსის სალუსტისა და მრავალრიცხოვანი შრომები და წერილები მოვლენათა თანამხილველისა და მონაწილის ციცერონისა.

მაგრამ რესპუბლიკის ისტორიის უკანასკნელი პერიოდის მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი მოვლენის, კატილინას შეთქმულების შესახებ ჩვენამდე მხოლოდ ტენდენციურმა ცნობებმა მოაღწია.

მარკოს ტულიუს ციცერონი, რომაელი საზოგადო მოღვაწე და მწერალი, გამოჩენილი ორატორი, როგორც კატილინას მოწინააღმდეგე, ცალმხრივია თანაც მან თავისი ოთხი სიტყვა კატილინას წინააღმდეგ ე. წ. კატილინარები წარმოთქმული სენატსა და ხალხის წინაშე შემდეგ გადაამუშავა და შეალამაზა. „მაშინ კონსულმა მარკოს ტულიუს (ციცერონმა), ან მისი (ე. ი. კატილინას) დასწრებით შეშფოთებულმა, ან რისხვით ამოძრავებულმა წარმოსთქვა მშვენიერი და სახელმწიფოსათვის სასარგებლო სიტყვა, რომელიც შემდეგ ჩაწერა და გამოსცა (Salluste, „De coniuratione Catilinae". 31·) მაგრამ საკმარისია ზერელედ გადავათვალიეროთ სიტყვები

კატილინას წინააღმდეგ, რომ დავრწმუნდეთ, რომ კანონიერ ხელისუფლებასთან ერთად, დანაშაულებრივი ხელყოფით რომ იყო ხელმოწვეული, მასში აშკარავდება ისეთი ცალმხრივი წინაგანწყობა და რიტორული ფრაზეულობა, რომ ფიქრიც არ შეიძლება ამ თხრობის საშუალებით შევიმუშავოთ სწორი წარმოდგენა მოძრაობისა და მისი შინაგანი სტიმულების შესახებ (პელმანი, „История античного коммунизма и социализма", გვ. 532, 1910).

რ. ეიპერი თავის „რომის იმპერიის ისტორიის ნარკვევებში" (Р. Ю. Виппер. „Очерки истории римской империи", 1923) სამართლიანად აღნიშნავს, რომ ოთხ სიტყვაში კატილინას წინააღმდეგ ციცერონი მაინც პირველი და ერთადერთი მოწამეა, რადგან მისი აზრით სალუსტი თავის ნიჭიერად დაწერილ წიგნში კატილინას შეთქმულების შესახებ არსებითად იმეორებს ციცერონის დახასიათებებს. მისი აზრით ახალ დროში თითქმის არ უწევდნენ ანგარიშს ჩვენთვის უბედურ იმ გარემოებას, რომ რესპუბლიკის დასასრულის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი მოვლენის შესახებ ჩვენ დრომდე მოაღწია ერთადერთმა პირდაპირმა მოწმობამ, თანაც ესოდენ არასრულმა და ცალმხრივმა. ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, როგორ გასაჭირში იქნებიან მომდევნო თაობანი, თუ, მაგალითად, ჩარტისტული მოძრაობის შესახებ მათ უნდა იმსჯელონ მხოლოდ რეაქციული ჟურნალის სტატიებით, ან უაღრესად კონსერვატორული საპარლამენტო ორატორის სიტყვებით.

გაიუს სალუსტი კრისპი უთუოდ იულიოს კეისრის მომხრეთა ჯგუფს ეკუთვნოდა. იგი ემხრობოდა დემოკრატიულ პარტიას. მას ცოლად ჰყავდა ტერენცია, ციცერონის ყოფილი ცოლი, რომელსაც უკანასკნელი გაეყარა. სალუსტი ციცერონის მიმართ მტრულად იყო განწყობილი. მათ შორის პირადი მტრობა დაიწყო მელონის პროცესის შემდეგ, რომლის დამცველად ციცერონი გამოდიოდა, მოწინააღმდეგედ კი სალუსტი. ამიტომ ციცერონის როლი მას იმგვარად არ აქვს გამოყვანილი, როგორც თვით ციცერონს. იგი მას თავის შრომაში „De coniuratione Catilinae" („კატილინას შეთქმულება") არ ჰყავს წამოყენებული თხრობის ცენტრალურ ფიგურად. თვით კატილინასა და კატილინართა მოძრაობის შეფასება სავსებით შეეფარდება ციცერონისას. სალუსტის მიზანი იყო ეცადნა იულიოს კეისრისათვის ბრალდება შეთქმულებაში მონაწილეობის შესახებ. ამის გარდა თვით შეთქმულების ისტორია მოთხრობილია მორალური და სისხლის სამართლის თვალსაზრისით. (პელმანი, ibidem, გვ. 520).

სალუსტი თავისი მიზნის შესახებ აღნიშნავს: ,,მე ვეცდები შესაძლებელი სიზუსტით და სისწორით მოგითხრო მხოლოდ კატილინას შეთქმულების შესახებ, რადგან მე ამ დანაშაულს ვთვლი განსაკუთრებით შესანიშნავად ბოროტმოქმედებისა და საფრთხის არაჩვეულებრივი ხასიათის გამო'' (Sallusti, ibidem, 4). მაგრამ ნიზე მართებულად მიუთითებს, რომ სალუსტის მოწმობა მრავალს რამეს სასურველად ტოვებს სისწორისა და მართებულის მხრივ, ამის გარდა მრავლის შესახებ იგი დუმს და მრავალს კიდეც ჰფარავს. (Низе, ,,Очерки римской истории и источниковедения, 1910).

მომზენს სალუსტის ,,კატილინა'', გამოქვეყნებული ციზარიანელის მიერ, იულიოს კეისრის პოლოგიად მიაჩნია. იგი მისი აზრით ,,წარმოადგენს ტენდენციურ პოლიტიკურ თხზულებას, რომელშიაც ცდილობდნენ დემოკრატიული პარტიის, რომელზედაც ეყრდნობოდა რომის მონარქია, კლავ ამაღლებას, და იულიოს კეისრის ხსოვნის შავი ლაქისაგან, რომელიც მას ჰფარავდა, გაწმენდას. (Моммзен, ,,Римская история'', ტ. II).

მიუხედავად ამისა, მკვლევარები ხშირად აღნიშნულ წყაროებს პირდაპირ ეყრდნობიან; ,,გასაკვირია, რომ ხშირად ყველა ამას უგულებელყოფენ, მაგალითად, მომზენმა თითქმის სავსებით შეითვისა ციცერონისა და სალუსტის მიერ მოცემული კატილინას შეთქმულების დახასიათება'' (პელმანი, ibidem, გვ. 698).

II

ლუციუს სერგი კატილინა (Lucius Sergius Catilina) დაიბადა 108 წ. ჩ. ერამდე. იგი ეკუთვნოდა რომაელი პატრიციების წარჩინებულ გვარს ,,nobili genere natus'' (სალუსტი, ibidem, 5; აპიანე, ibidem. წიგნი 2, 2) სერგიებისას.

სერგიების გვარს რესპუბლიკის V საუკუნეში პატრიციებს შორის თვალსაჩინო ადგილი ეჭირა. ისინი თავის წინაპრად თვლიდნენ ლეგენდარული ენეუსის ერთ-ერთ თანამგზავრს. უკვე IV საუკუნეში მათი გვარიდან 2 კონსული და 9 სამხედრო ტრიბუნი კონსულის უფლებით სარგებლობდა. მაგრამ უკვე III საუკუნეში მათი გვარი დაიჩრდილა იმ მხრივ, რომ ვერ გასცილდა სამხედრო ტრიბუნების, ქვესტორებისა და ლეგატების თანამდებობას. პრეტურის მიღებაც კი უძნელდებოდათ. კატილინას პაპის პაპამ Marcus Sergius Silus-მა მეორე პუნიკურ ომში 23 ჭრილობა მიიღო, ხელიც კი დაჰკარგა, მაგრამ პრეტურის მიღებამდე ჯარში სამსახურს

განაგრძობდა. მისი შვილი ემილ პავლთან ლეგატად იყო მაკედონიაში (Проф. Ю. Иванов, „Заговор Катилины и его социальная база", „Вестник Древней Истории", 1940, № 1).

კატილინა ხასიათდებოდა სულიერი და ფიზიკური სიძლიერით; მაგრამ მისი გონება მანკიანი და დამახინჯებული იყო „Lucius Catilina, nobili gènere natus, fuit magna vi et animi et corporis, sed ingenio malo pravoque" (Sallusti, ibidem, 5). ახალგაზრდობიდანვე მას ჰყვარებია ომი და მკვლელობა. მისი სხეული ამტანი იყო შიმშილის, წყურვილის, სიცივის. მას შეეძლო უძილობა „Scelorum exercitatione assuefactus frigore et fame ac siti et vigiliis perferendis, fortis ab iis/is praedicabatur" (Cic., „Catilina", II, 5). იგი იყო მამაცი, ცბიერი, ცვალებადი განწყობილების მქონე, შეეძლო თვალთმაქცობა და ფარისეველობა; ხარბი სხვისისაკმი, მფლანგველი საკუთარისა. მგზნებარე გრძნობით, საკმაო მჭერმეტყველი, მაგრამ სიბრძნეს მოკლებული. ამგვარად ახასიათებენ მას სალუსტი (ibidem, 5) და ციცერონი.

მას ბრალს სდებენ შვილის მკვლელობაში. იგი იყო გატაცებული ენებით აერელი ორესტილასადმი, რომელსაც საქები მხოლოდ სილამაზე ჰქონდა, რადგან იგი უარს ამბობდა მოზრდილი გერის შიშით კატილინას გაყოლაზე. უკანასკნელს სალუსტის (ibidem, 15) და აპიანეს (ibidem, წიგნი 2,) მოწმობით საკუთარი ვაჟი მოუკლავს და „თავისი სახლი თავისუფალი გაუხდია დანაშაულებრივი ქორწინებისათვის" („necato filio vacuam domum scelestis nuptiis fecisse" Sallusti, ibidem, 15).

კატილინა სულას თანამებრძოლი იყო, „კატილინა სულას მეგობარი და ერთგული მომხრე იყო" (Аппиан, „Гражданские войны", 1935, 2,). იგი მონაწილეობდა პროსკრიპციებში. პლუტარქე (ციცერონის ბიოგრაფია, 10,) მოგვითხრობს, რომ კატილინამ თავის ძმა მოკლა მის მემკვიდრეობას რომ დაუფლებოდა, შემდეგ კი სულასაგან გამოითხოვა მოკლულის პროსკრიპციებში შეტანა, რომ მკვლელობისათვის პასუხისგება აეცდინა და მემკვიდრეობა მიეღო. აგრეთვე პროსკრიპციებში საკუთარი მოხუცი სიძეც შეიტანა. კატილინა ამ დროს კიდეც გამდიდრდა. „მკვლელობანი მანამდე არ დასრულებულა, სანამ სულამ სიმდიდრით არ აავსო ყველა თავისი მომხრე" („Neque prius finis iugulandi fuit, quam Sulla omnis suos divitiis explevit", Sallusti, ibidem, 51).

აღსანიშნავია, რომ კატილინას „მეამბოხე სულს ფულადი ხახსრების ნაკლებობა და თავის ბოროტმოქმედებათა შეგნება აღაგ-

ზნებდა („Agitabatur magis magisque in dies animus ferox inopia rei familiaris et conscientia scelerum", Sallusti, ibibem, 5).

მაგრამ ამ მხრივ განა კატილინა წარმოადგენდა გამონაკლისს. სალუსტი აღნიშნავს, რომ მთელი საზოგადოების ზნეობა წარყვნილია იმ მხრივ, რომ ბატონობს ორი უცუდესი ბოროტება: ფუფუნება და ანგარება.

III

რომში განსაკუთრებით მწვავე ბრძოლა სწარმოებდა კონსულობისათვის. 65 წლის კონსულობის მაძიებელი რომში იყო კატილინაც. მას ამ დროისათვის უკვე გავლილი ჰქონდა მთელი რიგი მაგისტრატურებისა. მაგალითად, 68 წ. ჩვ. ერამდე იგი პრეტორად იყო, შემდეგ მან მიიღო სამმართველოდ პროვინცია აფრიკა, სადაც პროპრეტორად გაიგზავნა. აღსანიშნავია, რომ სამხედრო ლეგატადაც ყოფილა, უთუოდ ქვესტორობაც ექნებოდა გავლილი. მაგრამ მან დაკარგა კონსულობის ძიების უფლება, რადგან მას პროვინციელების დეპუტატებმა ბრალდება წაუყენეს გამომძალველობაში (repetundarum) და მან ვერ შესძლო კანონიერ ვადაში თავის სახელის საკონსულო კანდიდატთა სიაში შეტანა (სალ., ibidem, 18).

მისი ბრალმდებელი იყო პუბლიუს კლოდი, რომელიც შემდეგ კატილინართა მოძრაობაში მონაწილეობდა და დაცვა თითქო ციცერონს უკისრია.

სალუსტი აღნიშნავს, რომ „კატილინას ახალგაზრდობაში მრავალ ქალთან უკანონო კავშირი ჰქონდა: ერთ წარჩინებულ ქალიშვილთან, ვესტას ქურუმთან და მრავალი სხვა, რომლითაც არღვევდა ღვთაებრივ და ადამიანურ კანონებსაო (სალ., ibidem, 15). სალუსტის ეს მითითება გულისხმობს იმ დიდ აურზაურს, რომელიც რომში გამოიწვია კატილინას კავშირმა ვესტას ქურუმ ქალთან ფურიასთან. ციცერონის მეუღლის ტერენციას დასთან.

მიუხედავად ამისა, ვითომ ციცერონმა იკისრა კატილინას დაცვა. თუმცა ეს ფაქტი ურყევად დადასტურებულად არ ჩაითვლება ამას გადმოგვცემს ფენესტელა (Fenestella), რომელსაც იმოწმებს ასკონი („in toga candida"). აგრეთვე, ამ ფაქტს აღიარებს ნომჭენი თავის „რომის ისტორიაში" (ტ. II).

თუმცა, როგორც პროფ. ივანოვი („Заговор Катилины и его социальная база") აღნიშნავს, არც ერთ ძველ ავტორს არ მოეპოვება რაიმე მითითება „Pro Catilina" წარმოთქმულ სიტყვის შესახებ.

მაშინ ციცერონი ჯერ კიდევ არ იყო კატილინას აშკარა მტერი (ნიზე, დასახ. შრომა).

ამის შემდეგ წყაროები აღნიშნავენ შეთქმულებას, რომლის მონაწილე კატილინაც იყო. ლუციუს ტულას და მანიუს ლეპიდის კონსულობაში 66 წელს კატილინას წარჩინებულ ყმაწვილ გნეი პიზონთან და ავტრონიუსთან ერთად განუზრახავს კონსულების აურელიუს კოტასი და მანლიუს ტორქვატუსის მკვლელობა. კონსულის ხელისუფლების გარეგანი ნიშნების მითვისებით ხელისუფლების დაპყრობა. გნეი პიზონის ლაშქრითურთ ორივე ესპანეთის დასაპყრობად გაგზავნა. მაგრამ ეს განზრახვა ჩაიშალა. კომიციებში დეკემბერში შეთქმული ყურადღება მიუქცევიათ და გამოაშკარავებულა პირველად; ხელყოფა გადუდვიათ თებერვლისათვის (65 წ.), მაგრამ კატილინა აჩქარებულა თავის მომხრეებისათვის ნიშნის მიცემით და შეკრებილ შეიარაღებულთა სიმცირის გამო ეგზომ ჩაშლილა.

პუბლიუს ავტრონიუსი და პუბლიუს სულა არჩეულნი 63 წლის კონსულებად მიცემულ იყვნენ პასუხისგებაში ამომრჩეველთა მოსყიდვისათვის (ambitus) და დაისაჯნენ. მათ ჩამოერთვათ კონსულობა. ამას კი მოყვა ზემოაღნიშნული ამბავი (სალ., ibidem, 18).

თუმცა ამ შეთქმულებას კატილინას პირველ შეთქმულებას უწოდებენ, მაგრამ ამ ამბის მთავარ ფიგურად გნეი პიზონი უნდა ჩაითვალოს. შემდეგში იგი მართლაც რომს მოაცილეს. შეიძლება ეს წარმოადგენდა მის საპატიო გადასახლებას, რომიდან განდევნას, გაძევებას. როგორც სალუსტის მოწმობიდან ჩანს, ეს კრასუსის დახმარებით მოხდა, რომელიც მას პომპეუს უპირისპირებდა, როგორც მის შეურიგებელ მტერს. სენატიც სიამოვნებით დათანხმებულა, რომ მისთვის აღნიშნული პროვინცია დაენიშნათ, სურდათ, რომ ეს „ბილწი ადამიანი" მოეცილებინათ (სალ., ibidem, 19).

თვით სალუსტი მას „პოლიტიკურ ინტრიგანს" უწოდებს, რომელსაც „სიღარიბე და უზნეობა სახელმწიფო გადატრიალებისაკენ უბიძგებდა" (სალ., ibidem, 18).

ამის გარდა აგრეთვე იმიტომაც, რომ „მრავალი ოპტიმატი, რომელთაც მაშინ პომპეუსის ძლიერება შიშს უნერგავდა მასში (გნეი პიზონში), ამ ძლიერების წინააღმდეგ დამცველს ხედავდა" (სალ., ibidem, 19).

ამგვარად, პირველი პოლიტიკური დაჯგუფება, რომელშიაც მოხვდილად კატილინა გვევლინება, მიმართულია პომპეუსის პრინცი-

პატის წინააღმდეგ. მას მხარს უჭერენ კრასუსი და მრავალი ოპტიმატი, მხედრები, კოლონიებისა და მუნიციპიების წარმომადგენელნი. „მაგრამ პიზონი პროვინციაში მგზავრობის დროს მოკლულ იქმნა ესპანელი მხედრების მიერ, რომელნიც მას თავის ჯარში ჰყავდა“. მოჰყავს რა სალუსტის (სალ., ibidem, 19) ეს ამბავი, იგი აღნიშნავს, რომ ზოგიერთები ამის მიზეზად თვლიან მის უმართებულო, ქედმაღალ და სასტიკ მმართველობას, მეორენი ამტკიცებენ, რომ პომპეუსის ძველმა და ერთგულმა კლიენტებმა მისი სურვილის გამო იგი (პიზონი) მოკლესო. სალუსტი ამ საკითხს ღიად სტოვებს და ამით ამთავრებს ამბავს ამ პირველი შეთქმულების შესახებ. უდავოა, რომ პიზონის მკვლელობაში პომპეუსის ხელი ჩანს.

IV

64 წელს კატილინამ თავისი კანდიდატურა წამოაყენა შემდგომ 63 წლის კონსულად ასარჩევად. მაშინ 63 წლის კონსულობის მაძიებელი შვიდი კანდიდატი იყო. მათ შორის აღსანიშნავია: ლუციუს სერგი კატილინა (Lucius Sergius Catilina), მარკოს ტულიუს ციცერონი (Marcus Tullius Cicero) და ანტონიუსი (C. Antonius Hybrida).

არჩევნების წინ კატილინა ამომრჩევლებს, შეკრებილთ ერთ-ერთ სახლში, მიმართავს სიტყვით, რომელშიაც აღნიშნავს, რომ მათთვის აუცილებელია თავისუფლების მოპოვება. „მას შემდეგ რაც სახელმწიფო მცირეოდენ მძლავრებს ჩაუვარდა ხელში, მათ ხარკს უხდიან მეფეები და ტეტრარხები, გადასახადებსა და ბაჟებს იციალიზირებული ხალხები და ველური ტომები, ჩვენ კი უცვლა დაწარჩენი მოჭალაქე მოქმედი, ღირსი, წარჩინებული და არწარჩინებულნი, ყოფელგვარი მნიშვნელობასა და გავლენას მოკლებულ მდაბიოთა მდგომარეობაში ჩავცვინდითო, მათი მორჩილი შეიქენით, რომელნიც ჩვენ წინაშე უნდა ძრწოდნენ, რომ რესპუბლიკური წყობილება ძალაში დარჩენილიყო“ (სალ., ibidem, 20).

„მთელი გავლენა, ძლიერება, პატივი, მათ ხელშია, ან სადაც მათ სურთ იქ; ჩვენ ხვედრად დაგვიტოვეს საფრთხე, მარცხი არჩევნებში, სასამართლო და სიღატაკე“ (სალ., ibidem, 20).

ამგვარად, ამ სიტყვაში მკვეთრად არის გამოხატული სოციალური კონტრასტი, რესპუბლიკური წყობილების გადაგვარება.

პროვინციელების შევიწროება, „სიღატაკე", ,,ვალები", ,,ცუდი აწმყო", ,,უცუდესი მომავალი" და ,,საცოდავი არსებობის" აჭრდილი.

დასასრულ, იგი მიმართავს მოწოდებით: ,,გამომიყენეთ მე მეთაურად ან რიგით მეომრად: მე თქვენი ვარ სულით და ხორცით. აი რისი განხორციელების იმედი მაქვს თქვენი დახმარებით, რომორც კონსულს, თუ ჩემი შორსმჭვრეტელობა არ მატყუებს და თქვენ ბატონის ხვედრს არ ამჯობინებთ მონისას" (სალ., ibidem, 20).

როდესაც მისმა მომხრეებმა მოითხოვეს სამოქალაქო ომის პირობების გამორკვევა, მაშინ კატილინა მათ, სალუსტის ცნობებით, დაჰპირებია ,,ვალების ახალ დავთრებს, მდიდრების პროსკრიპციებს, სამოქალაქო და ქურუმთა თანამდებობათა, ძარცვასა და ყოველივე მას, რითაც სამოქალაქო ომი ხასიათდება" (,,Tum Catilina polliceri tabulas novas, proscriptionem locupletium, magistratus, sacerdotia, rapinas, alia omnia quae bellum atque libido victorum fert". Sallusti, ibidem, 21).

ამგვარად, კატილინა სახავდა ფართო პროგრამას ვალების კასაციას, მდიდართა მამულების კონფისკაციას და სხვ. ამ პროგრამის განხორციელებას ლამობდა იგი, როგორც კონსული ამომრჩეველთა დახმარებით.

აღნიშნული რადიკალური სოციალური პროგრამა კონსულობის მაძიებელი კატილინასა ცნობილი გამხდარა. ვითომ იგი შეთქმულების მონაწილე კვინტ კურიუსს ეამბნა მასთან დანაშაულებრივ კავშირში მყოფ წარჩინებულ ქალ ფულვიასთვის, რომლის საშუალებით ეს ამბავი მრავალ პირს გაუგია. უფრო მართებულია ვიფიქროთ, რომ კატილინა თავის მომხრეებს აშკარად მიმართავდა ასეთი ხასიათის დაჰპირებებით: ,,ამ გარემოებამ უფრო მეტად აიძულა კონსულის ხელისუფლება მარკოს ტულიუს ციცერონისათვის ჩაებარებინათ" (სალ., ibidem, 23).

,,კონსულებად არჩეულ იქმნენ საარჩევნო კომიციებში მარკოს ტულიუს ციცერონი და გაიუს ანტონიუსი" (სალ., ibidem, 24).

ანტონიუსი კატილინართა მოძრაობასთან იყო დაკავშირებული. იგი ჩამომავლობით უფრო ცნობილი გვარიშვილი იყო, ამიტომ კატილინას მან მხოლოდ ხმების მცირე რაოდენობით აჯობა. და იგი მეორე კონსულად აირჩიეს. ,,ამ ამბავმა თავდაპირველად ძლიერ განაცვიფრა შეთქმულების მონაწილენი" (,,Quod factum primo popularis coniurationis concusserat" (Sallusti, ibidem, 24).

V

მარკოს ტულიუს ციცერონი დაიბადა 106 წელს მუნიციპალური ქალაქ არპინუმის მახლობლად. წარმოშობით მხედართა წრეს ეკუთვნოდა. იგი გამოჩენილი ორატორი, მწერალი და პოლიტიკური მოღვაწე იყო. იგი არ იყო წარჩინებული წარმოშობისა და ახლად-დაწინაურებულთ („homo novus") მიეკუთვნებოდა. „რადგან ციცერონი წარმოშობით რომაელი არ იყო, ამიტომ კატილინა მას უწოდებდა „ინკვილინს", როგორც უწოდებენ იმ პირებს, რომელნიც ბინას სხვის სახლებში ქირაობენ" (Аппиан. „Гражданские войны", книга 2,). თვით ციცერონი თავის შესახებ აღნიშნავს: „შენ კიდევ ახალი ადამიანი ხარ, არა წინაპრების დამსახურებით, არამედ საკუთარი საქმიანობით დაწინაურებული, ჯერ კიდევ არა ხნიერ ასაკში უდიდესი ღირსებით დაჯილდოებული". ავრცელებენ ხოლმე მის საპასუხოდ ნათქვამ სიტყვაში კატილინა მას „უსახლკარო გადმოხვეწილს და არა ქალაქ რომის ბუნებრივ მოქალაქეს" („inquilinus civis urbis Romae" (Sallusti, ibidem, 31) უწოდებს.

ციცერონს მხარი დაუჭირეს ოპტიმატებმა და მჭედრებმა, რომელნიც კატილინას რადიკალური პროგრამის წინააღმდეგ შეკავშირდნენ. მას თავისი წინასაარჩევნო სიტყვით, რომელიც შედგენილია და ცნობილია „in toga candida"-ს სახელწოდებით, კიდევ მოუხმობლავს ამომრჩევლები და იგი ერთხმად (omnibus suffragiis) აირჩიეს. მომზენი მას „ცნობილ პოლიტიკურ ფლიტს" უწოდებს, „რომელიც ხან დემოკრატიას ეთამაშებოდა, ხან კი პომპეუსს ხან კი ცოტა შორიდან არისტოკრატებს და ვეჭვილის სამხედრო ძალებს უწევდა თითოეულ გავლენიან ბრალდებულს, პარტიასა და პროვინციებას. კატილინაც კი ყოფილა მის კლიენტებს შორის" (მომზენი, „რომის ისტორია", ტ. III). ენგელსი აღნიშნავს: „ეს ციცერონი ნამდვილად დაუფასებელია, ამ ვაჟბატონზე უფრო საზიზღარს გაჭნიალს ვერ იპოვნი დოყლაპიების წრეში თვით ქვეყნის შექმნიდან".

მიუხედავად მარცხისა, კატილინა კვლავ აყენებს თავის კანდიდატურას 63 წ. და ფიქრობდა წინასაარჩევნო კამპანიას ეწყება რომ 62 წ. კონსულად გამხდარიყო. იგი ფიქრობდა, რომ თუ კი მას აირჩევდნენ, იოლად გამოიყენებდა ანტონიუსს. ამიტომ იგი ციცერონის წინააღმდეგ მოქმედებდა. უკანასკნელმა კი გაიჩინა მეთვალყურეობა ფულვიას საშუალებით კვინტ კურიოსისაგან გებულობდა კატილინას ეგმებს.

ამის გარდა, მან თავის ამხანაგს კონსულობაში მიუჩინა საიდუმლო მცველები თავის მეგობრებისა და კლიენტებისაგან. შემდეგში კი გადმოიბირა იგი მით, რომ აღუთქვა, რადგან თვითონ არ აპირებდა რომის დატოვებას, კონსულობის ვადის გასვლის შემდეგ, მას სამმართველოდ დაუთმობდა პროვინცია მაკედონიას.

არჩევნების დღეს კონსული ციცერონი შეშფოთებული იყო. მას შეიარაღებული მცველები ჰყავდა და ჯავშანი ჩაეცვა, რადგან კატილინამ ამ დღეს მარსის მოედანზე გამოიყვანა შეთქმულნი ხანჯლებითო. „Cum proximis comitiis consularibus me consullem in campo et competitores tuos interficere voluisti, comperssi conatus tuos nefarios amicorum praesidio et copüs, nullo tumultu publice conditato" (Cicero, ibidem l. 5). („კონსულების უკანასკნელ არჩევნებში შენ ფიქრობდი მარსის მოედანზე ჩემი და სხვა შენი მეტოქეების მოკვლას, მაგრამ მე დავასწარი შენი განზრახვის შესრულებას ჩემი მეგობრების დახმარებით, გარეშე საზოგადოებრივი შფოთის გამოწვევისა").

მაგრამ საკონსულო კრებებზე ხშირია დიდი გარდატეხა და კატილინა კვლავ დამარცხდა. ამით დამთავრდა კატილინასა და მის მომხრეთა ცდა ლეგალური გზით ჩაეგდოთ ხელში სახელმწიფოს მმართველობის საქმე. ამის შემდეგ კატილინა რაზმავს თავის მომხრეებს. გაიუს მანლიუსს გზავნის ფეზულაში და მასთან მდებარე ეტრურიაში, ვიღაც სეპტიმიუს კამარტს პეცენტთა ოლქში, გაიუს იულიუს აპულიაში და კიდევ სხვადასხვა პირებს ისეთ ადგილებში, სადაც თითოეულ მათგანს შეეძლო მოეტანა მეტი სარგებლობა (სალ., ibidem, 27).

შეთქმულთა ხელმძღვანელებს კატილინა იწვევს მარკოს პორციუს ლეკის სახლში, სადაც გადაწყდა ციცერონის თავიდან მოცილება (სალ., ibidem, 27). რომაელმა მხედარმა გაიუს კორნელიუსმა და მასთან ერთად სენატორმა ლუციუს ვარტუნეიმ აღუთქვეს კატილინას მათი დახმარება და გადაწყდა შემდეგი დღით დილადრიან ციცერონის სახლში მისვლა, ვითომ მისასალმებლად, და მისი მოკვლა. „მოიძებნა ორი რომაელი მხედარი, რომლებმაც იკისრეს შენი ამ ზრუნვისაგან განთავისუფლება და იმავ ღამეს ჯანთიადისას სურდათ ჩემი მოკვლა ლოგინში" (ციცერონი, I სიტყვა 4). მაგრამ ციცერონი დროულად გაფრთხილებული კურიუსის მიერ ფულვიას საშუალებით, არ იღებს ვითომ მისასალმებლად მიჭყულ შეთქმულებს.

კატილინას ბანაკი იზრდება. ეტრურიაში მანლიუსი აჯანყებია. საკენ მოუწოდებდა მდაბიო ხალხს განაწყრომებს სილატაკით და მწარე უსამართლობით. მათ, ვინც სულას ბატონობის დროს დაკარგა მიწები და მთელი თავისი დოვლათი; აგრეთვე მანლიუსი აქეზებდა ყოველგვარ ყაჩაღებს, ზოგიერთ სულანელ კოლონისტს, რომელთაც ნაძარცვიდან აღარაფერი დარჩათ.

ციცერონი აღნიშნავს, რომ ,,მის იარაღს იკრიბებიან ბოროტმოქმედთა და ნაძირალთა ბრბოები არა მხოლოდ ჩვენი ქალაქიდან, არამედ მთელი იტალიიდან. არ მოიპოვება არც რომში, არც იტალიაში არც ერთი ვალგადაუხდელი პირი, რომელიც არ ეძებდეს თავშესაფარს კატილინას ბანაკში, ყველა ბოროტმოქმედისა და დამნაშავის ამ გაუგონარ შესაკრებ ადგილზე'' (ციცერონი I სიტყვა). მაგრამ ციცერონი წინააღმდეგობაში ვარდება, როდესაც მეორე კატილინარში ჩამოთვლის კატილინას მომხრეებს. თავდაპირველად აღნიშნავს, რომ ,,იტალიაში არ მოიპოვება არც ერთი საწამლავის გამლესი, გლადიატორი, ყაჩაღი, მკვლელი, ყალბ მემკვიდრეობათა და ხელწერილების შემდგენი, მოქეიფე, გარყვნილი ქალი, ყმაწვილების წარმყვნელი, ისეთი ბოროტი და გარყვნილი ადამიანი, რომელიც ახლო არ იცნობდეს კატილინას'' (ციცერონი, II, 4). მაგრამ შემდეგ კი იგი ჰყოფს მათ და ჩვენ ვხედავთ, რომის საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფს მათი მისწრაფებებით. ჩვენთვის ნათელი ხდება ის გარემოება, რომ ოპოზიცია სხვადასხვა სოციალური ფენიდან შედგება. პირველი კლასი კატილინას მომხრეებისა შედგებოდა დიდი ვალებით დამძიმებული ადამიანებისაგან, რომელთაც უფრო ძვირფასი მამულები ჰქონდათ. მეორე კლასს შეადგენდნენ დიდი ვალის მქონენი, რომელთაც თანაც სურდათ, რომ სახელმწიფოს სათავეში მოქცეულიყვნენ. ამათ არეულობა სურთ თავის მიზნების მისაღწევად. მესამე კლასს შეადგენენ მოხუცები, ჯერ კიდევ ჯანიანი და მოქმედი, მათ შორის მანლიუსი და ის ადამიანები, რომელთაც სულამ ფეზულაში მიწები მისცა და მათ შორის მრავალი საუკეთესო მოქალაქე, სამაგალითო მამაცობით რომ ხასიათდება. მაგრამ მათ განცხრომასა და ფუფუნებაში გაფლანგეს თავისი ქონება, დავალიანდნენ. მათ სურთ სულას მომხრობა იმ სამყაროდან. მათ ღარიბი სოფლელები მიიმხრეს, დააიმედეს რა ნადავლის ნაწილით. მათ ძარცვისა და სხვისი საკუთრების იმედი აქვთ. მეოთხე კლასს შეადგენენ ისინი, ვისთვისაც სანატრელია საზოგადოებრივი შფოთი და უწესოება, შევიწროვებულნი და დავალიანებულნი, სასამართლოს მიერ დევნილნი. ისინი მანლიუსის

ბანაკში იკრიბებიან. ყველა ამათი შემორიგების იმედი აჭვს ციცერონს. მხოლოდ მეხუთე კლასს მიეკუთვნებიან მკვლელნი და ყოველგვარი ბოროტმოქმედნი. ამათ კი არ თხოვს, რომ კატილინა დატოვონ.(ციც., ibidem II, 8).

შეშფოთებულმა სენატმა კონსულებს განსაკუთრებული უფლება მიანიჭა senatus consultum ultimum: videat consules, ne quid detrimenti capiat respublica (დეე, იზრუნონ კონსულებმა, რათა სახელმწიფო საფრთხეში არ ჩავარდესო).

მაშინ ციცერონმა სენატში წარმოსთქვა თავისი პირველი კატილინარი 63 წლის 8 ნოემბერს:

„Quo usque tandem abutere, Catilina, patientia nostra? quam diu etiam furor iste tuus eludet? quem ad finem sese effrenata iactabit audacia?“ (Cicero, I, 1).

O tempora! o mores! Senatus haec intellegit, consul videt: hic tamen vivit. Vivit? Immo vero etiam in senatum venit, fit publici consilii particeps, notat et designat oculis ad caedem unumquemque nostrum: nos autem, fortes viri, satis facere rei publicae videmur, si istius furorem ac tela vitemus. Ad mortem te, Catilina, duci inssi consulis iam pridem oportebat in te conferei pestem, quam tu in nos machinaris“. (Cicero, ibidem I, 1).

(„კატილინავ! კიდევ დიდხანს გამოიყენებ ბოროტად ჩვენს მოთმინებას, კიდევ დიდხანს აბუჩად აგვიგდებ ჩვენ შენი უგნურებით? როდემდე იყოყოჩებ აულაგმავი თავხედობით?“

„რა დროება! რა ზნენი! სენატმა იცის ბოროტი განზრახვა, იგი მზადდება კონსულის თვალწინ, დამნაშავე კი ცოცხალია! ცოცხალი! ეს კიდევ ცოტაა. იგი ჩხადდება სენატის სხდომაზე და მონაწილეობას იღებს საზოგადოებრივი საკითხების განხილვაში და ამავე დროს თავის ბოროტების მსხვერპლს არჩევს ჩვენ შორის დასაღუპად“.

„ჩვენ კი, მამაც მამაკაცებს, გეგონია, რომ ვაკმაყოფილებთ რესპუბლიკას, თუ კი თავს ვარიდებთ მის გამძაფრებასა და იარაღს. დიდი ხანია უკვე, კატილინა კონსულის ბრძანებით შენ სასიკვდილოდ უნდა ყოფილიყავ წაყვანილი, შენ მიმართ გამოყენებინათ დაღუპვა, რომელსაც შენ ყველას წინააღმდეგ ამზადებ“).

„Habemus senatus consultum in te, Catilina, vehemens et grave; non deest rei publicae consilium neque auctoritas huius ordinis: nos, nos dico aperte; consules desumus“ (Cicero, ibidem, I, 1).

(,,ჩვენ, კატილინა, შენ წინააღმდეგ გვაქვს სასტიკი და მნიშვნელოვანი დადგენილება სენატისა, რესპუბლიკა არ არის მოკლებული არც ბჭობისა და არც სენატორთა უფლებებს, არა აშკარად ვალიარებ რომ ჩვენში, ჩვენში, კონსულებშია ნაკლოვანება'').

ამ სიტყვაში ციცერონი ამხელს რა კატილინას, მიმართავს მას, რომ დასტოვოს ქალაქი: ,,მე, კონსული, გიბრძანებ შენ სამშობლოს მტერს, დატოვო რომი'' (ციცერონი, ibidem I, 5).

,,საქმის ასეთი მდგომარეობის გამო, კატილინა, განაგრძე ასეთივე მიმართულებით, დაბოლოს დასტოვე ქალაქი, კარიბჭე ღიაა. გაემგზავრე. უკვე დიდი ხანია შენ, სარდალს გელის მანლიუსის ბანაკი. აგრეთვე წაიყვანე ყველა შენიანი, თუ არა და რაც შეიძლება დიდი რაოდენობით გაწმინდე ქალაქი'' (ციცერონი, ibidem, I, 5).

,,დასტოვე, კატილინავ, ქალაქი! მიეც სამშობლოს საშუალება საშინელებას თავი დააღწიოს'' (ციცერონი, ibidem, I, 9).

იგი ამჟღავნებს თავის მიზანს. თუ იგი სასტიკად მოექცევა კატილინას, მაშინ ყველა იტყვის, რომ იგი სასტიკად და თვითნებურად მოიქცა. თქვენ შორის არის ხალხი, რომელსაც არ ესმის საქმის ნამდვილი ვითარება, ან ისე იქცევა, რომ ვითომ არ ესმის. თუ კი კატილინა გაემართება აჯანყებული მანლიუსის ბანაკში, მაშინ კი ყველასათვის აშკარა შეიქმნება მისი მოქმედება და ვერავინ გაბედავს აშკარად დაიცვას შეთქმულება. თუ კი ამ მრავალრიცხოვანი ბრბოდან სიკვდილით დასჯილი იქმნება მხოლოდ კატილინა, ამით მხოლოდ რამდენიმე ხნით გადავდებთ იმ საფრთხეს, რომელიც საზოგადოებას ემუქრება. ამიტომ პატივცემულო სენატორებო, ცუდმა მოქალაქეებმა თვით გამოამჟღავნონ თავისი თავი. დეე, ისინი გაემიჯნონ კეთილგამზრახველთ.

აქედან ნათელია, რომ რომსა და იტალიაში მღელვარება იყო კატილინას აქტიურ თანამებრძოლთა გარდა საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფში ჰყავდა მომხრენი და თანაგრძნობნი. მართლაც, მიუხედავად ციცერონის წინაგანჭვრეტისა, კატილინას ამბოხების ჩაქრობის შემდეგაც რომში ბრძოლა არ დამცხრალა და თვით იგი (ციცერონი) შემდეგში მეორე ტრიუმვირატისდროინდელი პროსკრიპციების მსხვერპლი შეიქმნა.

თვით ციცერონი თავისი მომხრეების ჩამოთვლისას აღნიშნავს სენატორებს, მხედრებს და კეთილგანწყობილ მოქალაქეთ. როგორც ჩანს, ციცერონსა და კატილინას შორის ამ დღეებში წარმოებდა სასტიკი ბრძოლა. ვინ გადაიბირებდა პლებსს, რომელიც ერთგვაროვან სოციალურ ჯგუფს არ შეადგენდა.

,,პლებსი, რომელიც თავდაპირველად, გადატრიალებისადმი მიდრეკილების გამო სავსებით თანაუგრძნობდა სამოქალაქო ომს, შეთქმულების აღმოჩენის შემდეგ იცვლის თავის შეხედულებებს, აძაგებდა კატილინას განზრახვებს, ცამდე აჰყავდა ციცერონი და ზეიმობდა, როგორც გააზატებული მონები'' (სალ., ibidem, 48).

ციცერონი ფიქრობდა, რომ ,,კატილინას გამგზავრებასთან ერთად ყველა მისი ზრახვა იქნებოდა გაბოროტებული'' (ციცერონი, სიტყვები I). მართლაც კატილინამ დატოვა რომი, რამ აიძულა მას ასეთი ნაბიჯის გადადგმაში, ჯერ კიდევ გაურკვეველია. ,,მე, ჩემი ჩვეულების ერთგულმა, ვიკისრე ყველა უბედური მოქალაქის დაცვა'', — ამბობს კატილინა კვინტ კატულისადმი მიწერილ წერილში (სალ., ibidem, 35). ციცერონი ზეიმობდა. ,,ამ შინაგან მტერს ჩვენ უდავოთ ვძლიეთ'', ამბობს მეორე კატილინარში (ციცერონი, II, 2). ,,ქალაქიდან განდევნილმა კატილინამ დაკარგა ხელსაყრელი პოზიცია მოქმედებისათვის. ახლა ჩვენ აშკარად და დაუბრკოლებლად ვაწარმოებთ მასთან ომს, როგორც სამშობლოს აშკარა მოღალატესთან'' (ციცერონი, ibidem, II, 1).

მაგრამ რომში დარჩნენ შეთქმულების მეთაურნი ლენტული, სტატილიუსი, ჰაბინიუსი, ცეგეტი. მათ ვიღაც პუბლიუს უმბრენის საშუალებით კავშირი გააბეს ალობროგების წარმომადგენლებთან. ალობროგთა ცალკე პირები შევიწროვებულნი იყვნენ ვალებით, ტომი კი მეომარი იყო. უკანასკნელებმა შეთქმულთა მეთაურებს მოთხოვეს მათი დაპირებათა წერილობითი დადასტურება. ეს ამბავი ალობროგებმა აცნობეს მათი თემის მფარველს კვინტ ფაბიუს სანგას. უკანასკნელმა აცნობა ციცერონს, როდესაც ალობროგები მიემგზავრებოდნენ, მულვიუსის ხიდზე ისინი დაატყვევეს ვოლტურციუსთან ერთად. შეთქმულების გამომჟღავნების გარდა გალებმა აჩვენეს, ლენტული ამბობდა, რომ სიბილას წიგნები რომში სამეფო ხელისუფლებას უწინასწარმეტყველებენ სამ კორნელიუსს: პირველი იყო ცინა, მეორე სულა, მესამე კი, რომელსაც ბედით განსაზღვრული აქვს, ქალაქის დაუფლება, თვით ლენტულია (სალ., ibidem, 46, 47).

სენატში კამათი გამოიწვია შეთქმულთა ბედმა. მიუხედავად იულიუს კეისრის წინადადებისა, რომ, მათთვის სიცოცხლე შეენარჩუნებინათ, გადაწყდა მათი სიკვდილით დასჯა, რაც სისრულეში იქნა მოყვანილი.

კატილინას წინააღმდეგ გაიგზავნა ლეგიონები კონსულ ანტონიუსის სარდლობით. იგი მომზენის სიტყვით გამოირჩეოდა ისეთი

ხასიათით, რომ მხოლოდ შემთხვევა გადაწყვეტდა, წაიყვანდა იგი თავის ლაშქარს კატილინას წინააღმდეგ, თუ თავის დასახმარებლად.

ციცერონი სენატში ამბობდა: „კატილინას ლაშქარი მოხუცებისაგან შედგება... მევალეებისაგან; მათ ჩვენი ჯარის შეიარაღებული წყობა კი არა, საკმარისია ვაჩვენოთ პრეტორის ბრძანება, და ისინი გაიქცევიანო“ (ციც., სიტყვები, ibidem, II). მაგრამ საკუთარი ძალების გადაჭარბებული შეფასება არ გამართლდა.

კატილინამ ორი ლეგიონი შეადგინა, თანდათანობით შეავსო კოჰორტები ახალი მოსულებით და აიყვანა ლეგიონები სრულ კომპლექტამდე. ლაშქარი იარაღის ნაკლებობას განიცდიდა. პროფ. ივანოვი („Заговор Катилины и его социальная среда“, Древний Восток, 1940 г., № 1). ამით ხსნის იმ გარემოებას, რომ მას მონებისათვის არ მიუმართავს, თუმცა მას ამას მისი თანამზრახველები ურჩევდნენ. მაგალითად, ლენტული მიმართავდა მას: „ეძებე დახმარება ყველასთან, ყველაზე დაბლა მდგომთა შორისაც კი. მას შემდეგ, რაც სენატმა შენ სამშობლოს მტრად გამოგაცხადა, რატომ ეუბნები უარს მონებს“ (სალ., ibidem II, 4).

„ამავე დროს იგი უარს ამბობდა მონების დახმარებაზე, რომელნიც თავდაპირველად დიდი რაოდენობით მოდიოდნენ მის ბანაკში, რადგან შეთქმულების საშუალებებს ეყრდნობოდა და არ თვლიდა თავის ინტერესების სასარგებლოდ, თუ გამოირკვეოდა, რომ მან რომაელ მოქალაქეთა საქმე გაქცეულ მონათა საქმესთან დაკავშირა“ (სალ., ibidem, 56).

უკანასკნელი ცნობა ნათლად ადასტურებს, რომ კატილინა მონათმფლობელური საზოგადოების ჩარჩოებში მოქმედებდა.

კატილინა გადავიდა პისტორიის ოლქში, რომ იქედან გალიაში გადასულიყო; თუ ამას იგი მოახერხებდა, შესაძლებელია ემიგრანტთა რესპუბლიკა მოეწყო. მას გზა კონსულის ლაშქარმა გადაუღობა და, რადგან სხვა გამოსავალი არ იყო, სცადა ბრძოლაში ეპოვნა ბედი.

კატილინა მიმართავს თავის თანამებრძოლებს: „ბრძოლაში შებმისას გახსოვდეთ, რომ თქვენ ხელში გიჭირავთ სიმდიდრე, პატივი, სახელი, დაბოლოს თავისუფლება და სამშობლო“ (სალუსტი, ibidem, 58).

„ხოლოდ ბრძოლის დამთავრების შემდეგ შეიძლებოდა ჭეშმარიტი წარმოდგენა გვქონოდა იმის შესახებ, თუ რაოდენი სიმამაცის და აღმაფრენის ძალას შეიცავდა კატილინას ლაშქარი. თითქმის თითოეული მისი მხედარი, მკვდარი, თავისი სხეულით ჰფა-

რაედა თვით იმ ადგილს, რომელიც მას ცოცხალს ეჭირა ბრძოლის დროს... კატილინა იპოვეს შორს თავისიანთაგან, მტრების ცხედრებს შორის; იგი კიდევ სუსტად სუნთქავდა და მის სახეს შერჩენილი ჰქონდა დაუცხრომელი სულიერი ძალის გამოხატულება, რომელიც მას სიცოცხლის დროს ჰქონდა'' (სალ., ibidem, 61).

თავის სისასტიკით ეს ბრძოლა მოგვაგონებს რესპუბლიკის უკანასკნელი პერიოდის სამოქალაქო ომის ერთ-ერთ ეპიზოდს, როდესაც მუტინასთან ლეგიონერებმა მოგვცეს ამხანაგური დუელის საშინელი სურათი. მომზენი მართებულად აღნიშნავს, რომ კატილინამ ამ დღეს დაამტკიცა, რომ ბუნებამ იგი არაჩვეულებრივი საქმეებისათვის განამზადა. მას შეეძლო ბრძანებლობა, როგორც სარდალს და ბრძოლა, როგორც ჯარისკაცს. მთელი მდაბიო ხალხი, მთელი ,,პლებსი'' თანაგრძნობით ეპყრობოდა კატილინას. ეს სიმპატია მას დიდხანს დარჩა. ამას კატილინას საფლავის ყვავილებითა და გვირგვინებით შემკობაც ადასტურებდა (პელმანი).

VI

კრასუსისა და იულიოს კეისრის მონაწილეობის საკითხი კატილინართა მოძრაობაში საბოლოოდ გადაუჭრელად ითვლება. მომზენს იურიდიულად თუ არა, ისტორიულად დადასტურებულად მიაჩნია კრასუსისა და იულიუს კეისრის მონაწილეობა კატილინართა მოძრაობაში. მათალია, სალუსტი ცდილობს კეისრის მიმართ ასეთი ეჭვის გაბათილებას, მაგრამ თვითვე საწინააღმდეგო დასკვნის გამოყვანის საშუალებას გვაძლევს. მაგალითად, სენატში პოუყვანიათ ვიღაც ლუციუსი ტარკვინიუსი დაპატიმრებული მაშინ, როდესაც იგი კატილინასთან მიიმგზავრებოდა. იგი ამბობდა, რომ კრასუსმა გაგზავნა იგი კატილინასთან დავალებით, რომ ლენტულის, ცეგეტისა და სხვა შეთქმულთა დაპატიმრება მას ნუ შეაშფოთებს, რომ მან სასწრაფოდ მიაშუროს ჭალაქს, რათა გაამხნეოს დანაბრჩენი შეთქმულნი და იოლად გააცაიისუფლოს დაპატიმრებულნი.

,,მაგრამ, როდესაც ტარკვინიუსმა დაასახელა კრასუსი წარჩინებული ადამიანი, დიდი სიმდიდრის მფლობელი და ფრიად ძლიერი, მათ ეს საქმებით დაუშვებლად ჩასთვალეს, ზოგიერთებს თუმცა სჯეროდათ, მაგრამ ფიქრობდნენ, რომ ასეთ კრიტიკულ მომენტში უშიშროებისა არ გაეღიზიანებინათ ესოდენ მძლავრი ადამიანი, უშრავლესობა კი თავისი პირადი საქმეების გამო კრასუსისაგან მატერი-

ალურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა. ამიტომ აყვირდნენ, დასმენა ცრუ არისო და მოითხოვეს კონსულისაგან ჭეშმარიტების გამოძიება. (სალუსტი, ibidem, 48).

ზოგიერთები ფიქრობენ, რომ დასმენა მოწყობილი იყო პუბლიუს ავტრონიუსის მიერ იმ განზრახვით, რომ კრასუსის დახმარებით უფრო იოლად დაიცავდნენ დანარჩენ შეთქმულებს მისი ძლიერი სახელით. მეორენი ამბობდნენ, რომ ტარკვინიუსი ციცერონის მიერ იყო მიგზავნილი, რათა კრასუს მფარველობა არ გაეწია ცუდ მოქალაქეთათვის და სახელმწიფო გადატრიალება არ მოეხდინაო.

ბუასიემ ისეთი აზრიც გამოთქვა, რომ კრასუსისათვის არ იქნებოდა ხელსაყრელი კატილინარებთან კავშირი, რადგან ვალების გაუქმება მისთვის საზარალო იქნებოდაო, მაგრამ არ უნდა დავიწყოთ, რომ იგი ერთის მხრივ ამით პომპეუსს უპირისპირდებოდა, მეორე მხრივ ხელში ჩაიგდებდა შემოსავლის ახალ და უფრო მნიშვნელოვან წყაროს, რომელიმე მდიდარი პროვინციის მმართველობას ან ლაშქრობის სარდლობას. შემდეგში იგი კიდეც აღმოსავლეთში ლაშქრობის დროს დაიღუპა.

იულიოს კეისარი ამ დროს კრასუსთან ახლო იდგა. იგი უფრო წინდახედულად მოქმედებდა, დემოკრატიულ სამოსელში გამოდიოდა. სალუსტი ცდილობს დაფაროს მისი მონაწილეობა კატილინართა მოძრაობაში. იგი აღნიშნავს, რომ იულიოს კეისრის მტრებმა პიზონმა და კვინტ კატულმა ვერ მოახერხეს ვერავითარი საშუალებით, ვერც ძხოვნით, ვერც თავიანთი გავლენით, ვერც ფულით, რომ ვინმეს (ციცერონს ალობროგების საშუალებით) დასმენის საშუალებით იულიუს კეისარი დაესახელებინა.

თუმცა იულიოს კეისრის სახელი ნახსენები არ ყოფილა, მაგრამ რომაელი მხედრები საფრთხის გამო წეიარაღებულნი რომ იყვნენ, იულიოს კეისარს ხმლებით ემუქრებოდნენ. ამ მოვლენის ასახსნელად ვერ დავკმაყოფილდებით სალუსტის ცნობით, თითქოს მათში ესოდენი გაბოროტება ზემოდასახელებული პირების სიძულვილით ყოფილიყო გამოწვეული.

ასეთივე საეჭვოა იულიოს კეისრის ჰუმანიური წინადადება ლენტულისა და სხვათა სასჯელის შესახებ, რომ მათთვის სიცოცხლე შეენარჩუნებინათ და მოეთავსებინათ პატიმრებად იტალიის ქალაქებში, თუმცა ეს გარემოება არც საწინააღმდეგო მოსაზრებას ადასტურებს.

,,მაშინ კატონმა უკვე სავსებით აშკარად იღაპარაკა იმ ვეცის შესახებ, რომელიც კეისრის მიმართ არსებობდა'' (აპიანე, ,,სამ. ომი, წ. 6).

როგორც ჩანს, შემდეგში კეისრისათვის არ იქნებოდა სასიამოვნო მისი შეთქმულებაში მონაწილეობის გახსენება. ამით ხსნიან იმ გარემოებას, რომ ციცერონის მიერ ატიკისადმი მიწერილ არც ერთ წერილში არ არის მითითება შეთქმულებაზე. ალბათ, ასეთი წერილები კიდეც არსებობდა, მაგრამ ციცერონმა მათი გამოჭვეყნების ნება არ დართო (Иванов, ,,Заговор Катилины'').

მომზენის აზრი, რომ კრასუსისა და ციცერონის მონაწილეობა შეთქმულებაში ისტორიულად დადასტურებულად უნდა ჩაითვალოსო, მართებულია.

VII

კატილინას შეთქმულების შესახებ ისტორიულ ლიტერატურაში სხვადასხვა აზრი გამოითქვა. აღსანიშნავია პელმანის, მომზენისა და ვიპერის შეხედულებანი.

პელმანი თავის შრომაში ,,ანტიკური კომუნიზმისა და სოციალიზმის ისტორია'' აღიარებს, რომ უკვე V ს. ჩვ. ერამდე საკუთრების უფლება რამდენიმედ შეესაბამა ახალ დროს და რომის ეკონომიურ ცხოვრებაში თვალსაჩინოდ აშკარავდებოდა კაპიტალიზმის ჭარბობა. ანტიკური საზოგადოების ეკონომიური ცხოვრების ასეთი გაგება უხეშ შეცდომას წარმოადგენს. მას (პელმანს) სავსებით შესაძლებლად მიაჩნია, რომ კატილინარების დიდ სოციალურ მოძრაობაში მცირედ არ იყვნენ წარმოდგენილნი უკიდურესი სოციალისტური გამანადგურებელი იდეებით გატაცებულნი. მაგრამ მარქსმა კატილინას რევოლუციონერად გამოსახვა ერთ-ერთი ინგლისელი პროფესორის (ბიზლის) მიერ არაკრიტიკულად მიიჩნია, მაშასადამე არამართებულად.

მომზენი თავის ,,რომის ისტორიის'' II ტომში ყოველმხრივ განიხილავს კატილინას შეთქმულებას. თითქოს პომპეუსის აღმოსავლეთის სარდლობამ გამოიწვია გაძლიერება დემოკრატიისა, რომელსაც ახალგაზრდა იულიოს კეისარი მეთაურობდა. იგი ცდილობდა პომპეუსის დასუსტებას და მისთვის სხვა სამხედრო ხელისუფლების დაპირისპირებას. ამიტომ დემოკრატია დაუკავშირდა ანაქისტებს. მრავალი ადამიანი იყო მზად ყაჩაღთა ბრბოს მსგავსად თავს დასხმოდა სამოქალაქო საზოგადოებას და დაერბია იგი, კელავ ძარცვით შეეძინა გაფლანგული ქონება. მალე მოიძებნა

ადგილები ყაჩაღთა ბრბოს მეთაურებად. ასეთებია ლუციუს კატილინა და გნეი პიზონი. კატილინა თავისებურ „კონდოტიერად“ არის წარმოდგენილი. „იმის მსგავსად, როგორც ოდესღაც მაძებარის მსგავსად იგი კულტური რაზმის საბაგეში ნადირობდა გაძევებულებზე, ახლა სიამოვნებით ჰპირდებოდა მოწინააღმდეგე პარტიას მსგავს სამსახურს. საიდუმლო კავშირი შედგა“ (მომზენი, „რომის ისტორია“).

მომზენს სურდა ეჩვენებინა იულიოს კეისრის დემოკრატიული დიქტატურა, დაესახა იულიოს კეისარი რომის საზოგადოების ჩიხიდან გამომყვანად, რომ რომში მონარქია დემოკრატიულ საფუძველზე აღმოცენდაო.

„გასაგებია, რომ ამასთან დემოკრატიის უფრო პატივცემულ ბელადებს შეძლებისამებრ თავი ეჭირათ შორს და უფრო ნაკლებად ფაქიზ ამხანაგებს აკისრებდნენ მთელი ჭუჭყიანი სამუშაოს შესრულებას, რომლის პოლიტიკური შედეგების მითვისებას იმედოვნებდნენ შემდეგში“.

ციპერი კიტილინასა და კატილინარებს სთვლის პოლიტიკური მოქმედების პარტიად, რომელიც დემოკრატიას დაუკავშირდა. დემოკრატიულ პარტიას არჩევნებში მხარი უნდა დაეჭირა კატილინარებისათვის, უკანასკნელნი ქალაქში ხმის მისაცემად გამოიწვევდნენ თავის მომხრეებს. სამაგიეროდ კატილინარები ხელისუფლების აღებისას კისრულობდნენ 64 წ. აგრარული, საფინანსო და ადმინისტრაციული რეფორმის გატარებას.

კატილინარების მოძრაობა რესპუბლიკის დასასრულის მნიშვნელოვანი სოციალური ბრძოლის გამომხატველია. მოძრაობის ხელმძღვანელები მიზნად ისახავდნენ არა სახელმწიფოებრივი წყობილების შეცვლას, არამედ რომაული პოლისის მაგისტრატურების ხელში ჩაგდებას, რათა ესარგებლათ ხელისუფლებით მათთვის აუცილებელ ღონისძიებათა გატარების მიზნით. კატილინარები მონათმფლობელური საზოგადოების ფარგლებში მოქმედებდნენ. რომაელ მოქალაქეთა საქმეში არ სურდათ მონების გარევა. კატილინა საბჭოკრო დიქტატურისაკენ მიისწრაფოდა. მის წინააღმდეგ მხედრები და ოპტიმატები დაირაზმნენ ციცერონის მეთაურობით. რომიდან გასული კატილინა აჯანყების მეთაურობას კისრულობს. 62 წ. აჯანყებულთა მცირერიცხოვანი ჯარი დამარცხდა. ნრავალფეროვანი სოციალური ოპოზიცია დავალიანებულ ნობილებისა და ქალაქის და სოფლის დეკლასირებული ელემენტებისაგან შედგებოდა. იგი უძლური აღმოჩდა.

რომის დემოკრატიამ გრაკხუსების რეფორმების დამარცხების შემდეგ სერვილიუს რულუსის კანონპროექტის სახით უკანასკნელად გაიბრძოლა. რომის დემოკრატიის დაინტერესება პროვინციების ექსპლოატაციაში, პროვინციის რომის ხალხის მამულად (praedia populi Romani) აღიარება, ფიზიკური შრომისადმი უარყოფი დამოკიდებულება არ აძლევდნენ პოპულარებს საშუალებას მკვეთრად დაპირისპირებოდნენ მაშინდელ რომაულ მონათმფლობელურ წყობილებას. დემოკრატია უძლური იყო. ამ დროს ერთადერთ ძალას ჯარი შეადგენდა. მონათმფლობელური წყობილების შენარჩუნებისათვის საჭირო იყო სამხედრო დიქტატურა. შემდეგში კიდეც სარდლებმა გაიკაფეს გზა ერთმპყრობელობისათვის, რაც პრინციპატის სახელწოდებით შეიქმნა ცნობილი.

ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები, ტ. VII, 1947.

Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, т. VII, 1947.

Transactions of the Tsulukidze State Pedagogical Institute of Kutaisi v. VII, 1947.

მიხეილ მახათაძე

„ქართლის ცხოვრების“ ერთი ადგილისათვის

„ქართლის ცხოვრების“ მარიამისეული ვარიანტით რუჭნადინმა, რომელიც მთავრობდა „დიდსა: საბერძნეთსა: ასიას: და: კაბადუკიას: ვიდრე: პონტოდ: ზღუამდე... მოუწოდა: ყოველსა: სიმრავლესა: სპასა: მისსა: და: **შეკრბა: კაცი: ოთხმეოც: ებრი: რომელ: არს: ოთხასი: ათასი,**“ [1] დაძრა საქართველოსკენ და დააბანაკა „ბასიანისსა: ადგილსა: ბოლოტკედ: წოდებულსა“ [2].

აქ მოტანილი ტექსტიდან ჩვენ მიერ დაყოფილ ცნობას ერთგან ტექსტუალურად და კომენტირების გარეშე იმოწმებს აკად. ივ. ჯავახიშვილი [3]; აკად. კ. კეკელიძის აღდგენილ გამოცემაში კი ვკითხულობთ: „შეკრბა კაცი ორმეოცი ბევრი, რომელ არს ოთხიათასი“ [4].

მაგრამ „ოთხმეოცი ბევრი“ არ არის არც ოთხასიათასი, არც ოთხიათასი. „ოთხმეოცი ბევრი“ იქნება რვაასიათასი (80 . 10.000 = = 800.000), ოთხასიათასი კი იქნება „ორმეოცი ბევრი“. აკად. კ. კეკელიძე, ცხადია, ასე კითხულობს მარიამისეულ ტექსტს, რასაც ადასტურებს „ოთხმეოცის“ შესწორება „ორმეოცად“. „ოთხიათასი“ კი, ამიტომ, მხოლოდ სტამბის შეცდომაა, ოთხასიათასიდან“ „ასის“ გამოტოვების ნიადაგზე დაშვებული [5]. ამავე

[1] ე. თაყაიშვილის გამოცემა, გვ. 497.

[2] იქვე, გვ. 502.

[3] საქართველოს ისტორია, წიგნი II, გვ. 612, 1913, თბილისი.

[4] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, გვ. 124, 1941, თბილისი.

[5] აღნიშნულ გამოცემაში გვხვდება სტამბის მიერ დაშვებული სხვა მსგავსი შეცდომაც. აქ ტექსტში ვკითხულობთ: განდგომილ მთიულთა ამბოხების ჩასაქრობად გაგზავნილი ივანე ათაბაგი გონიერად მოიქცა, „აღვიდა მთასა ხადისასა და წარვლო წუერი მთისა, წარდგა მთასა ფხოველთასა და დიდოთასა, რომელი არავის ექნა არცა პირველ, არცა შემდგომად. რამეთუ ერთ-კერძო დაურნა დურძუკეთი და დიდოეთი და ფხოეთი“ (გვ. 138). უნდა იყოს: „რამეთუ ერთ-კერძო დაურნა დურძუკეთი და ერთ-კერძო დიდოეთი და ფხოეთი“, რომელიც ჯერ-ჯერობით ერთადერთ ხელნაწერშია (ე. თაყაიშვილის გამოცემა, გვ. 528). აქ მეშატყავე მიუთითებს

რიცხვს უკერს მხარს აკად. ივ. ჯავახიშვილიც, რადგან სხვა ადგილას გადაჭრით ამბობს, რუჭნადინმა 400 000 კაცი მოიყვანაო[1].

ამგვარად, იმის მიხედვით, მატიანისეული ფრაზის პირველ ნახევარში ვიეარაუდებთ შეცდომას, თუ მეორე ნახევარში, რუჭნადინის ლაშქარი ან 400 000 გამოვა, ან 800 000.

ამ ბუნდოვანებამ, თუ გაურკვეველობამ ასახვა ჰპოვა მომდევრო ხანების ისტორიოგრაფიაში.

ასე, არჩილი (XVIII საუკ.) ლაპარაკობს: რუჭნადინიო

ოთხ ასჯერ ასსა-ათასსა სპათა შეჰყრის მოსაყენებლადო (885)[2].

400 . 100 000 = 40.000.000. ეს ისეთი კოლოსალური რიცხვია, რომ მისი დასახელება პირდაპირ უბრალო გაუგებრობად უნდა ჩაითვალოს. აქ საქმე გვაქვს ერთგვარ პოეტურ ლიცენციასთან, და არავითარ შემთხვევაში — პოეტურ ჰიპერბოლასთან, ან ნამდვილ რწმენა-შეხედულებასთან. ალბათ, არჩილს სურდა ეთქვა, რუჭნადინმა ოთხასიათასი კაცი შეკრიბა და წამოიყვანა საქართველოზეო, „ჯერ“ კი მარცვალთა რაოდენობის დაცვამ გამოიწვია. ვახუშტი გადაჭრით აცხადებს: რუჭნადინმაო „შეკრიბნა სჯანი 400 000“[3]. თ. დადეშკელიანის აზრით, რუჭნადინის ლაშქარი 500 000 კაცისაგან შედგებოდა[4]. გ. ჯანაშვილი კი სწერს: მას „ჰყუანდა 80 000 მეომარი. კიდევ... 100 000 და აგრეთვე აწვია ქუდზე კაცი“[5] (Sic). ამრიგად, „80 ბევრი“ მ. ჯანაშვილით 80 ათასია.

ამიტომ, ვფიქრობთ, ჯერ კიდევ საძიებელია, მარიამისეულ ტექსტში ფრაზის პირველ ნახევარშია დაშვებული შეცდომა, თუ

---

[1] იქვე, გვ. 616.

[2] არჩილიანი, ალ. ბურამბიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, ტ. II, 1937, თბილისი.

[3] საქართველოს ისტორია, გვ. 211, 1885, თბილისი.

[4] Т. Гадешкелиани, Военная организация и боевой порядок грузинского войска... Известия Кавказского общества истории и археологии, т. I, вып. 2, стр. 60, 1884, Тифлис.

[5] თამარ მეფე, გვ. 63, 1917, თბილისი.

ხერხზე, რომელსაც ივანემ მიმართა: მან დაიკავა ტაქტიკური მნიშვნელობის მწვერვალი, რითაც მტერი ორად გასთიშაო.

დიდოეთის მთები მართლაც მოქცეულია დურძუკეთსა და ფხოეთს შუა, აკად. კ. კეკელიძეც აღნიშნულ ფრაზას „შესავალ წერილში“ სწორედ ამ სახით იძოწმებს: „რამეთუ ერთ-კერძო დაურჩა დიდოეთი და ერთ-კერძო დურძუკეთი“ (გვ. 19). მაგრამ აქ, სამწუხაროდ, იმავე სტამბის დაუდევრობით, გამოტოვებულია სიტყვა „ფხოეთი“.

მეორე ნახევარში. როგორც ცნობილია, ხსენებული ხელნაწერი გადაწერილია უვიცი გადამწერის მიერ, რომელსაც ნუსხური ასოების ურთიერთმსგავსების, დედნის დაზიანების, თუ სხვა მიზეზთა გამო ბევრი შეცდომა აქვს დაშვებული[1]. ის აქაც მეტად აშკარაა, როგორც აღვნიშნეთ, 80 × 10 000 = 800 000 და არა 400 000. მაგრამ როგორ ეწერებოდა ხელნაწერის დედანში: „ოთხმეოცი ბევრი, რომელ არს რვაასი ათასი", თუ „ორმეოცი ბევრი, რომელ არს ოთხასი ათასი"?

თუ დავუშვებთ, რომ მარიამისეული ტექსტის დედანში საძიებელი ფრაზის რიცხვითი სახელები სიტყვიერად და არა შერეული სახით, ასოთა რიცხვითი მნიშვნელობის გამოყენებით იყო შეტანილი, მაშინ მისგან გადაწერისას ასლში, გამოთქმათა ბგერითი მსგავსების ნიადაგზე, უფრო ადვილად გაჩნდებოდა „ორმეოცის" ნაცვლად „ოთხმეოცი", ვიდრე ,,რვაასი ათასის'' ნაცვლად ,,ოთხასი ათასი''. თუ იგივე რიცხვითი სახელები დედანში შერეული, ასოთა რიცხვითი მნიშვნელობის გამოყენებით და სიტყვიერად იქნებოდა შეტანილი, როგორც ჩვეულებრივ შეჰქონდათ ხოლმე რიცხვითი სახელები[2], მაშინ პირუკუ: უფრო მოსალოდნელია და შესაძლო, მათი გრაფიკული მსგავსების და სიახლოვის გამო, ,,რვაასი'' (ყ) ათასის წაკითხვა ,,ოთხასი'' (ųყ) ათასად, და ამ სახით გადმოწერა, ვიდრე ,,ორმეოც'' (ბ) ბევრისა ,,ოთხმეოც'' (ი) ბევრად, რომელთა აღრევის არავითარ შესაძლებლობასაც არ იძლევა მათი გრაფიკული ნაირსახეობა.

აღრევის მხოლოდ ასეთსავე შესაძლებლობას ქმნის როგორც მთავრული (Ⴗ - Ⴜ, — Ⴏ - Ⴠ), ისე მხედრული ასოები (ყ - უ, ჰ - მ).

მაგრამ ორ მოსალოდნელ დაწერილობათაგან რომელია დედნისეული, ე. ი. ავტენტური, ამის დადგენა შეუძლებელია თვით მარიამისეული ხელნაწერის მეშვეობით. ამიტომ საჭიროა საძიებელი ადგილი შემოწმდეს სხვა ხელნაწერების მიხედვით.

ხელნაწერები ამ მხრივ ერთნაირობას არ იცავენ. პროფ. ს. ყაუხჩიშვილის ხელმძღვანელობით ჩვენ მიერ შემოწმებულ რვა „ქართლის ცხოვრების" დღემდე ცნობილი ყველა მნიშვნელოვანი ნუსხა ან უშუალოდ, ან ირიბი გზით, რომლებშიაც იკითხება საძი-

---

[1] ისტ. და ახმ., შესავალი წერილი, გვ. 4; ს. ი ო რ დ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, კამათი ალმწერელის ერთი ცნობის შესახებ, ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, III, გვ. 171, 1936. ცალკე ამონაბეჭდი.

[2] ისტ. და ახმ., შესავალი წერილი, გვ. 16, სქოლიო.

ებელი ფრაზა[1]. ანასეულ ნუსხაში, როგორც ცნობილია, თამარის ისტორია შეტანილია ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანით, რის გამოც მასში ეს ფრაზა სრულებით არ გვხვდება. დანარჩენთაგან ნუსხაში იკითხება: „შეკრბა კაცი ოთხმეოც ბევრი, რომელ არს ოთხასი ათასი“[2]. ესენია: მაჩაბლისეული, დადიანისეული, ბარათაშვილისეული, ჯანაშვილისეული, ჭალაშვილისეული და ფალავანდიშვილისეული[3]. ერთში, რუმიანცევისეულ ნუსხაში[4] ვკითხულობთ: „შეკრბა კაცი ოთხმეოც ბევრი, რომელ არს რვა ათასი“. ყველა ეს ხელნაწერები თბილისში მოიპოვება და ინახება ჩვენს სიძველეთსაცავებში, რამაც შესაძლებლობა მოგვცა მათი ადგილზე შეწყობისა.

რუმიანცევისეულს, როგორც ჩანს ბროსეს გამოცემიდან, მხარს უჭერს ისეთი საუკეთესო ხელნაწერი, როგორიც არის თეიმურაზისეული (ინახება ლენინგრადში) და ჯერჯერობით გამოუკვეველი ბროსესეული ნუსხა „ქართლის ცხოვრებისა“. ეს ნუსხები დაედო საფუძვლად „ქართლის ცხოვრების“ ბროსეს გამოცემას, და რამდენადაც იმის მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, სამივე აქ აღნიშნულ ხელნაწერში საძიებელი ფრაზა შემონახულია ერთნაირად[5].

ამრიგად გამოდის, რომ საძიებელი ფრაზის პირველი ნახევარი — ოთხმეოცი ბევრი — ყველა დღემდე ცნობილ მნიშვნელოვან ნუსხაში შემონახულია ერთნაირად. მეორე ნახევარი კი — ორი რედაქციით: ოთხასი ათასი, რვა ათასი.

ეს გარემოებაც ცხადყოფს, რომ გადამწერის მიერ შეცდომა დაშვებულია ფრაზის მეორე ნახევარში. მართალია, ხელნაწერებში იკითხება „რვა ათასი“ (და არა „რვაასი ათასი)“, მაგრამ ეს ადვილად აიხსნება: შეცდომა დაშვებულია არა დედნის გაუგებრობის ნიადაგზე, არამედ მექანიკურად, „რვაასი ათასისგან“ „ასის“ გამოტოვებით. აქ უკვე მნიშვნელობა აღარ აქვს შესატყვისი ფრაზა დედანში როგორ ეწერა: შერეულად, თუ მხოლოდ სიტყვიერად.

საინტერესოა სხვა წყაროების ჩვენება რუქნადინის ლაშქრის რიცხობრივ რაოდენობის შესახებ.

---

[1] თავაზიანი დახმარებისთვის პროფ. ს. ყაუხჩიშვილს ღრმას მადლობას მოვახსენებ.

[2] აღარ ვეხებით მართლწერის საკითხებს.

[3] *H*-№ 2135, *S*-№ 354, *S*-№ 25, *S*-№ 4730, *Q*-№ 207, №

[4] *H*-№ 2080.

[5] ქართლის ცხოვრება, ბროსეს გამოცემა, გვ. 319. ხ. გიგინეიშვილის გვ. 464.

პირველ რიგში უნდა შევეხოთ თამარის მეორე ისტორიკოსის (ბასილი ეზოსმოძღვრის) ცნობებს. ეს ისტორიკოსი აღნიშნავს, რომ რუქნადინმა ოქროთი თუ სხვა სამუალებებით მოისყიდა, გადაიბირა და მიიმხრო მესოპოტამიის კალონიის, გალატიის, ღანგრის, ანკურიის, ისავრიის, კაბადოკიის, დიდი სომხითის, ბითუნიის, ფებლაღონიის მცხოვრებნი ისე, რომ „არა დაუტევა თჳნიერ ღედაკაცისა სოფელთა შინა მათთა, არამედ ყოველნი აამხედრნა“; მათ შეუერთა 100 000 შეიარაღებული თურქი, აგრეთვე, ეზინკელნი, ხალფერდელნი და კარნუქალაქელნი, ერთი სიტყვით, ფეხზე დაყენა მთელი წინააზია, და ეს განუსაზღვრელი რაოდენობა მებრძოლთა დასძრა საქართველოსკენ[1].

ამრიგად, ბასილი ეზოსმოძღვარი არ განსაზღვრავს რუქნადინის ლაშქრის რაოდენობას რიცხობრივად, გარდა ამ ლაშქარში შემავალი თურქული ნაწილებისა, მაგრამ აშკარაა, მისი აზრითაც რუქნადინის მთელი ლაშქარი 700 000 — 800 000 კაცისგან მაინც შესდგებოდა.

აღნიშნულ გარემოებათა მიხედვით, ვფიქრობთ, არ შევცდებით თუ დავასკვნით, რომ მარიამის'ეულის დედანში იკითხებოდა: „შეკრბა კაცი ჳ (80) ბევრი, რომელ არს ყ (800) ათასი“, ე. ი. შეკრიბა 80 ათეული ათასი კაცი, რაც 800 ათასს უდრისო. ახლა უნდა დაისვას საკითხი: რამდენად სანდოა მემატიანის ეს ცნობა?

დღეს უკვე საყოველთაოდ ცნობილია, რომ კლასიკური ეპოქის, ან საშუალო საუკუნეთა ქვეყნებს არ შეეძლოთ ბრძოლის ველზე გამოეყვანათ და იარაღის ქვეშ დაეყენებინათ მილიონიანი ლაშქარი და არმიები[2]. ამიტომ ჩვენც უნდა დავასკვნათ, რომ ქართული ცნობები რუქნადინის ლაშქრის რიცხობრივი რაოდენობის შესახებ უთუოდ გაზვიადებულია.

მართლაც, სალაშქროდ გაშლილ-გამგზავრებული ასეთი სიდიდის ლაშქარი სიგრძით ვერ მოთავსდებოდა ლაშქრის გამოსავალ და დანაკების პუნქტთა შორის, და უფრო მეტად ვერ მოთავსდებოდა, ვთქვათ ქსერქსის არმია — სპარსეთსა და საბერძნეთს შორის. კიდეც რომ დავუშვათ, ეს უზარმაზარი ლაშქარი საქართველოს საზღვრებთან მოზადულ იქნა ტალღებად, ნაწილ-ნაწილ (რაზეც არ მიუთითებს

[1] ბასილი ეზოსმოძღვარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, გვ. 25, 1944 წ., თბილისი.

[2] Г. Дельбрюк, История военного искусства, т. I, ст. 47, 1936, Москва; там же, предисловие, ст. 5-6; Ф. Меринг, Очерки по истории военного искусства, ст. 11-12, 1936, Москва.

არც ერთი ქართული წყარო), რომ პოზიციური ბრძოლისთვის, რომელშიაც ერთი მეომარი მხარე წარმოდგენილია 800 000 მებრძოლით, გამონახულ იქნა შესაფერი ადგილი, რომ რუქნადინმა მოახერხა 800 000 კაცისგან შემდგარი ლაშქრის მომარაგება, შეიარაღება, მართვა და სხვ., რის საშუალებასაც არ იძლეოდა იმ ეპოქის სახელმწიფოთა სოციალური, ეკონომიური, პოლიტიკური სტრუქტურა, ქართველ მემატიანეთა ერთნაირი ცნობა, რომ ეს ლაშქარი ერთ დღეს იქნა გარემოცული [1], ან, რომ ორმხრივ იქნა ჩაკეტილი [2], და დამარცხებული, საეჭვოს ხდის მათსავე ცნობას ამ ლაშქრის რაოდენობის შესახებ. მდგომარეობა იგივე დარჩება, მატიანისეულად 400 000 რომ ჩავთვალოთ, და არა 800 000.

არც კანნა, არც სედანი, არც სტალინგრადი არ იძლევა უფლებას დავასკვნათ, რომ ასეთი მასშტაბის ოპერაციების დამთავრება ერთ დღეს შეიძლებოდეს.

ამრიგად, „ქართლის ცხოვრების", კერძოდ — თამარის ღრო მემატიანის ცნობა რუქნადინის ლაშქრის რიცხობრივი რაოდენობის შესახებ საჭიროებს დაზუსტებას.

მაგრამ როგორ უყურებს საკითხს ლაშა გიორგის დროინდელი ისტორიკოსი?

თუმცა იგი, მეტად შეზღუდული ავტორი, შემოფარგლულია ჟამთააღმწერლის ვიწრო ინტერესით, იქნებ არა მარტო ამით აიხსნებოდეს მისი შედარებით რეალისტური და გაუზვიადებელი ცნობები ჩვენთვის საინტერესო საკითხზე: „მოვიდა რუქნადინი, და თანა ჰყუა ლაშქარი დიმუშკით (დამასკოთ) და ალაბით (ალეპოთ) ამოლმა, წაღებად ამის სამეფოისა. მიეგებნეს ბასიანის ჭუეყანასა, გაიქციეს, ხოცეს და ამოსწყუიდნეს" [3].

მართალია, აქ ნათქვამია, რუქნადინს თან ახლდა დამასკ-ალეპოს ამოლმა მოყოლებული ქვეყნებიდან გამოყვანილი ლაშქარი, და ის მიზნად ისახავდა საქართველოს მოსპობასო, მაგრამ აქ მაინც არ არის ნათქვამი — ეს ლაშქარი 700 000-800 000 კაცისაგან შესდგებოდაო.

თუ ზემონათქვამი სწორია, მაშინ საჭიროა დაიძებნოს მემატიანეთა გაზვიადებული წარმოდგენის მიზეზი რუქნადინის სამხედრო ძალებზე. ეს არის თვით რუქნადინის წერილი: „აწ წარმომივლენია

---

[1] ბასილი ეზოსმოძღვარი, გვ. 28.

[2] იქვე, აგრეთვე ქართლის ცხოვრება, მარიამისეული ვარიანტი, გვ. 503.

[3] ქართლის ცხოვრება, ანასეული ვარიანტი, გვ. 241, 1942, თბილისი.

ყოველი მხედრობა ჩემი“ [1]... და მისივე ბაქიობა და ტრაბახი, რომელიც, ალბად, საქართველომდე აღწევდა რუქნადინის ჯაჯუშების მეშვეობით.

ისეც საგულვებელია, რომ რუქნადინს, რომელმაც დიდძალი ოქრო გაიღო ლაშქრის შესაგროვებლად, ყოველი უფროსი თუ უმცროსი სარდალი ატყუებდა მის მიერ შეგროვილ და საბრძოლოდ გამოყვანილ მეომართა რაოდენობის შესახებ, რათა რაც შეიძლება მეტი ოქრო მიეღო. ამიტომ შესაძლოა, რუქნადინს მართლაც სჯეროდა თავის ლაშქრის მრავალრიცხოვანება, ხოლო უძლეველობაში რომ დარწმუნებული იყო, ამას მისი ბასიანში მოსვლა ამტკიცებს. ამიტომ, და მტერზე მორალური ზედმოქმედების მიზნითაც, ის, მართლაც და ხმამაღლა დაიძახებდა — **წარმომივლენია ყოველი მხედრობა ჩემიო.**

ყველაფერი ეს ადვილად მოაღწევდა საქართველომდე. ამათ უნდა დაემატოს თამარის ისტორიკოსების ღრმა პატრიოტული სულისკვეთება, რითაც გამსჭვალულია მათი ნაწარმოებები. ადვილად დასაშვებია, რომ მათ მატიანეებში ისეთმა ცნობებმაც კი იჩინეს თავი, რომელთა სიმართლეში თვით ავტორებიც არ იყვნენ დარწმუნებულნი, მაგრამ რასაც მათ ჰკარნახობდა პატრიოტული ვისწრაფებანი და შეგნება. ერთი სიტყვით, ქართველ მემატიანეთაგან ისტორიული ფაქტების გაზვიადება ადვილად აიხსნება.

მაშ, რამდენი, როგორი რაოდენობის ლაშქარი მოიყვანა რუქნადინმა? გადაჭრით დადგენა ამისი ჯერჯერობით ძნელია. საკითხი საჭიროებს უფრო ღრმა და სერიოზულ შესწავლას. ბასიანის ბრძოლის პრობლემა არ შეიძლება შესწავლილ იქნას იზოლირებულად, ამ ეპოქის სხვა საგარეო (და თავდაცვით) ომებისგან მოწყვეტილად. აუცილებელია განისაზღვროს ბასიანის ომში მონაწილე ქართული ჯარის რაოდენობა, ტყვედ წამოყვანილთა რიცხვი, წინააზიის ქვეყნებისა და კერძოდ, რუქნადინის სამხედრო შესაძლებლობა, უცხო წყაროები და სხვ. და მხოლოდ შემდეგ შესაძლო გახდება მიახლოებით მაინც განისაზღვროს რუქნადინის ლაშქრის რიცხობრივი მხარე (და ბასიანის ბრძოლის მასშტაბი). წინასწარ კი უნდა განვაცხადოთ, რომ ამით ჩვენ სრულიადაც არ ვფიქრობთ ეს ბრძოლა და მისი მნიშვნელობა სამხედრო ხელოვნების ისტორიაში გავუთანაბროთ საშ. საუკუნეთა ფეოდალურ კინკლაობათ და ურთიერთ დარბევის სურათებს. რუქნადინის ლაშქარი, სულ

[1] ქართლის ცხოვრება, მარიამისეული ვარ., გვ. 498.

ცირე, 50 000 კაცითაც რომ განვსაზღვროთ, საშუალო საუკუნეების ფეოდალურ „ლაშქრობათა“ და შეხლა-შემოხლათა ფონზე, როცა 1000-მდე მეომრის მონაწილეობით გადახდილი ბრძოლა უდიდესად ითვლებოდა, რუქნადინის, — რომელიც ჩვენკენ დაიძრა „წაღებად ამის ქვეყანისა“, — მიზანი ცხადად გვიჩვენებს ამ ლაშქრობის უდიდეს მასშტაბებს. ტაქტიკურის მხრით კი ეს ბრძოლა არა ნაკლებ მნიშვნელოვანი მოვლენაა აღმოსავლეთის და წინა-აზიის სამხედრო ხელოვნების ისტორიაში.

М. С. МАХАТАДЗЕ

ПО ОДНОМУ ВОПРОСУ ИЗ „КАРТЛИС ЦХОВРЕБА“

Резюме

В летописи „Картлис цховреба“ (в основной редакции царицы Марии), сказано, что на призыв Иконийского султана Рукнадина „собралось воинов в количестве 80 бэври (бэври=10.000), то есть 400 тысяч“, и что с этим войском (в 1206 г.) он подступил к пределам Грузии. На основании сличения рукописей и по другим признакам выясняется, что в оригинале текста было написано: „собралось... 80 бэври, то есть 800 тысяч“.

Однако, это не значит, что Рукнадин на самом деле ввел в Грузию 800 тысяч воинов. Здесь мы имеем дело с обычным преувеличенным представлением летописцев о количестве воинов, принимавших участие в том или ином сражении. Но нельзя приравнивать масштаба этого сражения к масштабам феодальных стычек средневековья. Пока еще является затруднительным точное определение численного соотношения участников этой войны. Но на основании некоторых данных можно сказать, что как по масштабу, так и вообще это сражение является исключительным в истории военного искусства средних веков в Передней Азии.

ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები, ტ. VII, 1947.

Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, т. VII, 1947.

Transactions of the Tsulukidze State Pedagogical Institute of Kutaisi v. VII, 1947.

ვალერიან გახტაძე

ანტონ ფურცელაძის ეკონომიური შეხედულებანი [1]

I

ნაროდნიკული მოძრაობა საქართველოში 70-იან წლების დაწყებას ჩაისახა და განვითარდა. მისი დიდი განვითარება ხდება 80-იან წლებში. 90 წლებში ნაროდნიკული მიმართულება ჰკარგავს თავის ერთიანობას და ჟურნ. „იმედში“ გაერთიანებული ქართველი ნაროდნიკების ნაწილი თავის მოღვაწეობას აგრძელებს გაზ. „იერუსალიმში“. საუკუნის დამლევს ნაროდნიკული მიმართულება უკვე აღარ არსებობს.

ქართველ ნაროდნიკთაგან გამოირჩევა თავისი თეორიული მომზადებითა და ეკონომიური საკითხებისადმი ინტერესით ანტონ ფურცელაძე. იგი რუსი ნაროდნიკების დიდ გავლენას განიცდიდა და ცდილობდა ნაროდნიკული შეხედულებების გავრცელებას საქართველოში. რუსი ნაროდნიკების შეხედულებები ქართულ სინამდვილესთან შეფარდებით მან თავისებურად გადაამუშავა და მოგვცა ქართული მოვლენების ახსნა. ქართველ ნაროდნიკთა შორის ის ყველაზე მეტად დაინტერესებული იყო ეკონომიური საკითხებით.

ეს გამოკვლევა წარმოადგენს ქართველი ნაროდნიკების სოციალურ-ეკონომიურ შეხედულებათა ანალიზის ცდას. იგი ნაწილია ვრცელი შრომისა: „ნარკვევები ქართული ეკონომიური აზრის ისტორიიდან“.

—:—

ანტონ ფურცელაძე 70-80-იან წლებში დასავლეთ ევროპის უტოპიური სოციალიზმის დიდ იდეურ გავლენას განიცდის. ეს გავლენა, უპირველეს ყოვლისა, სჩანს კაპიტალიზმის კრიტიკაში. ფურიეც ხომ იმით არის შესანიშნავი, რომ მას განსაცვიფრებელი

[1] წაკითხული იყო მოხსენებად პედინსტიტუტის IX სამეცნიერო სესიაზე 1946 წლის 15 მაისს. იბეჭდება შემოკლებით.

ხიმახვილით აქვს მოცემული კაპიტალიზმის კრიტიკა. მაგრამ ა. ფურცელაძე ამავე დროს რუსი ნაროდნიკების გავლენის ქვეშაც იმყოფება. იგი ცდილობს კაპიტალიზმის კრიტიკა გამოიყენოს იმის დასასაბუთებლად, რომ ჩვენს ქვეყანას ამ გზით წასვლა „პროლეტარიატობაში ჩააგდებს". მას არ სურს კაპიტალიზმის განვითარება ჩვენში. მართლაც, რას წარმოადგენს, მისის აზრით, თანამედროვე კაცობრიობის ცხოვრება? იგი წერს: „ეს ყველამ ვიცით, რომ დღითიდღე **ხალხი** თანდათან მრავლდება. როგორ უნდა იცხოვროს ხალხმა იმ დროს, როდესაც ეხლაც ძლივს, ანუ უკეთა ვსთქვათ, არა გვყოფნის ჩვენი სარჩო. მიწისა და წყლის ნაყოფი?.. ამ უბედურებასთან, რომ ბუნების ნაყოფი უშვერს ცხოვრებაში მყოფთ ხალხებთ არა ჰყოფნით, ზედ ერთობა კიდევ ის უთანასწორობა შრომაში, რომელიც ზემოდ იყო მოყვანილი: თითქმის ნახევარზედ მეტი კაცობრიობისა ან არა შრომობს ან შრომობს უხმარისს საქმეზედ და სცდებიან სახმარისს საქმეს. აქედან გამოხსნას ეხმარება სწავლა"[1]. ა. ფურცელაძე ფიქრობს, რომ ეს უთანასწორობა არა თუ მცირდება, არამედ იზრდება, და თუ „მეცნიერება არ შეუდგა ამის თავდარიგს, კაცობრიობას რიგიანი ბოლო არ მოელის"[2]. იგი ფიქრობს, რომ საქართველოშიც გაჩნდებიან პროლეტარები თუ არა, პაუპერიზმიც უეჭველად. „აქამდის ჩვენი საზიხარულო ის იყო, რომ თითქმის არა გვყვანდა პროლეტარები, მაგრამ ახლა თუ გავიხედეთ კარგათ მომავალში და ჩავაცქერდით იმ გარემოებათა, რომელშიაც ჩვენ თან და თან ვცვივდებით, ჩვენში პროლეტარი არა, და პაუპერიზმიც აუცილებელია"[3]. ფურცელაძე შორს არის ჩვენს ქვეყანაში არსებული პაუპერიზმი „გაწრიოკება" ისე წარმოიდგინოს, როგორც ევროპაშია. იგი ეძებს სპეციფიკურ ქართულ მიზეზებს ამ გაღატაკებისას. და მან კიდეც მონახა ამის მიზეზები. იგი წერს: „პირველი მიზეზი ამ გაწრიოკებისა უნდა ვეძებოთ იმაში, რომ ჩვენ დიდ ხანს გვედო სპარსელებისაგან ხარკი საუკეთესო ქალ ვაჟთა, რომელნიც გადიოდენ აქედამ და აკლებდნენ თავის სისხლს ქართველთა ტომთა და შეჰქონდათ ეს უცხო ტომის სისხლში. აქედამ წარმოსდგა გაუმჯობესება სპარსთა და თურქთა და მეორეს მხრივ დამდოვრება ქართველთა". მაგრამ არის მეორე მიზეზიც: „ჩვენს გონებას, მხნეობას, და აგებულებითი წარმატებას

---

[1] ანტ. ფურცელაძე. ჩვენი სალტოლველო, მნათობი, № 5, 1871, გვ. 88-89.
[2] იქვე, გვ. 98.
[3] ანტ. ფურცელაძე, სასოფლო წერილები, გუთნის დედა, 1873, № 14.

ეხმარებოდა ცხოვრების ცვლილება. დღეს ქართველი კაცი ადგა მხნეთ მიწას და იძენდა სარჩოს, ხვალ ის მიდიოდა საოჸრათ უცხო ტომში, სადაც, გარდა იმისა, რომ ისვენებდა და იბრუნებდა ერთ რიგის ცხოვრებიდამ და ნიადაგ მიწაში ჩაცქეროდა ამ სულსა, ის ხედავდა უცხო ტომის ხალხს, მათს ბუნებას, მათს ცხოვრებას, მათს შეძლებათა, რომელიც ძალა იყო თუ ნება ებეჭდებოდა ამას გონებაში, უახლებდა აზრსა და გულსა უღსნიდა თვალსა, უჩვენებდა თავისსა და სხვის ნაკლებულობას და უჩვენებდა ნამდვილ შეცდომათა''. მაგრამ გარდა ამ არა ეკონომიურ მიზეზებისა, არსებობენ წმინდა ეკონომიური მიზეზებიც. ,,დღეს ჩვენი კაცი... ნიადაგ ჩასცქერია შავს მიწას, რომლის მოსავლის არც კი აქვს იმედი, რომ იმას დარჩეს. დღეს იმის მაგივრათ სხვა ჰფიქრობს და ზრუნავს და არც კი აქვს იმის ნება, რომ თვით შევიდეს თავის საჭიროების ზრუნვაში, დღეს იმას აღარ აქვს თავის ფართო მინდვრები, შეუვალი ტყეები, სავსე ქვევრები და ორმოები. დღეს ის უცხო კაცს აღარ უყურებს ისე, როგორც კაცს, რომლისაც პასუხისგებაც და მორევნაც შეუძლიან ამას: ამისთვის ახლა ეს კაცი არის ჰკუაცა, გონებაც, ძალაცა, სამართალიც, რომლის წინაშე ეს სრულიად უნდა იყვეს გამჭრალი და გაქარწყლებული''. ყველაზე საყურადღებოა უკანასკნელი მიზეზი. ჩვენი სიღატაკის, ჩვენი დაჩაგვრის მიზეზად მას მიაჩნია ევროპული ცივილიზაცია. ,,რამდენათაც გვიახლოვდება ევროპიული ცივილიზაცია იმდენი უფრო ჰმოქმედობს ის ჩვენზედ როგორც დამჩაგრავი მოვლენა... ყველა, რაც ძალი და ღონეა იწევს დიდ მდიდრაჯულს ცხოვრებაში და კოხტა პრუწობაში უკან არავის ჩამორჩეს, და საზრდოს შეძენის სახსარი კი არავინ იცის და ვერც არავისაგან სწავლობს. ამას ყველას მისდევს მარად ვალები და ცარცვა ადგილ მამულისა'' [1]. ფურცელაძეს პროლეტარიატში ჩაცვენის და ხალხის სიღატაკის მთავარ მიზეზად, მიწის ხელიდან გამოცლა მიაჩნია. იგი კარგად იცნობს ევროპის ქვეყნების და კერძოთ ინგლისის ეკონომიური განვითარების გზებს, რომ არ დაინახოს, რომ მიწიდან მწარმოებლის განთავისუფლება მართლაც წარმოადგენს პროლეტარიატის განვითარების მთავარ ეკონომიურ საფუძველს. საყურადღებოა ყველაზე უფრო მახვილი მაგალითი, რომელიც მას მოჰყავს: ინგლისში საპარლამენტო აქტები შეოფარგლის (ограждания) შესახებ. იგი 1875 წ. სწერდა ,,ბანკებმა მისცეს შემწეობა და ძალა მოწყალმართეთა ინგლისის საკოროლოში,

[1] ანტ. ფურცელაძე. სასოფლო წერილები. გუთნის დედა 1873. № 14.

რომ ყოველი რიგი სანებივრო და სადიდრაჯონი მოსულიყო სიწრულეში. ამ გვარათ ამ აღწერილი მაუდის ცხვრებმა დაიჭირეს დიდი ადგილები, რაკი ამათზედ დიდი, მოთხოვნილება იყო და უფრო მოგებას აძლევდა, ვიდრემ მოყვანა თავის მამულებში უხვირველესთა კაცთა აგებულებისათვის სახმართა საჭიროებათა. ამგვარ მამულის პატრონებმა იმ ადგილას, სადაც მოჰყვანდათ პური, დასთესეს საკვებავი ბალახები და შეინახეს მაუდის მცხვარსა და სხვა ამგვარ ძვირფასთ პირუტყვთათვის საძოვრებათ და აღარ მისცეს სოფლის მოღვაწე გლეხთ სახნავ-სათესათ. ამან დაგვალა, დაასნეულა და გაჭლიტა ინგლისის ხალხი. ამან გაახშირა პაუპერები; ამან გარეკა მილიონობით ინგლისისა, შოტლანდიისა და ირლანდიის ხალხი თავის ქვეყნიდამ. ხალხის მაგივრათ დარჩა თითქმის ნახევარს ინგლიზეთში ბანკების დახმარების მოწყალებით, ცხვარი, სრული და მსუქანი საქონელი, ფაბრიკები, ქარხნები; პურის მაგივრათ ითესება საკვებავი ბალახები, სოფლის მაგივრათა არიან საძოვრები“[1]. საქართველოში ასეთ მოვლენას ფურცელაძე ვერ ნახავდა კაპიტალისტური მეურნეობის ნაკლები განვითარების გამო. მაგრამ იგი ხედავდა, რომ განვითარების გზა ერთია: მამულის მწარმოებელს, მამული ხელიდან ეცლება. ამის მიზეზია მამულთა დიდი დავალიანება. „უეჭველია, სწერდა იგი — თუ ეს გარემოებანი და საზოგადო დაწყობილებანი არ შეიცვალენ, დღეს იქნება თუ ხვალ წავა ჩვენი ხელიდამ, და ჩვენ ვნახავთ ჩვენს თავს ამ ჩვენს მამულში, რომლისაც ყოველი ნაბიჯი არის მორწყული მამაპაპის სისხლით, იმაზედ უარეს მდგომარეობაში, რაშიც არიან დღეს ირლანდიელნი და სხვა ზოგიერთა დასავლეთ ევროპისა და ინგლიზეთის პროლეტარი და პაუპერები. იქაურს უმამულო ხალხს კიდევ აქვს გზა რამე ღონისძიებით, შიგა და შიგ მაინც არ მოიკლას თავი შიმშილითა: მიჰმართავთ ქარხნებს და სხვა სამუშაო ადგილთა. მაგრამ ჩვენ რა გვრჩება თუ მამულები ხელიდამ გაუშვით?!“[2]

რა უშველის საქმეს? მდგომარეობას გამოასწორებს ცხოვრების საძირკვლიანად შეცვლა. ცხოვრების საფუძვლიანად გარდაქმნისათვის კი საჭიროა ევროპის სოციალისტების სწავლისა და მოძღვრების შეთვისება. აქაც ჩანს უტოპისტების გავლენა. „რაცი-

[1] ანტ. ფურცელაძე, სასარგებლონი არიან ხალხისთვის სასოფლო-სამეურნეო ბანკები თუ არა. გუთნის დედა, 1875, № 9.

[2] ანტ. ფურცელაძე, სასოფლო წერილები. გუთნის დედა. 1873. № 14.

ონალ-ისტურად ცხოვრების მოწყობისა და გაუმჯობესების ცდა უტოპიური სოციალისტების თეორიის დამახასიათებელია". — სამართლიანად შენიშნავდა ს. ხუნდაძე.

ანტ. ფურცელაძემ იცის ცხოვრების გარდაქმნის რამდენიმე ცდა. მან იცის მაგ. შულცე-დელიჩისა და ჟ. პრუდონის ცდები. არც ერთი არ არის მისთვის მისაღები. მან იცის, რომ არ შეიძლება „დღევანდელი სახელმწიფო და საზოგადო წესი და წყობილებაც დარჩენ და ხალხიც კეთილდღეობაში იყვეს". იგი სასტიკად დასცინოდა შულცე-დელიჩისა და პრუდონის ცდებს, როდესაც წერდა: „ბანკებს არავითარი სასწაული არა აქვთ. ბანკები ყოველთვის იყვნენ, ყოფილან და იქნებიან იმგვარი წყობილებანი, რომელნიც სხვის ფულებს, რომელთაც მოსესხი ანუ უკეთა ვსთქვათ, ამ ბანკების თავი უჭირონ, იზიდამენ თავისთან და სხვა გაჭირებულის ფულებით მდიდრდებიან თვითონ და ამდიდრებენ თაიეანთ პატრონებსაც. სხვა ძალა ბანკებს არავითარი არა აქვთ რა: როგორც ერთი კაცი ვერ გამდიდრდება რომ სხვებს სარჩო არ მოაკლდეთ და არ დაღარიბდნენ, ისე ბანკი ვერ წავა წარმატებაში, თუ სხვებს არ მოაკლდათ ისა, რაც ბანკს და ბანკის პატრონებს გმატებათ. მინამ ამ უბრალო აზრს და ბანკის ძალას მიხვდებოდნენ, თვით უპირატესი პირნი ევროპაში იყვნენ იმ შეცდომაში, როგორც შულცე და ეგონათ, რომ ბანკით გამდიდრება არის რაღაც სასწაული რომელიც ჰბადებს ქონებას და ამდიდრებს, თვით პრუდონსაც კი სჯეროდა ეს ძალა ბანკში, მაგრამ ბოლოს მიხვდენ რაც ძალა ჰქონდა ბანკებს" [1]. მაშასადამე, ევროპული პროექტები საქართველოსათვის გამოსადეგნი არ არიან. სამაგიეროთ მის ხელთ იყო რუსი ნაროდნიკების მოძღვრება რუსული ობშჩინით ახალი საზოგადოების აშენებისა. ანტ. ფურცელაძემაც აქეთკენ მიმართა თავისი ყურადღება და წვრილი გლეხის გადარჩენა სცადა ობშჩინის საშუალებით. საყურადღებოა, რომ იგი, მსგავსად ჩერნიშევსკისა და რუსი ნაროდნიკებისა, ბარონ ჰაკსტგაუზენის მიერ 1843 წ. აღმოჩენილ რუსულ ობშჩინის განვითარებაზე აფუძნებს მომავლის განვითარების იმედებს.

საპროგრამო წერილში „მამულის საერთო მფლობელობა" იგი შეეცადა წარმოედგინა კერძო საკუთრების გაჩენის ისტორიული გზა. როგორც ქვემოთ დავინახავთ, საკუთრების აღმოცენების ეს

[1] ანტ. ფურცელაძე. რამოდენიმე სიტყვა სასოფლო-სამეურნეო ბანკებზედ. მოწინავე, გუთნის დედა, № 1, 1873.

გზა არც თუ შეეფარდება ისტორიულ სინამდვილეს, მაგრამ ქართულ ეკონომიურ ლიტერატურაში ეს ცდა მეტად საინტერესოა. ანტ. ფურცელაძე სწერდა: „კაცობრიობის ცხოვრებამ და წყობილებამ იმავ დასაწყისითვე ისე აუქცია ნამდვილს და სწორე გზას, რომ, რამდენიც ხანი გავიდა, იმდენი უთანასწორობა შეძლებასა და წოდებათა შორის უფრო და უფრო დამკვიდრდა. ჯერ დამყარდა ოჯახის მეუფროსობა; ოჯახის მეუფროსობა გადაიქცა გვარის ან მოდგმის მეუფროსობად; გვარის მეუფროსობა გადაიქცა თემის მეუფროსობად; თემის მეუფროსობა — ერისთავობად; ერისთავი მამასახლისად — რომელიც უდრიდა დღევანდელს რესპუბლიკის პრეზიდენტს; მამასახლისი — მეფედ, მეფე — ხელმწიფედ. ესევე დაემართა ქონებას. ჯერ ყველა კაცი სარგებლობდა განუსაზღვრელად სადაც ჰსურდა ყოველივე ბუნების მომნიჭებით. მერე გვართა და თემთ, ვისიც უფრო მეტი ძალა ეჭირა ხელში, დაიმკვიდრეს სხვა და სხვა საუკეთესო ადგილები და თავიანთ მეტი იქ აღარავინ გაატარეს. მერე გვარსა და თემში დაიწყეს თვითეულს სულზედ ამ ადგილების განაწილება და დროებით, ახალ სათემოდ ანუ საოჯახოთ გამოყოფამდის დასაკუთრება მიწისა; მერმე დაიწყეს ამ დასაკუთრებული სათემო ან საოჯახო მიწებისა სამკვიდროთ დასაკუთრება და აქციეს საშვილისშვილო ქონებათ; ბოლოს გაჩნდა ყიდვა და ყიდვით ზრდა და დასაკუთრება მამულებისა და ამით დაგვირგვინდა მამულების დაპყრობა და დასაკუთრება. რაც დაემართა მამულებს, ის მოუვიდა სხვა რიგ ქონებასაც“ [1]. ამ მსჯელობაში ერთმანეთში არეულია ცნებები საგვარეულო საკუთრება, სათემო საკუთრება. არასწორად არის გადმოცემული ისტორიული გზა ოჯახისა და თემის წარმოშობისა და განვითარების შესახებ, არასწორად არის წარმოდგენილი თემის შიგნით საკუთრების წარმოშობის პროცესი. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მთელ ამ მსჯელობაში ერი რამ არის საყურადღებო: კერძო საკუთრებას წინ უსწრებდა სათემო საკუთრება და მისი წარმოშობა კაცობრიობის განვითარების ადრინდელ საფეხურებს მიეკუთვნება. ანტ. ფურცელაძემ იცის, რომ სათემო საკუთრება საკუთრების ადრინდელი ფორმაა, იგი საკუთრების არქაული ფორმაა. მან ისიც იცის, რომ რუსეთში თემი და მასზე დაფუძნებული საერთო მფლობელობა მამულისა გარდასულ საზოგადოებრივ სისტემებისათვის არის დამახასიათებელი. მაგრამ იგი, როგორც რუსი ნაროდნიკები ამას

[1] ანტ. ფურცელაძე. მამულის საერთო მფლობელობა. ჯუთნის დედა, 1874. № 9.

სჩადიოდნენ, ამ თემის განმტკიცებასა და მამულის საერთო მფლობელობაზე ამყარებს თავის იმედებს. მას ჰგონია, რომ იქ, „რუსეთში, სადაც არის დაცული საერთო მამულის მფლობელობა, იქ ამგვარად ხალხის გაღატაკება შეუძლებელია, რადგან, როგორც გაკსტგაუზენი ამბობს, მამულების გაყიდვა არავის არ შეუძლიან, მაშასადამე, მამამ რაც უნდა ვალი დაიდოს, მამულები ვერ დაეყიდება იმის შვილებსა“... ანტ. ფურცელაძე ხედავს, რომ საქართველოში სათემო მიწათმფლობელობა არა თუ არის დიდი ხვედრითი წონის, იგი საერთოდ არ არსებობს. როგორც ცნობილია, მხოლოდ 1884 წ. გაზ. „დროებამ“ დაბეჭდა ვინმე „შაქროს“ ხელმოწერით წერილების სერია „მიწის მფლობელობა ჩვენში“. ავტორი, როგორც სჩანს, ეძებს ჩვენს ეკონომიურ სინამდვილეში ისეთ ფორმებს მიწათმფლობელობისას, რომლის ანალიზი მოცემული აქვს ნ. გ. ჩერნიშევსკის. 1873 წ. რასაკვირველია, ანტ. ფურცელაძეს ეს ფაქტები არ იცოდა. მისი დებულება ფრიად აპრიორულია. იგი უფრო რუსულ მაგალითებს ემყარება, ვიდრე ქართულს.

რუსი ნაროდნიკებისათვის ამ საკითხის გადაწყვეტა (ე. ი. ისეთი გზის მონახვა, რომელიც ხალხს ააცდენდა „პროლეტარიატობაში ჩაცვენას“) არ იყო ძნელი, თუმცა, როგორც ცნობილია, საკითხის ნაროდნიკული გადაწყვეტა იყო ჟაღრესად შემცდარი და რეაქციონური), ვინაიდან რუსეთში ჯერ კიდევ არსებობდა სათემო მიწათმფლობელობა, რაც ნაროდნიკებს საფუძველს აძლევდა თემის შემდგომი განვითარება გაეხადათ ახალი წყობილების საფუძვლად. რუსმა ნაროდნიკებმა რუსული თემის შესწავლის საქმეს დიდი დრო და ენერგია მოანდომეს. ზოგიერთი მათი ნაშრომი წარმოადგენს ფრიად ღირსშესანიშნავ ეკონომიურ ტრაქტატს მასალის სიმრავლისა და ამომწურველობის თვალსაზრისით. ამ მხრივ საყურადღებოა იუჟაკოვის ცხრილი[1]: სათემო მიწათმფლობელობის ტერიტორიის შედარებითი პროცენტი გლეხობის მიმართ შეადგენდა რაიონების მიხედვით: 1. აღმოსავლეთ სტეპები — 98,8, 2. უკიდურესი ჩრდილოეთი — 98,0, 3. დასავლეთი ველიკოროსია (მჭიდრ. დასახლ.) — 97,1, 4. დასავლეთი ველიკოროსია (მცირედ დასახლ.) — 96,5, 5. ველიკოროსია — 95,8, 6. პერმის მხარე — 93,0, 7. ნოვოროსია — 88,9, 8. სლობოდსკაია უკრაინა — 80,4, 9. ბესარაბია — 77,0, 10. ბელორუსია — 39,0, 11. მარცხენა ნაპირის უკრაინა — 33,0,

[1] ვსარგებლობთ К. Р. Кочаровский-ს წიგნით Русская община. 1906. 2 გამოცემა.

12. მარჯვენა ნაპირის უკრაინა — 13,9, 13. ლიტვა — 0,0, 14. ბალტიის მხარე — 0,0. თემში გაერთიანებული მოსახლეობა შეადგენდა (მოგვყავს მხოლოდ ჯამი).

1. ალმოსავლეთისა და ჩრდილოეთის 22 გუბერნია სამრეწველო ზოლით	96,5%
2. ველიკოროსია და სამხრეთის სტეპების 12 გუბერნია	89,0%
3. დასავლეთი და სამხრეთ დასავლეთი გუბერნიები	31,9%
4. ბალტიის მხარის 3 გუბერნია	0,0%

კოჩაროვსკი სწერდა: „По приблизительным сведениям, основанным на данных, сообщаемых во всеподданейших отчетах губернаторов (составленных на основании полицейских сведений), в 50 губерниях Европейской России (с Донской областью, без 9 польских губерний и Кавказа) считалось к 1 января 1892 года всего крестьянского населения 67,6 миллиона. Из этого числа около 50 миллионов, т. е. — 74%, владели (по сведениям собранным в 1877-1878 г.) своей землей на общинном праве или 65 миллионов душ[1].

მაშასადამე, სათემო მიწათმფლობელობა საკმაოდ დიდი მოცულობის არის. რუს ნაროდნიკებს პირველი შეხედვით ჰქონდათ რაღაც „ობიექტური“ საფუძველი მტკიცებისა რუსული თემის საშუალებით ახალი საზოგადოების შენების შესახებ. მათი შეცდომა ამაში კი არ იყო, არამედ მასში, რომ ისინი ვერ ხედავდნენ ერთი მხრივ, იმას, რომ რუსული თემი არ არის სპეციფიკური რუსული მოვლენა და, მეორე, რომ ეს თემი დაშლის პირზეა კაპიტალიზმის გავლენის გამო. როგორია რუსი ნაროდნიკების ძირითადი არგუმენტაცია? რუსეთის მთავარ და, შეიძლება ითქვას, საზოგადო ბრივ (სახალხო) მეურნეობის ერთადერთ საფუძველს წარმოადგენს მიწათმოქმედება. სოფლის მეურნეობაში კაპიტალიზმის განვითარებას ხელს უშლის თემი, რომელიც იყო და არის შეურყეველი ციხესიმაგრე კაპიტალიზმის წინააღმდეგ. მსხვილი მიწათმოქმედება არა თუ სდევნის წვრილს, არამედ პირიქით სულ უფროდაუფრო უთმობს მას ადგილს. მსხვილი მიწათმფლობელები და მოიჯარადრენი სუბსიდიანტობენ, მხოლოდ მიწის რენტის მომატებაზე აძლევენ რა გლეხს მთელ სამიწათმოქმედო მეურნეობას. გლეხური მეურნეობა

[1] დასახელებული შრომა, გვ. 73.

კი გამოიწვევს წარმოების გლეხური და არაკაპიტალისტური ფორმების ბატონობას. ნ-ონი პირდაპირ სწერდა: „თემური საწყისები უშლიან კაპიტალს ხელში ჩაიგდოს სამიწათმოქმედო წარმოება“. ცნობილია მარქსისა და ენგელსის, ხოლო შემდეგ პლეხანოვისა და ლენინის კრიტიკა ნაროდნიკულ შეხედულებისა რუსული თემის შესახებ. 1881 წ. 16 თებერვალს ვერა ზასულიჩის მიერ მარქსისადმი მიწერილ წერილში რუსი ნაროდნიკები ასე აყენებდნენ საკითხს თემის ბედის შესახებ: ან სოფლის თემი განთავისუფლებული ზედმეტი ფისკალური ტვირთებიდან, მემამულეთა გადასახადებისაგან და პოლიციის თვითნებობისაგან თანდათან მოაწყობს თავის წარმოებას და პროდუქტების განაწილებას კოლექტიურ საფუძველზე, ან და, პირიქით, თემი დაიშლება კაპიტალიზმის გავლენის გამო. პირველ შემთხვევაში სოციალისტ რევოლუციონერის მოვალეობაა მთელი თავისი ძალა მოახმაროს თემის განთავისუფლებას და მის განვითარებას, მეორე შემთხვევაში რევოლუციონერმა პროპაგანდა უნდა გასწიოს მხოლოდ ქალაქის მუშებს შორის, რომლებიც თანდათანობით აივსებიან იმ გულხობით, რომელთაც გადმოისვრის დაშლის პროცესში მყოფი თემი. ზასულიჩი სთხოვდა მარქსს პასუხს ამ საკითხის შესახებ. მარქსის პასუხის შავებში იგი ხაზს უსვამდა დებულებას, რომ რუსული თემი არ არის მხოლოდ რუსული ნაციონალური მოვლენა. ყველგან დასავლეთ ევროპაში ჩვენ ვხედებით სათემო მიწათმფლობელობის ცოტად თუ ბევრად არქაულ ტიპს. არ შეიძლება იმის დაფარვა, რომ არქაული ტიპი, რომელსაც მიეკუთვნება რუსული თემი ჰფარავს შინაგან დუალიზმს, რომელიც გარკვეულ პირობებში გამოიწვევს მის დაღუპვას. თემური მიწათმფლობელობა, მიწის პარცელარული დამუშავება, ეს კომბინაცია, სასარგებლო უფრო შორეულ ეპოქებში, ჩვენ დროში უკვე საშიშია. ერთი მხრივ მოძრავი ქონება, რომელიც სულ უფროდაუფრო მეტ როლს თამაშობს მიწათმოქმედებაში, სულ უფრო მეტად ახდენს თემის ქონებრივ დიფერენციირებას და მასში იწვევს განსაკუთრებით სახელმწიფოს ფისკალური გავლენების გამო ინტერესთა ბრძოლას. მეორე მხრივ, იკარგება თემური მიწათმფლობელობის ეკონომიური უპირატესობა. მაგრამ ვინაიდან რუსი გლეხები უკვე იყენებენ განუყოფელ ყანების კოლექტიური დამუშავების წესს, რომ რუსეთის ტერიტორიის ფიზიკური კონფიგურაცია ხელსაყრელია რთული მექანიკური დამუშავებისათვის ფართო მასშტაბით, ამის გამო შესაძლებელია, რომ თემი იყოს რუსეთის საზოგადოებრივი აღორძინების დასაყრდენი. მაგრამ ასეთ დასაყრდენად

იგი შეიძლება გახდეს რუსეთში მომხდარი რევოლუციის შემდეგ-
„რომ გადარჩენილ იქნას რუსეთის თემი, საჭიროა რუსეთის რე-
ვოლუცია. ისინი, რომელთაც ხელში მტკიცედ უჭირავთ პოლიტი-
კური და საზოგადოებრივი ძალები, ფრიად გულდასმით ამზადებენ
მასებს ასეთი კატასტროფისათვის“ [1].

იგივე აზრი გამოთქმული იყო უფრო ადრე და უფრო ფართოდ ფ. ენგელსის მიერ 1875 წ. ტკაჩოვის წინააღმდეგ მიმართულ წერილში. ენგელსი სწერდა, რომ თემური წყობილება რუსებში აღმოჩენილ იქნა გაქსტგაუზენის მიერ 1845 წ. გერცენმაც ამავე გაქსტგაუზენიდან გაიგო, რომ მისი გლეხები მიწას ფლობდნენ ერთად და ამით ისარგებლა იმისათვის, რომ რუსი გლეხები გამოეყვანა სოციალიზმის ჭეშმარიტ მატარებლებად. ნამდვილად მიწაზე სათემო საკუთრება გვხვდება დაბალ საფეხურზე ყველა ინდოგერმანელ ხალხთა შორის და კუნძულ იავაზეც კი. რუსული თემი ახლა დაღუპვის გზაზე დგას, ამას ხელი შეუწყო გლეხთა განთავისუფლების იმ სისტემამ, რომელიც გატარებულ იქნა რუსეთში 1865 წელს. მემამულეებს შეხვდათ დიდი და უკეთესი მიწები, გლეხები კი უმიწოდ დარჩნენ. ტყეები მემამულეებს დარჩათ. ასეთ პირობებში თემური საკუთრება მიწაზე წარმოადგენს ბორკილებს. ამრიგად, რუსულმა თემმა თავისი აყვავების პერიოდი კარგა ხანია განვლო. მიუხედავად ამისა, უდავოდ არსებობს შესაძლებლობა ეს საზოგადოებრივი ფორმა გადაყვანილ იქნას უფრო მაღალ ფორმაში, თუ შესაძლებელი გახდება მისი იმ დრომდე შენახვა, როდესაც გლეხობას ექნება შესაძლებლობა ერთობლივად დაამუშაონ მიწა. „მაგრამ ეს შეიძლება იმ შემთხვევაში მოხდეს, თუ დასავლეთ ევროპაში ამ თემური საკუთრების საბოლოო დაშლამდე მოხდება ძლევამოსილი პროლეტარული რევოლუცია, რომელიც რუსეთის გლეხობას შეუქმნის ამ გადასვლისათვის სათანადო პირობებს, — განსაკუთრებით მატერიალურ საშუალებებს, რომელიც მას სჭირდება, რომ მოახდინოს ამასთან დაკავშირებული გადატრიალება თავისი მიწათმოქმედების მთელ სისტემაში“ [2].

ასეთივე შეფასება მისცეს ნაროდნიკების შეხედულებათ თემის ბედის შესახებ რუსეთში პლეხანოვმა და ლენინმა. პლეხანოვი თავის ცნობილ შრომაში „Наши разногласия“ სწერდა: „სასოფლო თემები

[1] Архив М. и Э., книга I., 1930, გვ. 269-286.

[2] М. и Э., Собр. соч. т. XV, Эмигрантская литература, стр. 251-264. Социальные отношения в России.

უეჭველად ინარჩუნებენ ცხოველმყოფელობას მანამ, სანამ ისინი რჩებიან ნატურალურ მეურნეობის პირობებში. ფულადი მეურნეობისა და სასაქონლო წარმოების განვითარება თანდათან ძირს უთხრის სათემო მიწათმფლობელობას. ამას თან ერთვის სახელმწიფოს დამარღვეველი გავლენა, რომელიც შექმნილი პირობების გამო იძულებულია დაიცვას ინდივიდუალიზმის პრინციპი. ამას იწვევს სულ უფრო მეტად მზარდი მოთხოვნილება და უმაღლეს წოდებათა დაწოლა, რომელთა ინტერესები ეწინააღმდეგება სათემო პრინციპს. ფულადი მეურნეობის განვითარება იწვევს ახალ საზოგადოებრივ ფუნქციებს, რომელთა დაცვა შეუძლებელი ხდება გადასახადების ნატურით აღების დროს. საჭიროება ფულში აიძულებს სახელმწიფოს დაიცვას ყველა ის პრინციპი საზოგადოებრივი მეურნეობისა, რომელიც ხელს უწყობს ფულის მოსვლას სახელმწიფოში და აჩქარებს საზოგადოებრივ-ეკონომიური ცხოვრების მაჯისცემას. ეს საზოგადოებრივი პრინციპები სავაჭრო-სამრეწველო კლასის ინტერესების გამოხატულებაა. ეს კლასი არსებითად არის დაინტერესებული იმაში, რომ მობილიზაცია უყოს როგორც უძრავ საკუთრებას, ასევე თვით მესაკუთრეთ. სათემო მიწათმფლობელობა ხელს უშლის ამ მიზნების განხორციელებას. ამის გამო არის, რომ სათემო მიწათმფლობელობა ბურჟუაზიაში ჯერ იწვევს ანტიპატიებს და შემდეგ კი თავდასხმებს. მაგრამ ეს დარტყმები ერთბაშად არ არღვევენ თემს. მისი დაღუპვა თანდათან მზადდება. გარეგნულად თემი თითქოს უცვლელია, მაგრამ შიგნით ხდება დიდი მეტამორფოზები, რომლებიც შემდეგ იწვევენ თემის სრულ დაშლას. თემის წევრებს შორის ხდება ფენებათ დაყოფა. ერთი ფენა მიისწრაფვის შეუერთდეს ექსპლოატატორებს — ქალაქის ბურჟუაზიას. მის ხელში გროვდება სათემო მიწების დიდი ნაწილი. მეორე ფენის ნაწილი იდევნება თემიდან, ნაწილი კი რჩება თემში, რომელიც წარმოადგენს თემის ღარიბ ნაწილს. მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს კლასი შეიგნებს თავის დამონების ძირითად მიზეზებს, მხოლოდ იქ და მაშინ შეიძლება ვუცადოთ სოციალურ რევოლუციას. ეს პროცესიც თანდათანობით ხდება. მაგრამ რადგანაც დაიწყოს იგი, მიდის თავის ლოგიურ დასასრულამდე. სათემო მიწათმფლობელობის სიცხოველე რუსეთში აიხსნება ფულადი მეურნეობის დაგვიანებით განვითარებით. საგლეხო რეფორმამდე რუსეთის მეურნეობა ნატურალური მეურნეობა იყო, რაც უწყობდა ხელს თემის დაცვას, რომ რუსეთი იზოლირებული ყოფილიყო დასავლეთ ევროპის ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრების გავლენებისაგან ძნელი სათ-

ქმელი იქნებოდა, როდის შესძლებდა ისტორიასი პოლიტიკური წყობილების ეკონომიური ფუნდამენტის შეცვლას. 19 თებერვლის რეფორმა წარმოადგენდა ახალი ეკონომიური მიმდინარეობისათვის აუცილებელ დათმობას. თემმა ვერ შესძლო და არც შეეძლო შეთავსებოდა ახალ პირობებს. მისი ორგანიზმი დაძაბუნდა და მხოლოდ დაბრმავებული ადამიანები ვერ ხედავენ მისი დაშლის ნიშნებს[1]. როგორც სჩანს, ერთი და იგივე პოზიციაა მარქსისა, ენგელსისა და პლეხანოვის შრომებში დაცული თემის არსებობისა და განვითარების პერსპექტიების თვალსაზრისით. მაგრამ ნაროდნიკების ეკონომიურ შეხედულებათა კრიტიკამ საერთოდ და კერძოდ, სათემო მიწათმფლობელობის საკითხში უმაღლეს წერტილს მიაღწია ლენინის შრომებში. ნაროდნიკების წინააღმდეგ მიმართული შრომების დაგვირგვინებას წარმოადგენს ლენინის ცნობილი შრომა „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში". ლენინი აღნიშნავდა, რომ ნაროდნიკობის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია რუსეთის ეკონომიური წყობის თავისებურების მიჩნევა და გლეხისა, კერძოთ, მისი ობშჩინით, არტელითა და სხვა. ყოველი მოძღვრება რუსეთის თვითმყოფადობის შესახებ ეწინააღმდეგება 60-იან წლებს და მის ტრადიციებს. რაც უფრო მეტად ვითარდებოდა კაპიტალიზმი, მ ო უფრო მეტად ჩნდებოდა სოფლად ის წინააღმდეგობანი, რაც საერთოა სასაქონლო კაპიტალისტური საზოგადოებისათვის. გლეხობა ფაქტიურად გაიყო ორ ნაწილად, სოფლის ბურჟუაზიად და სოფლის პროლეტარიატად. გლეხური თემის წოდებრივი დახშულობა იმყოფება სრულ წინააღმდეგობაში თანამედროვე ეკონომიურ სინამდვილესთან, თანამედროვე სასაქონლო კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარებასთან წოდებრივი კარჩაკეტილობის მოსპობა ობშჩინაში სულ უფრო და უფრო საჭირო ხდება სოფლის პროლეტარიატისათვის ვიდრე სოფლის ბურჟუაზიისათვის. ღარიბი გლეხი, რომელიც თავისი სამუშაო ძალის გაყიდვით ცხოვრობს, განიცდის დიდ შევიწროებას თემთან მიმაგრების გამო. იგი ხელს უშლის მას სამეურნეო საქმიანობაში, ნიშნავს უკეთეს დამქირავებლის მონახვის შეუძლებლობას, ნიშნავს იმას, რომ მან უნდა თავისი სამუშაო ძალა მიჰყიდოს აღგილობრივ დამქირავებელთ, რომლებიც მას ყოველთვის ნაკლებ ფასს აძლევენ. სათემო მიწათმფლობელობის, როგორც რუსეთის თვითმყოფადი განვითარების გზა, მას ჰაჩნია, რეაქციონურ შეხედულებად. იგი პირდაპირ სწერს: „Реак-

[1] Г. В. Плеханов, Наши разногласия, Собр. соч. т. II, стр. 236-239.

ценный характер народнической критики капитализма, придал народничеству в настоящее время даже такие черты, которые ставят его ниже того миросозерцания, которое ограничивается верным хранением наследства“ [1]. ჩვენი ამოცანისათვის საკმარისია ყველაფერი ეს იმის გაგებისათვის, თუ რაოდენ ცდებოდნენ ქართველი ნაროდნიკებიც, როდესაც ისინი თავისებურ იდეალიზაციას ახდენდენ სათემო წყობილებისას საქართველოში. ყოველ შემთხვევაში აღნიშნულ წერილში არსად არ არის დასახელებული არც ერთი მაგალითიც კი ჭართული სინამდვილიდან. ეს საერთო მოთხოვნა კი სათემო მიწათმფლობელობისა მას შემდეგნაირად აქვს წარმოდგენილი: „არის ბუნების კანონი, რომ ხალხი მინამა მრავლობს, მანამ აქვს ხალხს იმოდენა ცხოვრებისა ღონეც არის, რომ სიმშილით არ იხოცებოდნენ და უფრო კიდევ მაშინ მრავლობს ხალხი, როდესაც ხალხს სარჩო საკმაო აქვს. მაშასადამე, რაკი მამულების საერთო მფლობელობის პატრონნი იქნებიან იმოდენს კმაყოფილს ცხოვრებაში, რომ უთუოდ დიდი გამრავლება უწერიათ, ამის გამო ცხადი საქმეა, რომ ერთს დროს არა და ზოგან ეხლაც მამულები საკმაო არა ხდება ხალხის ჯეროვანი ცხოვრებისათვის. ამის გამო უნდა მამულებს და შინაურ პირუტყვს გაუმჯობესება. გაუმჯობესებას უნდა დიდი შეძლება. დიდი შეძლება ამგვარს წესში შეუძლებელია. მაშასადამე, უნდა მოხერხდეს ისე, რომ მამულების გასაუმჯობესებლათ მოიპოვოს კაცმა საკმაო შეძლება. ამის გულისათვის არჩევენ იმას, რომ მამულები დაიდოს სულ სასოფლოთ, რომ დაყოფა სრულად აღარ იყვეს: იხვნებოდეს და ივლებოდეს მთლად ერთიან ყველა სოფლის მუშა ხელის შემწეობით, და მარტო მოსავალი ეყოფოდეს სასოფლოთ ყველა სულზედ ცალკე. ამ სასოფლოთ მოყვანილი სარჩოდამ აიღებოდეს იმოდენა მოსავალი, რომ გაუძღვეს ყოველ რიგს მამულს და პირუტყვთა გასაუმჯობესებელს საჭიროებას. თითო-თითო კაცს, მაგალითათ, არ შეუძლიან ყიდვა სახნავი, საბარი, სათოხნი, საფარცხი, სამკალი, სათიბი, სალეწი და სხვა ამგვარი მაშინებისა, და მთლათ მთელი სოფლის ხარჯით კი შეიძლება ამათი ყიდვა, რაკი მამული დარჩება სასოფლოდ გაუყოფელი. ამასთან, სასოფლო ხარჯით შეიძლება დაბარება მეცნიერთ აგრონომთა, რომელნიც უჩვენებენ და გაუკეთებენ ხელოვნურს სასუქსა, რადგან ეხლა გამოკვლეულია, რომ პირუტყვის სასუქი

[1] Ленин, От какого наследства мы отказываемся. Собр. соч., т. II, стр. 328.

არ არის საკმაო ყველა მიწებისათვის და ვერც ჩადის იმ სასუქობას, რომელსაც სჩადიან ახლად მოგონილი ხელოვნური სასუქნი: აჩვენებს წესს და მაგალითებს საქონლის და სხვა პირუტყვის გაუმჯობესებისას, ბაღეულობისა და ბოსტნეულობის საუკეთესო მოვლას და ხელს და სხვა ამგვარები, რომელიც შეუძლებელი იყო ცალკე ოჯახებისთვის და რომელიც ადვილია მთელი სოფლისთვის. აქ იგივე მაშინები, რომელნიც დღეს მდიდრების ხელში ჰლუპავენ ღარიბს ხალხს, დაეხმარებიან მუშაობაში ხალხს და ერთი ასათ შეუმსუბუქებენ ამათ ცხოვრებასა და შრომასა. ამ გვარის წესით წავა წარმატებაში სასოფლო მეურნეობაცა და აიწევს ერთი ათად და ერთი ასათ ხალხის კეთილდღეობაცა. თუ არ იქნება ამგვარი წყობილება, რომელიც ეხლა ავწერეთ, ან იმგვარი წყობილება მაინცა მამულების მფლობელობისა, რომელიც არის რუსეთის მრავალს სოფლებში და რომლებიც აგრეთვე ჩვენ ავწერეთ ზემოთა, სასოფლო მეურნეობის სახალხო საბოლოოდ შეუძლებელია და უნდა დაეცეს და წავა წარმატებაში ძლიერ დიდი შეძლების პატრონთა მეურნეობა, რომელიც მოუღებს ბოლოს წვრილ მეურნეობას და წვრილი მამულების პატრონს“ [1]. ანტ. ფურცელაძე კარგად ხედავდა უცხოეთის მაგალითზე, რომ იქ მიწის მეწარმენი მოგებაში არიან, ჩვენში კი არა, მიუხედავად იმისა, რომ იქ კარგა ხანია არ არსებობდა სათემო მიწათმფლობელობა. კაპიტალისტურმა განვითარებამ მრეწველობაში გზა გაუხსნა სოფლის მეურნეობის აღმავლობას, ვინაიდან ფაბრიკა ქარხნების განვითარებამ ხელი შეუწყო მუშახელის თავმოყრას, ამათ კი თავის მხრივ დაბადეს მსყიდველობითი მოთხოვნილების ზრდა, რამაც გაზარდა სოფლის ნაწარმზე ფასი, ამით გაზარდა სოფლის მეურნის დაინტერესება მიწის დამუშავებაში. მთელი ეს აზრთა მსვლელობა ჩვენს ავტორს შემდეგნაირად აქვს გადმოცემული. „ზემოთა ვსთქვით, რომ ფასი იმასა აქვს, რასაც მუშტარი ჰყავსო. რაკი არის მახლობლად იმოდენა ზაოდები, ფაბრიკები, სახელოსნოები, მაღაზიები და აღებ მიცემის კაცნი, ამათ ყველას უნდა საზრდო და ყველა ნამუშევარს უნდა მასალა. რაც ამ ქალაქებში და მოხსენებულს ადგილებში მუშა და მოღვაწე ხალხია, რაც ამ ადგილებში რაგინდ არა კეთდება, ყველა თხოულობს სოფლურს ნაღვაწსა, ყველა არის სოფლური ნაღვაწის მუშტარი. რაკი არის მოთხოვნილება, რაკი არის მუშტარი, ადევს

[1] Ленин. От какого наследства мы отказываемся. Собр. соч., т. II, стр. 323.

ფასი სოფლის ნაღვაწარსა. რაკი ადევს ამგვარს ნაღვაწს დიდი ფასი, ეს მოგება ახალისებს იქაურს სოფლურს მოღვაწე კაცსა და ადებინებს თავსა თავის საქმეში. რაკი რჩება იმოდენა ძირსა, რომ შეუძლიან როგორც უნდა მოიხმაროს, მაშინ ის მისდევს თავის ხელობას, სწავლობს მიწისა და მოსავლის წელსა და ამ მოგებითა და სწავლითა და ცდით ის ერთი ორათ აუმჯობესებს როგორც მიწებს, ეგრეთვე მიწის ნაყოფსა და სხვა სასოფლო ნაღვაწსა. ამ გარემოების გამო, რამდენიც ხანი გადის, იმდენი უფრო და უფრო წარმატებაში მიდის იქაური სოფლელი კაცის საქმე, იმდენი უფრო მოგებაში არიან ისინი"[1]. ამრიგად, სათემო მიწათმფლობელობა, დაყრდნობილი თანამედროვე განვითარებულ მრეწველობაზე, ასეთია თავისებური შეხედულება ქართველი ნაროდნიკისა. ამას უნდა დამატებოდა და დაემატა კიდეც მრეწველობის დარგშიც ასოციაციების შექმნის მოთხოვნილება. ანტ. ფურცელაძე ჰხედავდა, რომ კაპიტალისტური გზით წასულმა მრეწველობამ უცხოეთში განზოგადოების მაღალ საფეხურებს მიაღწია. მან იცის, რომ ფრანსუა კენეს მოძღვრება ახლა მოძველებულია. იგი წერს: „მაგრამ დღევანდელს წესებში ხალხის უმთავრეს ძლიერებას, როგორც მაშინაც უპასუხეს კენეს და ფიზიოკრატთა, სოფლის მოწალმართობა არ შეადგენს. უმთავრესი ძლიერება დღევანდელთა ერთა არის ვაჭრობა, მრეწველობა, მექარხნობა. ამ ბოლოსა და ბოლოს ხომ ცხადი საბუთებით ამტკიცებენ, რომ მარტო მეურნეობაზედ, მიწათა მოწალმართობაზედ დადგომა ჰღუპავს ხალხს, თუ ხელიდამ გაუშვეს ვაჭრობა, მრეწველობა, მექარხნეობაო. ამ საქმის მკვლევართ სტატისტიკური ციფრებით დაგვიმტკიცეს, რომ სადაც მრეწველობა, მექარხნობა, ვაჭრობა გაძლიერებულია, იქ სასოფლო მოწალმართობაც უფრო მაღლა დგას, ვიდრე იქ, სადაც ხალხი ან მარტო მეურნეობას მისდევს, ან მეურნეობას უფრო მისდევს, ვიდრე სავაჭრო სამრეწველო საქმესა. მაგრამ იქაც, სადაც ქარხნებისა და ვაჭრობა-მრეწველობის მოწყალებით მეურნეობა ისრე მაღლა ასულა, იქაც კი ქარხანა და ვაჭრობა-მრეწველობა უზომოთ მეტს მოგებას აძლევს ხალხს, ვიდრე მეურნეობა"[2]. ეს აზრი მრეწველობის განვითარების აუცილებლობის შესახებ არ იყო გადმოცემული მხოლოდ ამ წერილში და ამ თარიღით. იგივე აზრები მას არა ერთხელ

[1] ანტ. ფურცელაძე, მოგებაშია თუ არა გლეხკაცი ხვნა-თესვითა, გუთნის დედა. № 5, 1874 წ.

[2] ანტ. ფურცელაძე, კაცობრიობა და ხალხოსნობა, ივერია, № 21, 1895.

ვამოუთქვამს 70-80-იან წლებში. ერთ-ერთი ადგილი ამდროინდელ შრომებიდან კიდეც მოვიყვანეთ ზემოთ, სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხებს რომ ეხებოდით.

ანტ. ფურცელაძე კარგად ხედავს, რომ კაპიტალისტური მეურნეობის განვითარების პირობებში დიდი მასშტაბით ხდება შრომის განსაზოგადოებრიობა. იგი კი წარმოადგენს ერთ-ერთ წინაპირობას ასოციაციების დამყარებისათვის. იგი პირდაპირ სწერს: „ამგვარად, როგორც ესენი, ეგრეთვე სხვა ათასი გარემოებანი ცხადათ უჩვენებენ და უწყობენ კაცობიობას ხელს შრომის შეერთებისა, ასოციაციების დამყარებისათვის“. მან იცის მრავალი ცდა ასოციაციების შექმნისა; კერძოთ მან კარგათ იცის „ფამილისტერიის ისტორია გიზის ქალაქში“ დიდის სიმპატიებით აღწერს ანტ. ფურცელაძე ამ „ფამილისტერიის“ შრომის ორგანიზაციას, მუშათა ყოფა-ცხოვრებას, დასვენებას, გართობასა და სხვა. ჩვენი ავტორი ფიქრობს, რომ ეს ასოციაციები და მისი ფესვები ყველგან არიხ: ქარხნებში, ვაჭრობაში, მრეწველობაში, ზღვაზედ, ხვნა თესვაში, საქონლის მოშენებაში, რუების გაყვანაში, ჭაობების ამოშრობაში და სხვაგან. „ამგვარად ეს ამხანაგობანი, მთიდამ წამოსული პატარა თოვლის გუნდასავით, რომელიც რამდენიც ქვევით იწევს, იმდენი იზრდება და იერთებს გზათ მოდებულს თოვლსა,—ესენიც თან და თან იზრდებიან და იტაცებენ ძალა უნებურათ ყველა მათ, ვისაც უნდა თავის დაცვა, გადარჩენა სხვის პირათ შთანთქმის, პატრონობა დღევანდელის დღისა და მომავლისა. დროშა ამათი „შეერთებული შრომა და მშრომელს თავისი შრომის ფასი“. უქადის ქვეყანას: „ვაი იმას, ვინც არ შეეფარება ამ დროშას, ვინც ჩამორჩება იმის გზას. სადაც არ არის ეს, იქ არის მონობა, მტარვალობა მონათა და მტარვალთა არა აქვთ კაცურთა კაცთა შორის ადგილი“[1]. მას დაღუპულად მიაჩნია ერის კეთილდღეობა, თუ ადამიანები ერთი მეორეს ებრძვიან, მაგრამ იქ, სადაც ვრცელდება ასოციაციები, უფრო მეტად იზრდება ერის კეთილდღეობა. ამ თავის დასკვნითს დებულებას ამტკიცებს ფ. ლისტის სიტყვებით, რომლებიც მას შემდეგი სახით მოჰყავს: „საეროვნო სული იქ იდგამს ფესვებს, სადაც აქვს ღრმა საძირკველი საერო კეთილდღეობას. მხოლოდ იქ იფურჩქნება და იშლება ეროვნება დიდებულთა და იძლევა დიდებულს ნაყოფს. მხოლოდ საერთო ქონების ინტერესებიდან შესდგება ზნეობრივი ერთობა, სახალხოსნო ანუ საეროვნო ძალა“.

[1] ანტ. ფურცელაძე, კაცობრიობა და ხალხოსნობა, ივერია, № 22, 1895.

„ისტორია გვიჩვენებს, რომ იქ, სადაც ინდივიდუმნი ანუ ცალკე პირნი მუდამ ერთმანეთის ბრძოლაში არიან, ერის კეთილდღეობა უკანასკნელს მდგომარეობაში არის, და რავდენიც უფრო ვრცელდება ასოციაციები, იმდენი უფრო მაღლა და სისრულეში მიდის ერთა კეთილდღეობა“ [1].

როგორც სჩანს, ანტ. ფურცელაძე მტკიცედ დგას ასოციაციაციების შექმნის აუცილებლობის პოზიციებზე, თუმცა კარგად არ არის გარკვეული, რომელი ასოციაციებია ეს: ასოციაციები მიმოქცევის სფეროში, თუ საწარმოო ხასიათის ასოციაციები. როგორც უნდა ვიფიქროთ, იგი მომხრეა ყველა სახის ასოციაციისა, რომელიც წვრილ მწარმოებელს გადაარჩენს განადგურებისაგან. იგი ერთგული დარჩა იმ შეხედულებისა, რომელიც მან 70-იან წლებში გამოთქვა ასოციაციების შესახებ. მისი იდეების განვითარებაში ლოგიკურად სწორი ხაზია გავლებული. სოფლის მეურნეობაში წვრილი გლეხის გადარჩენა განადგურებისაგან, რომელიც თან ახლავს კაპიტალიზმს, შეუძლებელია საკრედიტო მიწათმფლობელობის გარეშე; ქალაქის მრეწველობაში წვრილი მწარმოებლის გადარჩენა შეუძლებელია ასოციაციების გარეშე. ორივე შემთხვევაში იგი წვრილი მწარმოებლის დამცველია კაპიტალიზმის შემოტევის წინააღმდეგ. ამ მხრივ მის შეხედულებებში არავითარ წინააღმდეგობას ადგილი არ აქვს. ამავე დროს ისიც მტკიცდება, რომ პ. ლავროვის „Вперед“-თან მას რევოლუციონური ბრძოლის თვალსაზრისით ძალიან ნაკლები შეხების წერტილები აქვს. იგი უფრო მეტად მომხრეა სახალხო მეურნეობის მშვიდობიანი გზით გარდაქმნისა, ვიდრე რევოლუციონური გზით. იგი ლავროვთან შედარებით უფრო მემარჯვენეა.

II

პოლიტიკური ეკონომიის საკითხებისადმი ინტერესი საერთოდ დამახასიათებელია რუსეთის ნაროდნიკებისათვის. ეს გარემოება იმით აიხსნება, რომ რუს ნაროდნიკებს იმ თავითვე დიდი ბრძოლა მოუხდათ მარქსის შეხედულებების წინააღმდეგ. ეს ბრძოლა სწარმოებდა თვით რუსეთში და მის გარეთ. გასაგებია, რომ ნაროდნიკები იძულებულნი იყვნენ კარგად გასცნობოდნენ მარქსის ეკონომიურ შეხედულებებს, რომ მემდეგ ამ იდეების მიუღებლობა დაე-

[1] ანტ. ფურცელაძე, კაპიტალიზმი და ხალხოსნობა, ივერია, № 22, 1895.

საბუთებინათ რუსეთის სინამდვილესთან მიყენებით. ნ-ონი, ვ-ოვი, მიხაილოვსკი და სხვები კარგად იცნობდნენ მარქსისა და ენგელსის შრომებს. ზოგიერთი მათგანი პირადად იცნობდა მარქსს და პირველი მთარგმნელიც იყო მარქსის ზოგიერთი ძირითადი შრომებისა (მაგ. დანიელსონი). ჩვეულებრივ მიღებულად ითვლება თითქოს ის დებულება, რომ ნაროდნიკები რუსეთში და საქართველოში არიან პირველნი, რომლებიც რუსულ და ქართულ საზოგადოებრიობას აცნობენ მარქსისტულ იდეებს, რომ ნაროდნიკები არიან ამ იდეების პირველი გადმომცემი. ეს შეხედულება გაიზიარა ცნობილმა ქართველმა მკვლევარმა ს. ხუმდაძემაც. იგი სწერს: „მაგრამ 80-იანი წლების ნაროდნიკულმა მოძრაობამ ნაწილობრივ სხვა მხრივადაც შეამზადა ნიადაგი 90-იანი წლების მარქსისტული მიმდინარეობისათვის: ფაქტიურად მარქსიზმის შესახებ პირველად ჩვენში ამ ინტელიგენციამ დაილაპარაკა და რამდენიმედ სცადა მარქსიზმის შეუღლება ნაროდნიკულ მსოფლგაგებასთან“ [1]. არც რუს ნაროდნიკებს და არც ქართველ ნაროდნიკებს მით უმეტეს არ უცდიათ მარქსიზმის შეუღლება ნაროდნიკულ მსოფლგაგებასთან. მარქსის შეხედულებათა სისტემა შეუთავსებელი იყო ნაროდნიკების თვალსაზრისთან, რომ მარქსის მსოფლგაგებისაგან ისინი მეტად შორს იდგნენ. ახლაც გაურკვეველია, ქართველი ნაროდნიკები და, კერძოთ, ანტ. ფურცელაძე იცნობდნენ თუ არა მარქსის ძირითადს ეკონომიურ შრომებს. მაგრამ ეს კი უდავოა, რომ რუსეთსა და საქართველოში მარქსისა და მარქსისტების შეხედულებებთან კამათმა მეტად გაამახვილა ყურადღება პოლიტიკური ეკონომიის საკითხებისადმი. ჯერ კიდევ სამოციანელთა შრომებში ხშირად იხსენიება პოლიტიკური ეკონომია, როგორც მეცნიერება, ლაპარაკია ამ მეცნიერების უდიდესი მნიშვნელობის შესახებ, ლაპარაკია ამ მეცნიერების ძირითადი კატეგორიების შესახებ. ანტ. ფურცელაძე 1874 წ. სწერდა: „ამ გვარსავე (ფიზიკის, ქიმიის, ფიზიოლოგიის და სხვ.) სამეცნიერო საფუძველსა ჰსაჭიროებდა სწავლა ხალხთა სიმართლის აღდგენისა, ძმობისა, ერთობისა და თანასწორობისა, და არა ბუნების გარეშე ძალზე დამყრდნობულ ქადაგებაზე. ამ გვარ აზრზედ დაადგენ მხოლოდ ბოლოს. მეტადრე როცა დაუწყეს შემუშავება პოლიტიკურ ეკონომიას, როცა მიეცა ძალა და დაუწყეს მეცნიერული გამოკვლევა სოციოლოგიას, ანუ საზოგადოებათა მეცნიერებას. აი, ამ მეცნიერებათ გვიჩვენეს, რომ

[1] ს. ხუნდაძე, სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში, ტ. II, გვ. 48.

„მთავრესი კაცის დამღუპვარი უთანასწორობისა და მდიდარ-ღარიბობის დამბადი გახდა ის წესი, როდესაც კაცმა უწყო დასაკუთრება ბუნების მომნიჭელობათა და მეტადრე ისა, როდესაც ეს საკუთრება გარდაიქცა საშვილიშვილო სამკვიდროებათ. დღეს, რასაკვირველია, შესდგომიან ამის დარღვევას და იმგვარათ დაწყობას, რომ აღარ იყვეს ესეები, იმდენად მაინც, რამდენათაც ამას ჰსაჭიროებს ხალხის თანასწორობა ცხოვრებასა და წოდებაებში“ [1]. როგორც სჩანს, ჩვენს ავტორს პოლიტიკური ეკონომია წარმოდგენილი აქვს ისეთ მეცნიერებად, რომელმაც უნდა დაარღვიოს ძველი საზოგადოება, აგებული უთანასწორობაზე, და დაამყაროს ახალი, სადაც ეს უთანასწორობა აღარ იქნება. ასეთი პოლიტიკური ეკონომია მხოლოდ მარქსის პოლიტიკური ეკონომიაა. ავტორი ცდილობს, სწორედ ამ პოლიტიკური ეკონომიის იდეებით განიხილოს თანამედროვე საზოგადოების ყველა არსებითი მხარე. ანტ. ფურცელაძეს პოლიტიკური ეკონომია სჭირდება, უპირველეს ყოვლისა, კაპიტალიზმის კრიტიკისათვის. ამ კრიტიკის დროს იგი გზადაგზა ეხება პოლიტიკური ეკონომიის ძირითადს კატეგორიებს.

კაპიტალიზმის კრიტიკის ამოსავალი წერტილი არის დებულება იმის შესახებ, რომ კაპიტალიზმი აბოგანოებს ხალხს, ზრდის პროლეტარიატს და პაუპერებს. განსაკუთრებით ჩანს ეს მანქანის გამოყენებისას კაპიტალისტური წარმოების წესის პირობებში. ჩვენმა მკვლევარმა იცის, რომ მანქანა თავისთავად შრომას უნდა უმსუბუქებდეს ადამიანს, უშუალო მწარმოებელს. პირიქით ხდება კაპიტალიზმის პირობებში: „მაშინები აგდებენ ცალკე მშრომელთ საშინელს განსაცდელში. ცარიელს ხელს ათასს არ შეუძლიან გააკეთოს ის, რასაც ერთი ხელი გააკეთებს მაშინით. მაშინების მეფობის დროს, როდესაც ათასი კაცის საქმეს ერთი აკეთებს, ცხადია მრავალი მშრომელი ხალხი უნდა დარჩეს უსაქმოდ. მოგება, რომელსაც იძლევა მაშინა, ესე იგი, რაც სხვა ათასს მუშას უნდა რგებოდა, რჩება მაშინის პატრონს. ეს კიდევ არაფერი. მაშინა ათახსირებს და დედამიწასთან ასწორებს თვით იმ ბედნიერ მუშასაც, რომელთაც წილადა ხვდება მაშინაზედ მუშაობა რაკი მაშინა აკეთებს მრავალი მუშა ხელის საქმეს, რაკი ამის გამო მრავალი რჩება უსაქმოდ, ულუკმა-პუროდ, მაშინ ყველა მშრომელი იძულებულია წაელაპარაკოს მაშინის პატრონს, რომ იშოვონ ხაქმე. მიდის ასი, ათასი.

[1] ანტ. ფურცელაძე, მამულის საერთო მფლობელობა, გვ. 20.

მაშინის პატრონს უნდა ხუთი, ათი. აქ თვითგარემოება უწყობს მაშინის პატრონს ხელს, რომ ამითი ისარგებლოს და რაც შეიძლება იაფად აიყვანოს მუშა. ის ეცხადება, რომ აიყვანს მას, ვინც ნაკლები დასჯდება. რაღა თქმა უნდა, გაჭირვებულნი, უკანასკნელს მდგომარეობაში ჩავარდნილნი მუშაკნი სჯერდებიან უკანასკნელს, რომ სიმშილით სული არ ამოხდეთ. აქ გამოდის ამგვარი გარემოება. მრავალნი რჩებიან უმუშაოდ, მაშასადამე ულუკმა-პუროდაც; მცირეხიც, თუმცა შოულობენ საჭმეს, მაგრამ ისე მცირე ფასს იღებენ თავის შრომაში, რომ კუჭსაც ვერ იძღობენ ამითი. მართალია მაშინა აძლიერებს და ჰმატებს საქმის ნაყოფიერებას, მაშასადამე უიაფებს მუშტარს საქონელსა, მაგრამ შედარებით მასთან, რასაც ვნებას აძლევს ხალხის მეტს წილსა, მისი მოგება ვერ გასწევს ამ ზარალის მაგიეროპას. ამგვარად მაშინა, რომლისაც ბუნება ისრეთია, რომ შეუმსუბუქოს კაცს შრომა, მისცეს მეტი სარჩო, გახდეს საერთო ბედნიერების საღსარი, დღევანდელს წესწყობილებაში ხდება სავნებელი, მაზარალებელი, საბოროტო[1]. დაკვირვებული მკითხველი მიხვდება, თუ რომელ იდეური არსენალიდან აქვს აღებული ავტორს მანჭანების კაპიტალისტური კრიტიკა. ამ კონტექსტში საყურადღებოა მალტუსის მოსახლეობის კანონის თავისებური კრიტიკა. ანტ. ფურცელაძის შრომის ზემოთმოყვანილი ადგილიდან ნათლად სჩანს, რომ უმუშევართა ზრდა კაპიტალიზმის წარმოების წესთან არის დაკავშირებული. არ არსებობს არავითარი ბუნებრივი კანონი, რომელიც დაასაბუთებდა მოსახლეობის ზედმეტობისა და მათი გაჭირვების მოვლენებს. თვით კაპიტალისტური წარმოების წესია ამაში დამნაშავე. მან იცის, რომ თუ საზოგადოება რაციონალურად იქნება მოწყობილი, თუ ხალხის ბუნებრივი მოთხოვნილება ნორმალურად იქნება დაკმაყოფილებული, მაშინ მას არავითარი გაჭირვება და ბოგანობა არ მოელის. ამიტომ არ შეიძლება მალტუსის მსგავსად ვამოვონილ იქნას კანონი, რომლის მიხედვით ადამიანთა გაჭირვება, მათი მოთხოვნილებათა დაუკმაყოფილებლობა დამოკიდებულია ადამიანთა გეომეტრიული პროგრესიით განვითარებასთან. სინამდვილეში მოსახლეობის გეომეტრიული პროგრესიით მატება ფაქტებით არ დასტურდება. ანტ. ფურცელაძე სწერს: „ბევრნი მეცნიერნი ამტკიცებენ ევროპაში, რომ ხალხი გეომეტრიულის პროგრესიით მრავლდებაო, ესე იგი წრეულს რომ ასი კაცი იყვეს ოცდა ხუთი წლის უკან უნდა ორასი იყვეს, ოცდახუთი წე-

[1] ანტ. ფურცელაძე, კაცობრიობა და ხალხთნობა, იგერია, № 22, 1895.

ლიწადი რომ გავა კიდევ, მაშინ ოთხასი, ოცდა ხუთიც რომ კიდევ გავა — რვაასი; ოცდა ხუთის უკანაც კიდევ — ათას ექვსასი; კიდევ ოცდა ხუთის უკან — სამი ათას ორასი და ასე ყოველ ოცდა ხუთს წელიწადს ხალხი ერთი ორად მატულობსო. ასე ძრიელ ხალხის გამრავლება თუმცა საბუთებით არა მტკიცდება (ლტოლვილება კი ხალხის გამრავლებისა ამგვარია), მაგრამ ამაში კი იქვი არაეისა აქვს, რომ ხალხი ძალიან მრავლდება და მეტადრე იმ ქვეყანაში, სადაც საზრდო უხვია და ჰავა და ბუნება კაცის შესაწყნარისია. ერთის სიტყვით მინამ ხალხს მისი ბუნებრივი საჭიროებანი საკმაო აქვს, მინამ მრავლდება და სისაღეში შედის. მაგრამ რაკი დიდს ნაკლებულებას სცდის, მაშინ, — თუმცა მშობიარობა ისე მალე არ ესპობათ, — მაგრამ ხოცვა ყმაწვილთა და საზოგადოდ ხანმოკლეობა ცხოველდება ხალხში, ხალხი უძლურდება სულით და ხორცით და თან და თან მიდის უკან... საფლავის კარისაკენ"[1]. მაშასადამე, არ არსებობს არავითარი დასაბუთება მოსახლეობის ზრდისა გეომეტრიულის პროგრესიით. თუ მოსახლეობის ნაწილი უმუშევარია, ამაში დამნაშავეა კაპიტალისტური წარმოების წესი. ამ დასკვნამდე მივდივართ ჩვენ, როდესაც ფურცელაძის ამ შეხედულებას ვეცნობით.

პოლიტიკური ეკონომიის სხვა საკითხებთაგან ყველაზე მეტად წარმოდგენილია ჩვენი ნაროდნიკის შეხედულება ღირებულებისა და ფასის საკითხებზე. ანტ. ფურცელაძე ღირებულების შრომითი თეორიის დამცველია. აჭაც იგი ამ თეორიას კაპიტალიზმის კრიტიკისათვის იყენებს. 1875 წ. დაწერილ წერილში იგი სწერდა: „შემძლებელების ექსპლოატაცია არის უსამართლო ყველ ამითი, რომ გაჭირვებულებს სწოვენ თავისის სარგებლით უკანასკნელს ტვინსა და ხელთ იქერენ ამათს ყანას, ამათს შრომას, როდესაც თვითონ არავითარი შრომა არ მიუძღვით თავიანთი ფულების სარგებლების აღებაში, მაშინ, როდესაც ფული, კაპიტალი, საქონელი ჰფასობს მხოლოდ იმითი, რომ ისინი არიან შრომის ნაყოფნი. რასაც არ ადევს შრომა, არცა აქვს ფასი. მაშასადამე, ვისაც უშრომნია, ნაყოფიც იმისი უნდა იყვეს. მაგრამ აქ რას ვხედავთ? ღარიბნი შრომობენ, მაშასადამე ჰბადებენ შრომის ნაყოფს, და ამ ნაყოფით ჰსარგებლობენ მდიდრები, რომელნიც თავის ფულში, რომელნიც ეგრეთვე შეუძენიათ იმავე ღარიბთა შრომით, ართმევენ სარგებელში, ესე იგი უშრომლათ, იმათს ნაშრომსა და ნაღ-

[1] ანტ. ფურცელაძე. ჩვენი სალტოლვეო, მნათობი, № 5, 1871.

ვაწუს, რომ კვალად ამავე იმათის ნაღვაწით და ნაშრომით, ისარგებლონ იმათივე შრომით, ესე იგი იყოლიონ ნიადაგ მონათ და რჩებოდენ თვით უშრომლათ სხვების შრომით“ [1]. მეტად ელემენტარულ ფორმაში, მაგრამ საერთოდ სწორადაა აქ გადმოცემული ღირებულების შრომითი თეორია. არ იყო სავალდებულო ანტ. ფურცელაძეს უეჭველად წაეკითხა მარქსის „კაპიტალი“. ღირებულების შრომითი თეორიის ზოგიერთი ელემენტები გვხვდება ნ. გ. ჩერნიშევსკის შენიშვნებში დ. ს. მილის წიგნზე: „Основания политической экономии“. როგორც ცნობილია, ღირებულების შრომითი თეორია ცნობილი იყო ბურჟუაზიული კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის კორიფეებისათვის ა. სმიტისა და დ. რიკარდოსათვის. მაშასადამე, არ იყო სავალდებულო ღირებულების შრომითი თეორიის უეჭველად მარქსის „კაპიტალიდან“ ამოკითხვა. ცნობილია, როგორ ხშირად ახსენებდნენ ქართულ ეკონომიურ ლიტერატურაში ა. სმიტსა და დ. რიკარდოს ქართველი მესამოციანელები (ნ. ნიკოლაძე). ნაროდნიკები საერთოდ რუსეთში და ქართველი ნაროდნიკიც ღირებულების შრომითი თეორიის ნიადაგზე დგას და მისი დამცველია. რუსი ნაროდნიკი ვ. ვ. (ვორონცოვი) თავის შრომაში „Очерки теоретической экономии“... იცავდა ღირებულების შრომითს თეორიას. აქვთ, თუ არა საერთო რამ ამ მხრივ ვორონცოვსა და ფურცელაძეს. ვფიქრობთ, რომ უეჭველად აქვთ, თუმცა რუსი ნაროდნიკის ქმნილებანი უფრო გვიან დაიწერა, ვიდრე ანტ. ფურცელაძის ზემოდდასახელებული შრომა. როგორ ხსნიდა თვით ვორონცოვი ღირებულების შრომითი თეორიისადმი ასეთ დიდ ინტერესს. ეს, როგორც პლეხანოვი სამართლიანად შენიშნავს, აიხსნება თვით ვორონცოვის შრომის შემდეგ სტრიქონებით: „Справедливость и равенство прав—вот главнейшие устои на которых буржуа восемнадцатого и девятнадцатого столетий желал бы воздвигнуть свое общественное здание на развалинах феодальних несправедливостей, первенства и привилегий. Определение же стоимости товаров трудом и совершающийся на основании этого мерила стоимости свободный обмен продуктов труда между равноправными товаровладельцами—это и есть та реальная основа, на которой покоится вся совокупность политической, юридической и философской идеологии современной буржуазии. Ее лучшие чувства должны глубоко оскорбляться испорченностью такого мира,

[1] ანტ. ფურცელაძე. სასარგებლონი არიან ხალხისათვის სასოფლო-საამხანაგო ბანკები, თუ არა, გუთნის დედა, № 6, 1875.

где на словах труд признается мерилом стоимости товаров, на деле же этот основной закон справедливости, повидимому, ежеминутно нарушается самым бесцеремонным образом. Именно мелкий буржуа видящий, как конкуренция крупного производства и машин ежедневно все более обесценивает его честный труд (исполняемый, впрочем, учениками и подмастерьями)—именно этот-то мелкий производитель и должен всего сильнее вздыхать о таком обществе, где продукты обменивались бы наконец, вполне и без всяких исключений, по их трудовой стоимости. Другими словами, он должен вздыхать о таком обществе, где действовал бы исключительно и неограниченно лишь один из законов товарного производства, но были бы устранены те условия, при которых он только и может действовать, а именно остальные законы товарного, а затем капиталистического производства“ [1]. ანტონ ფურცელაძეც ხომ ამ წვრილი მწარმოებლის დამცველად გამოდის. სრულიად ბუნებრივია, რომ მას უნდა დაეცვა ღირებულების შრომითი თეორია.

იცავდა რა ღირებულების შრომითს თეორიას, მან თანმიმდევრობით გაატარა აზრი იმის შესახებ, რომ ფასის საფუძველს ღირებულება წარმოადგენს. ამ აზრს იგი შემდეგი სახით ავითარებს: „ჩვენ ძველი ეკონომიური შკოლის მიმდევარნი გვეუბნებიან, რომ ფასის საძირკველი არიან **მოთხოვნილება და გასაღება** (спрос и предложение). დიდია მოთხოვნილება და ცოტა გასაღება, მაშინ გასაღები საქონლის ფასი აიწევსო, ცოტაა მთხოვნელი და ბევრი გასაღები, მაშინ გასაღების ფასი იკლებსო. ჩვენ ვამბობთ, რომ მოთხოვნილება და გასაღები აბრუნებენ ფასს **და არ არიან** თვითონ ფასის საძირკველი. ჩვენ ვამბობთ, რომ ამ ფასის ბრუნებაში (აწევ დაწევაში) აქვს ძალა ყველა მოთხოვნილებას კი არა, მხოლოდ **შემძლებელს მოთხოვნილებას. ფასის საძირკველი, თვით ფასი არის** საქონელზე მოხმარებული შრომა, **კაცის ხელი და გონება.** არ იშრომა კაცმა, არ არის ნაყოფიც, თუნდა რომ მილიონი მთხოვნელიც იყვეს. **ყოველს ერთი დროს და მეცადინეობის შრომას აქვს ერთი ფასი. რასაც არ ადევს კაცის შრომა, ის არ არის ფასიანი.** რათ არის მაშ ასე, რომ ზოგი, რასაც კაცის შრომა არ ადევს, აქვს, არამც თუ ფასი, და ხშირად დიდი ფასიცა? რათა აქვს შეძლებულს მოთხოვნილებას ძალა, რომ ასწევ-დასწიოს საფასურის ღირებას? ამ ორივე კითხვის პასუხი ერთი და იგივეა. ეს

[1] ციტირებულია გ. ვ. პლეხანოვის მიხედვით. Обоснование народничества в трудах г-на Воронцова (В. В.), соч. т. IX, стр. 101-102.

იმიტომ, რომ შეძლებულს ჭონებას უჭირავს ხელთ თითო **მოხათ-ბოვნ საფასურში** ერთი ასათ, ერთი ათასათ, ერთი მილიონათ და ამ მილიონათაც მეტი, ვიდრემ ჰღირს თვით ეს მოსათხოვნი. ამის გამო, რაკი შეძლებულს მოთხოვნილებასა **რამე** უნდა ეწ. ეს ამის მისაწდომი ცოტაა და ამ ცოტას მთხოვნელი და შემცილო მეტი ჰყავს, ეს აძლევს ამაში თავის ღირებულს ფასს კი არა, ესე იგი იმ საფასურს კი არა, რაზედაც ერთი და იგივე დრო და მეცადინეობა წასული მუშა ხელისა, აძლევს ერთი ორათ, ერთი სამათ, ერთი ათათ მეტსა, რათგან შეუძლიან კიდეცა. და არც ჰშურს, ჯერ ერთი იმიტომ, რომ გზა ღსნილი აქვს, რომ დანახარჯი საფასური ამოიღოს ისევ მუშა ხელის კისრიდამ. შესცვალეთ ეს გარემოება, რომ არ შეეძლოთ შიგა და შიგ საზოგადოების პირთ დაყრობა მეტი საფასურისა, მაშინ ჰნახავთ, რომ თანასწორ დროსა და მეცადინეობის შრომის ნაყოფს ექნებათ თანასწორი ფასი, ესე იგი ყველა მშრომელს დარჩება ხელთ თავისი შრომის ფასი[1]. მთელი ეს მსჯელობა რომ გავათავისუფლოთ ორი თერმინის ღირებულებისა და ფასის არევიდან, მივიღებთ შემდეგ სრულიად გარკვეულ თეორიას ღირებულებისას და ფასისას. ღირებულება განისაზღვრება საგანზე დახარჯული შრომით. იქნება ეს გონებრივი, თუ ფიზიკური შრომა. ფასი ღირებულების გამოხატულებაა ფულში. ფასი მერყეობს მიწოდებისა და მოთხოვნილების საფუძველზე, მაგრამ მერყეობს იგი ღირებულების გარშემო, ვინაიდან ფასის საფუძველს ღირებულება წარმოადგენს. საგანს, რომელზედაც ადამიანის შრომა არ არის დახარჯული, არ აქვს ღირებულება. შესაძლებლობა ფასის მერყეობისა ღირებულების გარშემო იმაშია, რომ, როდესაც საქონელი ნაკლებია ბაზარზე, დიდი შეძლების პირი მასში მეტ ფასს აძლევს, ვიდრე მისი ღირებულებაა, ე. ი. მასზე დახარჯული შრომის რაოდენობა.

გვიანდელ შრომაში ეს აზრები კიდევ მეტის სიცხადით არის გამოთქმული. ანტ. ფურცელაძე ფიქრობს, რომ საქონლის ღირებულება (იგი მას შეცდომით საქონლის ფასს უწოდებს) არ არის დაკოკიდებული მიწოდებასა და მოთხოვნილებაზე. იგი იმოწმებს მარქსს, რომლის დებულებაც შემდეგი სახით არის გადმოცემული ჩვენი ავტორის მიერ: „მარქსი იძლევა შემდეგ პასუხს: „კლასიკურმა პოლიტიკურმა ეკონომიამ უკრიტიკოთ აიღო ცხოვრებიდამ შეხედულება შრომის ფასზედ. მაგრამ, შემდგომ ეს მიატყდა იმ-

[1] ანტ. ფურცელაძე, ბანკების მნიშვნელობა, გუთნის დედა, № 9, 1875.

ვეარს კითხვას: როგორ უნდა გადიჭრას ის შრომის ფასი? მაშინ ის მიხვდა, რომ: ის ცვლილება, რომელსაც ახდენს შრომასა და საქონლის ფასზედ საქონლის რაოდენობა და საქონლის მოთხოვნილება (спрос и предложение) არაფერს არასა ჰლსნის, გარდა ფასების ცვლილებებისა და მაზანდის (рыночные) ფასის აწევ-დაწევისა. უკეთუ მოთხოვნილება და საქონლის რაოდენობა თანასწორნი არიან, მაშინ სხვა თანასწორ გარემოებასთან, ფასი ერთს დონეზედ დადგება (ალარ აიწევ-დაიწევს). მაშინ მოთხოვნილება და საქონლის რაოდენობა (спрос и предложение) ვეღარ გვიღსნიან ვერაფერს საქონლის ფასისა. მაშინ საქონლისა და შრომის ფასად რჩება შრომა, რომელიც არ არის დამოკიდებული მოთხოვნილებაზა და საქონლის რაოდენობაზედ, და არის გამომსახველი ბუნებრივი ფასისა". ასე თავისუფლად აქვს ჩვენს ავტორს მარქსის შეხედულება გადმოცემული. საერთოდ აღსანიშნავია 70-80-იან წლებში ასეთი ციტირება წყაროს დასახელების გარეშე. თითქოს მკითხველი ვალდებული ია ენდოს მკვლევარს, რომ მან სხვისი აზრები სწორად გადმოსცა. მაგრამ ამ კონტექსტში საყურადღებოა, რომ მარქსის ეს შეხედულება მას მიაჩნია ისეთივე შეხედულებად, რომელსაც ა. სმიტი ავითარებს. იგი შემდეგს სწერს ა. სმიტის შეხედულების შესახებ ამ საკითხში: „ადამ სმიტიც ამის შესახებ თითქმის ამასავე ამბობს, ე. ი. მისი სიტყვები: „საქმეში მაზანდის ფასი (рыночные цены) და ბუნებითი ფასი თანასწორნი არ არიან. მაზანდის ფასი არის დამოკიდებული იმ საქონლის რაოდენობაზედ, რომელიც გამოტანილია გასასაღებლათ და ამ საქონლის მოთხოვნილების რაოდენობაზედ. რადგანაც გამომცემთათვის ძნელია იმისი შეტყობა, თუ რაოდენი მოთხოვნილება იქნება საქონლისა, რომლისა გამოც ძნელად შეუძლიანთ გაიგონ და გამოსცენ იმდენი, რამდენიც მოთხოვნილებაა მუშტრისაგან; ამის გამო ძნელათ მოხდება, რომ მოთხოვნილება და საქონლის გამოცემა თანასწორნი იყვნენ. მაგრამ, რადგანაც საქონელიცა და მოთხოვნილებაც იმას ეტანებიან, რომ თანასწორნი გახდენ, მაშინ ამათი შუაგული ხდება ბუნებითი ფასი, (შრომა მოხმარებული საქონელზედ) და ამ ფასს ეტანებიან და მიაახლოვდებიან საქონლის ფასები". შეცდომაა კ. მარქსისა და ა. სმიტის ღირებულებისა და ფასის თეორიების გაიგივება. მაგრამ ძირითადად ფასის მერყეობა, ღირებულების გარშემო რომ ხდება, გაგებულია სწორად. როგორც სჩანს ავტორი ამ საკითხის მარქსისტულ გაგებას აძლევს ჯპირატესობას და მას ემხრობა.

მთელი ამ მსჯელობის ბოლოსაც სჩანს, თუ როგორ გამოხატავს ჩვენი ეკონომისტი წვრილ ინტერესებს მწარმოებლისას, რომელიც ყოველთვის იჩაგრება არა ექვივალენტური გაცვლით. თუ შეიცვლება ეს გარემოება, მაშინ თვითეული შრომის ნაყოფს ექნება თანასწორი ფასი, სხვაგვარად ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველი მწარმოებელი მიიღებს თავისი შრომის ფასს, ე. ი. თანაბარ ექვივალენტს.

ღირებულების შრომითმა თეორიამ ავტორი მიიყვანა ფულის საკითხის გარკვევამდე. რა თქმა უნდა, შემცდარია ჩვენი ავტორის შეხედულება იმის შესახებ, თითქოს ფული, როგორც საყოველთაო ექვივალენტი, წარმოიშვა პირობიდან, რომელიც თვით სესხის გაცემასთან არის დაკავშირებული. იგი სწერს: „ფული როგორც ვიცით, არის შრომა, შენახული ვეკსილის მსგავსად. მაშასადამე ის არის შრომის ფასი". ჯერ ფულს „წარმოადგენდა უბრალო სიტყვიერი პირობა, მემრე გადაიქცა ბარათებათ, მემრე თამასუქებათ. ჯერ ეს პირობა იწყნარებოდა მარტო გამცემს და მსესხებელს შორის, მემრე იმათ გარშემოთა და მახლობელთ შორის; შემდეგ მიიღო უფრო ვრცელი და ბოლოს საზოგადოთ შესაწყნარი მნიშვნელობა, მაშინ მიიღო იმან დღევანდელი ფულის სახე. დღეს ფული წარმოადგენს იმგვარს პირობას ფულიანებსა და მშრომელთა შორის, რომელსაც აქვს საზოგადო მოვალეობის მნიშვნელობა, ესე იგი, სადაც მიიტანო ფული, შეგიძლიან დაახურდაო შრომაზედ, როგორც დღეს ჩვენ გვაქვს სახელმწიფო ბილეთები, ასიგნაციები და შეგვიძლიან გამოახურდაოთ ვერცხლსა და ოქროზედ, სადაც კი მიიტანო" [1]. რა თქმა უნდა, ფულის წარმოშობის ეს გზა არასწორად აქვს მოცემული ავტორს, მიუხედავად ამისა, იგი აქაც თანმიმდევრობით ღირებულების შრომითი თეორიის საფუძველზე სდგას. იგი სამართლიანად უკავშირებს ფულის არსს ადამიანის მიერ ღირებულების შემქმნელ შრომასთან. კიდევ მეტიც, იგი იმასაც კი ფიქრობს, რომ ფული არ ზრდის საქონლის ფასს. აქ იგი იძლევა ქაღალდის ფულის თეორიას და ინფლიაციის საკითხების გარკვევას. მან იცის, რომ თუ ნაწარმოები დიდი რაოდენობით გამოდის გასაყიდად ბაზარზე, იგი ნაკლებ ფასში გაიყიდება. ასევე ხდება ფულის მიმართაც. ავტორი დაჯერებულია ფულის საქონლურ წარმოშობაში. იგი სწერს: „რაც ხდება სხვა ნაწარმოებზედ, ეს ხდება ფულზედაც, თუ „ფული მატულობს მსურველთა რიცხვზედ, მაშინ ფულის ფასი კლებულობს". ახლა ჩვენ ვიტყვით ასე: ფულის კურსი

[1] ანტ. ფურცელაძე. ბანკების მნიშვნელობა. გუთნის დედა, № 10, 1875.

(ქაღალდის) დამოკიდებულია ფულით მოთხოვნილებაზე მიმოქცევაში. თუ ქაღალდის ფული დიდი რაოდენობით არის მიმოქცევაში ვიდრე ეს საჭიროა მიმოქცევისათვის ქაღალდის ფულის მსყიდველობითი უნარიანობა ეცემა. მთელი ეს ეხლანდელი ჩვენი მსჯელობა ავტორს შემდეგი სახით აქვს გადმოცემული. ,,რა ხდება აქ? ბანკები თავის გირაო ფურცლებით აიაფებენ ფულს. ამ ფულის გაიაფებით იღუპებიან იმ ფულის პატრონები, რომელთაც ფული შეუძენიათ ამ ბილეთების გამოსვლამდის. ის გუშინ ყიდულობდა კოდს პურს მანეთათ, რათგან მაშინდელი გამოსული პურის შესახებ, ესე იგი, მაშინდელს ფულის მაზანდაზედ, კოდი პური ღირდა მანეთათ. დღეს პური ოდენავე გამოდის, რაც გუშინ, მთხოვნელიც ფულისა და პურისანი იგივენი არიან, და ფული კი, ამ ბანკის გირაო ფურცლების გამოცემით ჰმატულობს. ახლა, ამ ფულის გაიაფების გამო, გაიაფდა იმ კაცის ფულიცა, რომელმაც შეიძინა ფული ბანკის ფურცლების გამოცემამდის. ამის გამო, გუშინდელი ფულის პატრონი, გუშინ რომ კოდს პურს ყიდულობდა მანეთათ, დღეს იმავე კოდს პურში აძლევს იმდენათ მეტს, რამდენათაც მეტი გამოსულა გირაო ფურცლები. ამაში ცხადი საქმეა, რომ ჰზარალობს გუშინდელი ფულის პატრონი და იგებს გირაო ფურცლების გამომცემი: აკლდება ამის ფულს ფასი და გირავო ფურცლის პატრონს არა საიდამ უჩნდება ფული, ესე იგი, წინანდელი ფულის ფასის რომელსამე ნაწილს ისვამს გირაო ფურცელი... ამგვარი ფულის გაიაფებაში ზოგნი არა და მომეტებული ნაწილი ჰხედავენ კეთილს მოვლინებას და საზოგადო კეთილდღეობისათვის წარსამატს საქმეს, რათგან აქვთ თავში აღებული, რომ **ფულის გაიაფებით ნაშრომს ემატება ფასიო**, მაგრამ ეს როგორც მეცნიერებისა ისე საზოგადო აზრისა დიდი შეცდომილებაა. **ფულის გაიაფება არ ჰნიშნავს იმასა, რომ ნაშრომს ფასი მოემატა. ეს ჰნიშნავს მხოლოდ იმასა, რომ ნაშრომში მეტს ფულს აძლევენ**'' [1].

გვიან დაწერილ შრომაში ავტორმა კიდევ უფრო მეტად განავითარა ეს შეხედულებანი. ეტყობა მარქსის ,,კაპიტალის'' წაკითხვის კვალი გარეგნულად იმითაც კი, რომ იგი ხშირად ლაპარაკობს მარქსის შესახებ, იმოწმებს კიდეც მას. კიდევ მეტი, იგი თვითვე აღნიშნავს, რომ საქონელში რომ შრომაა დახარჯული და იგი განსაზღვრავს მის ღირებულებას, ეს მარქსამდე იყო ნათქვამი ,,რიკარდოსა და ადამ სმიტისაგან''. ამასთანავე არის დაკავშირებული

[1] ანტ. ფურცელაძე, ბანკების მნიშვნელობა. გუთნის დედა, № 10, 1875.

კიდევ უფრო მეტად შემდგომ შრომებში ქაღალდის ფულის მიმოქცევის კანონების ანალიზი. მას უდავოდ მიაჩნია ქაღალდის ფულის მიმოქცევის იმ კანონის მოქმედება, რომელიც მარქსმა აღმოაჩინა. ანტ. ფურცელაძე ამ კანონს, მარქსის სიტყვებით თითქოს გადმოცემულს, ასე განმარტავს: ,,ქაღალდის ფულის მუშაობა, როგორც ფულისა, მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც ის მუშაობს ოქროს მაგივრად, ქაღალდის ფული მხოლოდ იმდენი უნდა გამოვიდეს, რამდენიც შეიძლებოდა, რომ გამოსულიყო ოქროს ან ვერცხლის ფული, რომელსაც სიმბოლოს (მაგიერობას) წარმოადგენს ქაღალდის ფული'' [1]. როგორც სჩანს, ნაროდნიკი ფურცელაძე კარგად გასცნობია მარქსის ,,კაპიტალს'' და იქ განვითარებული შეხედულებანი კიდეც მიუღია. ამ მხრივ საყურადღებოა უფრო დაზუსტებულად წარმოდგენილი ინფლიაციის თეორია და მისი შედეგები. ჩვენმა ავტორმა იცის, რომ ფულის რაოდენობა მიმოქცევაში. უპირველეს ყოვლისა, დამოკიდებულია იმაზე, თუ ,,რამდენიც სახელმწიფოში შრომა დადებული საქონელი ტრიალებს''. ფული მიმოქცევაში უნდა გამოვიდეს იმდენი, რამოდენისაც პასუხის გაცემა შეუძლიან სახელმწიფოს'' და შემდეგ იშვიათის დაკვირვებით ხსნის ჩვენი ავტორი ინფლიაციის მიზეზებს. რა მოხდება თუ იმაზე ნაკლები ფულია მიმოქცევაში, რაც საჭიროა მიმოქცევისათვის? ავტორი უპასუხებს: ,,უკეთუ გამოვა ამაზედ ნაკლები, მაშინ ყველა საქონლისათვის არ იქნება ფული, და, რავდენიც ეს ფული დააკლდება, იმდენი საქონლის პატრონს გაუძნელდება აღებ-მიცემობა და გადაცვლა-გადმოცვლა; მაშინ ფულს არ ექნება თავისი ნამდვილი დადებული სახელის მნიშვნელობა, მაშინ ფულს დაედება მეტი ფასი. ესე იგი, ვისაც იგი დააკლდება, იმას გადააწვება ტვირთად: უნდა იმან ფულის პატრონს თავისი საქონელი ნაკლებ ფასად მიჰყიდოს, ან, თუ სესხად უნდა, უნდა დიდი სარგებელი მისცეს''. მაგრამ რა მოხდება მაშინ, თუ მეტი ქაღალდის ფული იქნა მიმოქცევაში, ვიდრე მიმოქცევისათვის არის საჭირო? ავტორი აღნიშნავს: ,,უკეთუ მეტი გამოვა, მაშინ რავდენიც ფული მეტი იქნება იმდენი ფულს ფასი დააკლდება და ფულის პატრონი იძულებული იქნება საქონელში მეტი ფასი აძლიოს, ვიდრემ მისი საქონელი ღირს... ფასი, როგორც ვცანით ადევს იმას, რასაც შრომა დასდებია. თუ შრომა დაუდებელს საქონელზედაც გაბოვიდა ფული, მაშინ ამ ფულის შემწეობით ისიც ფას დადებული გახდება, როდესაც რომ იმაზედ არ არის

[1] ანტ. ფურცელაძე. ბანკები, ფული და მათი მნიშვნელობა. გვ. 25. 1883.

შრომა წასული და მაშინ შრომა დადებულს საქონელს ფასი დააკლდება, რაკი ამათი ფასის გამომსახველი ფული მეტი გამოვა, ვიდრემ თვით ეს საქონელია; და ეს მეტი გამოცემული ფული დასწევს ამათს ფასსა, ასრე რომ ფასიანს ფასი დააკლდება და უფასურს ფასი დაეუდება, რადგან ფასიანის დაკლებული ფასი გადავა უფასო საქონლის ფასის მიცემაზედ''. მაშასადამე ასკვნის ჩვენი ავტორი ,,ფული უნდა გამოვიდეს იმოდენა, რამდენიც სახელმწიფოსა აქვს შრომა დადებული საქონელი''.[1]

როგორც ამ ვრცელ ამონაწერებიდან სჩანს, ჩვენი ავტორი ძირითადად სწორად ერკვევა ინფლაციის პროცესში და იმ მიზეზებში, რომლებიც მას იწვევენ. უნდა გვეფიქრა, რომ ღირებულების, ფულის, ფასის პრობლემების გარკვევის შემდეგ ჩვენი ნაროდნიკი შეეხებოდა ისეთ საკითხებს, როგორიც არის ზედმეტი ღირებულებისა და მოგების კატეგორიების. იგი მართლაც შეეხო ამ საკითხებს, მაგრამ მეტად მოკლედ და მარტივად. ერთი რამ უდაოდა: ნაროდნიკმა ფურცელაძემ იცის ექსპლოატაციის ბუნება კაპიტალისტურ საზოგადოებაში, მან იცის, რომ ზედმეტი ღირებულება ფასგადაუხდელი შრომით შექმნილი ღირებულებაა, რომ იგი ექსპლოატაციის შედეგია. მან იცის, რომ საწარმოო საშუალებათაგან გათიშვა უშუალო მწარმოებლისა წარმოადგენს ექსპლოატაციის საფუძველს.

კაპიტალის ცნების მაგივრად ჩვენს ნაროდნიკს ურჩევნია იხმაროს ,,თავნი''. მან იცის, რომ ეს ,,თავნი'' შედეგია მუშათა ექსპლოატაციისა კაპიტალისტურ საზოგადოებაში, როგორც ამას მარქსი სწერს. ავტორი ამბობს: „საქონლის ფასი არის მხოლოდ უბრალო შრომა კაცისა, მოხმარებული ამ საქონლის გამოწვევასა და შერდგენაზე... თავნი (კაპიტალი) ნიადაგ იმას ებრძვის, რომ სამუშაო ფასი სრულიად არა რად აქციოს (ესე იგი, რომ მუშას სრულიად არ ეძლეოდეს ფასი თავისი შრომისა) ...ამგვარად თავნი სდგება და იზრდება იმ ფასიდამ, რომელსაც უკლებენ მშრომელებს თავის შრომაში. ...სიტყვით, რავდენიც თავნი სდგება და იზრდება, იმდენად მატულობს და იზრდება უქონებო და უსაზრდოო ხალხიცა (პროლეტარი)... ამგვარს წყობილებაში თავნი გროვდება უზომოთ თითო ოროლას ხელში, და გროვდება იმიტომ, რომ ის ჰქრება სხვების ხელიდამ... რავდენიც თავნი (კაპიტალი) იზრდება, იმდენათ, რაც უნდა სამუშაო ფასი ეძლეოდეთ, მუშების მდგომარეობა

[1] ანტ. ფურცელაძე. ბანკები, ფული და მათი მნიშვნელობა, გვ. 35-37, 1883.

უარესობაში მიდის. ერთგან თავნის გამრავლება, მეორედგან — მშრომელებში, რომელნიც ბუნებიდან აღმოაცენიებს თავნს, მრავლდება სიგლახაკე. უზომო შრომა, მონება, უშვერობა, რეგვენობა და ზნეობით დაცემა“[1]. რომ უფრო დასაბუთებული გახადოს თავის ეს შეხედულება კაპიტალის წარმოშობის შესახებ, იგი იმოწმებს მარქსს, რომლის აზრით, როგორც ეს ჩვენს ნაროდნიკს ჰგონია, „რაც გინდა მშრომელი კაცი იყვეს და მოხერხებული საქმეში, ის მხოლოდ იმდენს ნაყოფს შეიძენს თავის შრომაში, რომ გაუჭირვებლივ თავი ირჩინოსო“[2]. მას სრულიად უდავოდ მიაჩნია, რომ რა გინდ მოღვაწე და მშრომელი არ იყოს კაცი, თავისი საკუთარი შრომით მას არ შეუძლია ყველა თავისი მოთხოვნილებანი დაიკმაყოფილოს და კიდევ დააგროვოს კაპიტალის სახით. იგი ხედავს, მან იცის, რომ პატიოსანი შრომითა და მომჭირნეობით მუშა კაპიტალის მფლობელი ვერ გახდება. რომ „თავნი შესდგეს ვისამე ხელთა, ამ კაცს უნდა რამე ძალა, რამე საღსარი ეჭიროს ხელში, რომ სხვებს მოუკლოს შრომიდან, მოამშიოს, მეტი აშრომოს შეძლებაზედ და აქედამ იწყოს თავნის შედგენა“. განა ცხადი არ არის, რომ ასეთი კაცი „კაპიტალის დაგროვებას ახდენს არა „თავისი შრომით, **არა მომჭირნეობით**[3], არამედ „სხვების დაკლებით, სხვების ხელიდამ ნაშრომის გამოტაცებით, გამოტყუებით“. მაგრამ რაკი კაპიტალი შედგენილია, კაპიტალის მფლობელი ცდილობს თავის კაპიტალზე რაც შეიძლება მეტი შემოსავალი მიიღოს. ეს იწვევს კიდევ უფრო მეტად მუშების დაქვემდებარებას კაპიტალისადმი, მათს დამონავებას. ბოლოს იქამდის მიდის საქმე, რომ „თავნის“ პატრონი იმდენს აძლევს მუშაობის შრომაში, რამდენიც მას ჰსურს. „თავნის პატრონი, როგორც ზემოთ მარკსისა და სხვა ეკონომისტების სიტყვებიდამა სჩანს, ეტანება იმას, რომ შრომა სულ მუქთათ ჩაიგდოს ხელში, და თუ სულ მუქთათ არა, ბევრგან მაინც და მაინც შრომის ფასი იქამდის არის დაცემული, რომ მშრომელი კაცი ზოგიერთა დაწინაურებულს ხალხებშიც კი ჯაფისაგან თითქმის პირუტყვად არის ქცეული და უსაზრდოობისაგან ნახევარ სიცოცხლე მოკლებული, რომლის გამოც წრიოკდება, არამც თუ ზნით და სხეულით თვითან მშრომელი კაცი, და თვით თავის შთამომავლობითაც“. კაპიტალის გაჩენა იწვევს კრედიტის გაჩენასაც-

[1] ანტ. ფურცელაძე, ბანკები, ფული და მათი მნიშვნელობა, გვ. 16, 1883.
[2] იქვე, გვ. 17.
[3] ხაზი ჩვენია, ვ. ბ.

კრედიტი ხელს უწყობს მოზიდვას ფულისას, რაც საზოგადოებაში არის გაფანტული. ,,სესხი არის მაშინა, რომლისაც საკუთარი დანიშნულება არის, რომ გაფანტულს სხვა და სხვა ხელში ფულს, ერთს ადგილას, ერთის კაცის ხელში მოუყაროს თავი''. ერთი სიტყვით კაპიტალი ექსპლოატაციის, გაბოგანოებისა და დამონავების შედეგია. ,,როგორც იგივე მარქსი ამბობს — სწერს ჩვენი ეკონომისტი, — კაპიტალს ყოველ გამოსათქოსო ადგილიდამ, თავიდამ ფეხის გულებამდის გამოსთქორს სისხლი და ჩირქი''. მთელი ეს ანალიზი მას იმისთვის დასჭირდა, რომ დაესაბუთებინა დებულება იმის შესახებ, რომ ყველა ინსტიტუტი კაპიტალისტური საზოგადოებისა ექსპლოატაციაზეა აგებული და შემდგომი ექსპლოატაციის გაძლიერებას უწყობს ხელს. ბანკიც კაპიტალისტურ საზოგადოებაში ექსპლოატაციის ინსტრუმენტია. ,,დღევანდელი ბანკების სასარგებლო ძალა არის ოცნება გატაცებული სნეული გონებისა'' [1].

ამაშივე ვრწმუნდებით, როდესაც ვკითხულობთ მის ადრინდელ შემდეგ სტრიქონებს: ,,ამ მუშისა, არამც თუ სახვალიოდ გამონაზოგი ნაშრომი, რომელიც ამას უნდა მოეხმარნა თავის გაჭირვებაში, არამედ ამისი მომავალი და აწმყო შრომაც ფულის სახით უჭირავთ სხვებსა, რომლის გამოც ამას ნიადაგ აკლდება ცხოვრების სალსარი. მაშინ ეს მიდის ფულიანებთან, რომ ამითი დაიკმაყოფილოს ბუნების მოთხოვნილებანი. რაკი ფულის პატრონი ჰხედავს ამას, ამ გაჭირვებაში, მაშინ ის, როგორც ზემოთაცა ვსთქვით, თავის ფულს თან და თან უკიდებს და **იმოდენა ფულს კი არ აძლევს მუშა ხელს, რაც ღირს იმისი შრომა, აძლევს ამ შრომის ნახევარს** და ზოგჯერ კიდევ უფრო ნაკლებ ფასს. ამგვარათ ის თან და თან უმატებს თავის ფულს, ესე, იგი, შრომის თამასუქს, და დღეს რომ ეკონომიურს მეცნიერებას ჰქონდეს საღსარი და შეეძლოს გამოკვლევა ზოგიერთა ფულიანის სახელმწიფოსი, მაგალითათ ინგლისებისა და სხვა ამგვარი სახელმწიფოებისა, მაშინ ჩვენ ციფრებითა შეგვეძლო ცხადათ დაგვენახა, რომ აქ იმოდენა ვალი ადევს ფულის სახით შრომასა, რომ სახელმწიფოში ამ ფულის ფასი შრომა აღარ მოიპოვება'' [2]. ანტ. ფურცელაძემ, რასაკვირველია, იცის, რომ მუშახელს თვით აქვს ღირებულება, ანუ ის რასაც იგი უწოდებს ,,სამუშაო ფასი''. კიდევ მეტი, იგი იცნობს და

---

[1] ანტ. ფურცელაძე. ბანკები, ფული და მათი მნიშვნელობა. გვ. 19-20, 1883.

[2] იქვე.

ძალიან კარგადაც „სამუშაო ფასის“ შესახებ არსებულ თეორიებსა. ივი კარგად იცნობს ლასალის თეორიასაც „სამუშაო ფასის რკინის კანონის“ შესახებ. მაგრამ, რაც საყურადღებოა, იგი ამ კანონის მოქმედების სისწორეს არ ედავება, მას მხოლოდ მიაჩნია, რომ იგი რკინის კანონი იქ, გერმანიაშია გამოსაყენები, იგი იქ შეიძლება მოქმედებდეს და უფრო ძრიელი იყოს, სადაც საკუთრება არ აქვთ მოსახლეობის უმრავლესობას, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ „უსაკუთრო ქვეყანაში“, ვინაიდან, სწორად ასეთ ქვეყანაში, სადაც უმრავლესობა მხოლოდ დაქირავებული მუშებია, მუშები „რაკი ჰატარა სარჩოს შეიძენდნენ — გამრავლდებოდნენ, და ისევ იმ დღეში უნდა ჩაცვივნულიყვნენ და გამხდარიყვნენ მექარხნის ხელის შემაცქერალნი“[1]. ნაროდნიკი ფურცელაძე სრულიად თანმიმდევარია, როდესაც ამტკიცებს, რომ საქართველოში ლასალის შრომის ხელფასის „რკინის კანონი“ გამოსაყენებელი არ არის. „გერმანიაში, — სწერს ანტ. ფურცელაძე, — მუშა ხალხი არის დამოკიდებული მამულის პატრონებსა და მეთანხეებზედ. აქ კი მომეტებული ნაწილი არის თვით საკუთრების პატრონი, მაშასადამე უფრო თავის თავზედ დამოკიდებული. იმას ვსთქვათ აქვს ათი დღის მიწა, მოჰყავს ოცი თუმნის პური. სჭირდება ხუთი თუმნის ტანისამოსი, მაგრამ ურია, ანუ სომეხი, რომელთაგანაც ესა ყიდულობს, ამ ხუთ თუმანს უსვამს ათ თუმნად. როგორ? ჯერ ერთი ისა, რომ ის არ დაგიდევს რა საქონელსაც მოგყიდის და ხშირად საღის მაგივრად, გაძლევს დამპალს; ამასთან იღებს თავის წასვლა, მოსვლის ქირას, დუქნის ქირას და მოგებას იმდენს, რამდენათაც შენ გაჭირვებულს გნახავს. როდესაც აქვს ხალხს მომხმარებელი დუქნები, მაშინ ეს ყიდულობს საღს, იაფად და მოგებაც ამისია. ასე რომ ხუთი თუმნის ტანისამოსი ჯდება ხუთ თუმნად და იგებს ხუთს თუმანს. თუ ამას იტყვის „დროება“, რომ გამრავლდებიანო. მე მოვახსენებ იმათ, რომ ამათ გამრავლებას მაინც წინ არა უდგას რა, რათგან ჯერ ჩვენი გლეხის გაჭირვება იქამდის არ მისულა, რომ გაჭირვებით ის უკოლობით თავს იჭერდეს. ჩვენი სიღარიბე შესდგება ჩვენი სიმცირის გამო, რომ არა გვაქვს საკმაო მუშა ხელი. ამასთან ისევ სიღარიბით გამრავლებას, შეძლებით გამრავლდეს ისა სჯობია. რაც შეეხება იმას, რომ გერმანიაში, გამრავლებით სამუშაო ფასი აკლდებათ და ისევ იმ მდგომარე-

[1] ანტ. ფურცელაძე, ათი მტერს, ერთი მოყვარეს, მნათობი, № IX, 1872.

ობაში უნდა ჩაცევიდნენ ჩვენში საკუთრების პატრონები თითონ არიან და მაშასადამე თუ მოხერხება და გარჯა ექნებათ, თავისი შრომის ფასი თავის თავზედ იქნება დამოკიდებული და არა სხვაზედ, რომელნიც რაკი ბევრს შემთხვევნელთ დაგინახავთ მოგაკლებთ ფასსა. ამასთან იქ მოჭარბებულია მუშა ხელი, აქ ძალიან მცირეა და გვაკლია. რასაკვირველია რომ რაკი ამდენი შეძლება იქნება, ხალხი თანდათან გამრავლდება და აღარ გაუწვდებათ ეს საკუთრებაც, მაშინ ხომ ჩვენც ჩავარდებით მაგ კანონის გავლენის ქვეშა, როგორც გერმანელებიო". რა თქმა უნდა, ანტ. ფურცელაძე შორსაა ამტკიცოს ის დებულება, რომ ასოციაციები არის უებარი წამალი ამ კანონის მოქმედების წინააღმდეგ; „მე მხოლოდ იმას ვამბობო, — სწერს იგი, — რომ ჩვენს მდგომარეობაში ეს რკინის კანონი ჯერობით არ არის ისე საშიშარი, როგორც გერმანიაში, რათგან იქ გამრავლებით ცვივდებიან სხვის ხელთა **ეხლავე** და ჩვენ ჯერობით გამრავლებით ვართ ჩვენთ ხელთა; იქ აღარ უჭირთ გამრავლება და ჩვენთვის გამრავლება ჯერობით დიდათ საჭიროა"[1]. ნაროდნიკი ფურცელაძე ურჩევს თავის მკითხველებს ეცადონ ახლავე გაიუმჯობესონ თავიანთი მდგომარეობა, ეცადონ დამარიგონ სხვადასხვა ასოციაციები; საშიშროება სამუშაო ჭირის „რკინის კანონის" მოქმედებისა ჩვენში ჯერ კიდევ არ არის.

როგორც დავინახეთ, ნაროდნიკი ფურცელაძე კარგად ერკვევა პოლიტიკური ეკონომიის ძირითადს კათეგორიებში. როგორც რუსეთის ნაროდნიკები, იგიც იცავს ღირებულების შრომითს თეორიას, მაგრამ, რა თქმა უნდა, მთელი რიგი საკითხებისა მის ყურადღების ცენტრში ვერ ექცევა. ეს გასაგებია, თუ გავითვალისწინებთ, რომ იგი წვრილი მწარმოებლის ინტერესების დამცველია და ის, რაც ამ ინტერესების მიღმა არსებობს, იგი მის ყურადღების გარეშეა. ხაზი უნდა გაესვას იმასაც, რომ იგი პუბლიცისტია და არა ეკონომისტი პროფესიით და მოწოდებით. მისთვის ეკონომიური საკითხები იმდენად არის საინტერესო, რამდენადაც ისინი ჩვენს იმდროინდელ ყოველდღიურობის ამოცანებს სწავლობდნენ.

ანტონ ფურცელაძე გარდაიცვალა 1913 წელს. მან ცხოვრების უკანასკნელ წლებში გამონახა საერთო ენა თავის იდეურ მოწინააღმდეგეებთან, როგორიც იყვნენ დიმ. ყიფიანი, ილია ჭავჭავაძე

---

[1] ანტ. ფურცელაძე. ათი მტერს, ერთი მოყვარეს, მნათობი. № IX. გვ. 100-103, 1872.

და სხვები. მაგრამ ვერსად ცენზურული პირობების გამო ვერ განავითარა თუ როგორ შეიძლება ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაცია. ჩვენ მიერ მრავალგზის დასახელებულ შრომაში მან მხოლოდ შემდეგის თქმა შესძლო: „მარქსი და იმის შკოლა უწოდებენ ამას ექსპროპრიაციას გაექსპროპრიაციებულთაგან, მაგრამ ამაზედ ლაპარაკი არ შედის ჩვენი წერილის პროგრამაში. თუმცა ჰღირდა ამაზედ ვრცლად ლაპარაკი, რაკი ეს სწავლა: ექსპროპრიაცია გაექსპროპრიაციებულთაგან მრავალთ სხვანაირად გაიგეს და სხვანაირად უნდათ ცხოვრებაში გაყვანა“ [1].

---

[1] ანტ. ფურცელაძე, ათი მტერს, ერთი მოყვარეს, მნათობი, № IX, გვ. 43. 1872.

ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები, ტ. VII, 1947.

Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, т. VII, 1947.

Transactions of the Tsulukidze State Pedagogical Institute of Kutaisi v. VII, 1947.

კონსტანტინე მეძველია

რომანტიზმის მოტივები ალოძინების პერიოდის ქართულ ლიტერატურაში[1]

საკითხის დაყენება

I

– მრავალი მკვლევარი შეეხო საქართველოში რომანტიზმის წარმოშობისა და განვითარების საკითხს, მაგრამ ქართული რომანტიზმის ბუნება ჯერ კიდევ შესწავლის პროცესშია. მართალია, რომანტიზმი მსოფლიო ლიტერატურული მოვლენაა, მაგრამ ქართული რომანტიზმი არ არის მხოლოდ ლიტერატურული მოდის შედეგი, იგი არ არის შორეული ქარის მოტანილი უცხო თესლი, ჩვენს ნიადაგზე აღმოცენებული, იგი ჩვენი ქვეყნის ღვიძლი შვილია და ჩვენს პირობებში ჩასახული და განვითარებული, რომელზედაც თავის დროზე მსოფლიო რომანტიზმმა თავისებური გავლენა მოახდინა.

ქართულ კრიტიკაში ჩვეულებრივად გაბატონებული იყო უცხო თვალსაზრისით ზომვა ქართველი მწერლების შემოქმედებისა და ლიტერატურული საკითხებისა. ქართველ მწერლებს ყოველგვარი შემოწმების გარეშე მიაკერებდნენ ევროპელი მწერლებისა და ლიტერატურული მიმართულებების იარლიკებს; რომანტიზმის, ნატურალიზმის, ნეორომანტიზმის, სიმბოლიზმისა და სხვა ლიტერატურული „იზმების“ სახით, იმ დროს, როდესაც ესა თუ ის მწერალი სრულებით არ ეკუთვნოდა დასახელებულ ლიტერატურულ მიმართულებას. რომელიმე ევროპელ მწერალზე აჭრილ ქურქს ყოველგვარი ბოდიშის გარეშე ჩამოაცმევდნენ ქართველ მწერალს და იმას

[1] წაკითხული იყო მოხსენებად პედინსტიტუტის V სამეცნიერო სესიაზე 1943 წლის 23 მარტს და საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტში 1943 წლის 26 ნოემბერს.

კი არ კითხულობდნენ, მოერგებოდა თუ არა მას ეს უცხო ტანსაცმელი. ამით ერთგვარად იჩრდილებოდა ქართველი მწერლის პუნება, მისი სფეციფიკა, მისი ეროვნული კოლორიტი.

თუ კი რაიმე კარგი შეიქმნებოდა ჩვენს ლიტერატურაში, აუცილებლად მისი წარმოშობის ფესვები უცხოეთში უნდა მოენახათ.

მართალია, ლიტერატურული გავლენის უარყოფა უსაფუძვლო იქნებოდა, მაგრამ გავლენას თავისი ადგილი უნდა დაეთმოს ერის კულტურის ისტორიაში და საკუთარი სულიერი საუნჯე შესაფერისად. უნდა იქნეს შეფასებული. ჩვენს კრიტიკულ ლიტერატურაში კი უმეტესი ნაწილი ლიტერატურული ფაქტებისა მხოლოდ გაელვნით იყო ახსნილი.

ჯერ კიდევ პროფ. ალ. ხახანაშვილი წერდა: „წაბაძვითა და უცხო ქვეყნების გავლენით შექმნილი XIX საუკ. ქართული მწერლობა დროთა განმავლობაში იცვლის მიმართულებას“[1].

„თუ დავუკავშირდებით ჩვენი ლიტერატურის მსვლელობას, — წერს კიტა აბაშიძე, — ნახავთ, რომ იგი კვალდაკვალ მისდევდა ევროპის ლიტერატურას“[2]. სხვა ადგილზე იგივე კიტა აბაშიძე აღნიშნავს: „...ესა თუ ის ქვეყანა ამა თუ იმ მიმართულების შემქმნელი იყო, ჩვენ კი მაჩანჩალები გავხდით, ქართული რომანტიზმი ევროპიულის მაჩანჩალა გახლდათ. ამიტომაც იყო, რომ ჩვენში რომანტიზმს არავითარი დამცველი არ ჰყავდა და არც არავინ იყო მისი პრინციპების მქადაგებელი“[3].

„ქართველები ეცნობოდნენ ევროპას, — აცხადებს კონსტანტინე კაპანელი, — და ქართული კულტურის აღმოსავლეთურ წყობაში შემოდიოდა დასავლეთის კულტურა და სული, დასავლეთის თქმა და ესთეტიურ-მორალური პრინციპები“[4].

ქართული ლიტერატურის ასეთ ინტერპრეტაციას, სამწუხაროდ, ვერც დიდი პატრიოტი აკაკი წერეთელი აცდა[5].

ხოლო ის, რაც გავლენის სფეროს გადასცდებოდა და ქართველი ხალხის კუთვნილებად იქნებოდა აღიარებული, იგი აუცილებლად შინაურ-საოჯახო-სალაღობო საქმედ უნდა ყოფილიყო გამოცხადებული.

---

[1] ალ. ხახანაშვილი, ქართული სიტყვიერების ისტორია, გვ. 9.

[2] კ. აბაშიძე, ეტიუდები, ტ. I, გვ. XIV.

[3] აქვე, გვ. 122.

[4] კ. კაპანელი, ქართული სული ესთეტიურ სახეებში, გვ. 34.

[5] იხ. აკაკი წერეთელი, ტ. I, გვ. 72, ს. გორგაძისა და ალ. ხახანაშვილის რედაქციით,

„სამწუხაროდ, — წერს კონსტანტინე კაპანელი, — ქართულ ლიტერატურას თითქმის ჩვენ დრომდე რაღაც შინაური ხასიათი აქვს; საზოგადოება დღემდე ვერ შეეჩვია დაინახოს ლიტერატურაში თავის ყოფა და სული; ქართველი მწერალი განაპირებული და ზედმეტი ბარგია საზოგადოებაში. მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში ლიტერატურა თითქმის არ შორდება ოჯახს: რაც იწერებოდა, იწერებოდა მხოლოდ ვინმეს ხათრით და საღმე ოჯახში წასაკითხავად... არავინ ფიქრობდა ლიტერატურის საზოგადოებრივ მხარეზე, ლიტერატურის სოციალური სულის შესახებ“ [1].

კონსტანტინე კაპანელის ეს შეხედულება რომ გავიზიაროთ, მაშინ XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული ლიტერატურა (ალ. ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანისა და ნ. ბარათაშვილის შემოქმედება) „საზოგადოებრივი“ მნიშვნელობის გარეშე უნდა დავაყენოთ. ცხადია, ასეთი თვალსაზრისი ჩვენს ლიტერატურას ჭეშმარიტების ნათელს ვერ მოჰფენს.

II

რომანტიზმი როგორც ლიტერატურული მოვლენა XIX საუკუნის გარიჟრაჟზე მსოფლიო აზროვნების ცენტრში მოიქცა და თითქმის ყველა ქვეყნის ლიტერატურა ცოტად თუ ბევრად რამოდენიმე ათეული წლის მანძილზე რომანტიზმის დაღს ატარებდა.

ფეოდალურმა არისტოკრატიამ აბსოლუტური მონარქიზმის ეპოქაში ლიტერატურა აბსოლუტიზმის ინტერესებს დაუკავშირა. საფრანგეთში ლუდოვიკო XIV-ს დროს ლიტერატურა მეფისა და მისი სასახლის არისტოკრატიის ინტერესებს ემსახურებოდა. მაშინ გაბატონებული იყო კლასიციზმი, შეზღუდული ბუალოს ნორმატიულებითა და რაციონალიზმის ცივი ბორკილებით, ხოლო მე-18 საუკუნის მიწურულსა და მე-19 საუკუნის დასაწყისში, როდესაც გამარჯვებულმა ბურჟუაზიამ დაამსხვრია მონარქიზმის საფუძვლები, ნიადაგმორღვეულმა ფეოდალურმა კლასმა თავისი სულიერი ტკივილები რომანტიზმის საშუალებით გამოხატა.

დასავლეთ ევროპაში რომანტიზმის წარმოშობა და განვითარება დიდ სოციალურ-პოლიტიკურ ძვრებთან არის დაკავშირებული. XIX საუკუნის დასაწყისში ევროპაში შეეჯახა ორი მოწინააღმდეგე კლასების ინტერესები. ეკონომიურად განვითარებულმა ბურჟუა-

[1] კ. კაპანელი, ქართული სული ესთეტიურ სახეებში, გვ. 35.

ზიამ პოლიტიკური ბატონობის პრეტენზიები წამოაყენა და ამან ჰპოვა გამოხატულება 1789 წლის რევოლუციაში. საფრანგეთის ბურჟუაზიულმა რევოლუციამ არსებითად შეარყია ფეოდალური კლასის საფუძვლები და ამას ბუნებრივად ფეოდალური კლასის პოლიტიკურ-იდეოლოგიური დეკადანსი მოჰყვა. **ფეოდალური კლასის დაცემულობისა და ცხოვრებისადმი გულგატეხილობის იდეოლოგია XIX საუკუნის დასაწყისში ევროპაში რომანტიზმმა გამოხატა.**

„1789-1793 წ. წ. რევოლუციამ დაამსხვრია საფრანგეთის ფეოდალური წყობილება და ამას მოჰყვა ევროპის ქვეყნების უმეტეს ნაწილში მთელი რიგი მძიმე დარტყმებისა. რევოლუციის შემდეგ მოვიდა საფრანგეთის მსხვილი ბურჟუაზიის დამცველი ნაპოლეონი, რომელმაც დაიწყო ბრძოლა ევროპაში ბატონობისათვის. ამ გარემოში იზრდებოდა და მაგრდებოდა დასავლეთ ევროპის ბურჟუაზია, რომელმაც მიაღწია რა ეკონომიურ ბატონობას, მიისწრაფოდა თავისი პოლიტიკური ჰეგემონიის განმტკიცებისაკენ. ამ პირობებში წარმოიშვა და ჩამოყალიბდა დასავლეთ ევროპის რომანტიზმი“ [1].

მართალია, რომანტიზმის შექმნაში ბურჟუაზიული კლასიც ღებულობდა მონაწილეობას, მაგრამ არსებითად რომანტიზმი ბურჟუაზიულ კლასთან ბრძოლაში დამარცხებული ფეოდალური კლასის დეკადენტურ იდეოლოგიას გამოხატავს.

„რომანტიკოსები მართლაც ვერ ურიგდებოდნენ მათ დროს არსებულ ბურჟუაზიულ საზოგადოებას... მათ ძალიან აღშფოთებდათ ბურჟუაზიული ცხოვრების სიბინძურე, უშინაარსობა და ზნეობრივი სიღატაკე; ყოველივე ამისაგან ისინი ეძებდნენ თავშესაფარს ახალს ხელოვნებაში... ახალმა ხელოვნებამ მიზნად დაისახა **ბურჟუაზიული ცხოვრების უარყოფა**, რომანტიული ხელოვნება იყო ამ უარყოფის იდეალიზაცია“ [2].

ამასვე ამტკიცებენ მსოფლიო ლიტერატურის სხვა მკვლევარებიც.

„განსაკუთრებულად უნდა ვაღიაროთ, რომ ბაირონიზმი, როგორც სოციალური მოვლენა, არის მსოფლშეგრძნობა დეკლასირებული არისტოკრატიისა... XIX საუკუნის პირველი ნახევრის ობი-

---

[1] А. Г. Цейтлин, Русская литература первой половины XIX века, стр. 62.

[2] გ. პლეხანოვი, ხელოვნება და საზოგადოებრივი ცხოვრება, გვ. 18.

ექტურმა პირობებმა ეს როლი უმთავრესად მიანიჭეს ძვ. ლი არისტოკრატიული გვარების წარმომადგენლებს. თითქმის ყველგან ამ მიმართულების პოეზია დაკავშირებულია ფეოდალურ მემამულეთა ბატონობის ლიკვიდაციასთან, ან შერყევასთან და კაპიტალიზმის გამარჯვებასთან. შემთხვევით არ არის ის გარემოება, რომ ე. წ. „მსოფლიო სევდის“, უდიდესი პოეტები ქვეყანას პოულობენ განმარტოებული ცის კოშკების ქვეშ, ან ხვდებოდენ მას ფეოდალურ კულტურასთან დაკავშირებულ განწყობილებათა ატმოსფეროში[1].

დამტკიცებულ ფაქტად უნდა ჩაითვალოს, რომ რომანტიზმის წარმოშობა და განვითარება ევროპაში ბურჟუაზიის მიერ ფეოდალური კლასის პოლიტიკურ-იდეოლოგიურ დამარცხებასთან არის დაკავშირებული. ეს პროცესი ევროპის ქვეყნებში სხვადასხვა დროსა და პირობებში მოხდა და ამან გამოიწვია რომანტიზმის მრავალფეროვანება საერთოდ.

საქართველოში კი ფეოდალური კლასის პოლიტიკურ-იდეოლოგიური დეკადანსი და მასთან დაკავშირებით რომანტიზმის მოტივების წარმოშობა და განვითარება სრულიად სხვა დროსა და პირობებში მოხდა.

III

საქართველო თავიდანვე აღმოსავლეთის ქვეყნების წრეში მოექცა. მისი ტერიტორია სტრატეგიულ პუნქტს წარმოადგენდა მეზობელი ქვეყნებისათვის — აღმოსავლეთლებისათვის დასავლეთისაკენ და დასავლეთლებისათვის აღმოსავლეთისაკენ, ამიტომ საქართველოს ტერიტორიის დაპყრობა მეზობელ სახელმწიფოებისათვის ყოველთვის დიდ მიზნებთან იყო დაკავშირებული. ამან საბედისწერო როლი ითამაშა ქართველი ხალხისათვის და მთელი საუკუნეების გასწვრივ საქართველო ცეცხლის ალში იყო გახვეული. მაგრამ თავისუფლებისმოყვარე ქართველი ხალხი ყოველთვის მამაცურად იცავდა სამშობლოს თავისუფლებას და შესაფერ პასუხს აძლევდა კარზე მომდგარ მტერს. განსაკუთრებით საქართველოს ეკონომიურ-პოლიტიკური ძლიერება XII საუკუნეში აღწევს კულმინაციურ წერტილს.

ამ დროს საქართველოს ტერიტორია მტკიცე ერთიანი პოლიტიკური ხელისუფლებით გადაჭიმულია შავი ზღვიდან კასპის ზღვა-

[1] პ. კოგანი, ნარკვევები დასავლეთ ევროპის ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. I, გვ. 287-288, თარგმანი ქს. კვანტრესი.

შდე და კავკასიონის ქედიდან ერზერუმამდე, მაგრამ XIII საუკუნიდან საქართველოს საზღვრებისაკენ დაიძრნენ მოქიშპე სახელმწიფოების ურდოები და მატერიალურად და პოლიტიკურად ძლიერი ჩვენი ქვეყანა მალე უთანასწორო ბრძოლებმა მოქანცეს და დააუძლურეს. მონღოლების შემოსევამ, ჩინგისხანის მეთაურობით, წელში გატეხა საქართველოს პოლიტიკური ძლიერება, ხოლო ამას მოჰყვა ჯელალ-ედინისა და თემურ-ლენგის სასტიკი ლაშქრობანი, რამაც საქართველო ეკონომიურად და პოლიტიკურად კიდევ უფრო დასწია უკან. მოსახლეობის დიდი ნაწილი განადგურდა და ცოცხლად დარჩენილები ტყე-ღრეში აფარებდნენ თავს. მტერმა დიდძალი ხარკი და სიმდიდრე გაზიდა საქართველოდან.

პოლიტიკურმა დაუძლურებამ გამოიწვია ეკონომიური გაღატაკება. მუშახელი თითქმის განადგურდა და ვინც დარჩა, იმასაც არ ეცალა მეურნეობისათვის. ქვეყანა გაუკაცურდა.

„ასეთ პირობებში, — მოგვითხრობს აკადემიკოსი ი. ჯავახიშვილი, — საქართველოს თავის მიწა-წყლის წინანდებურად ინტენსიური დამუშავება აღარ შეეძლო და ბევრგან გაუკაცურებული ადგილები ისევ უკაცურადვე დარჩა“ [1].

XV საუკუნიდან მონღოლებისაგან განადგურებული საქართველო ირანმა და თურქეთმა გაინაწილეს. აღმოსავლეთ საქართველოში დამკვიდრდნენ ირანელები და დასავლეთში თურქები.

„ქართველი ხალხი მედგარ წინააღმდეგობას უწევდა მტერს, მაგრამ დრო და დრო ისიც უცხოელ დამპყრობთა (ირანელებისა და თურქების) უღელქვეშ ექცეოდა. ეს დამპყრობნი სისტემატურად და განუწყვეტლივ ესხმოდნენ საქართველოს, ძარცვავდნენ და არბევდნენ მას, ათასობით და ათი ათასობით ჰიჰყავდათ ხალხი ტყვეებად... ირანელი შახები ქართლ-კახეთის სამეფოს თავიანთ პროვინციად სთვლიდნენ“ [2].

საქართველოს მოწინააღმდეგეებმა კარგად იცოდნენ, რომ ქვეყნის პოლიტიკური დაქუცმაცება კიდევ უფრო დააუძლურებდა სახელმწიფოს და უზრუნველყოფდა მათს ბატონობას. ამ მიზნით XVI საუკუნიდან საქართველო დაყოფილ იქნა ცალკე სამეფოებად და სამთავროებად, რომელთა შორის არსებობდა მტრული ურთიერთობა.

---

[1] ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. IV, გვ. 198.

[2] ფ. მახარაძე, საქართველო მე-19 საუკუნის დასაწყისში, კრებული პუშკინი საქართველოში, გვ. 11.

გარეშე ძალის გაძლიერებასა და საქართველოს პოლიტიკურად დაუძლურებას ხელი შეუწყო აგრეთვე სახელმწიფოს შინაგანმა არევდარევამ. უკვე დაიმსხვრა საქართველოს ცენტრალური მმართველობა დამპყრობელთა ქვეყნების წყალობით. თვით საქართველოს ცალკე სამთავროებსა და სამეფოებს შორის მუდმივი მტრობა და ჭიშპობა ჩამოვარდა. ცალკე დიდგვარიანი ფეოდალები დამოუკიდებელ სამთავროებისა და საათაბაგოებისაკენ მიისწრაფოდნენ.

იმის ნაცვლად, რომ საქართველოს ყველა კუთხეს ერთიანი პირი შეეკრათ და საერთო ძალით მტერი შეემუსრათ, თვით ებრძოდნენ ერთმანეთს და ამით საკუთარ სხეულს ასუსტებდნენ.

„დაიწყო თავაშვებული თარეში დიდგვარიანი ფეოდალებისა, რომელნიც გამუდმივებით ებრძვიან, არბევენ და აწიოკებენ ერთიმეორეს და მეფეებს, მეფეები კიდევ ერთმანეთსა და ფეოდალებს. ყველა ესენი იმას ცდილობენ, რომ ერთიმეორეს ორმო ამოუთხარონ ფეხქვეშ და, რაც შეიძლება, მეტად ასიამოვნონ აღმოსავლეთის დესპოტებს. პოლიტიკური პასივობა, ინტრიგანობა, დესპოტთა წინაშე ეფემერულ უფლებათა შენარჩუნებისათვის მლიქვნელობა და სამარცხვინო მუხლდრეკა, პოლიტიკური და სარწმუნოებრივი რენეგატობა, — აი დამახასიათებელი თვისება ამ ეპოქის მე'ვეური ფეოდალური კლასისა“[1].

საქართველოს გარეშე მტრებთან ბრძოლასა და შინაურ ანარქიას შესანიშნავად გამოხატავს აღორძინების პერიოდის პოეტი დავით გურამიშვილი.

თურქი, სპარსი, ლეკი, ოსი, ჩერქეზ, ღლივი დიდოქისტი
სრულად ქართლის მტერნი იყვნენ, ყველამ წაჰკრა თითო ქიშტი.

მერმე შინაც აიშალნენ, ძმამ მიუდვა ძმასა ყისტი...
თავის თავსა ხმალი იცვს, გულთა მოიხვედრეს ნიშტი

ან და

ვით მამალი სხვის მამალსა დამტერდეს და წაეკიდოს,
მას სცემოს და თვით იცემოს, დაქოჩროს და დაეკიდოს.
რა ორივე დაღალულნი ძალმან ნახოს, პირი ჰკიდოს.
ეგრე ქართლი და კახეთი დარჩა თურქთა, ლეკთა დიდოს.
(„პირი ქართლისა“).

[1] კ. კეკელიძე. ქართული ფეოდალური ლიტერატურის პერიოდიზაცია გვ. 47.

ყოველივე ამის გამო სუსტდებოდა და ეცემოდა საქართველოს პოლიტიკური ძლიერება. განსაკუთრებით მე-17, მე-18 საუკუნეებში ისე შერყეულა სახელმწიფოს მმართველობა, რომ მოთარეშე ლეკებისა და მთიულთა სხვადასხვა ტომებისაგან მოსახლეობას მოსვენება არ ჰქონია. მარბიელი ლეკები ჯგუფ-ჯგუფად შემოიპრებოდნენ ქართლისა და კახეთის სოფლებში და აწიოკებდნენ წმვიდობიან მცხოვრებლებს, ნაწილი კი ტყვედ მიჰყავდათ დაღესტანში. ამას ადასტურებს გარდა მხატვრული ლიტერატურისა ისტორიული დოკუმენტებიც.

,,ამ ხანებში (იგულისხმება მე-17, მე-18 საუკუნეები კ. მ.) ლეკების შემოტევას ისეთ საზომისათვის მიუღწევია, რომ იესე ოსესშვილის მოწმობით, ახირებული პროექტი წარმოშობილა, მთელი ქართლის მოსახლეობამ ერთად მოვიყაროთ თავი და სამ ადგილას დავსახლდეთ. თბილისში, შუხრანში და ვაკეშიო. როცა მტერი მოვა, ბევრი გამოვალთ და პასუხს გავცემთ, თორემ ისე დაგვაწვრილმანებენ, რომ დამმარხავსაც ვეღარ ვიშოვნითო'' [1].

სახელმწიფოს დაქვეითებას აგრეთვე ხელს უწყობდა ფეოდალების სასტიკი დამოკიდებულება გლეხობისადმი, რასაც იურიდიულად ამართლებდა ვახტანგ მეფის კანონები. მებატონეები აუტანელ პირობებში აყენებდნენ გლეხობას. ყმის ცემა, გაყიდვა, გლეხქალის გაჯპატიურება ჩვეულებრივ მოვლენად ითვლებოდა. გლეხობის ყიდვა-გაყიდვაში არც სამღვდელოება ჩამორჩებოდა მებატონეებს [2].

საქართველოს იმდროინდელ ეკონომიურ-პოლიტიკურ დაცემას, შინაურ ქიშპობასა და არეულობას გენიალურად ახასიათებს ხალხთა დიდი ბელადი ამხანაგი ს ტ ა ლ ი ნ ი:

> ,,ქართველები... ნაწილდებოდნენ რა ერთმანეთისაგან მოწყვეტილ მთელ რიგ სამთავროებად, მათ არ შეეძლოთ საერთო ეკონომიური ცხოვრებით ეცხოვრათ, საუკუნეების განმავლობაში ომობდნენ ურთიერთ შორის და ანადგურებდნენ ერთმანეთს, უსისინებდნენ ერთი მეორეს სპარსელებსა და თურქებს. სამთავროების ეფემერული და შემთხვევითი გაერთიანება, რასაც ზოგჯერ ესა თუ ის იღბლიანი მეფე ახერხებდა, უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ ზედაპირულ ადმინი-

[1] გ. კიკნაძე, ერეკლე მეორე, გვ. 109-110.

[2] ალ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. II, გვ. 8.

სტრატიულ სფეროს ეხებოდა და ეს გაერთიანება ჩქარა ინგრეოდა თავადების ჟინიანობით და გლეხების გულგრილობით. სხვაგვარად არც შეიძლებოდა ყოფილიყო საქართველო ეკონომიური დაქსაქსულობის პერიოდში'' [1].

პოლიტიკურად დაუძლურებული საქართველო ერთმორწმუნე ევროპის ქვეყნებისაკენ იშვერდა ხელს დახმარებისათვის, რადგან აღმოსავლეთის ქვეყნებთან დაკავშირება პოლიტიკურ უფლებებთან ერთად სარწმუნოების დაკარგვასაც მოასწავებდა. ამ მიზნით იმოგზაურა მე-17 საუკუნეში ევროპაში სულხან-საბა ორბელიანმა, ამისათვის გაიგზავნა შემდეგშიაც მრავალი ელჩი რუსეთის მეფესთან, მაგრამ ყოვილივე ეს იმჯერად უშედეგო აღმოჩნდა.

ამრიგად, აღმოსავლეთის ქვეყნებთან უსწორო ბრძოლაში საქართველო მარტო იყო. ერთი მუჭა ქართველები სისხლისაგან იცლებოდნენ, მაგრამ მაინც გმირულად იცავდნენ სამშობლოს თავისუფლებას და ქრისტეს სარწმუნოებას. მარტო ამაგრებდა საქართველო აღმოსავლეთის დიდ კედელს, რომლითაც იგი დასავლეთისა და ჩრდილოეთის ქრისტიანული ქვეყნებისათვის მშვიდობიანობას ამყარებდა, ხოლო თვით ამ მეზობელ ქვეყნებს ამ დროს საქართველოს დასახმარებლად აღარ ეცალათ. სამართლიანად უსაყვედურებს **დასავლეთის სახელმწიფოებს ვახტანგ ორბელიანი: „დასავლეთის ქრისტეს ერნო, თქვენ რას შვრებოდით, როცა ქრისტესთვის თქვენს თვალწინა, თქვენს კარს ვხწყდებოდითო''** [2].

ზოგჯერ ევროპის სახელმწიფოებთან მეგობრობის ძებნა საქართველოსათვის საბედისწერო როლს თამაშობდა. ირანი და თურქეთი იმას ცდილობდნენ, რომ საქართველო ევროპის ქვეყნებს, განსაკუთრებით, რუსეთს არ დაკავშირებოდა და თუ კი ასეთი მისწრაფება შემჩნეული იქნებოდა, სამაგიეროდ ქართველებს სისხლისმღვრელი ომებით უპასუხებდნენ. როდესაც 1783 წელს ერეკლე მეორემ და ეკატირინე მეორემ ხელშეკრულება გააფორმეს, ამით განრისხებულმა აღა მაჰმად-ხანმა თბილისი ააოხრა, ცეცხლსა და მახვილს მისცა საქართველო. ამ კრიტიკულ დროს ბრძოლის ველზე ერეკლე მარტო აღმოჩნდა. ერეკლეს სიკვდილის შემდეგ გიორგი ბატონიშვილმა მამის ანდერძი სისრულეში მოიყვანა და საქართველოს ბედი რუსეთს დაუკავშირა. 1801 წლის მანიფესტს რუსეთის

[1] ი. სტალინი. მარქსიზმი და ნაციონალ-კოლონიალური საკითხი, გვ. 9.

[2] ვ. ორბელიანი, ლექსების კრებული, მარიამ ორბელიანის გამოცემა, გვ. 162.

იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა ხელი მოაწერა და ამიერიდან საქართველო ცარიზმის ხელქვეითად გამოცხადდა. **საქართველოს ფეოდალურმა არისტოკრატიამ 1801 წლის მანიფესტით დასრულა დიდი ხნით შერყეული პოლიტიკური ბატონობა.**

ამრიგად, გარეშე მტრების მუდმივი მოწოლისა და შინაგანი ერთიანი პოლიტიკის უქონლობის გამო, საქართველოს ფეოდალურმა არისტოკრატიამ ჯერ კიდევ მე-17, მე-18 საუკუნეებში განიცადა დიდი ეკონომიური და პოლიტიკური მარცხი, ხოლო მე-19 საუკუნის დასაწყისში სამუდამოდ დაჰკარგა ტრადიციული პრივილეგიები

მაშასადამე, იმ დროს, როდესაც ჯერ კიდევ ევროპაში ფეოდალური არისტოკრატია ქვეყნის ბატონ-პატრონად გრძნობდა თავს, საქართველოში თავადაზნაურობა უკვე პოლიტიკური მარცხის შედეგად სულიერ დაცემულობას განიცდიდა.

მართალია, მე-17, მე-18 საუკუნეებში საქართველოს ფეოდალური კლასი ბურჟუაზიასთან ბრძოლაში არ დამარცხებულა ამ უკანასკნელის სისუსტის გამო, მაგრამ ქვეყნის შინაურული არეულობითა და გარეშე სახელმწიფოთაგან ზემოქმედებით საქართველოს არისტოკრატია რღვევის გზას დაადგა, რამაც გამოიწვია ამ კლასის იდეოლოგიური დაცემა და ნაადრევად რომანტიკული მოტივების ჩასახვა-განვითარება.

IV

რომანტიზმი პოლიტიკურად დაცემული ფეოდალური კლასის იდეოლოგიის გამოხატულებაა. ამიტომ რომანტიკოსებისათვის დამახასიათებელია **აწმყოთი დაუკმაყოფილებლობა, პესიმიზმი, ზოგჯერ ნიღილიზმამდე მისული, კონფლიქტი პიროვნებასა და საზოგადოებას შორის, მარტოსულობა — ომლობა, ხამდურავი სოფლისადმი, რელიგიური მისტიციზმი. წარსულის გაიდეალება და სხვა.**

რომანტიზმის ეს მოტივები, რომლებიც ევროპის ლიტერატურამ მე-18 საუკუნის მიწურულსა და მე-19 საუკუნის დასაწყისში განაგითარა, ცხადად გამოამჟღავნეს ქართველმა მწერლებმა მე-17, მე-18 საუკუნეებში. აღორძინების პერიოდის ქართველმა პოეტებმა პირველად აჟღერეს რომანტიზმის მოტივებზე თავიანთი ჩანგი, და ადრევე გამოსახეს ის სულიერი ტკივილები, რამაც შემდეგ მსოფლიო რომანტიკოსების შემოქმედებაში ძირითადი ადგილი დაიჭირა.

—:—

თეიმურაზ პირველმა ცხოვრებასთან კონფლიქტით დაიწყო თავისი პოეტური შემოქმედება. მისი აზრით, სოფელი მუხთალი და გაუტანელია. იგი პირველად ტკბილად მოეჩვენება ადამიანს, მაგრამ ბოლოს უმუხთლებს, გასწირავს:

უწყის სოფელმან, სოფელი არავის გაუთავდების,
პირველად ამოდ შეიტკბობს, საყვარლად დაუამდების,
აღარ გაჰყვების, ბოლოს ჟამს უმუხთლებს, გაუავდების,
მე მას ვჰგმობ, ვინცა მიენდოს, ანუ ვინც დაუზავდების [1].

განსაკუთრებით საგრძნობია სოფლის სიმუხთლე ოდეს ბრწყინვალე, ამჟამად დაცემული, ფეოდალური კლასის წარმომადგენლისათვის, და ისიც ყველაზე ტრაგიკული ცხოვრების მჭონე მეფის თეიმურაზ პირველისათვის. მაგრამ მისი აზრით ეს მარტო მისი წილხვედრი როდია, იგი ყველა მომაკვდავთ ადამიანთა ხვედრიცაა და ამ კანონს ემორჩილება თვით მეფეც. აბა მოიგონეთ ის ხალხნი, რომელნიც ერთ დროს ქვეყანას მართავდნენ, ხელმწიფის გვირგვინი მათ თავს უმშვენებდათ და ოქროს ტახტითა და სრასასახლეებით შიშის ზარს სცემდნენ ქვეყანას, სად არიან ახლა? — სვამს კითხვას თეიმურაზი.

განსაჯეთ საქმე სოფლისა, ნეტა ვის გასთავებია?
ვის ჰქონდა მუდამ სრა-ტახტი, მოშლია მას თავებია...
(გვ. 139).

ჭუთისოფლის უკმაყოფილო პოეტი გულმოკლულად გოდებს

სოფელმა თავის სიმუხთლე ჩემზედა არა დალია,
მაკვდინებელი წამალი მე მასვა, მან არ დალია,
გულრღმულსა შიგან შთამაგდო, შიგა დამიხვდა და ლია...
(გვ. 140).

...კრულმან სოფელმან ჩემი დღე სრულად სიმწარით მანანა,
(გვ. 140).

...ნეტავი ყველამ იცოდეთ, სოფელი როგორ მჭნელია,
კაცსა მიიწდობს ღალატად. ცბიერი ვითა მელია...
(გვ. 140).

....,მას არავინ უნდა მიენდოს“ — ესე ნათქვამი ძველია...
(გვ. 140).

[1] თეიმურაზ პირველი, თხზულებანი, ალ. ბარამიძისა და გ. ჯაკობაიას რედაქციით, გვ. 139.

ფეოდალური კლასის დაცემულობამ და პირადმა ტრაგიკულმა ცხოვრებამ თეიმურაზი ცხოვრების საერთო უარყოფამდე მიიყვანა.

„როგორც ვიცით, — სწერს პროფ. ალ. ბარამიძე, — თეიმურაზის დროინდელი ფეოდალური საზოგადოება ძალუმად ამჟღავნებდა დაცემისა და დაქვეითების ცხადლივ სიმპტომებს. დაცემულობის მომენტები აღბეჭდილია თეიმურაზის პოეზიაშიც“ [1].

თეიმურაზის აზრით ადამიანის ცხოვრება იმიტომაც არის უფერული, რომ იგი ხანმოკლეა — წუთიერია. სიკვდილი ადამიანის ტანჯული ცხოვრების ლოგიკური დასასრულია.

„ან ადრე დაგვხოცს, უდროოდ, ახალსა მოუწევარსა..., თუ არა და „გრძლად“ გვაცოცხლებს, მაგრამ სულიერ მოსვენებას მაინც ვერ ნახავს ადამიანი.

თუ გრძლად გვაცოცხლებს, ჩვენ გვიზამს საქმესა უარესებსა,
რაც გვიყვარს, თვალწინ დაგვიხოცს, სულთაგან უკეთესებსა...
ცეცხლსა მოგვიდებს უშრეტსა, ჩვენთვის ჩამოჰკრავს კვესებსა,
ჩვენ დაგვიმკვიდრებს ჭირთა და სულთქმა, ვაება კენესებსა.
(გვ. 111).

ან და

თვალთა დააკლებს ნათელსა; სოფლისა მაშვენებელსა,
წარბსა, მშვილდულებრ მოხრილსა, მიჯნურთა მახელებელსა,
(გვ. 111).
...პირსა დააჭკნობს მნათობსა, უთეთრეს ზამბახისასა...
(გვ 112).
...წახრის და მოსდრეკს ლერწამსა, ტანს-სარო ალვის ხისასა, (გვ. 112).

ან კიდევ:

ერთდღე ვიცინოთ, მით უნდა მრავალ ჟამ ვიყოთ მგლოდები,
ბოლო ჟამს ისევ სიკვდილი, გულზე მიწა და ლოდები...

თეიმურაზის პოეზია უღრმესად პესიმისტურია. პოეტი ვერავითარ სიამეს ვერ ჰპოულობს ცხოვრებაში და სიკვდილს ნატრობს.

ამ საკითხში თეიმურაზ პირველი XIX საუკუნის განთქმულ რომანტიკოსებს არ ჩამოუვარდება. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ალ. ჭავჭავაძე თავის ლექსში „სხვადასხვა დროისათვის კაცისა“ უშუალოდ თეიმურაზის გავლენას განიცდის.

---

[1] ა. ბ ა რ ა მ ი ძ ე, ნარკვევები ქართ. ლიტ. ისტორიიდან, ტ. II, გვ. 137.

თეიმურაზის პესიმიზმის გამომწვევ მიზეზს სწორად განსაზღვრავს აკადემიკოსი კ. კეკელიძე:

„სარწმუნოებრივ გრძნობასთან ერთად თეიმურაზის პოეზიაში არანაკლები სიმძლავრით თავი უჩენია აგრეთვე პესიმისტურ მოტივებს. ეს ქვეყანა, ცხოვრება, წუთისოფელი, მისი რწმენით, მუხთალია, ვერაგი, გაუტანელი, დაუნდობელი, შეუბრალებელი, ხრწნადი და წარმავალი. ეს მოტივი ისმის თითქმის თითეულს მის სტრიქონში... მიზეზი თეიმურაზის პესიმიზმისა, პირველყოვლისა, სოციალურ-პოლიტიკური ხასიათისაა — დაცემა და დაქვეითება თანამედროვე საზოგადოებისა, განსაკუთრებით მისი მესვეური ფეოდალური კლასისა.

...უბედურება მისი პოლიტიკური მოღვაწეობისა, რომელიც კატასტროფით დამთავრდა, შეიძლება ითქვას, აი რა კვებავდა უმთავრესად მის პესიმიზმს. მაგრამ ამას თან ერთოდა მისი პირადი ცხოვრების უბედობა და დაუკმაყოფილებლობა“[1].

—:—

ცხოვრებისადმი გულგატეხილობა კიდევ უფრო გააღრმავა არჩილ მეფემ. არჩილის პოეზია საწუთროსაგან გულმოკლული ადამიანის კვნესაა. არჩილმა ადამიანი საწუთროს დაუპირისპირა და ყოველივე გულისწყრომა სოფელზე ათქმევინა. ადამიანი არ ზოგავს საწუთროს და გულმოკლული მის ყველა სიმუხთლეს ასახელებს. ამ მხრივ საყურადღებოა მისი ნაწარმოები „გაბაასება კაცისა და სოფლისა“, აგებული რელიგიურ-მისტიკურ სიუჟეტზე.

XIX საუკუნის ევროპელი რომანტიკოსებისათვის ადამიანის ტრაგიზმის მიზეზი მისი ორი თვისებისაგან არის გამოწვეული.

ერთია ცოდნა — გონიერება, ხოლო მეორე კი ადამიანის დაუკმაყოფილებლობა.

რომანტიკოსების აზრით ადამიანის ცხოვრება არაარაობაა, სიკეთის ყველა ასაკში ადამიანი უბედურია, რადგან იგი გონიერი არსებაა. მათი აზრით გონიერი ადამიანი არასოდეს არ არის ცხოვრებით კმაყოფილი, რადგან გონება მას საშუალებას აძლევს შეიმეცნოს თავისი არაარაობა, წინასწარ განსჭვრიტოს მოსალოდნელი უბედურება[2].

---

[1] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, გვ. 515.

[2] დაწვრილებით ამ საკითხზე იხილეთ ჩვენი ნარკვევი „გრძნობისა და გონების ურთიერთობა ალ. ჭავჭავაძის შემოქმედებაში“, ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, ტ. VI, 1946.

ამის გამო ალექსანდრე ჭავჭავაძე სწერდა:

დავეხსნათ ცოდნის ძებნასა,
ღვინო სჯობს ყოველ მცნებასა,
ბრძენი სულ სიკვდილსა ფიქრობს
და ლოთი გამარჯვებასა.

რომანტიკოსების ეს მოტივი ჯერ კიდევ XVII საუკუნეში გამოხატა არჩილ მეფემ. არჩილის აზრით, ეს სოფელი მუხთალია და გაუტანელი. განსაკუთრებით იგი უბედურებაა გონიერი, ბრძენი კაცისათვის, ხოლო სანატრელია უცებთა ანუ უვიცთათვის. ამდენად არჩილი სოფელს ,,**ბრძენთა ხაძულარს**'' და ,,**უცებთა სანდომელს**'' უწოდებს.

მუხთალო, ცრუო, მტყუანო, ერთს წამსაც დაუდგრომელო,
დაუნდობარო, მძრახველო, სულ იქი-აქა მძრომელო,
ბრძენთ საძულარო, ყოველთა უცებთა მწვე სანდომელო!
რას მყვედრი, რისთვის არ იტყვი, ვინ დააშავე, რომელო?![1]

პოეტის აზრით საძულველია სოფელი, რადგან ბრძენმა, გონიერმა ადამიანმა იცის ცხოვრების აზრი, მისი მუხანათობა, ხოლო უვიცთათვის სანდომებელია, რადგან მას უვიცობის გამო ჯერ კიდევ ვერ შეუგნია ქვეყნის ჭირ-ვარამი, არ განუცდია მისი მუხთლობა. ასეთივეა XIX საუკუნის რომანტიკოსთა შეხედულება ცხოვრებაზე. ეს აზრი ჯერ კიდევ XVII საუკუნეში გამოხატა არჩილმა.

არჩილი კიდევ უფრო შორს მიდის. რომანტიკოსთა აზრით ადამიანის უბედურებას მისი დაუკმაყოფილებლობა იწვევს. ცხოვრება ,,საწყაულია აღუვსებელიო'' — ამბობდა ნიკოლოზ ბარათაშვილი და დასძენდა:

ვინ არის იგი, ვის თვის გული ერთხელ აღევსოს,
და რაც მიეღოს, ერთხელ ნატვრით, ისი ეკმაროს?
თვითონ მეფენიც უძლეველნი, რომელთ უმაღლეს
ამაო სოფლად არღა არის სხვა რამ დიდება,
ჰშფოთავენ და დრტვინვენ, და იტყვიან: ,,როდის იქნება
ის სამეფოცა ჩვენი იყოს'', და აღიძვრიან
იმავე მიწის თვის, რაც დღეს თუ ხვალ თვითვე არიან...

ადამიანის დაუკმაყოფილებლობას ეხებოდა ალ. ჭავჭავაძეც-

[1] არჩილიანი, გვ. 23.

გვსურს დიდება, გვსურს პატივი,
გვსურს სახელის განთქმა, ქუხება,
რა ვერ ვპოვებთ საწადელსა,
შეგვექმნების შურით ჭმუხვა.

რომანტიკოსების ეს მოტივიც არჩილმა ნათლად გამოხატა თავის შემოქმედებაში. მან ცხოვრებით დაუკმაყოფილებელ ადამიანს ასეთი საყვედური ათქმევინა საწუთროს მიმართ:

თუ მდიდარ მყოფ, კიდევ უფროს დიდებასა მომანდომებ,
როს შემომყრი დიდს ლაშქარსა, თავსა დიალ მომაწონებ.

ან და:

უთვალავი ოქრო-ვერცხლი მქონდეს, თვალნი თლილნი ხმირადა,
არ გამაძლებ, სიხარბესა შემყრი, შემაქ დიდად ჰირადა,
ჩემი მყვანდეს მშვენი და სხვას ეხვას რამ დუხჭირადა,
ფუ, წყეულო, მომანდომებ, შოვნადაც შემიქ გასაჭირადა.

მედგას ცხენი ბედაურნი, ფიცხნი, კარგნი, მუხლად ძალადა,
ოდეს ვნახო ერთი სხვისა თოხარიკი ლალად მაგლად,
ან ნებითა გამოვართმევ, თუ არ მომცემს მერმე ძალადა,
ახრე გამხდი უსამართლოდ, არ მყოფ მისად [1]ესაბრალადა.
(გვ. 32).

არჩილის აზრით ასეთია ადამიანის გაუმაძღარობა და ამაშია მისი ტრაგედიაც.

გარდა ამისა ადამიანის ცხოვრების არარაობის დასახატავად და საწუთროს სიმუხთლის დასამტკიცებლად არჩილს, მსგავსად თეიმურაზისა, მოჰყავს მეფეების მაგალითი.

რა უყავ მეფე სვიანი, ვისაც ქვეყანა დახარდა?
პალატი სავსე ლხინითა, ან-ის სიცილი ხარხარ, და,
კვლავ ნადირობა, შეჭცევა, იძახდენ: ,,არის ხარ-ხარ-და'',
აწ ოხრად ჰვრეტენ ყოველთა, ასე სიმუხთლეს მზა ხარდა.
(გვ. 58).

არჩილის პესიმიზმი არ არის უბრალო შემთხვევით გამოწვეული. იგი ადამიანის ზოგად პრინციპზეა აგებული. მისი აზრით ადამიანი უსუსური არსებაა, იგი მიწისაგან შეთითხნილი საგანია და მალე ისევ მიწად, მტვრად იქცევა: ეს მე ბრძენისაგან მაქვს გაგონილიო,— ამბობს პოეტი.

[1] ხაზი ჩვენია.

კაცი მიწა, ან სხეული კვამლი არის აღგზნებული,
ბოლო ყოველთ ნაცარია, ქარის პირსა დადებული,
მართალ უთქვამს წმინდა დავითს ,,ცრუ ვართ ყოველ
აგებული".

არჩილის აზრით სოფელი კიდევ იმიტომ არის უარყოფითი, რომ იგი ცვალებადია, ყოველივე სიამე ქვეყანაზე მოჩვენებითია, ყოველივე მშვენიერი წარმავალია. დღეს საწუთრო ადამიანს გაადიდებს და ხვალ კი მოსპობს, მიწასთან გაასწორებს.

გუშინ ვინმა განამდიდრა, ადიდა და გაახარა,
დღეს დასცა და დაამდაბლა, საბრალო დააგლახარა...
მიჩვენე გუშინდელისა ყვავილის შვენიარება,
სად არს სიტურფე, სინაზე და მისი ნებიარება,
ფერი ყირმიზი-ყაყაჩო, თეთრ ბროლი შეიწერება,
ეგზომ სიკეთე არ ცუდჰყავ, რომე ძლივ დაიწერება?.
(გვ. 57).

აი ასეთია არჩილის ზოგიერთი მოტივი, რომლითაც იგი რომანტიკოსებს ენათესავება.

—:—

თეიმურაზისა და არჩილის სევდიანი პოეზიის გაგრძელებაა ვახტანგ VI-ს შემოქმედება. ვახტანგის ლირიკა კიდევ უფრო სევდიანი და კაეშნიანია ემიგრანტობის გამო. სამშობლოდან ექსორიაქმნილი პოეტი, საკუთარი კლასის დაცემასთან ერთად, მშობლიური ცის დაკარგვასაც ტიროდა. უცხო ქვეყანაში გადახვეწილ პოეტს თავი ობლად ჰქონდა წარმოდგენილი და უთვისტომობას ასე გამოხატავდა:

დავკარგე სამკვიდრებელი, მოყვასი, მონა, ძებია,
სხვას თემად გადმოვიკარგე, არვისგან მონაძებია,
გამომიყვანე წყალობით გავარდნილ-მონაძებია;
მომხადე შესამოსელი სამგლოვო, საძაძებია.

ერთი მხრივ, საკუთარი კლასის დამარცხებამ და, მეორე მხრივ, სამშობლოდან ცივ ჩრდილოეთში გადახვეწამ, კიდევ უფრო ტრაგიკული გახადა ვახტანგ მეექვსის ცხოვრება და გაალრმავა წუთისოფლისადმი მისი გულგატეხილობა. აი როგორ გოდებს პოეტი:

გამსაჯა მიწყივ სოფელმა, უფრო ყველასგან აჯამა...
...ამავსებინა ცრემლითა კალთა, ფიალა, აჯამა
მწვე მომაწყინა სოფლისა ასე უბრალოდ გარჯამა.

...მაუბედურა სოფელმა, ნამეტნაობით აჯამა,
...ამავსებინა ცრემლითა, საბანქო შენი აჯამა
...ცრემლთა ნაკადმა ააესო, ნახეთ — გაცნობოთ მაჯამა,
დამწვა სოფლისა საცდურმან, ვეღარა სცემოს მაჯამა...

განსაკუთრებით პესიმისტურია ვახტანგის ელეგიები.

დამიმონა კაეშანმა, სევდა მომხვდა მისთვის წამლად,
ნაღველს ვხმარობ მუდამ მელნად, გულსა ვიწვევ მისად კალმად.

უაღრესად პესიმისტურია ვახტანგის ეს სიტყვები. XIX საუკუნის ბევრი რომანტიკოსი სიამაყით მოაწერდა ამ სტრიქონებს თავის სახელსა და გვარს.

სამართლიანად დასძენს აკადემიკოსი კ. კეკელიძე: ,,ამრიგად, ვახტანგი დამღერის წუთი სოფლის ვერაგობას, საკუთარი ბედის ვალალობას და სამშობლოს არევდარევას, ამან ელეგიური პესიმისტური ხასიათი მისცა მის პოეზიას [1].

—:—

რაც დრო გადიოდა, ფეოდალური კლასის დაცემულობა და უპერსპექტივობა კიდევ მკვეთრ გამოხატულებას ჰპოულობდა აღორძინების ხანის ლიტერატურაში. XVIII საუკუნის პოეზიამ კიდევ უფრო უიმედოდ დასახა ადამიანის ცხოვრება.

პოეტმა მამუკა ბარათაშვილმა ჩვეულებრივი სიმწვავით დააყენა წუთისოფლის სიმუხთლისა და ვერაგობის საკითხი. პოეტს აკვირვებს, რომ საწუთრო ადამიანის მტერია და ადამიანი კი მაინც საწუთროს ,,მდომარე''.

საწუთრო ეს მუხთალი, ყოველთა მტერი,
რისთვის არს კაცი იმის მდომარე.
ბევრი ჰყავს ჩემებრ მდურავი, ხამს ზღვათა მჯდომი მცურავი
...წყეული ხარ, ბევრი სჩივის, მაქებარი არვინ გივის.

მამუკა ბარათაშვილის პესიმიზმი, მსგავსად ვახტანგ მეექვსისა, კიდევ უფრო გაამწვავა ემიგრანტულმა ცხოვრებამ. პოეტს აწუხებს უცხო ქვეყანაში გადახვეწა,

მწირობა სხვათა ქვეყნისა, უხმარ და უქმად გდებანი.

ცხოვრებაზე გულგატეხილი პოეტი ჩვეულებრივ საყვედურით მიმართავს სოფელს:

[1] კ. კეკელიძე. ტ. II. გვ. 552.

ჰე სოფელო, შენთა მსგავსი, ვითა ვწადდა დამეძარცა,
სიცრუითა აღლესილი გულთა მკარ და დამემარცა,

და ბოლოს დასძენს:

ჩემგან საწუთროს ჩივილი
სცანით, თუ მრუდად აღვილი,
მაქვან მრავალი ტკივილი,
გულკვნესით აღმონთხეული.
(მოკლე შეწყობილი).

ერთ პატარა ლექსში მამუკა ასე ახასიათებს წუთისოფლის სიმუხთლეს:

ვინ ენდო მცირედ სოფელსა,
შეიქმს ჩემებრივ მყოფელსა,
დავგმე და სული უხარი
მათ, ვინცა მისგან უხარი.

და ბოლოს ისეთ გულგატეხილობას იჩენს პოეტი, რომ სიკვდილს ნატრობს, „სიკვდილი მაქვს სიხარულადო".

—:—

აღორძინების ხანის მწერალთა შორის საწუთროს მუხთლობა და გმობა განსაკუთრებული გრძნობით გამოხატა ემიგრანტმა პოეტმა დავით გურამიშვილმა. დ. გურამიშვილისათვის საწუთრო ანუ წუთისოფელი მუხთალია, გაუტანელი, ცრუ და მატყუარა. მისი აზრით ადამიანის ცხოვრება ამ ქვეყანაზე მხოლოდ ტანჯვასა და წამებას წარმოადგენს. გარემო ადამიანის სატანჯველად არის მოწყობილი, ამდენად ადამიანი უბედური და უნუგეშო არსებაა. პოეტი თავის დაბადების დღესაც კი სწყევლის.

გული ღონდება, ვიწყო გოდება: ვაი საწუთრო
ცრუო სოფელო!
ბორგნა-ბოდება, რაც მაგონდება, ვაი საწუთრო
ცრუო სოფელო,
სული მშორდება, ხორცი მშორდება, ვაი საწუთრო,
ცრუო სოფელო,
რად მშვა დედამან, შაგმა ბედამან: ვაი საწუთრო
ცრუო სოფელო[1].

[1] დავითიანი, ალ. ბარამიძისა და ს. ორდანიშვილის რედაქციით, გვ. 183.

საწუთროსადმი გულგატეხილი პოეტი სვამს კითხვას: რად არის ასე უკუღმართად მოწყობილი ადამიანის ცხოვრება, თუ არის სიხარული და სიცოცხლე მუდამ იყოს.

თუ ხარ ღვიძილი, რაღა არს ძილი?!
თუ ხარ სიმაძღრე, რა არს სიშილი?!
თუ ხარ სიცოცხლე, რა არს სიკვდილი?!
იყავ ერთ-ერთი, იწამე ღმერთი!
(გვ. 185).

კიდევ მეტი მხატვრული ვირტუოზობით გამოხატავს დ. გურამიშვილი ცხოვრების სიმუხთლეს ამ ლექსში.

მიდის, მოდის ეს სოფელი,
ჭარტეხილთა ზღვისებრ ღელავს,
უკან დაზდევს დრო და ჟამი,
მის ნაქსელავს ქსოვს და სთელავს.

ის მჭლე კაცი ცელს რას აქნევს,
რასა სთიბავს, რასა სცელავს,
ამად ვწუნობ საწუთროსა,
სულ ბნელია რასაც ელავს.

ჰეშმარიტად დიდი განცდების პოეტია დავით გურამიშვილი. ცხოვრების ჰირ-ვარამის ღრმა მცოდნე და მრავალ ჰირგადახდილი.

„გურამიშვილის თვითეული შხამიანი სიტყვა ყოველგვარი მეტაფორის გარეშე — მართლაც მისი გულისფსკერიდან ამონახეთქი ნაღველის წვეთია და არა ესტეტიური მოდით ნაკარნახევი პოეტური ფიქცია“ [1].

უდავოა, რომ თეიმურაზის შემდეგ ადამიანის ცხოვრება გურამიშვილის მსგავსად არავის დაუტირებია. პოეტის სევდა-კაეშანი უსაზღვროა. პოეტი ცრემლად იღვრება და ცხოვრებიდან გამოსავალს ვერ პოულობს. მისი აზრით სოფელი მატყუარაა და მასზე მინდობილი ადამიანი უბედური არსებაა.

ნუ მიენდობი, საწუთრო მტყუანი არის უპირო:
...დღეს რომე ლხინი მოგაგოს, ხვალ ვერ მოურჩე უჭირო...

[1] ალ. ბარამიძე, დავითიანი, გვ. VIII.

გურამიშვილის პირადი სევდა მის პესიმიზმს უფრო მეტად აღრმავებს. სასოწარკვეთილი, ცხოვრებით გულგატეხილი მგოსანი ასე ტირის:

მე ამად ვსტირი, არა გვაქვს პირი.
შემაქენ ჰირი, საქმე საჰირი.
მე შენგნით მწირი, ვარ განაწირი,
რაზომც ან[ა]თობ, სულ მუხანათობ.

ხარ საძაგელი, არად სარგელი,
დასაკარგელი, გარდასაგელი,
კარგს არას გელი, ცხვარსა მჭამ მგელი,
მიძმობ თუ მინდობ, მაინც არ მინდობ.

(გვ. 184).

დ. გურამიშვილის ღრმა პესიმიზმის მიზეზი, როგორც სამართლიანად შენიშნავს პროფ. ალ. ბარამიძე, უნდა ვეძიოთ მაშინდელი საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ დაცემულობასა და თვით პოეტის პირადს ცხოვრებაში[1].

ამავე დროს დ. გურამიშვილის სევდა ღრმა და ზოგადი ხასიათისაა. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ დავით გურამიშვილის პოეზია უშუალოდ დაუკავშირდა XIX საუკუნის ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებას.

—:—

აღორძინების პერიოდის სევდიან ლირიკას ახალ ელფერს აძლევს ბესარიონ გაბაშვილის შემოქმედება. მართალია, ბესიკი ხორციელი ვნებისა და ამქვეყნიური ნეტარების პოეტია, მაგრამ ისიც კი დაიფიქრა ცხოვრებამ, მასაც მოხვდა „სოფლის მკვლელი ბრჭყალები“:

მეც მომხვდა სოფლის მკვლელი ბრჭყალები;
ბესიკი სიკვდილს არ ვემალები.

(გვ. 4).

ბესიკისათვის ცხოვრების უკუღმართობა ჩვეულებრივი მოვლენაა, მისი აზრით განა ვინ ჰპოვა ქვეყანაზე ბედნიერება, რომ მისი ცხოვრება ტკბილი და წყნარი ყოფილიყო.

ვინ ჰპოვა სოფლიდან ბედნიერება
ვინცა სცნობს წყეულსა — დაეკრძალება,

[1] ა. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტ. ისტორიიდან. ტ. II. გვ. 38.

უნუგეშოთ მართებსთ მართლა ვაებად —
ვტიროდე და ვრბოდე, ველად და ველად.
(გვ. 102).

პესიმისტი პოეტი ბესიკი საწუთროს უკმაყოფილოა, მან დაჰკარგა ბზის ბრწყინვალება და სიბნელემ მოიცვა მისი ცხოვრება.

გამტყორცნა სოფელმან, მოვშორდი მზესა
დღენი ჩემნი წარვლენ ბნელად და ბნელად,
რაყიფად შემექნა ბედივე ჩემი,
სიცოცხლესღა ვპოვებ ძნელად და ძნელად.
(იქვე).

აღორძინების ხანის თითქმის ყველა პოეტმა მწარე ცრემლებით გამოიტირა წუთისოფელი. ვერც ერთმა მათგანმა ვერ ჰპოვა კმაყოფილება და სულიერი სიმშვიდე და უსაყვედურებს ბესიკი წუთისოფელს ,,ყოველ მელექსეთა'' სახელით:

რა გსურს, წუთი სოფელო
ყოველ მელექსეთა დამადუნებელო.
ჩემებრ ბედ წარსულზე გინდა ისახელო.

მართლაც უნდო სოფელმა ისედაც დამარცხებული ბესიკი სულ დაანარცხა მიწაზე, დაუკარგა მომავლის რწმენა და იმედი, დაუხშო სიხარულის გზა და ამიტომაა ცრემლების მდინარეს რომ აყენებს პოეტი.

ვსტირი, მაქვს მე სავსე ცრემლითა კალთა,
მე ჩემს ღონეს ვტირი სინათლის თვალთა,
მე ბესიკს მესიზმრა საწუთრო ვალთა...
მომესივნენ მტერნი მკვლელად და მკვლელად.

ამის გამო იგი ჰკიცხავს მუხთალ საწუთროს:

ვარ უცხო ვინმე ყარიბი
ამა სიტყვისა მხმობელი,
ამა მუხთლისა სოფლისა
მაგინებელი, მგმობელი.
(გვ. 8).

ზოგჯერ ისე ძლიერია პოეტის სევდა, ისეთ სულიერ მღელვარებას განიცდის მწერალი, რომ მხოლოდ ოხვრასა და ტირილში ჰპოვებს გულის ვარამს.

სევდის ლაშქარი შემომიხდება,
სურვილის ცეცხლი მომეკიდება
სულთქმა და ტირილი გამიხშირდება
...სიცოცხლის ფრინველი გამიფრინდება.
(გვ. 66).

დამარცხებული პოეტი ერთბაშად ჰკარგავს ყოველივე ნეტარებას და მომავლის იმედს. ცხოვრებით უკმაყოფილოს გულზე ხელები დაუკრეფია და თვალცრემლიანი ასე გოდებს:

დავკარგე სატრფო ჩემი ცხოვრება!
დავკარგე განცხრომა და გახარება!
დავკარგე სამოთხე და უკვდავება!
დავკარგე მთოვარე — ვის ემთვარება?

მომაკლდა უებრო კეთილობანი,
მომაკლდა ალერსი და ზრდილობანი,
მომაკლდა აშიკთა მორთულობანი,
მომაკლდა მუზიკა და გალობანი.
(გვ. 16, 17).

სხვა ასეთი მრავალი ლექსი შეიძლებოდა მოგვეტანა ბესიკის შემოქმედებიდან, მაგრამ ესეც საკმაოდ ამტკიცებს მისი პოეზიის პესიმისტურ ხასიათსა და რომანტიკოსებთან იდეურ ნათესაობას.

—:—

რაც დრო გადიოდა, ფეოდალური არისტოკრატიის დაცემულობა მით უფრო ნათელ სახეს ღებულობდა. ამ ნიადაგზე აღმოცენებული სულიერი განწყობილება მე-18 საუკუნის პოეზიას კიდევ უფრო მეტ უიმედობასა და პესიმისტურ ელფერს აძლევდა.

დროთა უკულმართობით გამოწვეული ცვლილებები ყველაზე მეტად მეფისწულებისა და სასახლის არისტოკრატიის წრეში შეიქნა საგრძნობი.

მე-18 საუკუნის მიწურულსა და მე-19 საუკუნის დასაწყისში სრულიად უპერსპექტივო აღმოჩნდა ფეოდალური არისტოკრატიისა და კერძოდ ბატონიშვილების ცხოვრების შემდგომი გზა. 1801 წლის მანიფესტმა ჩიხში მოამწყვდია ქართველი თავადაზნაურობა.

ბაგრატიონების დინასტიის დასასრული და საქართველოს ფეოდალური არისტოკრატიის კატასტროფა, კიდევ უფრო აცხოველებდა მწერლობაში პესიმიზმისა და ცხოვრების მიუღებლობის მოტივებს.

სევდიანი ლექსებით გამოიტირეს ერეკლე მეფის ქალიშვილებმა ქეთევანმა, თეკლამ და მარიამმა დაკარგული სამოთხე. მათი პოეზია ცრემლებისა და ტირილის პოეზიაა.

ქეთევან ბატონიშვილი თავის ლექსში „გაფი დუგაში სათქმელი“ გულმოკლული გოდებს სამშობლოს დაღუპვასა და ბატონიშვილების მწარე ხვედრზე.

აწ მე მიგლოვეთ, სატრფონო, ძმანო,
ყოველნო მოყვასნო და ზრდილნო ყმანო,
ვაი, მათთანა შვების აღთქმანო,
აწლა სადა ხართ, გლოვისა ხმანო,
სადავითოსა მტილს შინა თქმანო,
ჟნუგეშობით არ დასათმობელი.

ჰოი, ვითარ ვსთქვა განსაკრთობელი,
ჩემის სიცოცხლის დამამცრობელი.

რად არ დაგვიწყდი ჰოი, სოფელო,
არ ხანიერო ცუდ სამყოფელო,
მცირის ჟამისავ, არ დამყოფელო,
ჩემებრ უბედოთ ცუდ სამყოფელო,
მაგრამ ბიდნიერთ პირდამყოფელო,
ვინც არ გენდობის ვარ მადლობელი.

ჰოი ვით არ ვსთქვა განსაკრთობელი,
ჩემი სიცოცხლის დამამცრობელი[1].

კიდევ უფრო ცრემლიანია ერეკლე მეორეს ქალიშვილის თეკლა ბატონიშვილის ლირიკული ლექსები[2]. მათგან განსაკუთრებით გამოირჩევა ლექსი: **„თეკლა ბატონიშვილისაგან თქმული გაფი, ქეთინოს, თავის დას პასუხს უგებს ამ ლექსით“**.

ბედის უკმაყოფილო პოეტი ქალი უნუგეშოდ გოდებს და სისხლნარევ ცრემლებად დნება. იგი სასოწარკვეთილი ეკითხება სევდიან გულს:

ჰე გულო, რად გაქვს ესდენ წყინება,
მარად სისხლისა ცრემლთა დინება?

---

[1] ლ. ასათიანი, ძველი ქართველი პოეტი ქალები.

[2] თეკლა ბატონიშვილი დედა იყო ცნობილი ქართველი მწერლებისა ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანებისა.

და იქვე პასუხობს:

იგლოვ მაღალ ტახტს, ვაი წახდომილს,
დიდებულს პალატს, მსწრაფლად დამხობილს,
შვება-სიხარულს, ტრფობით შემკობილს,
ეტლ-დაბრჟენებულს, მოყვასთაგან გმობილს,
გსურს მყის სიკვდილი, გულლახვარსობილს,
აღარა გნებავს სიტყვის გებანი.
რად გიკვირს პატიმარს მწუხარებანი,
მცირეს ხანს ლხინითა გამწარებანი[1].

აქ უკვე ნათლად ჩანს პოეტის გოდების მიზეზი, რომ მას როგორც ბაგრატიონთა შთამომავალს, სეფას ჰვვრის სამეფო დინასტიის დანგრევა, ტახტის დაკარგვა, რომ ასე დასრულდა მათი ბატონობის ხანა.

სხვა პოეტი ქალებიდან აღსანიშნავია სალომეს ლექსები. განსაკუთრებით ამ მხრივ გამოირჩევა მისი ლექსი „სევდის წიგნი". აქაც ცხოვრების არაარაობაზე, ადამიანის სულიერ ტანჯვაზე გოდებს პოეტი ქალი და ბოლოს, უნუგეშო მდგომარეობაში მყოფი, დასძენს: სჯობდა, რომ სულ არ დავბადებულიყავიო.

ჰაი რა გვინდა, სოფელი,
დღე ყოფილა მეტად მწარე,
წაიღებს ვაი ცოდვასა,
ელის ჯოჯოხეთი მწარე
არ დაკებადე, მიჯობდა
არ მენახა სიმწარე[2].

რომანტიკოსების აზრით, სიკვდილი ლოგიკური დასასრულია ადამიანის ტანჯული ცხოვრებისა, სიცოცხლე ტანჯვაა და სიკვდილი ამ ტანჯვის უმაღლესი სახეა. პოეტი ქალი სალომე აღშფოთებულია სიკვდილით და სასტიკად გმობს მას.

„სიკვდილო, შე მუხანათო, რამდენი კარგი მომიკალო" და პოლოს გულმოკლული განაგრძობს:

სიმწარემ ასე დამადნო,
ვითა სანთელი ალითა,
ჯერ სიკვდილისგან დავარდი,
მზე ვეღარ ვნახე დარითა.

[1] იქვე.
[2] იქვე.

ახლა ფიქრებმა მომიცვა,
გული ავკეთე ღამითა,
ცრემლისა დენამ მომაგო
ველარა ვხედავ თვალითა[1].

პოეტი ქალების სეედიანი ლექსები ბუნებრივი გაგრძელებაა აღორძინების ხანის პესიმისტური პოეზიისა. ამ ლექსებში კიდევ უფრო მკვეთრად ჩანს არისტოკრატიული კლასის სულიერი დაცემულობა, რაც კიდევ უფრო განამტკიცა და განვითარების ახალ ეტაპზე აიყვანა XIX საუკუნის პირველი ნახევრის რომანტიკულმა პოეზიამ.

აღნიშნული ლიტერატურული ფაქტების ანალიზი ნათლად ამტკიცებს აღორძინების ხანის ქართული მწერლობის ღრმა პესიმისტურ ბუნებას, რომლითაც ეს ლიტერატურული პერიოდი უშუალოდ უკავშირდება XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურას. განსაკუთრებით ამ ტრადიციას აგრძელებს ქართული რომანტიზმი. მართალია, პესიმიზმი და ზოგი სხვა მოტივიც შეიძლება უფრო ადრინდელი მწერლების შემოქმედებაშიაც ვიპოვოთ, მაგრამ ეს შემთხვევითი ხასიათის იქნება. ასეთ შემთხვევაში პესიმისტური ჰანგი არ განსაზღვრავს მწერლის მსოფლმხედველობას, მის იდეოლოგიას.

აღორძინების ხანის მწერალთა შემოქმედებაში კი პესიმიზმი ძირითადი მოტივია. მათი მსოფლმხედველობის განმსაზღვრელია.

ადამიანის ბედი აღორძინების ხანის თითქმის ყველა მგოსანმა გამოიტირა თავისი ნიჭისა და მდგომარეობის შესაფერისად. შემთხვევით ხომ არ წარმოშობილა კაცისა და საწუთროს გაბაასების ჟანრი, სადაც გულგატეხილი ადამიანი ხელაღებით უარყოფს საწუთროს.

ამ თემაზე თეიმურაზ პირველმა დასწერა „**სოფლის სამდურავი**“ 96 სტრიქონი, არჩილმა — „**გაბაასება კაცისა და სოფლისა**“ 1032 სტრიქონი, თეიმურაზ მეორემ — „**გაბაასება სოფელთან**“ 84 სტრიქონი, დავით გურამიშვილმა — „**საწუთრო, სოფლის სამდურავი**“ 152 სტრიქონი, „**იხევ გოდება სხვა რიგი ხმა**“ 6 სტრიქონი, „**სიკვდილისა და კაცის შელაპარაკება და ცილობა**“ 184 სტრიქონი, „**კაცისა და საწუთროსგან ცი-**

[1] იქვე.

ლობა და ბჭობა, ერთმანეთის ძვირის ხსენება'' 556 სტრიქონი[1]. ეს პესიმისტური ნაკადი მძლავრად შემოიჭრა მე-19 საუკუნის ქართულ პოეზიაში.

V

რომანტიკოსი ისწრაფვის მისტიკური სამყაროსაკენ. რამდენად რომანტიკოსი მისტიკოსია, მისთვის დამახასიათებელია მისწრაფება ბუნდოვანობისაკენ, რელიგიურობისაკენ, რადგან რელიგიური ხილვა ბუნდოვანი წარმოდგენაა უნივერსის შესახებ. რომანტიკოსი შლეიერმახერი აცხადებს, რომ მოვლენები არ უნდა იყოს შეცნობილი როგორც ჭეშმარიტება, როგორც სინამდვილეშია იგი. ყველას შეუძლია უნივერსი იხილოს თავისებურად, თვითეულში მსოფლიო განუსაზღვრელობისა ღებულობს თავის ინდივიდუალურ გამოხატულებას (კოგანი, დას. ევრ. ლიტ. ისტ., ტ. I, გვ. 269).

რომანტიკოსი ნოვალისი კიდევ უფრო შორს მიდის და სარწმუნოებით გატაცებული რელიგიურ მონარქიზმს ქადაგებს.

,,მაშინ იყო მშვენიერი საუცხოვო დრო, როცა ევროპა წარმოადგენდა მთლიანს ქრისტიანულს ქყეყანას, როცა ქვეყნის ამ ნაწილზე ცხოვრობდა ის ხალხი, რომელნიც ერთ ქრისტეანულ სარწმუნოებას აღიარებდა. როცა ეკლესიის ერთი თავი, ხელმძღვანელი იყო დიდი პოლიტიკური საზოგადოებისა''.

რელიგია რომანტიკოსებისათვის გონებასთან დაპირისპირების საშუალებაც არის, გონება ჭეშმარიტებას ნათელს ჰფენს, რელიგია კი აბუნდოვანებს.

ამიტომ იყო, რომ ნოვალისი ადამიანის ნიჭში სარწმუნოების საზიანო მოვლენას ხედავდა.

,,მართალი იყო, — სწერს ნოვალისი, — ბრძენი მეთაური, რომელიც ეწინააღმდეგებოდა ადამიანის ნიჭის კადნიერ განვითარებას სარწმუნოების საზიანოდ''.

მართლაც საქართველოს სინამდვილეში მე-17, მე-18 საუკუნეებში მტკიცედ მოიკიდა ფეხი კლერიკალიზმმა, რომელიც ცეცხლითა და მახვილით იბრძოდა ამქვეყნიური იდეების წინააღმდეგ.

მე-17, მე-18 საუკუნეებში რელიგიურ იდეათა ასეთი გამოცოცხლება საქართველოში ბუნებრივ მოვლენად უნდა ჩაითვალოს,

[1] ჩვენ ვასახელებთ მხოლოდ ძირითადს მწერლებსა და ნაწარმოებებს. კ. მ.

რადგან დამარცხებული კლასის იდეოლოგია ყოველთვის რელიგიურ-მისტიკურ სამყაროს უკავშირდება. ამ ქვეყნიდან განდევნილი ადამიანი ირეალურ ქვეყანაზე ოცნებობს. სააქაო ცხოვრებიდან გაძევებული პიროვნება საიქიოს ნეტარებაზე ფიქრობს. პოლიტიკურად გაკოტრებული მეფეები და დიდი ფეოდალები, სულის საცხონებლად ეკლესია-მონასტრებისაკენ მიეშურებოდნენ, გულგატეხილი პოეტები საეკლესიო დღესასწაულებს ლექსავდნენ, ამ ქვეყანაში დამარცხებულნი, მიღმა ქვეყანაში ეძებდნენ სულიერი ნეტარებას, რომ ამქვეყნიური დანაკლისი, იმქვეყნიური ცხოვრებით შეევსოთ.

ტახტიდან განდევნილი თეიმურაზ პირველი ბევრად აღიკვეცა, ამავე გზას დაადგა სულხან-საბა ორბელიანი და სხვანი.

თეიმურაზ პირველის პოეტური შემოქმედება თავიდანვე რელიგიურ სამყაროს დაუკავშირდა. სიცოცხლემოძულებული პოეტი ამ ქვეყნიდან გასასვლელ გზებს ეძებს, მას ამქვეყნიური ხორციელი ტანჯვა, იმქვეყნიური სულიერი ნეტარებით სურს შესცვალოს, მიღმა ქვეყანას უნდა შეაფაროს თავი და სულს აღშფოთებული შესძახებს:

„სულო მოშორდი სოფელსა, მუდამ რას დაებია“ და მართლაც თეიმურაზი განშორდა სოფელს და სულის ცხონებისათვის პირად აღიკვეცა, თუმცა ერისკაცობაშიაც ღვთისადმი პატივისცემა არ ჰონდა დაკარგული.

თეიმურაზის შემოქმედების დიდი ნაწილი რელიგიურ-მისტიკურ სიუჟეტებზეა აგებული. მისი ნაწარმოები **„შვიდთა კრებათათვის“**, მსოფლიო საეკლესიო კრების მონაწილეთა შესხმას წარმოადგენს, პოეტი ქებითა და დიდებით იხსენიებს ქრისტეს სარწმუნოებისათვის თევდადებულებს.

რელიგიური შინაარსისაა მისი სამი ანბანთქება:

„ადამ ვახსენოთ პირველად, თვით ღმერთმან შექმნა
რომელი“.
(გვ. 145).

ამ ნაწარმოებში ანბანთა რიგის მიხედვით თითქმის შეკრებულია ყველა წმინდანი.

„ალავსენ ჩემნი ბაგენი, ღმერთო, სამებით ქებულო“.
(გვ. 149).

აქ პოეტი ემყარება ბიბლიურ ამბავს და განსაკუთრებით ინტერესით აღწერს ქრისტეს ცხოვრების ლეგენდას.

,,ალმართა მხსნელმან ჯვარი გოლგოთას,
სისხლი დასთხია ადამის ძვალთა''.

(გვ. 151).

აქ მოცემულია ვედრება ღვთისმშობლისა წმინდანებისადმი. მაგრამ თეიმურაზი ყოველთვის ვერ ახერხებს რელიგიური დოგმების დაცვას და, ამქვეყნიური წყეული საკითხებით გატაცებული, ზოგჯერ ვარდ-ბულბულის ხმაზე წამოიმღერებს ხოლმე, მაგრამ იგი მალე შეიგნებს თავის დანაშაულს ღმერთის წინაშე და ცოდვების მონანიების მიზნით ღმერთს შესთხოვს:

,,შენ მიტევენ სიტყვანი უქმნი არ ნაყოფიანი''.

,,შამ-ფარვანიანის'' დასასრულს კი დასძენს:

ღმერთო, ნუ მიწყენ ამ ცუდსა, ლაყაფსა, მიდმოდებასა,
ვეღარ გაუძელ შვიდ ზაფხულ, მოწყენით ცუდად გდებასა,
შეჰირვებისა ცეცხლითა და გულს სახმილთა დებასა,
მოველი შენგან ხსნასა და შენსავე იმედებასა!

თეიმურაზი დარწმუნებულია, რომ მან საამქვეყნო საკითხებზე წერით საიქიოს სული დაიზიანა, მაგრამ იმედი აქვს ღმერთის სულგრძელობისა და პატიებას სთხოვს:

ცოდვასა ზედან სულგრძელობ, შერისხვა იცი გვიანი,
ვამე ცუდისა ლაყბითა, თუ სული დავაზიანი.

—:—

რელიგიურ-მისტიკური მოტივი კიდევ უფრო განავითარა არჩილ მეფემ. არჩილის შემოქმედება ირეალური ცხოვრების იდეალიზაციას წარმოადგენს. რეალურ ცხოვრებაში დამარცხებული მეფე-პოეტი, რელიგიაში ეძებს ხსნას, რელიგიური ხილვით ამქვეყნიურ დანაკლისს ავსებს. აკადემიკოსი კ. კეკელიძე სამართლიანად შენიშნავს:

,,არჩილის პესიმიზმი საბოლოო არაა, ის თავდება იქ, სადაც თავდება ეს ქვეყანა და იწყება ,,ახალი ცა და ახალი ქვეყანა''. საბოლოო ნუგეშს პოულობს პოეტი რელიგიასა და ღვთაებაში. შწვავე მომენტში, როდესაც სულის ობლობას განიცდის, ის კრძალებით ამბობს: ,,მხოლოდ მივის მეგობარი, ვინაც შექმნა ცათ სამყარო''. გამოუვალს, აუტანელს მდგომარეობაში ის სასოებით შენიშნავს: ,,მაგრამ უფალი პატრონი, გვივის მოწყალედ, შემწედა'' [1].

[1] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტ, ისტორია, ტ. II, გვ. 537.

არჩილი იმდენად გატაცებულია რელიგიით, რომ მისი აზრით ადამიანის მოვალეობაა მხოლოდ საღვთო წიგნების კითხვა და მოვლა-პატრონობა.

საღვთო წიგნი ბევრი წახდა უყდოთა და უბუდობით,
საშაიროს ინახავდენ სტავრის ბუდით ან მახლობით,
უმჯობესი დაივიწყეს წესის რასმე ან ახლობით,
სიმართლესა მრუდზედ სცვლიან, სიცრუისა მომზახლობით.
(გვ. 61).

არჩილი საერო წიგნს ,,მრუდეს'' უწოდებს, ხოლო საეკლესიოს ,,სიმართლისას''. ხშირია შემთხვევა, როდესაც პოეტი რელიგიურ-მისტიკურ სიუჟეტებსაც იყენებს. ასეთი ლექსებია **,,სიტყვა ხანაცლისლებოი''**, **,,ანბანი ქება''** და განსაკუთრებით **,,გაბაასება კაცისა და სოფლისა''** მთლიანად რელიგიკურ-მისტიკურ სიუჟეტებშეა აგებული.

მართალია, არჩილი უკმაყოფილოა ვერაგი და მუხთალი წუთისოფლით, მაგრამ ბოლოს იმ დასკვნამდე მიდის, რომ საწუთროს უკუღმართობა თვით ადამიანის სულმოკლეობით არის გამოწვეული. სულმოკლე ადამი და ევა რომ არ შემცდარიყვნენ და აკრძალული ხის ნაყოფი არ ეჭამათ, ადამიანები ამ ქვეყანაზე **ბედნიერები იქნებოდნენ.** ამრიგად, **ამქვეყნიური** ბოროტებისათვის, არჩილის აზრით, თვით ადამიანია პასუხისმგებელი.

რელიგიური ხასიათისაა **არჩილის** შეიდი ერთმანეთთან დაკავშირებული იამბიკო. პირველ ორ იამბიკოში შექებულია სამება და ერთარსება, მესამესა და მეოთხეში ღვთისმშობელი, მეხუთეში თორმეტი მოციქული, მეექვსეში წინასწარმეტყველნი და მოწამენი, მეშვიდე კი აგებულია სხვადასხვა მოტივზე.

—:—

რელიგიურ-მისტიკურ მოტივზეა აგებული აგრეთვე თ ე ი მ უ რ ა ზ შ ე ო რ ი ს შემოქმედების მნიშვნელოვანი ნაწილიც. ამ მხრივ განსაკუთრებით ყურადღებას იპყრობს თეიმურაზის დიდტანიანი ნაწარმოები **,,სარკე თქმულთა''**. აქ ავტორს გალექსილი აქვს ძველისა და ახალი აღთქმის სამღვთო ისტორია და საქრისტიანო კატეხიზმის ნაწილი. ნაწარმოები იწყება ქვეყნის გაჩენის ლეგენდიდან. პირველად მოთხრობილია ადამისა და ევას გაჩენა, კაენის მიერ აბელის მოკვლა, წყლით რღვნა, ისაკის შეწირვა, იაკობის კურთხევა, ისრაელთა ამბავი, ელიას ზეცად ამაღლება, ზაქარიას დადუმება, ზარება, მაცხოვრის შობა, წინდაცვეთა, მირქმა, ნათლისღება, ფე-

რისცვალება, ლაზარეს აღდგენა, იერუსალემს შესვლა, საიდუმლო სერობა, ვნება უფლისა, ჯვარცმა, გარდამოხსნა და დაფლვა, წმინდა პასქა, გვერდის განხილვა, გარღვეულის განკურნება, შობითგან ბრმის განკურნება, ამაღლება, სულისწმინდის მოსვლა, ღვთისმშობლის მიძინება. ამის შემდეგ ავტორი გადაგვიშლის ათ ცნებას, ცხრა ნეტარებასა და შვიდივე მსოფლიო კრების ისტორიას.

მე-18 საუკუნეში მამუკა ბარათაშვილის ,,ჭაშნიკმა'' კიდევ უფრო გააღრმავა რელიგიური მოტივი ლიტერატურაში. ,,ჭაშნიკის'' ავტორმა, ბუალოს მსგავსად, პოეტი გარკვეულ ჩარჩოებში ჩააყენა, რომლის იქით ეკრძალებოდა მწერალს სურვილის მიხედვით წერა. თუ სიყვარულისა და ხორციელ ვნებაზე დაწერდა პოეტი, ისიც საეკლესიო ნორმების ჩარჩოებში უნდა ყოფილიყო მოთავსებული.

აი მამუკას დამრიგებლობითი სიტყვები.

,,...მაშ, მმართებს — კაცმა ავი ამბავი არ გალექსოს; თუ ხალიშიყო ლექსი უნდა, ღვთის ხალიშიყო, ანუ ეკლესიისა, ანუ წმინდანთა თქვას... თუ ქალის ამიყობაზე გვინდა ცოლ-ქმრობის სიყვარულზედა თქვი..''

ამ საკითხში უშუალოდ მამუკა ბარათაშვილის გავლენას განიცდის დიდი ქართველი პოეტი დავით გურამიშვილი. დავით გურამიშვილის მთავარი მოტივი რელიგიურია. იგი უარყოფს მრავალტანჯულ ცხოვრებას და ზეცაში ეძებს ხსნას. ამ ქვეყანაზე ცხოვრება პოეტს დროის დაკარგვად, მოცდენად მიაჩნია და სხვებსაც აფრთხილებს.

ან გაფრთხილდით, ვისაც ჭკუა გქონდეთ,
რომ არ წარსწყმდეთ — სულითა სცხონდეთ,
ჩემსავით ნუ მოცდებითო.

(გვ. 181).

პოეტის აზრით, ადამიანმა თავიდანვე ზეციურ ნეტარებაზე უნდა იზრუნოს, იქ გამოსადეგი საქმე გააკეთოს; ,,ამად სჯობს ხორცი უვაჭყო, სულსა ულოცო უწიროო'' (გვ. 135). თუ აქვე არ დაიმსახურე ღმერთისაგან პატივისცემა, ისე იმ ქვეყანაში, საიქიოშიც, პოეტის აზრით, ნეტარებას ვერ მოიპოვებ. ამისათვის ადამიანმა უნდა მოისმინოს მღვდლის ლოცვა, გაჭირვებულსა და დავრდომილს უნდა დაეხმაროს, ბოროტება არ ჩაიდინოს, უდანაშაულოდ არავინ დაჩაგროს, ე. ი. საიქიოსათვის უნდა იზრუნოს და ღმერთი

კი, რომელიც გურამიშვილის წარმოდგენით უზენაესი ძალის განსახიერებაა, ყოვლისშემძლე და ყოვლადუცოდველია, შეისაფერ სამყოფელს მიაკუთნებს ადამიანს.

ღმერთი არის თვით ხელმწიფე, თვით უფალი, თვით მჭირველი,
არავინ ჰყავს მოზიარე, აქვს მპყრობლობა უცილველი,
დვთისგან ნივთობს ყოველი ნივთი, ხილული და უხილველი,
სუფევს ყოვლის სულისაგან ძვირ-უთქმელი, უკილველი.

რადგან გურამიშვილს ამ ქვეყანაზე საიქიოსათვის მზადება დაუსახავს მიზნად, მისი შემოქმედების დიდი ნაწილი ღვთის ქება-დიდებას და ლოცვა-ვედრებას წარმოადგენს.

რელიგიურ-პესიმისტურია მისი ელეგიები: ა) ,,**ტირილი ღვთის მშობლისა**'' (გვ. 32), ბ) ,,**მოთქმა ხმითა თვბოლო ერთი**'' (გვ. 35), გ) ,,**ვა რა მაქვს დიდი მოწყენა**'' (გვ. 47).

ამ ელეგიებში არსებითად გამოხატულია ღვთისმშობლის ტირილი და გოდება ერთადერთი შვილის იესო ქრისტეს ტრაგიკულად დაღუპვის გამო. ღვთისმშობელი ადამიანზე თურმე ძლიერ აღშფოთებული ყოფილა, რადგან მისი შვილი, ქრისტე, ადამიანებმა ჯვარს აცვეს, ტანჯვა-წამებით მოჰკლეს.

რელიგიურია დავითის სხვა ლექსებიც: ა) ,,**ვაქოთ ვადიდოთ ვინაო, ღმერთი მაღალთა შინაო**'', ბ) „**ხარების დღის შესხმა**'' (გვ. 149), გ) ,,**აღდგომის დღეს ყმათაგან ხამლერალი**'' (გვ. 150), დ) ,,**ღვთის-მშობლის მიცვალების დღის შესხმა**'' (გვ. 151) და სხვა.

დავით გურამიშვილი კიდევ უფრო შორს მიდის. სარწმუნოებით გატაცებულმა პოეტმა ქალ-ვაჟის თავისუფალი სიყვარულიც კი რელიგიის ჩარჩოში მოათავსა, მამუკა ბარათაშვილის პოეტური კანონმდებლობა ხორცშესხმულ სინამდვილედ აქცია.

ახალგაზრდა მწყემს ქალ-ვაჟს გაზაფხულის წარმტაც ბუნებაში გაუჩნდებათ სქესობრივი ლტოლვა, მაგრამ ამ ბუნებრივ მისწრაფებას ყოველთვის ხელოვნურ დაბრკოლებას უქმნის პოეტი. როცა ქალია ვნებააშლილი და მოითხოვს ვაჟისაგან სქესობრივ ლტოლვათა დაკმაყოფილებას, ვაჟი, არაბუნებრივი სიფრთხილით, წინ აღუდგება ქალის განზრახვას. ხოლო სხვა შემთხვევაში, მათდა საუბედუროდ, მათ გადაულახავ დაბრკოლებად ეღობებათ ჩხიკვი, შაშვი, ეკალი, ქაცვი, ტყის მჭრელი კაცი და სხვანი. ქალ-ვაჟმა

სურვილი ვერ შეასრულეს, ვიდრე ,,სულიერი ქორწინებით არ განმტკიცეს თავიანთი ტრფიალი".

დავით გურამიშვილი ზოგჯერ ისტორიულ-პოლიტიკური საკითხების ახსნასაც რელიგიური ზღაპრებით ცდილობს, როგორც ამას სამართლიანად შენიშნავს პროფესორი ალ. ბარამიძე. პოეტის აზრით საქართველოს პოლიტიკური არევდარევა მე-17, მე-18 საუკუნეებში ღვთის რისხვით უნდა იყოს გამოწვეული. თითქოს ღმერთმა ადამიანთა საერთო დანაშაულისათვის ასე სასტიკად დასაჯა საქართველო.

ასეთია დ. გურამიშვილის რელიგიურ-მისტიკური მოტივი, რომელიც არსებითს წარმოადგენს აღორძინების პერიოდის ქართულ ლიტერატურაში.

როგორც დავინახეთ, ამ საკითხშიაც საერთო შეხვედრა არსებობს მე-17 და მე-18 საუკუნეების ქართველ პოეტებსა და რომანტიკოსებს შორის.

VI

რომანტიკოსებისათვის აგრეთვე დამახასიათებელია წარსულის იდეალიზაცია და ხალხური პოეზიისადმი მისწრაფება. ძველი ხალხების ისტორიითა და პრიმიტივობით გატაცებულმა რომანტიკოსებმა ახალ სიმაღლეზე აიყვანეს ისტორიისა და ფოლკლორის დამუშავების საქმე. ამის შედეგს წარმოადგენს ნიბელუნგების შესწავლა-დამუშავება. აგრეთვე ძმების გრიმების დიდი ღვაწლი ფოლკლორისტიკის დარგში.

რომანტიკოსების ასეთი მისწრაფება ფოლკლორისადმი ამჟღავნებს მათს ლტოლვას ხალხურ პრიმიტიულ ყოფისადმი, პირველყოფილ ცხოვრებისადმი. ამ მიზნით რომანტიკოსებმა დიდი ინტერესით მოჰკიდეს ხელი ძველი ხალხების ყოფაცხოვრებითი დეტალების აღდგენას. ამით აიხსნება რომანტიკოსების გატაცება აღმოსავლეთის ქვეყნებით, კერძოდ ინდოეთისა და საშუალო საუკუნეებში მცხოვრებ ხალხთა ისტორიით. წარსულ საუკუნეებს მისტიროდნენ ევროპის რომანტიკოსები, საშუალო საუკუნეები გახდა მათი შემოქმედების შთამგონებელ წყაროდ. რომანტიკოსები აცოცხლებენ გარდასულ საუკუნეთა გმირებს, მათ გმირობასა და ვაჟკაცობაზე თხზავენ ბალადებსა და ოდებს.

საშუალო საუკუნეებით ასევე გატაცებულნი იყვნენ ჰიუგო, სკოტი, ბაირონი, ნოვალისი, ტიკი და სხვები.

რომანტიკოსთა შეხედულებით ყველაფერი, რაც წარსულს ეკუთვნის, ძვირფასია. ამან განამტკიცა მათში წარსულის იდეალიზაცია, მისწრაფება პრიმიტივიზმისა და ფოლკლორისადმი.

ასეთი იდეებით გატაცება უცხო არ იყო აღორძინების პერიოდის ქართული მწერლობისათვის.

მე-17, მე-18 საუკუნეების ქართველი მწერლები ხედავდნენ რა მათ შერყეულ პოლიტიკურსა და ეკონომიურ მდგომარეობას, ბუნებრივად წარსული საქართველოს ბრწყინვალე ეპოქაზე ოცნებობდნენ. ძველ მეფეებსა და გმირებს ქება-დიდებით იხსენიებდნენ. წარმოიშვა მთელი ციკლი სახოტბო პოეზიისა. ამ მხრივ მნიშვნელოვანი ნაბიჯი არჩილ მეფემ გადადგა. არჩილმა შეაქო როგორც საქართველოს, ისე მსოფლიოში სახელმოხვეჭილი მეფეები — თავის ერცელ ლექსში **„მეფეთა საქებელნი და სამხილებელნი“**.

არჩილი ლექსის შესავალში იხსენიებს ჩახრუხაძეს, როგორც ჩახრუხაძემ შეაქო თამარი, მეც მსურს მეფეთა შექებაო. ცხადია, წარსულის მოტრფიალე პოეტი აქებს ,,აწ გარდასულთა'' მეფეებს და ისეთ ადამიანებს, რომლებსაც თავიანთი ცხოვრება სახელოვანი საქმეებით დაუმშვენებიათ.

ხელჰყო, მცნობელო, და უცდომელო,
ქვეყნიერთ მეფეთ სახელდებილთა,
ჩვენ წინ მოსულთა, აწ გარდასულთა,
ახლად მზრახველად დადუმებულთა,
მხნედ და ძლიერთა, საძებნიერთა,
ახოვნად, ქველად გმირებ გებულთა.

(გვ. 226).

ასეთი შესავლის შემდეგ პოეტი იწყებს მეფეთა შექებას და პირველად აჯიდებს ალექსანდრე მაკედონელს.

მაკედონელმა, არ ამ დონელმა,
ქვეყნისა იპყრა ერცელნი კიდენი.

შემდეგ აქებს ებრაელთა მეფეებს დავითს, სოლომონსა და ოსიას, ხოტბას ასხამს ქრისტიან მეფეებს დიდს კონსტანტინეს და ივბიმიანეს.

დიდს კონსტანტინეს ნუ დავიწყებთ,
მეფედ მიებად დამტკიცებულსა,
ელინობასაც, კერპთმონობასაც,
ყოვლის სიკეთით დიდად ქებულსა.

(გვ. 131).

უპირველესად უცხოელ მეფეთა ქება-დიდებას მიჰყოფს ხელს, ხოლო შემდეგ იწყებს ქართველ მეფეთა ღვაწლისა და წარჩინების აღწერას. ქართველ მეფეთაგან განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს დავით აღმაშენებელსა და თამარ მეფეს, მათი შესადარი მეფე პოეტის აზრით ქვეყანაზე არ მოიპოვება.

აღმშენებელო, დამშვენებელო —
სულ საქართველოს ოხრის შენადა...
შენი სადარი, შენი სად არის?
ქვეყანაზედა არ იპოოსა..

თამარს იგი ამქვეყნიურ ღმერთს უწოდებს;

მე თამარისა, ღმერთ ამარისა,
სხვაცა ვთქვენ ქება, ვერ კმასაყოფი.
(გვ. 235).

შემდეგ ადიდებს პეტრე პირველსა და სხვა მეფეებს.

ამ საკითხში არჩილმა უდიდესი ნოვატორობა გამოიჩინა, იგი არ შემოიფარგლა ეიწრო ნაციონალური შეხედულებით და, პირველყოვლისა, მსოფლიო მეფეთა სახელსა და ღირსებას სცა თაყვანი. ამავე ლექსში მან შეაქო როგორც ძლიერი მეფე, საქართველოს მოსისხლე მტერი შაჰ-აბასიც კი.

ისტორიულ სიუჟეტზე აგებდა თავის ნაწარმოებებს აგრეთვე თეიმურაზ პირველი. ასეთად შეიძლება დავასახელოთ თეიმურაზის წვრილი ლექსები **„თამარის სახე დავით გარეჯას“**, **„გრემიხ სახახლეზე“** და ისტორიული პოემა **„ქეთევანი“**, სადაც თეიმურაზის დედის ქეთევან დედოფლის გმირული სიკვდილია აღწერილი.

ასევე ყურადღებას იპყრობს ისტორიულობის თვალსაზრისით ფეშანგის პოემა **„შაჰნავაზიანი“**. ამ პოემაში ავტორი ხატბას ასხამს ძველი საქართველოს სახელოვან მეფეს ვახტანგ გორგასალს, მირიან მცხეთელს, აშოტ კურაპალატს, არჩილ დიდს, ბაგრატ კურაპალატს, დავით აღმაშენებელს, თამარ მეფეს, ხოლო ნაწარმოების მთავარ ნაწილში წარმოდგენილია შაჰნავაზად წოდებული მეფის (ვახტანგ V-ის) ცხოვრება და მოღვაწეობა.

ისტორიული ხასიათის ნაწარმოებთა ციკლს მიეკუთნება აგრეთვე მამუკა ბარათაშვილის ლექსი „ქება მეფისა ბაქარისა“ და ბესარიონ გაბაშვილის ოდები „ასპინძისათვის“, „დავით სარდალზე“, „რუხის ბრძოლა“ და სხვა.

აღორძინების პერიოდის ქართულ ლიტერატურაში ფეხი მოიკიდა, როგორც ამას სამართლიანად შენიშნავს აკადემიკოსი კ. კეკელიძე, საისტორიო ეპოსის ჟანრმა.

,,ახალ სტილთან ერთად ლიტერატურაში ჩნდება **ახალი ჟანრები**: ასეთებია: ა) **ხაისტორიო ეპოხი**; XVII საუკუნიდან მთელი რიგი პოეტებისა მიმართავს მშობლიურ სიუჟეტებს და დამღერის სამშობლოს წარსულიდან ამა თუ იმ ეპოქას, ამბებს და პირებს; ფეოდალური კლასის პოზიციაზე მდგომი, ის მისტირის ფეოდალური საქართველოს წარსულ დიდებას'' [1].

აკად. კ. კეკელიძის ეს სიტყვები უცვლელად შეიძლება გავიმეოროთ მე-19 საუკუნის რომანტიკოსთა მიმართაც. ალ. ჭავჭავაძე და გრ. ორბელიანი მართლაც მისტიროდნენ ფეოდალური საქართველოს წარსულ დიდებას და ამით ბუნებრივად აღორძინების პერიოდის ლიტერატურულ ტრადიციებს აგრძელებდნენ.

—:—

მსგავსად რომანტიკოსებისა, აღორძინების ხანის ქართულმა ლიტერატურამ წარსულის იდეალიზაციასთან ერთად, განამტკიცა ხალხური მოტივებისადმი მისწრაფება, ფოლკლორი ახალ ნაკადად შეიჭრა ოფიციალურ ლიტერატურაში. ამ საკითხში აღორძინების პერიოდის პოეტთაგან პირველობა მამუკა ბარათაშვილს მიეკუთვნება. იგი პირველად ამღერდა ხალხურ მოტივზე; ,,**პატარა ქალო თინაო, რას დამიდეგი წინაო**''.

ხალხური სიბრძნის ნაყოფია სულხან-საბა ორბელიანის ,,**ხიბრძნე სიცრუისა**''. ლირიკოს პოეტთა შორის კი ფოლკლორის გავლენა ყველაზე მეტად დ. გურამიშვილმა განიცადა. გურამიშვილის ლექსთა თითქმის უმეტესობა დაწერილია ხალხურ სასიმღერო კილოზე, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ უმეტეს შემთხვევაში მისი ლექსები მხოლოდ ფორმით არის ხალხური, შინაარსით კი რელიგიურ-საეკლესიო ხასიათისაა, მაგრამ მაინც ხალხურ სურნელებას არ არის მოკლებული. მაგალითად, ხალხურ კილოზეა დაწერილი ლექსი ,,**პატარა ქალო თინაოს სანაცვლოდ ხამღერალი**'', რომელიც შინაარსით უაღრესად რელიგიურია.

ვაჭოთ ვადიდოთ ვინაო?—
ღმერთი მაღალი შინაო,
ვინცა შეამკო ქვეყანა,
ღამე დღეთ გააბრწყინაო.
(გვ. 176).

[1] კ. კეკელიძე. ტ. II, გვ. 274.

„ეეო, მეო, ქალო ქალთა-მზეოს სანაცვლოდ სათქმელი“

ეეო, მეო, აქეთ მომხედეო,
რას მომითხრობს საყვარელი, ყური დამიგდეო.
(გვ. 153).

ერთი შეხედვით მკითხველს ეგონება, რომ პოეტი აქ ჩვეულებრივ საყვარელზე ლაპარაკობს, მაგრამ არა, იგი ღვთის სიყვარულზე გვესაუბრება. აქ მწერალს ღმერთი ჰყავს გამოყვანილი მთავარ გმირად და მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ როგორ გააჩინა მან ქვეყანა, შემდეგ ადამი და ევა და მოგვითხრობს ბიბლიის მთელ ლეგენდას. საერთოდ პოეტი ძლიერ გატაცებულია ბიბლიური ზღაპრებით და დასძენს: „არანინას“ „თარანინას“ ესე სჯობია, ღვთის სამკობია, ალილუია“.

ლექსი **„ოდეს დატყვევებულმან ურჯულოს ქვეყანას სიყვარულის სახე და ხურათი ვეღარა ნახა, იმისი მოთქმა დავითისაგან“** იწყება წმინდა ხალხური მოტივით,

სახით სიტყვა მშვენიერო,
სხით მზეთა, მზის სახეო,
ვეძებე და შენი მსგავსი
მე აქ ვერსადა ვნახეო.

ამ შემთხვევაშიაც გურამიშვილი სატრფო ქალის „მზიურ სახეზე“ არ ლაპარაკობს, მას აქაც ღმერთი და მაცხოვარი ჰყავს შეჭებული.

სამშობლოდან გადახვეწილ ყარიბ პოეტს უკრაინული ხალხური სიმღერები უფრო ემარჯვება და რუსულ-უკრაინული ფოლკლორის ხმაზე აწყობს ლირიკულ ლექსების უმეტეს ნაწილს. ასეთი ლექსებიდან აღსანიშნავია დავითის სატრფიალო ლექსი „ზებოვკა, რომელ არს რუსულად ამის ხმა: „კაზაკ დუშა პრავდივაია“. ეს ლექსი ისეთი მსუბუქი და რიტმიულია, რომ მის ყოველ სტრიქონში იგრძნობა ხალხური პოეზიის სურნელება და სისადავე.

ზუბოვკიდამ მომავალმან ვნახე ერთი ქალი,
მეტად ტურფა, მშვენიერი, მაზედ დამრჩა თვალი.
შავ თვალ-წარბსაც, პირად თეთრსა ასხდა შავი ხალი,
მისმან ეშხმან დაცამლეწა, შემიმუსრა ძვალი.
ვკითხე: მზეო, სიდამ მოხვალ, ხარ სად წამავალი?
გეაჯები, მაცოდინე შენი გზა და კვალი,

შენთვის გული ქვად გარდმექცა, გახდა, ვით კლდე სალი,
მასხი წყალი, დამიშრიტე, მე შენი მწვავს ალი...
(გვ. 172) [1].

ხალხურ მოტივზეა აგრეთვე აგებული გურამიშვილის სხვა ლექსებიც: ,,**რეული (პოლნო, პოლნო, ნე პრელმჩაიასა)**. (გვ. 175). არია (**რომელ არს რუსულად: ახ კაკ სკუშნო**). (გვ. 167). მესამე დავითის შესხმა (**პოლშის სიმღერის ხმა**). (გვ. 164), მეოთხე დავითის შესხმა (**რუსული სიმღერის ხმა: ნედამ პოკოიუ, პოიდუ სტაბოიუ**). (გვ. 169), **რუსული სიმღერის ხმა: ჩტო ზა პრიჩინა, ვსელდა კრუჩინა**). (გვ. 162), სიმღერა (**სიმღერა ახ სკოლკო ცველა ვლეტას მოლოდიხ**). (გვ. 180), ,,**სიმღერა ვესელა ვესნა**'' და სხვა მრავალი.

ამ საბუთით პროფესორი ალ. ბარამიძე სამართლიანად აცხადებს:

,,გურამიშვილის შემოქმედება გაპოხიერებულია ხალხური სიბრძნის და ხალხური სიტყვის სასუქით. გურამიშვილი კარგად იცნობდა თავისი ხალხის ცხოვრებას და მის სულიერ საგანძურს, კერძოდ, პოეზიას... ის ღრმად დაეწაფა რუსულ-უკრაინულ ხალხური პოეზიის შარბათსაც. გურამიშვილმა ხალხი გაიხადა შთამგონებელ ძალად და მასწავლებლად. გურამიშვილმა ფართოდ შეაღო ქართული პოეზიის კარები და ამ კარებში ხალხური წყარო მიუშვა, ხალხიდან ჰკრეფდა პოეტი სიტყვიერ მარაგს, ნაწილობრივად სიუჟეტს, უპირატესად ჰანგებს'' [2].

ასევე ძალუმად იგრძნობა ხალხური პოეზიის ცხოველმყოფელი ძალა ბესიკისა და საიათნოვას ლირიკულ ლექსებში.

VII

რომანტიზმისათვის, აგრეთვე დამახასიათებელია ჟანრობრივი მრავალფეროვნება. პოეტი არ არის შეზღუდული, როგორც ეს იყო კლასიციზმის დროს. იგი თავისუფალი შემოქმედია და არ ემორჩილება არავითარ წინასწარ დადგენილ წესებს. ბუალოს

[1] უნდა შევნიშნოთ, რომ მიუხედავად ზემოდასახელებული მრავალი ლექსისა, სადაც მამუკას „ჭაშნიკის" შესატყვისად ღვთიურ სიყვარულზეა ლაპარაკი, ამ ლექსში დ. გურამიშვილი ნამდვილ ამქვეყნიურ, ჩვეულებრივ, ცოცხალ ქალზე ლაპარაკობს, რომელიც ზუბოვკიდან მომავალ პოეტს გზაში შეხვდა და რომლის სილამაზემ მოხიბლა იგი.

[2] ნარკვევები, ტ. II, გვ. 338.

პოეტიკის კანონები არ წარმოადგენს ახლა მწერლისათვის დაბრკოლებას. პოეტს უფლება აქვს, რომელი ჟანრიც ეხერხება, იმით სწეროს. მას შეუძლია არა მარტო სხვადასხვა ჟანრით სწეროს საერთოდ, არამედ ერთი ნაწარმოების შესრულების დროსაც უფლება აქვს სხვადასხვა ჟანრი გამოიყენოს. იმოქმედოს ისე, როგორც ამას მისი პირადი სულიერი განწყობილება უკარნახებს.

ამრიგად, რომანტიკოსებმა გაათავისუფლეს მწერლობა ბუალოს პოეტიკის ბორკილებისაგან და სრული თავისუფლება გაუოაცხადეს ლიტერატურაში.

საქართველოში, მართალია, კლასიციზმი, როგორც ლიტერატურული მიმართულება, არ ყოფილა, მაგრამ რუსთაველმა ერთგვარი ლიტერატურული რეგლამენტაცია დააკანონა. ,,ვეფხისტყაოსნის'' ავტორის სიტყვებმა **,,მოშაირე არა ჰქვიან, ვერას იტყვის ვინცა გრძელად''** ძალა მოიპოვა და რუსთაველის შემდეგი დროის პოეტები ცდილობდნენ რუსთაველისათვის მიებაძათ. ამდენად, 16 მარცვლიანი შაირი ლიტერატურულ მოდად იქცა. რუსთაველის მიბაძვა ღირსების საქმედ გახდა. მაგრამ მე-17, მე-18 საუკუნეებში ჟანრობრივი შეზღუდულობა ნელ-ნელა დაირღვა. ამ საკითხშიაც ნოვატორობა ისევ თეიმურაზ პირველს ეკუთვნის. მან პირველმა დაიწყო წვრილი ლირიკული ლექსების წერა. ასეთებია მისი **,,გრემის სახახლეზე''**, **',,თამარის სახე დავით გარეჯახ''**, **,,ანბანთ ქებანი''**, **,,ანო ალვისაო''**. ამ ლექსებით თეიმურაზმა გზა გაუხსნა მსუბუქ პოეზიას, რომელმაც შემდეგ დამოუკიდებელი სახე მიიღო. მართალია, მსუბუქი ჟანრი ლირიკის სახით ფეხს იკიდებს მე-17 საუკუნიდანვე, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ლირიკას დათმობილი ჰქონდა განვითარების თავისუფალი გზა. ჯერ კიდევ დასაძლევ ზღუდედ იყო აღმართული რუსთაველის შაირი, რომელსაც დიდხანს ჰყავდა მტკიცე დამცველები ჩვენს ლიტერატურაში. მაგალითად, არჩილი მწერლად არ სთვლიდა იმას, ვინც რუსთაველს ვერ მიბაძავდა.

ვინც ვერ მიჰყვეს რუსთველის თქმულსა,
გადმობრძანდეს ასე აქეთო.

და ბოლოს დასძენს:

სხვათ მელექსეთ არ ვახსენებ: არც ბაკა დვალიძესა,
არც დათუნა ქვარიანსა, შოთას რად ვერ წაბაძესა[1].

[1] არჩილიანი, ტ. II, 32 სტროფი.

მაგრამ რამდენად დრო გადის, ეპიური ჟანრის ადგილს ლირიკა იპყრობს. აღორძინების ხანის თითქმის ყველა მწერალი ლირიკის საშუალებით ცდილობს თავისი სულიერი განწყობილება გამოხატოს. მიუხედავად რუსთაველის დიდი ავტორიტეტისა, აღორძინების პერიოდის მწერლობაში ლირიკა მაინც გაბატონებულ ჟანრად ჩაითვლება. ამ მხრივ განსაკუთრებული დამსახურება გარსევან ჩოლოყაშვილს მიუძღვის. აკადემიკოსი კ. კეკელიძე აღნიშნავს:

„...გარსევან ჩოლოყაშვილი მნიშვნელოვანი ფიგურაა ძველი ქართული ლირიკის ისტორიაში... მან ქართულ ლირიკაში ახალი ნაკადი შემოუშვა, ამდენად, ის პიონერია ქართული პოეზიის განახლების საქმეში. მან პირველმა დაამსხვრია და შეარყია 16 მარცვლოვანი რუსთაველური შაირისა და 20 მარცვლოვანი ჩახრუხაულის ბატონობა ქართულ პოეზიაში და გზა გაუკაფა ნაირ-ნაირი მეტრის, რიტმისა და კომპოზიციის ლექსს, რომელიც მანამდე არაოფიციალური ლიტერატურის კუთვნილება იყო. მისი საქმე და წამოწყება, ჯერ მორცხვად, შეიძლება ითქვას, არალეგალურად შედის ლიტერატურულ ცხოვრებაში. მას ებრძვის ტრადიცია, ოფიციალური ლიტერატურისა. მეთვრამეტე საუკუნის დამდეგიდან კი ხდება მისი ლეგალიზაცია ჯერ ნაწილობრივი, საბა-სულხან ორბელიანის მიერ, მერე მთლიანი — მამუკა ბარათაშვილის, დავით გურამიშვილისა და მომდევნო პოეტების შემოქმედებაში“ [1].

მართლაც გარსევან ჩოლოყაშვილის ლექსთა კრებული „ნარგიზოვანი“ თერთმეტი ლირიკული ლექსისაგან შედგება. ამათგან 10 ლექსი სამიჯნურო ხასიათისაა, ხოლო ერთი ლექსი კი პატრიოტულ მოტივზეა აგებული.

„ნარგიზოვანის“ ავტორს საერთოდ გამოყენებული აქვს რუსთაველური შაირი, მაგრამ მისი სიახლე მართლაც იმაში გამოიხატება, რომ იგი არღვევს ამ ერთხელვე მიღებულ ნორმებს და მეტად ამრავალფეროვანებს ლექსის ზომასა და ტექნიკას. მაგალითად, აქ შეგვხვდება 7, 8, 10, 11, 12, 13, და 15 მარცვლიანი სტრიქონები. მეტრის ასეთი სხვადასხვაობა პირველად გვხვდება „ნარგიზოვანში“. ამდენად გარსევან ჩოლოყაშვილი შეიძლება ჩაითვალოს ანარქიული ლექსის ავტორად.

გარსევან ჩოლოყაშვილის შემდეგ აღორძინების ხანის ლირიკული პოეზია კიდევ უფრო გაამდიდრა მამუკა ბარათაშვილმა. როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, მამუკა ბარათაშვილმა პირველად შემოიტანა

[1] ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, გვ. 574.

პოეზიაში ხალხური სიმღერების კილო. ამით მან ერთგვარი ბიძგი მისცა ლირიკული ჟანრის განმტკიცების საქმესაც. ცხადია, ხალხური ლექსი **„პატარა ქალო თინაო, რას დამიდეგი წინაო“** არ აიწყობოდა რუსთაველის 16 მარცვლიან შაირის კილოზე. ასევე ლირიკულ მოტივზე არის აგებული მამუკას რუსული ხალხური სიმღერები. ერთი სიტყვით მამუკა არსებითად ლირიკოსი პოეტია. მისი ლირიკული ლექსებიდან შეიძლება დავასახელოთ შემდეგი ნაწარმოებები: ა) **„ქება მეფის ბაქარასა“**, ბ) **„წუთი სოფლის სიმუხთლე და ვერაგობა“**, გ) **„თვისი ბედის უკუღმართობა“**. შეიძლება აქვე მოვათავსოთ მისი სამიჯნურო-სატრფიალო ლექსებიც.

—:—

აღორძინების პერიოდის ქართულ ლირიკაში თვალსაჩინო წვლილი შეიტანა აგრეთვე ვახტანგ მეექვსემაც. ვახტანგმა შექმნა მთელი ციკლი სევდიანი ლირიკისა — ცრემლიანი ელეგიებისა. ასეთია მისი ელეგიები: ა) **„მოცალეობასა შინა მყოფსა ჰმუნვა ნაღვლისა მაქარვებელად“**.

ეს ლექსი რომანტიკოსებისათვის დამახასიათებელი სევდიანი სტრიქონებით იწყება:

დამიმონა კაეშანმა, სევდა მომხვდა
მისთვის წამლად...

და ბ) **„რა დავიბადე, სოფლით ვიბადე“**. ეს ლექსი შედგება 18 სტრიქონისაგან, რომელთაგან თითოეული თავდება რეფრენით: „ვაი, სიკვდილო, მწარე სიკვდილო“.

ეს ელეგია მეტად პესიმისტურია.

ასევე პესიმისტურია ელეგიები: გ) **„შურით აღივსნეს უგბილონი, წესი ქნეს მათის მამისა“**, დ) **„მე შევამკევ ცა ქვეყანათ“**, ე) **„საწუთროს ბაღი რა ჰქონდა, სცან ალექსანდრეს მეფისა“** და სხვანი.

განსაკუთრებით ლირიკის მგრძნობიარე სტრიქონებში გაბოხატეს სევდა-კაეშანი დავით გურამიშვილმა და ბესარიონ გაბაშვილმა. მართალია, დ. გურამიშვილს აქვს ეპიური ჟანრის ნაწარმოებნი, მაგრამ უმთავრესად მისი შემოქმედება ლირიკული ჟანრით განისაზღვრება. მას მხოლოდ სამი ისტორიული პოემა აქვს. „ჭირი ქართლისა“, ავტობიოგრაფიული პოემა **„დავით გურამიშვილის ლეკთაგან დატყვევება“** და სამიჯნურო ხასიათის პოემა ე. წ. „ქაცვია მწყემსი“, ხოლო მისი სხვა მრავალფეროვანი შემოქმედება მხოლოდ ლირიკული ჟანრით არის წარმოდგენილი.

გურამიშვილის ლირიკა შეიძლება გაიყოს ორ ნაწილად: 1) ელეგიები, სადაც ღვთიური საკითხებია განხილული და ამავე დროს სევდა-კაეშნით არის შეფერადებული. ასეთებია: ა) **„ტირილი ღვთის-მშობლისა“**, ბ) **„მოთქმა ხმითა თავბოლო ერთა“**, გ) **„ვაი რა მაქვს დიდი მოწყენა“** და 2) სატრფიალო ლირიკა: ა) **სიმღერა დავითხა „ზუბოვკა“**, ბ) **საყვარელმა სიტყვა ავი — მითხრა გულსაკლავი“** და სხვანი.

—:—

განსაკუთრებით ვერსიფიკაციის უმაღლეს სახეს აღორძინების პერიოდის ქართულმა ლირიკამ ბესარიონ გაბაშვილის შემოქმედებაში მიაღწია. ამ მხრივ ბესიკი თავისებური პოეტია, იგი არ ემორჩილება წინასწარ დადგენილ ნორმებს და ქმნის სხვადასხვა მეტრის თავისუფალ ლირიკულ ლექსებს. მრავალფეროვანება ახასიათებს მის პოეზიას.

ასეთია მისი ლექსები: **„სევდის ბაღს შეველ შენაღონები“** (10 მარცვლოვანი), **„დედოფალს ანაზედ“** (8-10 მარცვლოვანი), **„სევდის ლაშქარი“** (10 მარცვლოვანი), **„შავნი შაშვნი“** (11 მარცვლოვანი), **„ცრემლთა იხარნი“** (14 მარცვლოვანი), **„სევდის ლაშქარი“** (10 მარცვლოვანი), **„მე შენი მგონე“** (14 მარცვლოვანი), **„მაშ მის დღეს“** (11 მარცვლოვანი), **„შავ გლახ გულო“** (11 მარცვლოვანი) და სხვა.

როგორც ვხედავთ, ბესიკის ელეგიური ლექსებიც კი რთული ვერსიფიკაციით ხასიათდება. შინაარსეულადაც ბესიკის ლირიკა რომანტიზმის ნიშანს ატარებს. რომანტიკოსებისათვის დამახასიათებელი სევდიანი ჩნარის ჟღერა ისმის ბესიკის ელეგიებში. ბესიკის მთელი შემოქმედება ლირიკული ჟანრის უხვ დინებას წარმოადგენს. „ბესარიონ გაბაშვილი ერთი პირველთაგანია, დავით გურამიშვილთან ერთად, ის სწორუპოვარი წარმომადგენელია ლირიკული ჟანრისა“[1].

ქართული ლექსის ნ~ვატორი ბესარიონ გაბაშვილი რითმისა და რიტმის რთულ კომბინაციას იძლევა. იგი არა მარტო სხვადასხვა ლირიკულ ლექსს სწერს სხვადასხვა მეტრითა და რიტმული შეთანხმებით, არამედ ერთი ლირიკული ლექსის შესრულებისას, სხვადასხვა მეტრს, რითმისა და რიტმის კომბინაციას ახდენს[2].

---

[1] ა. ბარამიძე. ტ. II. გვ. 416.

[2] კ. კეკელიძე. ტ. II, გვ. 61.

დასასრულ შეიძლება ითქვას, რომ ბესარიონ გაბაშვილის სვედიანი ლირიკა თავისუფლად იჭრება მე-19 საუკუნის რომანტიზმის პოეზიაში.

ამრიგად, აღორძინების პერიოდის მწერლობაში გამართული „მოშაირეთა“ და „მოკლედ სიტყვის მთქმელთა“ შორის ბრძოლა, ლირიკის გამარჯვებით დამთავრდა. დროთა ვითარებაში რუსთაველის რკინისებური კანონი დაძლეული იქნა და ლირიკულმა ჟანრმა ბრძანებლობის მწვერვალები დაიკავა.

ისმება კითხვა: რით იყო გამოწვეული რუსთაველის კანონმდებლობის შერყევა და ლირიკის გამარჯვება მე-17, მე-18 საუკუნეებში? ეს უბრალო ლიტერატურული მოდის შედეგია, თუ მას რაიმე გარკვეული იდეური საფუძვლები ჰქონდა?

ცხადია, მე-17, მე-18 საუკუნეებში ლირიკული ჟანრის გამარჯვება და მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში კი მისი მთლიანი ბატონობა გარკვეულ იდეოლოგიურ მოვლენებთან არის დაკავშირებული.

დაშლის გზაზე დამდგარმა ფეოდალურმა არისტოკრატიამ ლირიკის საშუალებით უფრო გამოხატა დაცემულობის განწყობილება. ამით აიხსნება აღორძინების პერიოდსა და XIX საუკუნის პირველ ნახევარში ლირიკული ჟანრის გამარჯვება.

ამდენად მე 19 საუკუნის ქართული რომანტიკული პოეზიის საწყისი, აღორძინების პერიოდის ქართულ პოეზიიდან მოჩქეფს[1].

ამრიგად, მე-17, მე-18 საუკუნეების ქართული ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე გამოირკვა, რომ აღორძინების პერიოდის ქართული ლიტერატურა ძალუმად შეიცავს რომანტიზმის ცალკეულ მოტივებს, რომლებიც დამახასიათებელია XIX საუკუნის დასავლეთ ევროპის ლიტერატურისათვის და რომლებიც ერთიანი ნაკადის სახით შემოიჭრა ამავე საუკუნის ქართულ ლიტერატურაში.

ასეთია აღორძინების პერიოდის ქართველ პოეტთა მსოფლმხედველობა, აღმოცენებული ფეოდალური კლასის ეკონომიური და პოლიტიკური დაცემულობის საფუძველზე, რომელიც ორგანიულად დაუკავშირდა XIX საუკუნის ქართულ რომანტიზმს. დღემდე ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში გაკვრით გამოთქმულია აზრები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ მწერლობაში რომანტიზმის

[1] რაც შეეხება ბუნების საკითხს, რომელიც აგრეთვე დამახასიათებელია მე-19 საუკუნის რომანტიკოსებისათვის, აღორძინების პერიოდის ქართულ ლიტერატურაში შედარებით სხვა მოტივებთან სუსტად არის წარმოდგენილი

ელემენტების არსებობის შესახებ (აკად. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, გვ. 273; პროფ. ალ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. II, გვ. 11; პროფ. შ. რადიანი, ნ. ბარათაშვილი და ქართული რომანტიზმი, მნათობი, 1942, № 11-12; თედო ბეგიაშვილი, ქართული სიტყვიერების ისტორია, მესამე ნაწილი).

ამ შრომაში ფაქტიურ მასალაზე დაყრდნობით ჩვენ შევეცადეთ დაგვემტკიცებინა რომანტიზმის მოტივების არსებობა მე-17, მე-18 საუკუნეების ქართულ მწერლობაში და გაგვერკვია მისი წარმოშობის მიზეზები.

ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები, ტ. VII, 1947.

Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, т. VII, 1947.

Transactions of the Tsulukidze State Pedagogical Institute of Kutaisi v. VII, 1947.

მიხეილ ალავიძე

ოქროპირ ბაგრატიონის პიესა „ვეფხისტყაოსანი“

რუსთაველისადმი ღრმა პატივისცემა საყოველთაოდ ცნობილია მთელ ქართულ მწერლობაში. რუსთაველს ბაძავდნენ, აქებდნენ, ოკრძალებით იხსენიებდნენ. მის ქმნილებას მრავალი მგოსანი ავრცობდა — ტექსტში სტროფებსა და ცალკეულ თავებს ურთავდა, ნაწარმოების დაბოლოებას აგრძელებდა. ჩვენი ავტორის სახით კი დრამატურგიც გასჩენია უკვდავ „ვეფხისტყაოსანს“.

პოემა-რომანის გასცენურება ადრე განუზრახავთ და შეუსრულებიათ კიდეც.

1853 წელს მოსკოვში ქართულ ენაზე გამოქვეყნდა „ვეფხისტყაოსანი“, „ტრაღედია[დ] თქმული მეფის ძის ოქროპირისაგან“.

ეს წიგნი იშვიათი ბიბლიოგრაფიული ძეგლია. იგი ინახება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და კარლ მარქსის სახელობის საქართველოს საჯარო ბიბლიოთეკებში[1]. ჩვენ გვაქვს ერთი ეგზემპლარი, რომელიც გადმოგვცა პედაგოგმა პანტელეიმონ ბოჭორიშვილმა (სოფ. საირმე, ლეჩხუმი).

ტრაგედია 5 მოქმედებასა და 30 სურათს შეიცავს, დაიბეჭდა ივანე სერიკოვის სტამბაში. წიგნის ფორმატია 6×10, უჭირავს 68 გვერდი და 1438 გალექსილი სტრიქონისაგან შედგება. პიესის დამთავრების თარიღად აღნიშნულია 1852 წლის 12 იანვარი. წიგნის გამოცემისათვის ნება დაურთავს სანკტ-პეტერბურგის ცენზორი ი. შილდოვსკის.

ოქროპირი (1795-1857) ბაგრატიონთა გვარს ეკუთვნოდა და იყო საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი მეცამეტის შვილი. 1803 წელს იგი დედას, მარიამ დედოფალს, გაჰყვა რუსეთში, სა-

[1] ქართული წიგნი, ბიბლიოგრაფია, ტომი პირველი, გვ. 107, 1941.

და თითქმის მთელი სიცოცხლე გაატარა[1]. ოქროპირმა 1832 წლის შეთქმულებაში აქტიური მონაწილეობა მიიღო.

რუსთაველოლოგიაში ოქროპირ ბაგრატიონის პიესა დღემდე სპეციალურად არავის შეუსწავლია. მკვლევარი დიმიტრი ჯანელიძე მოკლედ შეეხო მას ერთ-ერთ სტატიაში[2].

წარმოადგინეს თუ არა ოქროპირის ტრაგედია, საამისო ცნობა ჯერჯერობით მოღწეული არ არის, მაგრამ ცხადია, რომ ავტორმა იგი სცენისათვის დაამზადა.

პიესა „ვეფხისტყაოსანი", რომელიც რუსეთში დაიწერა და გამოქვეყნდა, მრავალმხრივ იქცევს ყურადღებას.

წინასიტყვაობაში ოქროპირი ეხება მათ, რომლებმაც პირველად აღძრეს სურვილი შოთას პოემის თეატრში წარმოსადგენად. იგი სწერს: „1805 წელს გოდერძი ფირალოვმან, რომელიც იყო მდივანი ნეტარხსენებულის გიორგი მეფისა, ბატონიშვილობაში, და მერე ინოსტრანნის კოლეგიაში იმსახურებოდა, დაწერა სანკტ-პეტერბურღში რუსულ ენაზედ ვეფხვის ტყაოსანი, ტრაღედია ხუთ მოქმედებითი, მაგრამ თეატრზედ არ უთამაშნიათ".

ჩანს, ამ ცნობას ემყარებოდა ზაქარია ჭიჭინაძე, როდესაც სწერდა: „ვეფხისტყაოსანი" დრამად გოდერძი ფირალიშვილმა შეადგინაო[3].

უკანასკნელი დროის კვლევა-ძიებამ[4] დაადასტურა, რომ გოდერძი ფირალიშვილს (1768-1823), რუსეთის საგარეო საქმეთა დეპარტამენტის მთარგმნელს, მართლაც დაუწერია ასეთი ნაწარმოები, რომელსაც ეწოდებოდა „ინდოეთის ტახტის მემკვიდრე ანუ სიყვარული სამშობლოსადმი".

ავტორმა ეს პიესა განსახილველად გადასცა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ რუმიანცევს, რომელმაც იგი განათლების სამინისტროს გადაუგზავნა. პიესა სათანადო დასკვნით რუმიანცევს დაუბრუნდა.

გოდერძი ფირალიშვილს პიესის გამოქვეყნების უფლება არ მისცეს, რადგან მისი პიესა, როგორც მათ დაადასტურეს, შედგენილი იყო სათავგადასავლო თხზულების სახით, არ იცავდა დრამატული

---

[1] პლ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, აკაკი გაწერელიას რედაქციით, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით, გვ. 245, 1936.

[2] ვეფხისტყაოსნის დრამატურგია, გაზ. კომუნისტი, № 184, 1937.

[3] გაზ. დროება, № 1, გვ. 11, 1885.

[4] ტრ. რუხაძე, ძველი ქართული დრამატურგიის საკითხები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტომი XIV, გვ. 96, 1940.

ვეფხვის ტყაოსანი

ტრაღედია

თქმული მეფის მის ოქროპირისაგან

მოსკოვს.

ივანე სერიკოვის სტამბაში
1853.

[ოქროპირ ბაგრატიონის წიგნის გარეკანი]

ხელოვნების ნორმებს (ადგილისა და დროის მთლიანობას) და აღვივებდა პატრიოტულ გრძნობას.

ამაევე მიზეზით, როგორც ოქროპირი ამბობს, პიესა თეატრში არ დაუდგამთ.

ოქროპირის წინასიტყვაობის ზემოაღნიშნული ცნობიდან ჩანს, ინტერესი რუსთაველის გასაცნობად რუსეთის საზოგადოებისათვის გასული საუკუნის დასაწყისიდანვე წარმოიშვა.

ქართულ ენაზე პოემის გასცენურების პირველი იდეა კი გიორგი ერისთავს ეკუთვნის. მას სურდა „ვეფხისტყაოსანი" რუსთაველის ლექსებით წარმოდგენილიყო, რამდენადაც ამის შესაძლებლობას სცენა იძლეოდა.

გიორგი ერისთავმა დაიწყო პიესის წერა, რომელიც მალე შეწყვიტა. ოქროპირი მოგვითხრობს: გიორგი ერისთავმა „თვითვე მიჰყო ხელი და ერთი მოქმედება დაწერა, მაგრამ მე არ წამიკითხავს. არ ვიცი რასათვის აიღო ხელი. ვგონებ მრავალმა საქმემ და ახალთ ავტორების განსწავლების ზრუნვამ არ მისცეს მოცალება".

პროფ. შალვა რადიანმა და იაკობ ბალახვაშვილმა ელისაბედ დავითის ასულ ერისთავთან დაცულ დავით ერისთავის ლიტერატურულ არქივში იპოვეს გიორგი ერისთავის მიერ გასცენურებული „ვეფხისტყაოსნის" ტექსტი. მათი სიტყვით „მასში არაფერია გ. ერისთავისა, გარდა იმისა, რომ მოქმედი პირების სახელები დრამატურგიულ ფორმებშია ჩამოყალიბებული, დანარჩენში კი შ. რუსთაველის ტექსტია გამოყენებული" [1].

კერძოდ, ოქროპირ ბაგრატიონი თავის პიესაში ცდილობს დაიცვას კლასიცისტური დრამის კანონები: „ამა მოთხრობითსა წარმოდგინებაში ვეცადე, რომ დამეცვა წესი, შესაბამი ტრაღედიისა, რაც ამ ახალ გვარს შეეფერებოდა. მხოლოობა მოქმედებისა დაცულია, ვინადგან ფათერაკი, რომელი წარჰკიდებია უპირატესთა გვამთა მხოლოა. იგივეობა ადგილისა არ შემეძლო დამეცვა. მოქმედებანი, თუცა სხვადასხვა ადგილს აღსრულდებიან, ეგრეც ერთი მეორეზე დამოკიდებულ არიან"... ამრიგად, შოთას პოემის ბუნებრივი განვითარება არღვევს რუსულ-ფრანგულ დრამატურგიაში იმ დროს გაბატონებულ წესებს, რადგან, როგორც თვით ოქროპირიც შენიშნავს, ნაწარმოებში მთავარი ამბავი ნესტანდარეჯანის ძებნაა. ამიტომ ავტორისათვის შეუძლებელი ხდება ადგილისა და დროის ერთიანობათა დაცვა.

[1] გ. ერისთავი, თხზულებანი, გვ. 7. 1936.

როგორია პიესის კომპოზიცია?

შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“ სიუჟეტურად ორი პარალელური ხაზი ვითარდება. პირველია: ფარსადან მეფე, მისი ასული ნესტან-დარეჯანი და ნესტანის მიჯნური — ამირბარი ტარიელი; მეორეა: როსტევანი, მისი ქალიშვილი თინათინი და სპასპეტი ავთანდილი — თინათინის სატრფო. ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის სამიჯნურო თავგადასავალი პოემის ძირითადი ნაწილია, რომელსაც, ერთი მხრივ, ავთანდილ-თინათინის ამბავი უკავშირდება, ხოლო, მეორე მხრივ, — ახალ მოტივთა მთელი რიგი.

ავთანდილ-თინათინის სიყვარულის მოთხრობა შეიცავს დამოუკიდებელ სიუჟეტს, რომელზედაც პოეტს შეეძლო ცალკე ნაწარმოები შეექმნა.

პროფ. მიხეილ ჩიქოვანის თვალსაზრისით „ვეფხისტყაოსანი“ ორი სხვადასხვა პოემა-რომანის შეერთებას წარმოადგენს [1].

პოემის დრამატიზაციისათვის ყველაზე რთულია ამ ორი სიუჟეტური რკალის (ავთანდილ-თინათინისა და ტარიელ-ნესტან-დარეჯანისა) ერთ სცენურ რკალში მოქცევა. ეს საკითხი პირველად ჩვენმა დრამატურგმა წამოჭრა და სწორად გადაწყვიტა.

ამის შესახებ ოქროპირ ბაგრატიონი აღნიშნავს:

„როსტევან მეფისაგან იმიტომ მივყავ ხელი ამბავს, ვინადგან რუსთაველის წარმოდგენა გვინდოდა, და რუსთაველი როსტევანითგან მოჰყვება ამბის თხრობას, და თუ სხვაგვარად გაგვეწყო, სხვა რამე იქნებოდა და არა რუსთაველის ამბავი. აგრეთვე თუ დამეწყო ფარსადან მეფისაგან, მაშინ ორი შესავალი იქნებოდა: ერთი — ტარიელის გამიჯნურება და მეორე — თინათინის ტახტზე ასვლა და ავთანდილის ამბავი, ვინადგან ავთანდილ არის პირველი მჯობი ნესტან-დარეჯანის პოვნისა. ამას გარდა რაკი წარმოვადგენდი ტარიელის გამიჯნურებას, ხორაზმშას სიკვდილს, ტარიელის გაპრას, ნესტან-დარეჯანის დაკარგვას და დავარის სიკვდილს, ტრაღედია უჩემოდ თვით ამითი დასრულდებოდა, და სხვა ახალი ტრაღედია და მოქმედება უნდა წარმომედგინა; როგორც თინათინმა გაგზავნა ავთანდილ ტარიელის საძებნელად, როგორც იპოვა და როგორც გამოიხსნა ნესტან-დარეჯან, და ეს მეორე ტრაღედია იქნებოდა, და თუ ტარიელის მიჯნურობის ნაწილს რასმე წარმოვადგენდი, მაშინ უმსგავსო და უხმარ იქნებოდა, და ვამჯობინე

[1] ხალხური ვეფხისტყაოსანი. მეორე გამოცემა. გვ. 62. 1937.

რუსთაველს შევდგომოდი, ვინადგან რუსთაველი უკეთ მოეთხრობს".

მაშასადამე, ავტორმა ამჯობინა „რუსთაველს შესდგომოდა", ნაწარმოები მისებრ არაბეთის ამბიდან დაეწყო, ავთანდილ-თინათინის სცენური რკალი შეეკრა და მერე ვეფხისტყაოსანი გმირის ცხოვრება წარმოედგინა.

ოქროპირ ბაგრატიონის პიესა ძირითადად შოთა რუსთაველის სიუჟეტს იმეორებს, თუმცა მასში ავტორისეული რამდენიმე სურათიც მოიპოვება. რაც შეეხება ტექსტით სარგებლობას, ამ მხრივ ოქროპირი დიდ თავისუფლებას იჩენს: რუსთაველის თექვსმეტმარცვლოვან ლექსებთან ერთად, საკუთარ თექვსმეტმარცვლოვან, თოთხმეტმარცვლოვან და ათმარცვლოვან ლექსებსაც იყენებს „დაკავშირებად მოქმედებისა და შესაბამად თეატრისა".

ოქროპირი შოთა რუსთაველის საუკეთესო მიმბაძველად ჩაითვლება. მის ნაწარმოებზე რუსთაველის სტილის გავლენას ნათლად ეხედავთ. ოქროპირის ლექსები შესრულებულია სამაგალითო მხატერული ოსტატობით.

მესამე მოქმედება ვრცელია. მწერალი აქ ტარიელ-ნესტანდარეჯანის თავგადასავალს უმეტესად შოთას ლექსებით გადმოგვცემს, სხვაგან, ყველა მოქმედებასა და სურათში, კი ოქროპირის ლექსები სჭარბობს.

დრამის მოქმედ პირთაგან, რომელთაც შოთას პოემით არ ვიცნობთ, აღსანიშნავია: ზორა — თინათინის მსახური და ფერიე — ნესტან-დარეჯანის მოახლე ქაჯი.

პიესაში აგრეთვე გამოყვანილია ჭორო — მგალობელთა გუნდი.

ოქროპირის მართლწერა საკმაოდ თავისებურია. მის პიესაში ე. წ. „ხმარებიდან განდევნილ ასოებს" (ჲ, ჱ, ჳ, ჯ...) იშვიათად ვხვდებით.

ყურადღებას იპყრობს ჰაეს ხმარება. ეს ბგერა გრამატიკულ ფუნქციასაც ასრულებს (ჰყვა, წარჰკიდებია, ჰყოპმანობთ, ჰბრძანებ, დაჰბრუნდი...) და ხშირად პოეტურ სამკაულადაც გვევლინება (ჰსჯობს, ჰსცნო, ჰსცემენ, განჰსჭვრიტეთ, ჰსწყრებოდა; ჰსწორი, ჰაზრი, ჰინდოეთი, ჰფიცი...).

ოქროპირი ფართოდ იყენებს ტმესაც[1]. მის ლექსებში პრევერბიან ზმნას უმთავრესად დაერთვის ცა ნაწილაკი (გაცაწყრება,

[1] შოთას პოემაში სხვადასხვა ტმესი (ვე. ცა, ღა, ვით(ა), რა, ვინ) ხშირად მოიპოვება. ამ საკითხზე იხ. აკად. ა კ ა კ ი შ ა ნ ი ძ ე. ქართული გრამატიკის საფუძვლები, ნაკვეთი პირველი, გვ. 252. 1942.

მოცაკვდა, დაცაშვრებიან, დაცამკოდეს, დაცაჭკნება, ნოცაბრუნდა...).

პიესა ინარჩუნებს რუსთაველის სულს, ნაფიქრ-ნააზრევს, გვინერგავს უწმინდეს პატრიოტულ გრძნობას, გვიპყრობს მისი ზნეობრივი ზემოქმედების ძალა. ამ ნაწარმოებსაც გმირობის, მეგობრობისა და სიყვარულის მარადი საკაცობრიო იდეები ასულდგმულებს.

ჩვენ აქ წარმოვადგენთ პიესის შინაარსს და ოქროპირის რჩეულ ლექსებს.

პიესა იწყება თინათინისა და ზორას საუბრით. ზორა თინათინს ამ სიტყვით მიმართავს:

გარდიყარეთ, ბატონო, ღრუბელთ ეგე ჩერონი,
ინათლეთ პირთა თქვენთა შუქნი სატრფოდ მჭვირონი,
დღეს მიიღოთ არაბთა გვირგვინი და სკვიპტრონი.
გახდნენ საბედნიეროთ ზეიმნი საერონი.
მაშა თქვენი მაღალი, ხელმწიფე თვითმპყრობელი,
თქვენის სათნოებისა და ღირსების მცნობელი,
სამართლად ტახტს აღგიყვანს, სოფლის მანათობელი,
ზედა გამოგვიბრწყინდი, მზე ყოვლთ მაცხოვრებელი.
დედოფალო, თვით უწყით თქვენ ჩემი ერთგულება,
რას ვგრძნობ, ანუ კვლავ გული როგორ მომელხინება,
მაგრამ რასთვის ხართ ეგრე, რაა ეგ მოწყინება?
როცა ხარობს ყველაჲ, რათა გაქვს დაჭმუნება?

თინათინის დახასიათებით, როსტევანი არაბეთის უებრო მეფე იყო. მან ააშენა ქვეყანა და გაანაყგურა მტერი.

მოყავარნი და ერები, მის ქველობის მხილველნი,
მდაბლად მის საფარველსა არიან ვედრებულნი,
სამართლობას მოუცავს მისნი საბრძანებელნი,
მართალნი იხარებენ, ძრწიან ძვირის მყოფელნი.

გულმა ვით დასთმოს, — განაგრძობს იგი, — მწარე ფიქრი, რომ მამაჩემი მოხუცდა, მძიმეა მისთვის ხელმწიფის ტვირთი, მისი საუკუნო განშორების ჟამი ახლოვდება.

ჩემთვის, ქალისათვის, ძნელია გვირგვინის დადგმა, ხმლის აღმართვა, მტერთან შეხვედრა.

ზორას სიტყვით, წესისამებრ,

მამათ სამკვიდრებელსა მიიღებს მარად შვილი,
თვით მშობელთა ვისთვის აქვთ დღე-ღამე გატეხილი?

იმათია ყოვლი ცთა და ყოველი სურვილი,
რომ ხარობდეს მას შემდეგ ნაყოფი მათი ტკბილი.

სიყრმის გამო შიშმა არ შეგიპყროს, გამოუცდელობისაგან გული არ შეგიკრთეს, იმედად გეყოლება ავთანდილი — შეუდარებელი სატრფო და გმირთა გმირი.

თინათინის თქმით

თვით ეგე ჰყოფს უმეტეს ჩემსა საღონებელსა,
ვაი თუ ამა ტახტმა, ზე აღვდივარ რომელსა,
უფრორე დამაშოროს მას ჩემსა საყვარელსა,
ვისთვის ჰირი ლხინად მიჩნს, ვისთვის დავთმობ სოფელსა.

ავთანდილი უმორჩილესად ევედრება თინათინს, რათა უკანასკნელ ერთგულ მონად იგულვოს.

ამ სიტყვით ნაწყენი თინათინი ამბობს:

ეგ რა მესმა, რას ნიშნავს ეგე შენი თხრობილი?
ანუ შენ აღარა ხარ ჩემი თანა შეზრდილი?
ახრე ვითა შემცელიდეს ახალი მდგომარობა,
რომ გულიდგან გარდვიგდო მე შენი მეგობრობა!..

ავთანდილს სწამს, რომ თინათინის კეთილი გული არ გასწირავს და თხოვნას შეუსრულებს. იგი თინათინისადმი ტრფობასა და თავგანწირვას ასე გამოხატავს:

ახლოს მყოფს გერიდები, შორეს გიახლოვდები,
დაგტრიალებ ყოველთეის, თავსა შემოგევლები.
დღის ნათელი, ღამისა კვლავ ჩერონი ბნელები,
ტყენი ხშირნი, თუ მთანი, თუ ტურფანი ველები,
ყველა მე წარმომიდგენს შენთ თვალთ სიტრფოებასა,
დაეძაბუნდი, მიეცი თავი მოძაგებასა.
არ მოველი ჰირთა ხსნას, არც ცეცხლთა დავსებასა,
ერთს წყალობას გენუკვი, ერთს გკადრებ ვედრებასა:
გამისტუმრე, სადაცა ჯავრი გჰირდეს მტრებისა,
მუნ ვადიდო ბრწყინვანი თქვენის ჯავარებისა...
და თუ ბედმა მიცრუა, თუ მუხთლად განვიწირე,
მაშინც სვიან ვყო თავი, რა რომ დღენი შეგწირე.

თინათინმა უპასუხა:

მაგ შავ მოწყინებითა გული მე გამიგმირე,
ნურას იჭვობ უბრალოდ, იმხნე თავი იგმირე!

თუმცა მე და შენ შორის დანახეთქი დიდია,
თუმც გვირღვევს სვიანობას სოფლის წესი ფლიდია,
შენია გული ჩემი და მაქვსცა იმედია,
რომ არ ვიქმნე ბედისგან საწყლად განაკიდია.

მეფე შემობრძანდება. ისმის საყვირთა ხმა, ქოროხოტბას ჰგალობს. როსტევანი სიტყვას წარმოსთქვამს:

თუ დიდებითა ჩემითა მოცულა მთლად სოფელია,
თუ მოვასვენე მე ერი ესე ორმოცი წელია,
თუ მკლავი ჩემი და ხრმალი მტერთათვის საზარელია,
ყველა ამისა განგება ღვთისა მაღლისა მქნელია.
სიბრძნემან მისმან იცოდა ჩემი სიმართლე გულისა,
არ ვიურვებდი არა დროს, ჩემისა ქმნად სურვილისა;
სხვა არა მიჩნდა თუ არ ქმნა ჩემისა ვალდებულისა,
დაცვა ქვრივთა და ობოლთა და სიმართლისა სრულისა.

როსტევანი თინათინს ტახტზე აიყვანს, საკუთარი ხელით გვირგვინს დაადგამს, სკიპტრას გადასცემს და პორფირს წამოასხამს.

გაიმართება მეჯლისი, ცეკვა-თამაში. როსტევანი ჩაფიქრდება. ავთანდილი და სოგრატი ჰკითხავენ მოწყენის მიზეზს. გადასწყვეტეს სანადიროდ წასვლა, რათა როსტევან-ავთანდილის მშვილდოსნობა გამოსცადონ (პირველი მოქმედება).

მოჩანს მდინარის ნაპირი — ტყიანი და ბორცვებიანი ველი. დგას ორი კარავი როსტევან-თინათინისათვის. შორს ტარიელი ზის და ტირის. მონადირეთა ქორო გალობას ასრულებს. თინათინი მოგვითხრობს, თუ როგორ გამოიხსნა იგი ავთანდილმა ფათერაკისაგან, როცა საოცარ მხეცს შეხვდა.

ავთანდილმა შეჯიბრში გაიმარჯვა და როსტევანი გაახარა. ნახეს წყლის პირას უსაზღვრო მწუხარებაში მყოფი მტირალი რაინდი, რომელსაც შეპყრობა დაუპირეს.

ვეფხისტყაოსანი უმალვე გადაიკარგა. თინათინმა დააყალა ავთანდილს უცხო მოყმის ნახვა.

თინათინ-ავთანდილის განშორებას ოქროპირი ასე გადმოგვცემს:

თინათინი

მაშ, წახვალ, აჰა დამიდგეს დღე ერთობ საზარელია,
შენი შორ ყოფნა, ვაიმე, ჩემთვის რა დიდი ძნელია;
უშენოდ ჩემთვის დღითაცა ნათელი იყოს ბნელია,
ყოველთა თვის მწარე სიკვდილი მექმნესცა სასურველია.

ეს გგქონდეს წინდად ჩემისა მტკიცისა სიყვარულისა,
სურვილთა ამა გულისა შენადმი შემჭვალულისა;
ესე ბაზმანდი ჰირთ შორის მამყარებელი გულისა,
დამხსნელი ყოვლთა ზაკვათა ბნელისა მის უფსკრულისა.
ეს მარად, ჩემო საყვარო, შენ გქონდეს მოუშორები,
მტერთა ზედ გამოგადგება, გზანი წინ გიდგან შორები.
ზედ ჩემი სახე ხატია, სხვადასხვა არემარები,
მე მომიგონებ მას ზედა, როცა რომ დაეყურები.

ავთანდილი

შენი გაყრა გულსა ჩემსა შენზე უფრო ეძნელება,
რა მოშორდეს მზისა შუქი, ყვავილიცა დაცაჭკნება;
თავი ჩემი შემოგწირო, აღვასრულო შენი ნება,
ესც იყოს ჩემთვის მეტი იმედი და მოლხინება.
შენი სურათი მექმნების სანუგეშინოდ გულისა,
უუბრყვილესი ცეცხლისა ალითა დადაგულისა.
ეს ძღვენი უძვირფასესი ყველა განძისა სრულისა,
გამამხნევებს ჩემისა მკრთალისა სიყვარულისა
მაგით მიბოძე სიცოცხლე, დღენი ამეგზნენ ნათელნი,
მაგით ვერიო ჰირებთა, რაგინ შერამხვდენ მე ძნელნი,
ვიმედობ არა დაგვიწყდნენ ჩემნი სურვილნი ფიცხელნი,
მოიხსენებდე ხანისხან, ცრემლებთა მდიან რომელნი.
მე მოსწრაფებით დაეტკიპო მთანი, ბორცვნი და ბარნია,
ვნახო სხვადასხვა არჯნი, სხვა ნათესავთა გვარნია,
ვერ შემაბრუნონ მტერებთა, რა გინდ რომ დამხვდნენ
მძლავრნია,
შენთა ბრძანებათა მარადის მჭონდეს მე სახსომარნია.
თუ კი დმერთი შემეწევა ვპოვო ის ყმა დაკარგული,
თუმცა ხამდეს მოვიარო ქვესკნელისაც არე სრული,
თუ მიმუხთლა ბედმან ჩემმან, შეივედრე ჩემი სული,
მოიხსენე შენთვის ესე მძაფრი ჩემი სიყვარული.
ჩვეულებრივ აღმიწართე სახსოვარად მე სამარე,
ჩემი შენდა სამსახური მოწყალებით შეიწყნარე,
ჩემს საფლავზე ჩამოაგდე სიბრალულის ცრემლი ბარე,
ჩრდილი ჩემი ანუგეშე, საიქიოს ანეტარე!..

თინათინი

მაგას როგორ მეუბნები, ასრე ვითა გადაგწირო,
მე სიკვდილი შენი მესმას და კვლავ მზის შუქს დავემზირო!

რა სამარე აგიშენო, რასა ჰქვიან დაგიტიროო?
თუ შენ მოკვდი, მეცა მოვკვდე, თავი ჩემი რად ვიძვირო?!
მაგრა ფიქრითა ბნელითა გულნი რად დაგვიკრთებიან,
კეთილისათვის მავალთა ცანიც ეხმარებიან.
ღვთის'ავე მადლი დაგიცავს, გზანი თუმც გრძელნი
გხვდებიან,
მოხვალ და დღენი ნათელნი კვლავე გამოგვიბრწყინდებიან.

ავთანდილმა სპასპეტობა შერმადინს მიანდო და დაუბარა: თუ „აქეთ სამ წელს არ მოვიდე“, მეფეს აცნობე ჩემი სიკვდილი და აღასრულეთო ნაანდერძევი (მეორე მოქმედება).

თეატრი წარმოადგენს კლდეთა და შესაზარია ადგილს — ტარიელის ქვაბულს, რომლის წინ მდინარეა, შამბნარი და ათასწლოვან ხეთა ტყე.

ავთანდილი ფიქრობს:

ძლიე ჩემ ბედმა მიმახვედრა კვალსა ჩემგან ნაძებარსა,
მაგრამ როგორ მიუახლდე კაცსა ეგზომ მიუკარსა?
ანუ მომკლავს, ანუ მოვკლავ, ვიქმ საქმესა უმეცარსა,
აქ მოუცდი, ვირე ვპოვებ ღონეს რასმე მოსაგვარსა.

ავიდა ხეზე და ფოთლებში დაიმალა. ესმოდა მეგობართა ტირილის ხმა და ძახილი.

როცა გამოქვაბულიდან გამოვიდნენ, ასმათმა ტარიელი დაინახა:

კმარა, ეგე დამიჯერე, ნუ მოიკლავ თავსა ტკბილსა,
მხნეობდე და დასძალვიდე ბედსა ჩვენსა ამა წბილსა.

ვით გავსძლო, — პასუხობს ტარიელი, — გულში ჩაუქრობელი ცეცხლი გიზგიზებს, ხედვა მიმძიმს, „მომეღო ყოველი ღონეები“, ამეღო დამეკარგა. საბრალოვ, რატომ კვდებიო ჩემთვის.

წადი სოფელში, იშვნიე კვლავ დღეთა სინათლენია,
დასტოვე მხეცთა სადგური, ეს კლდენი და ტყენია,
მე მიმანებე ჩემს ბედსა, ცრემლი არ ახლად მდენია,
ჩემ საახლებად კმარიან აქა მხეცთ სიმრავლენია.

ასმათი

მაგასა რასა მიბრძანებ, ეგე რა მოვისმინეო,
რა ვქენ ბედკრულმან ასეთი, თავი რით მოგაწყინეო?
ანუ რას ვაქნევ სოფელსა, მისით რად მოვიღხინეო?
შენ აქა მარტო გაგიშვი და კიდეე დღე ვიჩინეო!..

ტარიელი

შემინდე, დაო, გაწყინე მე გლახ შმაგითა ენითა,
მაგრამ თვით იცი, ვითა ვარ მე საწუთროსა თმენითა,
შენა ხარ ჩემი ნუგეში, ერთგულებითა შენითა,
სალბუნი წყლულთა, რომლითაც ცას მოუცავარ ზენითა.

ავთანდილი მივიდა ასმათთან, რომელმაც იგი ტარიელს შეახვედრა. ტარიელმა მას მოუთხრო თავისი ცხოვრების ამბავი. დროდადრო გულშეწუხებულ ტარიელს წყლით ასულდგმულებდნენ. ავთანდილი მიმართავს ასმათს:

სიცოცხლესა გაეყრება. მომაშველე წყალი ჩქარა,
ნახე, ბედმან ლხინსა შემდეგ მყისვე როგორ დამამწარა,
ამის უკან რას ვარგივარ, როგორ გავსძლო მე, რაგვარა...
მოცაბრუნდა, წყალმან ცივმან სევდა გულსა უკუ ჰყარა.

ნესტან-დარეჯანმა ტარიელს ხვარაზმშაჰის შვილის მოკვლა დაავალა. ოქროპირის სიტყვით ტარიელი განაგრძობს:

თათბირი და გამორჩევა ესე მეტად მომეწონა,
მოვახსენე, სული ჩემი ადრიდგანვე დაგემონა;
მეკეთილა, ეგე ვქნათო, რაცა ღმერთმან მოგაგონა,
ესე ვთქვი და გავეყარე, წამოსვლამან დამაღონა.

ნესტან-დარეჯანი გადაკარგეს. ტარიელი სატრფოს ეძებდა.

რა ესე მესმა, გავშმაგდი, მომეცა თრთოლა და ზარი,
გავიჭერ, ჩავჯექ ნავშიგან, მისი კვალისა, მდევარი,
ოცი თვე უკლებ ვიარე, მოვლე ყოველთ ზღვათა საზღვარი,
მაგრამ სიზმარშიც ვერ ვნახე კაცი მის ამბის მთხრობარი.

ამის შემდეგ

ყველა მომწყინდა, კაცთ ვანიც ჩემთვის ძნელ მოსათმენია.
ფრიდონსა გამოვეთხოვე, მან მომცა ესე ცხენია,
აქ მოველ, დევთა წავუღე ესე ქვაბი და ტყენია,
ჩემს ვაებასა ხმას სცემენ მხეცნი და ესე ღრენია.

უკანასკნელად ტარიელი ეუბნება ავთანდილს:

აწ შემიწყალე, ნუ დამწვავ კვლავ წვითა უცხელესითა,
მე რომე ცეცხლი მედების, არ ნაგზებია კვესითა;
ვერ დამშრეტ, შენცა დაიწვი სოფლისა ქნისა წესითა,
წადი, დაბრუნდი, შეიქეც მუნითვე შენი მზესითა.

ავთანდილმა ფიცი დასდო. მეგობარს შველა აღუთქვა. მესამე მოქმედება მთავრდება ავთანდილის შემდეგი სიტყვით:

ღმერთსაცა ესე რად ეჭმნა, ეგეთნი დაებადენით,
ალარ შეგყარნა, გაგყარნა, ხელი გქმნა ცრემლთა დადენით.
სდევს ფათერაკი მიჯნურსა, განჰსჭვრიტეთ, გაიცხადენით,
თქვენ ერთმანეთი არ მოგხვდესთ, მე სულნი ამომხადენით.
ნუ გეშის, ღმერთი უხვია, თუმც სვენი გქონან ძვირები,
რა სასაუბრო პირია; ვერ შემაკრთობენ ჰირები.
შეღამდა. ხვალე, როს ცისკრის კარნი გაიღის მშვირები,
გზას შეუდგები, ღვთივ ჩემი ვასრულო დანაპირები.

ავთანდილი გულანშაროშია. მოჩანს ფატმანის ბაღჩა და აივნიანი ბინა. ფატმანი მარტოა და ამბობს:

რა წამს რომ ვნახე მე აქა ვაჭარი ახლად მოსული,
დავკრთი, გავწითლდი, გავფითრდი, სურვილისაგან ძლეული,
მყისვე დამესო საბრალოს ლახვარი გულსა ხეული,
ვერ დავთმე, შევატყობინე მას, რით მაქვს გული სნეული.

მოახლე მიართმევს ავთანდილის წიგნს. ფატმანის ბრძანებით ბაღში ლხინი გაიმართა, მოჩანგენი ავთანდილის ქებას მღეროდნენ.

ჩქარა, ყველა მოგვიმზადე შექცევად და ჩვენად ლხინად,
ამ ბაღჩაში, შადრევნის პირს, იყოს სუფრა გაცაშლილად,
მუტრიბნი და მოჩანგენი ქალნი ჩემნი შემოყრილად
როკვიდნენ და იმღეროდნენ ავთანდილის ქებას ტკბილად.

ქორო გალობდა:

კაცთ ლხინი სრული სიხარული, სიყვარულია,
უმისოდ გული ბინდმოცული, დაჩაგრულია.
ვითა ყვავილი, დანამსილი მზის მხურვალებით,
ელის ცივ წყაროს, მოჩანჩქაროს, მოუთმინებით,
ეგრევ დამხმარნი და დამჭკნარნი კვლავ მოვცოცხლდებით,
როს გვიზის ქალი, ბროლმკვირვალი, ჩვენთვის კრულია.
და ზღვა და ხმელი, მთლად სოფელი, მით ცოცხალია,
მოსცემს ნათელსა, ბნელ ქვესკნელსა, კეკლუცთ თვალია,
ვერცხლი და ოქრო, კაცთ სანატრო, არცა თვალია,
გულის იმედი, ლხინშემცველი მარტო ქალია.
სით მოგვივიდი, გამობრწყინდი, მზე შუქმომფენი,
გულნი ჰკრთებიან და შეგტრფიან, შენგან ნატყვერნი,

9. ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, ტ. VII, 1947.

მათ სანატრელად, ჭირთ დამტკბელად, ჯაჭვნი აქვთ შენნი,
გაჰყრი ღრუბელთა შავ და ბნელთა, ნათლობს გული.
აქ არ ერგება შეღონება, ხარობდეს გული,
აჭა ღიმილი, ტკბილ სურვილი, ჰფლობს სიყვარული,
გულ სანავარდსა, ფურჩქნილ ვარდსა, დატრფის ბულბული,
სამოთხის კარი, მჭვირ ცისკარი ჩვენ'თვის ხმულია.

ავთანდილი და ფატმანი განცხრომაში იყვნენ. ჩაჩნაგირი მივიდა მათთან და შეყვარებულს დაემუქრა. ფატმანს შიში მოერია. იგი მიმართავს ავთანდილს:

წადი, თავი მოიჩინე, საქონელიც გააპარე,
ნუ მიჩვენებ შენს სიკვდილსა, მსწრაფლად თავი მოიგვარე.
თუ შეიძლო, მოჰკალ იგი სვე მიგვრიდე ესე მწარე,
დროსა ნურად ნუ დაჰკარგავ, წადი, წადი, აეჩქარე!..

ფატმანი ამბობს:

ლახტი აიღო, გავიდა. მივა მის ყმისა საკვლელად,
ჰკერენ ერთმანეთსა ხმალს, ვექმენ შიზეზი სისხლთა
საღვრელად,
ვარ ჯოჯოხეთის მუგზური შეოთისა ამაგზებელად,
ავთანდილც მოვჰკალ, უმანკო შეილთ გავხდი
ამომწყვეტელად.

და კვლავცა თვისის შუქითა ღამეს მინათებს მე მთვარე,
მოჩანგენნი და მგოსანნი მე შემომრტყმიან კვლავ გარე,
რას გვარგებს ჩანგი, ბარბითი, მღერა გულთ მოსალხინარე,
თავ წაიგლიჯეთ, ზე დამრთეთ ამ ჟამს გოდების ხმა მწარე!..

ქალებმა მანდილები მოიხადეს, თმები ჩამოშალეს, ტირილი მორთეს და გამჩენს შეღაღადეს:

ღმერთო, მაღალო, ეედრება შეგვისმინე...
გადმოეც ზეცით მავრილობელი ცვარი.
დააცხე ცეცხლი, ჩვენთვის მგზნებარი.

ავთანდილი დაბრუნდა და მტირალნი გაახარა:

დააცხრეთ შეე ვაება და ცრემლნი მოიწურენით,
თქვენი მდევნელი მოკაკვდა, თავი აწ მოილხინენით.

ფატმანი

მე, ჭმარი ჩემი და შეილნი აწერა დავიბადენით,
ლომო, ჭეშანი შენიცა ჩვენ ვითა ვადიადენით!..

ფატმანმა ავთანდილს უამბო ნესტან-დარეჯანის თაეგადასავალი. მან წიგნი დასწერა და გრძნეულ მონას გაატანა ქაჯეთს (მეოთხე მოქმედება).

სცენაზეა ნესტან-დარეჯანის სენაკი. სარკმლიდან მოჩანს ქაჯთა ქალაქი და ციხე-კოშკები, რომლებზედაც მცველები იმყოფებიან. ნესტანი ზის. ტირის ფერია — მოახლე ქაჯი. იგი ნესტანის ერთგულია და მზადაა თავი შესწიროს.

დაწყნარდი, მაგას ვერ გასძლებს კაცი, თუმც იყოს
რვალისა,
არ გძინავს, არ სჭამ, არა სვამ, არ გაქვს შეშრობა თვალისა,
ბევრთ ტყვეთ არა აქვთ ნუგეშად არც სიტყვა შემაბრალისა,
თუმც ხარ პატიმრად, ეგრეც გაქვს პატივი დედოფალისა.
თუმც აქა ვარ მოჩენილი, სამსახურად თქვენად მცველად,
გული ჩემი შეგემსჭვალათ ერთგულებით შეუცვლელად,
არაფერსა არ მიბრძანებ რა ვყო მე გლახ შენად შველად,
შენის ცქერით ვიტანჯები, დღეთა კრულთა დამწყევლელად.

ნ ე ს ტ ა ნ-დ ა რ ე ჯ ა ნ ი

საბრალებელო, შენ რა გრჯის, რასათვის იწყევ სვეთაო,
რას იქნევ ამბავთ, ამ ჩემთა შავით ნაქსოვთა დღეთაო,
არსით არ არის წამალი ჩემთა დამჭირთა სენთაო,
ღმერთმა გაწყრა, არ ველი კაცთაგან მე ნუგეშთაო.

ფ ე რ ი ა

უშენოდ ეგრეც მივმხდარვარ, რას სენიც მოგწყლავს
რომელი,
ხარ უცხო ვინმე მიჯნური, გაქვს სულთქმა დაუცხრომელი,
მოგშორებია შენი მზე, გულისა მანათობელი,
ამად მებრალვი უმეტეს, მდის ცრემლი შეუშრობელი.
მითხარ, ვინ არის? სად ვძებნო, ვაცნობო შენი ამბავი,
ვით ვპოვოთ ღონე რაიმე ჩვენ შენი გასაპარავი.
ხედავ, ვით ესე ქალაქი მტერთაგან არს უბრძოლავი,
არა დაეზოგო შენისა გამოხსნისათვის მე თავი.

ნ ე ს ტ ა ნ-დ ა რ ე ჯ ა ნ ი

მე მაგას ვერა, ვერა ვიქმ, ეგე რა მოსაგვარია,
გაგამეებინო მამული, მამა, დედა და გვარია,
შენთ ჭირნახულთა ჩემზედა ეგერა მოსაზღვარია,
ისევ ეს მიჯობს, მდიოდეს სისხლისა ცრემლთა ღვარია.

სად გავიპარო? სად ვიყო? ადგილსა ვჰოვებ რომელსა,
სად მივეფარო მე ბედსა, ჩემზედ სასტიკად მწყრომელსა,
ვინ შეიწყნარებს სოფელში ჩემებრ ხელ აღუპყრობელსა?
მოვძულებულვარ თვის ტომთა, მამა, დედასა, მშობელსა;
წამიხდა ჩემი იმედი და ჩემი სიხარულია:
საცა წავიდე, თან მომყვეს ესეც გულისა წყლულია,
ჩემთვის მარტოდენ სიკვდილი არის ნუგეში სრულია.
შავმან მიწამან დაუღოს ჩემ გვამთა დასასრულია.
შენ, საყვარელო, რომელმან მარტოდენ შემიბრალეო,
უკანასკნელი სურვილი შენ ჩემი მიითვალეო,
როცა რომ მოვკვდე ესე ჰქენ, ამითი შემიწყალეო:
ეს ჩემნი შავნი რიდენი საფლავში ჩამაყოლეო.
ეს რიდე ჩემი ცრემლითა ეზომჯერ დალტოლვილიო
ყოვლ დიდებისგან მაღლისა მარტოდენ დამრჩომილიო.
ეს არის ჩემი სურვილი და ჩემგან მონდომილიო,
შენ გამისრულე წადილი, მომეც იმედი ტკბილიო.

დედოფალი დულარდუხტი ამშვიდებს მტირალ ნესტანს. მას სურს შერთოს იგი ქაჯთა ახლადგარდაცვლილი მეფის შვილს როსანს.

გაუშვი ეგე ტირილი, ისმინე ჩემი თხრობილი,
აქა ხარ, ჩემგან ნასყიდი, ტყვე გზასა ზედა პყრობილი,
ვინ ხარ, არ ვიცით, არცაღა გვარია შენი ცნობილი,
არა რას ამბობ, მარტოღა, გდის ცრემლი შეუშრობილი.
თუმცა მონა ხარ, გიყურებ ვით საყვარელსა ასულსა.
მინდა რომ ცოლად შენ მიგცე როსანსა, ჩემსა ძმისწულსა,
დღეს ჩვენ აქ იმას მოველით მტერზედა გამარჯვებულსა,
თქვენი რა ვნახო ქორწილი, ვხვდე ლხინსა მომატებულსა.
როსან, რომელსა მორჩილებს ქაჯთ ჩინებული ერია,
მოყმეა ახალ მოზრდილი და გმირი მკლავძლიერია,
პირით ბროლ-ბალახშოსანი, ვითა მზე მშვენიერია,
ყოვლ ხელოვანსა ქაჯზედა უმეტეს მეცნიერია.
ესეთია, აჰა, ჩემგან დღეს ნამზადი შენთვის ქმარი,
ბედსა ნუღარ ნუ უჩივი, მოიწყვიტე ცრემლთა ღვარი,
მისი შენზე კეთილობა არვისაა შესადარი,
ტყვე ახდები ტახტსა, გედგმის თავს გვირგვინი მნათობარი.

მაგ დიდებისაკენ, — ამბობს ნესტანი, — გული არ მიმიწევს. ნე სხვა წყალობას გთხოვთ. მრავალია მშვენიერი ქალი. რად ეტრფისო თქვენი ძმისწული ჩემს ცრემლიან თვალებს.

არა, არ მფერობს გვირგვინი, არც ტახტთა სიმძლავრენია,
ყოველი კაცთა დიდება ჩემთვის არს მოსაწყენია,
ცრემლია ჩემი ნუგეში და ჩემი მოსალხენია,
გამიშვი, გნუკავ, სრას მიჯობს სადგურად კლდე და ღრენია.

დედოფალი განრისხდა:

ეგ არის ჩემი პასუხი და ჩემი სამადლობელი?
უნათესავო, უგზოკვლო, ტყვე მიყიდიხარ რომელი,
მე დედოფალი მონასა გეპყრობი, ვითა მშობელი,
დაგვიწყებია შენ ზედა ჩემი კეთილი ყოველი.

ჩემი ლმობიერება ამპარტავნობას გმატებს. ტყვეს თხოვნას ვინ ისმენს. მან ბრძანება შიშითა და ძრწოლით უნდა აღასრულოს.

მე თქვენ წინაშე, — მიმართავს ნესტანი, — დანაშაული არ მიმიძღვის. ჩვენ ერთმანეთში დავა არ გვქონია. რა ბრძოლა გადიხადეთ, „რომელი ციხე-ქალაქი შენ ხმლითა დაგიმონია?“ არ იცი ჩემი სახელი, ტომი და მამული. გზაზე მიმავალი ქალი მეკობრეებმა შემიპყრეს და აქ მომიყვანეს. რად ჩავითვლებიო ტყვედ.

მე არას ვაქნევ თქვენს ტახტსა, არცა რა თქვენს ქვეყანასა,
შენ ძმისწულისთვის არ გიშლი სხვა ქალის მე მოყვანასა,
გაიხარებდეთ, იშვებდეთ, თავსა მისცემდეთ ლხენასა,
მე ჩემსა გზასა გამიშვით, თვარე დაიწყებთ წყენასა.
მე ნუ გგონივართ უთვისო, ნუ ხართ ამაზე მცთარები,
ჩემ გამომხსნელად მოვიდნენ ურიცხვნი გმირნი მძლავრები,
ნუ მინდობილხართ ციხეთა, რაგინდ რომ გქონდეთ მაგრები,
ჩემი გულისთვის მოგაგონ პატიჟნი ათასგვარები.

დულარდუხტი ნესტანს უკანასკნელ პასუხს აძლევს. ქორწილის დღეს დანიშნავს. იგი ბრძანებს:

რადგან ბოროტად შენ ჩემი შეურაცხ მიყავ წყალობა,
არაფრით მოსდრკი და ჩემი არა ინდომე რძალობა,
შეცა შენზედა ვიხმარო სასტიკობა და მძლავრობა
და ძალით მიგცე როსანსა, არა ვქნა ამის ცვალობა.
თქვენ წადით, ეხლავ მოკაზმეთ და განამშვენეთ ტაძარი,
ეგრეთვე ჩქარა აცნობეთ, მზად იყოს ჭურუმთ მთავარი,
მოიხმეთ ერი დღეობად, ყველას გაეღოს სრის კარი,
დღეს როსან დავაქორწილო, გახდეს ზეიმი და ზარი.

ნესტანი სწყევლის სვე-ბედს, მოიგონებს ტარიელს:

წამიხდა ყოვლი ხარება მოშორებითა შენითა,
მაწვევენ შენსა ღალატსა ძალისა დატანებითა.

მტკიცეა მისი რწმენა:

რადგან, ჩემო საყვარელო, თავი ერთხელ შემოგწირე,
შენთვის სახლი, მამა, დედა, ჰინდოეთი განვიწირე,
ახლა უნდა დაგირღვიო, რაცა ადრე შეგეპირე?
მიჯობს უწინ გული ჩემი გავიგმირო, ეგ ვქნა ვირე.

აღსასრულის წინ ნესტანი წარმოსთქვამს სიტყვას, რომელიც მისი ცნობილი წიგნის სტრიქონებია. ნესტანი ევედრება უფალს, რადგან მშველელი არა ჰყავს და ტარიელს ვერ გასწირავს, თვითმკვლელობით არ დაისაჯოს:

თუ დღეთა ჩემთა საბელთა ჩემი მოსმიკვეცს აწ ხელი,
ნუ დამსჯი, ღმერთო, ამისთვის, მექმენ მოწყალედ მლმობელი,

აქა გაყრილნი შეგვყარნე, სად არს ნათელი ცხოველი,
სადაცა ხარობს შენ წინა კეთილი სული ყოველი.

ნესტანი წამოდგება და გულში დასაცემად დანას აიღებს. მასთან ცხადდება შავგვრემანი, თმაგრძელი და ნაბდიანი ქაჯი ფატმანისა და წიგნს გადასცემს. ნესტანი ძალ-ღონეს მოიკრებს, გამხნევდება. იგი ქაჯს მოუთხრობს:

დედოფალსა უნდა ძალით, დღეს მომგვაროს აქა ქმარი,
მაგრამ უწინ გულს გავიპობ, დაეცემი მის წინ მკვდარი.

ფატმანის ქაჯი ცნობას წაიღებს. გაიმართა ქაჯებთან გააფთრებული ბრძოლა.

იფხრიწებიან ბაჯარნი, ჯაჭვ-მუზარადი-ფარია,
ისართა გააქვს სრიალი, იღვრების სისხლთა ღვარია...

ტარიელმა, ავთანდილმა და ფრიდონმა გამოიხსნეს ასული. ნესტანი მიმართავს ტარიელის ძმადნაფიცებს: „რა მადლობანი შეგკადროთ, ვართ თქვენგან გაცოცხლებულნი“. ტარიელი ბრძანებს:

დადგეს სისხლის ღვრა, ქაჯები გაიხსნენ დატყვევებულნი,
ჩემის ხარობით ხარობდნენ ყოველნი შეჭირვებულნი.

პიესა მთავრდება ტარიელ-ნესტან-დარეჯანისა და ავთანდილ-თინათინის ქორწინებით.

ოქროპირ ბაგრატიონის ტრაგედიას მოეპოვება თვალსაჩინო მეცნიერული და მხატვრული ღირებულება. ამდენად იგი ფრიად-მნიშვნელოვან ფაქტს წარმოადგენს „ვეფხისტყაოსნის“ დრამატიზაციის ისტორიისათვის.

М. Н. АЛАВИДЗЕ

ПЬЕСА ОКРОПИРА БАГРАТИОНИ „ВЕПХИСТКАОСАНИ“

Резюме

В 1853 году в Москве на грузинском языке была напечатана пьеса Окропира Багратиони „Вепхисткаосани“.

Трагедия „Вепхисткаосани“ является драгоценным библиографическим памятником. Состоит она из 5 действий и 30 картин. Формат книги 6×10, 68 страниц, заключающих 1438 стихотворных строк.

В Руставелологии эта пьеса до настоящего времени еще никем не изучена.

Окропир (1795-1857) был сыном последнего грузинского царя Георгия XIII-го. В 1803 году царица Мария взяла его с собою в Россию, где и провел он всю свою жизнь.

Пьеса „Вепхисткаосани“, которая была написана и напечатана в России, является интересной во многих отношениях.

В предисловии автор упоминает тех, которые впервые выразили желание поставить „Вепхисткаосани“ на сцене. Он отмечает, что в 1805 году Годердзи Пиралишвили написал на русском языке трагедию в пяти действиях под заглавием „Наследник престола Индии или любовь к родине“, которая не была поставлена на сцене.

Первая идея инсценировки „Вепхисткаосани“ принадлежит Георгию Эристави, который написал только одно действие пьесы.

О. Багратиони пытается в пьесе соблюдать правила классицистической драмы, но содержание поэмы не дает этой возможности, так как главное содержание произведения — это искание Нестан-Дареджан. Поэтому автор не может соблюдать единства места и времени.

Трагедия эта начинается событиями в Аравии, потом передаются приключения Тариэля и Нестан-Дареджан. В трагедии повторяется сюжет Руставели, хотя и имеется несколько оригинальных эпизодов. В отношении пользовании текстом, автор допускает вольности: наряду

с шестнадцатисложными руставелевскими стихами встречаются собственные шестнадцатисложные, четырнадцатисложные и десятисложные стихи автора — „для приспособления к театру“.

Из действующих лиц, не встречающихся в поэме Руставели, следует отметить Зору, слугу Тинатин и Форию — прислугу Нестан-Дареджан. В пьесе выведен хор.

Орфография Окропира довольно своеобразна. В его пьесе редко встречаются так называемые „вышедшие из употребления буквы“ (ჲ, ჱ, ჳ, ჴ...).

Обращают на себя внимание некоторые языковые явления.

В пьесе удержан дух Руставели, его помыслы. Она внедряет глубокое патриотическое чувство, в ней, также как и в поэме Руставели, проповедуются общечеловеческие идеи героизма, дружбы и любви.

Эта трагедия имеет большое художественное и научное значение; она является важным фактом в деле драматизации „Вепхисткаосани“.

ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები, ტ. VII, 1947.

Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, т. VII, 1947.

Transactions of the Tsulukidze State Pedagogical Institute of Kutaisi v. VII, 1947.

გიორგი სამხარაძე

ი. ჭავჭავაძის ესთეტიკის ფოლკლორული წყაროები

დიდ ქართველ მწერალსა და გამოჩენილ მოაზროვნეს ი. ჭავჭავაძეს შეეძლო გაემეორებინა სიტყვები, რომლებიც გოეთემ ეკერმანთან საუბარში განაცხადა:

„სამყარო ისე დიდია და მდიდარი, ხოლო ცხოვრება ისე მრავალფეროვანი, რომ არასოდეს არ ამოიწურება საბაბი ლექსისათვის. მაგრამ ყოველი ლექსი უნდა დაიწეროს შემთხვევის გამო, ეს კი იმას ნიშნავს, რომ მისი დაწერის საბაბსა და მასალას სინამდვილე უნდა იძლეოდეს. კერძო შემთხვევა გადაიქცევა ზოგადად და პოეტურად სწორედ იმის გამო, რომ იგი გადამუშავებულია პოეტის მიერ. ყველა ჩემი ლექსი დაწერილია შემთხვევის გამო, ყველა ისინი გამოწვეული არიან სინამდვილის მიერ და ღრმად აქვთ გადგმული ფესვი მასში. ჰაერიდან აღებული ლექსები მე არარაობად მიმაჩნია".

ამ სიტყვებს, სხვა ფორმებში, ი. ჭავჭავაძე მართლაც არა ერთხელ იმეორებდა, როგორც რეალისტი შემოქმედი.

ი. ჭავჭავაძის ლიტერატურულ პრაქტიკასა და აზროვნებაში ბეტკიცედაა დამკვიდრებული ხელოვნების, მხატვრული სიტყვის რეალისტურ-საზოგადოებრივი კონცეპცია. იგი დიდი, ღრმა რეალისტური ლიტერატურის ფუძემდებელი და ტიპიური წარმომადგენელია.

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც, რომ ქართული კლასიკური პოეზიის უდიდესი ვარსკვლავი, ქართული მწერლობის შესანიშნავი მემკვიდრე და საზოგადოებრივი აზროვნების ტიტანი — ი. ჭავჭავაძე 60-იანი წლების სხვა სახელგანთქმულ მოღვაწეებთან ერთად განსაკუთრებულ სიყვარულსა და პატივისცემას იჩენდა ხალხური შემოქმედებისადმი, ზეპირსიტყვიერი, ფოლკლორული საუნჯისადმი. ი. ჭავჭავაძეს ღრმად ჰქონდა გააზრებული ხალხური

პოეზიის ესთეტიკური, შემეცნებითი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური დანიშნულება. მან კარგად იცოდა, რომ ყოველ ხალხურ ძეგლს, რომელი ჟანრისაც არ უნდა იყოს იგი, ასაზრდოებს შორეული ისტორიული, კულტურული, ეთნოგრაფიულ-ყოფითი, სოციალური და პოლიტიკური რეალური ვითარება, რომ იგი შეთხზულია „სინამდვილის მიერ და ღრმად აქვთ გადგმული ფესვი მასში“.

ი. ჭავჭავაძის ესთეტიკურ შეხედულებებში, მის პუბლიცისტურ-კრიტიკულ წერილებსა და მხატვრულ ქმნილებებში ხალხური ხელოვნებისა და, კერძოდ, ფოლკლორის აქტუალური პრობლემები მჭიდროდაა დაკავშირებული ხელოვნების უტილიტარისტულ, რეალისტურ თეორიასა და პრაქტიკასთან. ეს პრობლემა აქამდე არაა მეცნიერულად შესწავლილი.

ფაქტია, რომ დღემდე გამოცემული ლიტერატურის ისტორიის სახელმძღვანელოებში, აგრეთვე ცალკე კრიტიკულ ნარკვევებში სრულებითაც არ არის გარკვეული ი. ჭავჭავაძისა და ფოლკლორის ურთიერთობის პრობლემები.

ჩვენი პოეტი რომ თავის ესთეტიკურ კონცეპციებში ფოლკლორს რეალისტური თვალთახედვით უდგებოდა, ამას მჭერმეტყველურად ადასტურებს ბევრი მაგალითი და მათ შორის ერთი შაირი, რომელიც ი. ჭავჭავაძემ დაბეჭდა თავის გაზეთში:

აღზდექი, ჭაროო ძლიერო,
დაგლიჯე არე-მარეო,
საერთო ტანჯვა-წუხილსა
ღრუბელი გადაჰყარეო,
ამო, გააქრე სიბნელე,
შენც, გაბადრულო მთვარეო,
და დაანახვეთ სამშობლოს
ქვეყნის ტკბილი და მწარეო...

* * *

ყოველი ეპოქის გენიოსი შემოქმედი მჭიდროდ იყო დაკავშირებული პოეტურ ფოლკლორთან. ზოგ შემთხვევაში ფოლკლორი შთაგონების წყაროც იყო და შემოქმედების პირობაც. ხალხური შემოქმედება ამ შემთხვევაში მწერლის ესთეტიკური შეხედულებისა და განსჯის განუყრელ ნაწილს წარმოადგენდა. ი. ჭავჭავაძე, ისე როგორც XIX საუკუნის ბევრი სხვა რეალისტი მწერალი, ღრმა ფესვებით იყო გადაკვანძული თავისი ქვეყნის ხალხურ პოეზიასა და ეთნოგრაფიასთან. ი. ჭავჭავაძეს არა ერთხელ განუცხადებია, რომ ფოლკლორი ხალხის სიბრძნის უტყუარი სარკეა. ხალხურ შემოქმე-

დებაში რელიეფურად დახასიათებულია უძველესი დროიდან მოყოლებული სოციალური ცხოვრება, ტომთა და კლასთა ურთიერთობა. ლეგენდებში, ზღაპრებში, გადმოცემებში, სიმღერებში, ლექსებში, მითებში, შაირებში, ანდაზებში, არაკებში, გამოცანებში, ისტორიულ და სასულიერო მითოლოგიაში, ეპოსში, ლირიკაში, სამეურნეო წლის ბრუნვასთან დაკავშირებულ რიტუალებსა და საკვნო ჰანგებში მეტნაკლები სინამდვილით არის დახასიათებული ხალხის ცხოვრება, კლასობრივი ანტაგონიზმი, ყოფა-ცხოვრება, ოჯახური და საზოგადოებრივი გარემო, ადამიანის განცდა, ხალხის პოეტური ტალანტი, შეხედულება ბუნებაზე და ა. შ. ფოლკლორი უდიდესი განძია ყოველი ერისათვის, იგი მისი პოეტური და კულტურული დონის, შემოქმედებითი და მხატვრული ფანტაზიის ნაყოფი და საზომიცაა.

ფოლკლორი ი. ჭავჭავაძეს, როგორც მოაზროვნესა და მწერალს, აინტერესებს არა როგორც თვითმყოფადი, ესთეტიკური კატეგორია, არა როგორც მხატვრული ტკბობისა და განცდის ობიექტი, არამედ ფოლკლორული ნაწარმოები ილიასათვის წარმოადგენს ისტორიული ვითარების, ისტორიული სიტუაციის ანარეკლსა და მხატვრულ უკუფენას. ნალხური პოეზია ი. ჭავჭავაძისათვის წარმოადგენს ისტორიაში ნამდვილად მომხდარი მოვლენის ჰეშმარიტსა და უტყუარ დოკუმენტს — ზოგჯერ ნამდვილობის სწორ სურათს, ხოლო ზოგჯერ პოეტიზირებული აქცენტით წარმოდგენილს.

„ფოლკლორი მჭიდროდ არის დაკავშირებული სინამდვილესთან. ზოგიერთ უბანზე, სხვა ზედნაშენთან შედარებით, ის უფრო ახლოს დგას ბაზისთან (მაგალითად, შრომის ლექსები და სიმღერები, მაგიური პოეზია). ყველა საზოგადოებრივ წყობას — პირველყოფილ უკლასო საზოგადოებას, მონათმფლობელობას, ფეოდალიზმს, კაპიტალიზმსა და სოციალიზმს თავ-თავისი ფოლკლორი ახასიათებს. ყოველმა კლასმა თავისი შესაფერი სიტყვიერება შექმნა... ფოლკლორი ისტორიულ ხანაში კლასთა ბრძოლის მძლავრი იარაღი იყო. კლასი კლასს უპირისპირდებოდა სულიერი კულტურითაც. ფოლკლორი ამ უკანასკნელის მრავალმეტყველ გამოხატულებას წარმოადგენდა. განსაკუთრებით მას მწერლობას მოკლებული, დაბეჩავებული კლასები იყენებდნენ, როგორც სოციალური ბრძოლის ბასრ და მასობრივ საშუალებას“ [1].

---

[1] მიხ. ჩიქოვანი, ქართული ფოლკლორი. სახელგამი, 1946. გვ. 10-11. აკადემიკოს კ. კეკელიძის რედაქციით.

ფოლკლორი გაუმარგლელ ყანასა ჰგავს. მის წიაღში ჩამარხულია საუკუნეთა სიმდიდრე. ჭეშმარიტად, სამართლიანად ეძახით მას დიდებულ საუნჯეს, „ხალხის სულს“ (მ. გორკი).

მოსწრებულად დაახასიათა იმსენმა ფოლკლორული ნაწარმოები: „დაბეჭდილი გმირული ლექსი რაღაც ძველი გამოდის, ფერწასული და, თუ გნებავთ, მოდადავიწყებული. ხალხის პირში კი გმირულ ლექსს ასაკი არა აქვს“.

ხალხური შემოქმედებისაგან ბევრითაა დავალებული ყოველი დიდი პოეტი, პროზაიკოსი თუ დრამატურგი. წარსულისა და თანამედროვეობის მწერლებს სწამთ ხალხური პოეტური შემოქმედების მხატვრული სიძლიერე, ზემოქმედების ძალა, მელოდია და ესთეტიკური სიმშვენიერე. ა. ს. პუშკინი გაოცებული კითხულობდა: „როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ რუსული ლაპარაკი ვისწავლოთ ზღაპრის გარეშე? არა, ეს ძნელია, შეუძლებელიც არის. და რა სიმდიდრე, აზრი და შინაარსია ყოველ ჩვენს ანდაზაში? რა ოქროა, რა მშვენიერებაა ეს ზღაპრები? თვითეული — თითო პოემაა“.

ხალხური შემოქმედება მაღალი პოეტური შთაგონების ნაყოფია. იგი ჩვენი წარსულის, სახელოვანი ისტორიის პირუთვნელი, მჭერმეტყველი და მიუდგომელი მემატიანეა. რაც ოფიციალურ დამწერლობასა და ლიტერატურაში საცენზურო პირობების გამო შეზღუდული და აკრძალული იყო, იგი ფოლკლორში სრული სახით გამოვლინდებოდა. ხალხური ნაწარმოები, როგორც ი. ჭავჭავაძე იტყოდა ხოლმე, ხალხის გულიდან მონაბერი სიმართლეა. იგი მხატვრულად ოსტატურია, ხერხემლიანია, იდეურად გამოკვეთილია, ეპოქის მსოფლმხედველობით პირობადებულია. მას გამოუვლია ისტორიის გაუვალი ტევრი და ქარიშხალი, ჩვენამდე მოსულა სრულყოფილი სახით. ხალხურ ნაწარმოებს ვერ აშინებს ზეპირი ტრადიცია და თაობიდან თაობაზე გადასვლა. იგი იცვლება, ხანდაზმული ხდება, მაგრამ არ იჟანგება, არ ცვდება. ამაშია მისი ჯადოქრობაცა და უცნაურობაც.

ა. წერეთელი — ქართველი ხალხის უნიჭიერესი მომღერალი — წერდა: „ხალხური პოეზია უტყუარი სარკეა გადასული ცხოვრების, და ისტორიის მტკიცე საძირკველი, და ამიტომაც ცნობილია დღეს ყოველ განათლებულ ერისაგან ერთ უპირველეს საჭიროებად. ჩვენი ქართული „ზეპირგადმოცემები“ მით უფრო შესანიშნავი არიან სხვებისაზე, რომ კერძო მნიშვნელობას გარდა, მსოფლიო ხასიათიცა აქვთ... არსად ისე გავრცელებული არ ყოფილა ,,მეზღაპრეობა‘‘, ,,მესტვირეობა‘‘, ,,მეშაიროობა‘‘, როგორც ჩვენში! საშ-

ვილიშვილოთ ვადმოიცემებოდა ხოლმე ერთი მეორისაგან ასასა და ათასი წლის ამბები, და ამის გამო უმაღლეს წერტილამდე იყო აყვანილი ჩვენი სახალხო პოეზია“ [1].

ი. ჭავჭავაძე თავის სამწერლო და საზოგადოებრივ მუშაობაში მნიშვნელოვან ადგილს უთმობდა ზეპირსიტყვიერებას. იგი მაღალ შეფასებას აძლევდა ხალხის პოეტურ ნიჭს, წარმოსახვის ძალას, გაშლილ და უნარიან ფანტაზიას, რაც ჩაქსოვილია ხალხურ შემოქმედებაში. ი. ჭავჭავაძე ფოლკლორის მკვლევარი, ქომაგი, გამომქვეყნებელი და მხატვრულ ნაწარმოებებში იშვიათ ვირტუოზობითა და ოსტატობით გამომყენებელი იყო. რა თქმა უნდა, ი. ჭავჭავაძე აძლევდა რა მაღალ მნიშვნელობას ზეპირსიტყვიერებას, ამით იგი გამოხატავდა მის მჭიდრო და კეთილმყოფელ დამოკიდებულებას ქართველი ხალხისადმი, მისი ეროვნული, პოლიტიკური და სოციალური პრობლემებისადმი.

ხალხთან სიახლოვე მამულისა და ხალხისადმი სიყვარულის ურყევ ძალად გადაიქცა. „მამულისადმი უანგარო სიყვარული პატარაობიდანვე შეჰყვა ილიას, მეტისმეტად უყვარდა ბაასი გლეხკაცებთან, მეტადრე მოხუცებულებთან. ჰკრეფდა და აგროვებდა ზღაპრებს, ანდაზებს, გამოცანებს. უყვარდა მესტვირეები და სიამოვნებით უგდებდა ყურს. საზოგადოდ კი მუსიკას არა სწყალობდა, და არც ესმოდა. მე იმისი მარტოდ მარტო ერთი სიმღერა მახსოვს. ხშირად ოთახში ბოლთასა სცემდა და უცნაურის კილოთი ღუღუნებდა:

Английский лорд.
Свободен и горд“,

გადმოგვცემს თავის მოგონებაში ილიას სიყრმის მეგობარი კოხტა აფხაზი [2].

მსოფლიო მხატვრული კულტურის საუკეთესო წარმომადგენლები ყოველთვის მიმართავდნენ და უხვად სარგებლობდნენ ხალხური შემოქმედებით. ორგანული კავშირი არსებობს ხალხურ პო-

[1] აკაკის კრებული. № 1. 1897, III განყ. გვ. 1; იხ. აგრეთვე აკად. კ. კეკელიძე, ბაში-აჩუკის ერთი უპიზოდისათვის, აკაკი წერეთელი, საიუბილეო კრებული, 1940; მ. ჩიქოვანი, აკაკი წერეთლის ლექსების ფოლკლორული ვარიანტები, ჟურნ. ჩვენი თაობა, 1940, № 6; გ. სამხარაძე, აკაკი წერეთელი და ქართული ფოლკლორი, ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, ტ. I; მ ი ხ. ჩიქოვანი, ქართული ფოლკლორი, სახელგამი, 1946, გვ. 430-446.

[2] ლიტერატურული მემკვიდრეობა, გვ. 564, 1935.

ენიასა და ინდივიდუალურ შემოქმედებას შორის. ი. ჭავჭავაძემ კარგად იცოდა ბ. ბელინსკის სიტყვები იმის შესახებ, რომ „ხალხი ისე ექცევა თავის დიდ ადამიანებს, როგორც ნიადაგი მცენარეებს, რომლებსაც იგი წარმოშობს".

იშვიათად ვნახავთ ისეთ მწერალს, რომელსაც თავის შემოქმედებაში არ გა²ოეყენებინოს, რა თქმა უნდა, მეტნაკლები მასშტაბით ხალხის პოეტური სიტყვის საუკეთესო, შთამაგონებელი სახეები, ტიპაჟი, გამომსახველობითი ხერხები, პეიზაჟები, სალექსო ზომა, მელოდია და ა. შ. ყოველი ერის მწერლობა აღმოცენებულია ხალხური პოეზიის ტრადიციების საფუძველზე, მათ შორის ისტორიულად ურთიერთზემოქმედების გამანაყოფიერებელი გავლენა შეინიშნება[1].

ი. ჭავჭავაძემ თავის ზოგადს ესთეტიკურ შეხედულებათა მწყობრ სისტემაში ფოლკლორის პრობლემას იმიტომაც დაუთმო ეგოდენ მნიშვნელოვანი ადგილი, რომ იგი საუკეთესო, ეჭვმიუტანელ საშუალებას წარმოადგენდა ხალხის ფართო მასების ცხოვრების შესასწავლად მისი მრავალფეროვანი გამოვლინებებით. მ. გორკი არა ერთხელ მიუთითებდა იმის შესახებ, რომ ხალხის ნამდვილი ისტორიის ცოდნა, ამ ისტორიის ძირითადი ეტაპებისა და ფორმაციების გათვალისწინება ყოველად შეუძლებელია ზეპირსიტყვიერებაში შემორჩენილი რეალიების გათვალისწინების გარეშეო. ფოლკლორი ჩვენ ერის ისტორიის სწორ სარკედ გვესახება. ფოლკლორისტიკა ძალზე მნიშვნელოვან სამსახურს უწევს ისტორიულ მეცნიერებას მთელი რიგი ფაქტების ჰეშმარიტების დადგენის საქმეში, როგორც

[1] М. Азадовский, Литература и фольклор, 1938; Ю. Соколов, Русский фольклор, М. 1938; კრებ. Советский фольклор. 1939; А. Н. Веселовский, собр. соч., т. I; მიხ. ჩიქობავა, შთამბეჭდავი და ქართული ფოლკლორი, კრებ. რუსთაველი სკოლაში, 1937; მისივე, ქართული ფოლკლორი, 1946. გვ. 380-465; ქს. სიხარულიძე, აკაკი წერეთელი და ხალხური შემოქმედება, კრებ. აკაკი წერეთელი, საიუბ. გამოც. 1940; М. Сперанский, Русская народная словесность, т. II, 1919; მ. ჩიქობავა, ხალხური ვეფხისტყაოსანი, 1937; მისივე, აბუსერიძე ტბელის თბილელების ფოლკლორული წყაროები, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. V, № 7. 1944; ა. ხახანაშვილი, ქართ. სიტყ. ისტ., ტ. I, 1904; კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტ., 1941; ალ. ბარამიძე, ნარკვ. ქართ. ლიტ. ისტორიიდან. ტ. I; თ. ბეგიაშვილი, აკაკი და ქართ. პოეტ. ფოლკლ., ჟურ. კომ. აღზრდ., 1940 წ.; გ. სამხარაძე, ა. წერეთელი და ქართ. ფოლკლორი, პედინსტ. შრომები, ტ. I, 1937; ქს. სიხარულიძე, ვაჟას პოემა „ეთერი" და ხალხური „ეთერიანი", 1940; გ. სამხარაძე, დერმონტოვი და რუსული პოეტური ფოლკლორი. პედინსტ. შრ., ტ. VI, 1946.

ამის შესახებ მოსწრებულად შენიშნავდა პოლ ლაფარგი თავის წიგნში — „კულტურის ისტორიის ნარკვევები". წერილობითი წყაროები, მატეანეთა ფურცლებზე ასახული ისტორიული ფაქტები, ამბები და ქრონიკები ივსება ხოლმე ფოლკლორულ ძეგლებში დაცული ცნობებით. ი. ჭავჭავაძეს ამ მხრივაც აინტერესებდა ქართული ზეპირსიტყვიერება.

სწორედ ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში ი. ჭავჭავაძეს, როცა 1880 წელს წერდა:

„ჩვენი ხალხისა და ქვეყნის ისტორია მეტად ბნელია და შეუმუშავებელი. ჩვენს ისტორიაში ან სულ არ არის ფაქტები ჩვენის ხალხის ცხოვრების შესახებ და, თუ არის კანტი-კუნტად სადმე, ისიც მეტად საეჭვო. ჩვენ ვამბობთ მარტო იმისთანა ფაქტების თაობაზედ, რომელშიაც ერკოობ ხალხი იჩენს თავის-თავსა, თავის თვისებასა, თავის მონაწილეობასა ისტორიაში. ერთის სიტყვით, ჩვენის შიდა ცხოვრების ისტორია ჯერ ფარდაუხდელია და უცნობი ჩვენგან. ჩვენი „ქართლის ცხოვრება" ხალხის ისტორია კი არ არის, მეფეთა ისტორიაა, და ხალხი კი, როგორც მომქმედი პირი ისტორიისა, ჩრდილშია მიყენებული, თითქო ხალხის ისტორიის შესამეცნებლად საკმაოა კაცმა იცოდეს მარტო მეფეთა ისტორია" [1].

ამ ბრძნულ მოსაზრებებში ი. ჭავჭავაძის ესთეტიკის ერთი მხარე მკაფიოდ არის დახასიათებული. იგი აღიარებს ხალხის როლს, მისი შემოქმედებითი შრომის; ხალხის სოციალური ძალის განსაკუთრებულ მნიშვნელობას. ისტორიას ჰქმნის ხალხი, კულტურის მშენებელი თვითონ ხალხის ტალანტია. როგორც ი. ჭავჭავაძე, ისე მ. გორკი ცოტა გვიან — 1908 წელს — სასტიკად ილაშქრებს დ. ოვსიანიკო-კულიკოვსკის, ეს. მილერის, ე. კელტუიალისა და სხვ. ანტიხალხური შეხედულებების წინააღმდეგ, როცა წერდა: „ხალხი მარტოოდენ ის ძალა როდია, რომელმაც შექმნა ყველა მატერიალური ღირებულება, იგი სულიერი ღირებულების ერთადერთი დაუშრეტელი წყაროც არის: იგი დროის, სილამაზისა და გენიალური შემოქმედების მიხედვით პირველი ფილოსოფოსი და პოეტია, რომელმაც შექმნა დედამიწის ყველა დიადი პოემა, ყველა ტრაგედია და უდიდესი მათ შორის — მსოფლიო კულტურის ისტორია" [2].

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. V, გვ. 201.

[2] М. Горький, О литературе, გვ. 374.

ამავე აზრით ამბობდა მ. გორკი: ,,ხელოვნება ინდივიდუმის მუდმივ ბელობაშია. შემოქმედების უნარი მხოლოდ კოლექტივს აქვს. ზეცის ხალხმა შექმნა, ფიდიასმა კი იგი მარმარილოთი განასხეულა მხოლოდ"... „იქვიანი ოტელო, უნებისყოფო ჰამლეტი, გარყვნილი დონჟუანი — ეს ტიპები შექსპირსა და ბაირონზე ადრე ხალხმა შეჰქმნა"... „...მილტონი და დანტე, მიცკევიჩი, გოეთე და შილერი მაღლდებოდნენ და უფროდაუფრო ზევით მიიწევდენ მაშინ, როცა ამათ ფრთებს ასხამდა კოლექტივის შემოქმედება"... გორკი იქვე დასძენს: ,,მე არამც და არამც არ ვამცირებ ამ პოეტების მსოფლიო დიდებას და არც მსურს შევამცირო. მე ვამტკიცებ მხოლოდ, რომ ინდივიდუალური შემოქმედების საუკეთესო ნიმუშები გვაძლევენ საუცხოო განსაზღვრულ ღირებულებებს. მაგრამ ეს ღირებულებები უფრო ადრე შექმნეს სახალხო მასების კოლექტიურმა ძალებმა" [1].

* * *

ქართული პერიოდული ჟურნალ-გაზეთების რედაქტორები და გამომცემელნი, მათ შორის ი. ჭავჭავაძე, დიდ ყურადღებას აქცევდნენ ეთნოგრაფიის, ხალხური კილოების მასალების, ფოლკლორული ძეგლების ჩაწერას, შესწავლასა და გამოქვეყნებას. ზეპირსიტყვიერება მათი ზრუნვის, ყოველდღიური მუშაობის საგნად გადაიქცა. ამის შედეგია ის, რომ 70-80-იანი წლების გაზეთები, სიყვარულით ბეჭდავდნენ პოეტურ და ეპიკურ ფოლკლორს [2].

მართლაც ი. ჭავჭავაძე, აძლევდა რა სერიოზულ მნიშვნელობას ზეპირსიტყვიერებას, როგორც ხალხის კულტურული მოღვაწეობის ხელთუქმნელ საუნჯეს, თავის გაზეთში — ,,ივერიაში" სისტემატურად აქვეყნებდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში შეკრებილ ხალხურ ნაწარმოებებს. იგი რედაქციის კარებს ფართოდ უღებდა მთიდან თუ ბარიდან ნიაღვარივით მომსკდარ ხალხურ ლექსებს, სიმღერებს, ზღაპრებს, ანდაზებს, შელოცვებს, გამოცანებს, რიტუალთა აღწერებს. ამ მოსაზრებას ადასტურებს ი. მანსვეტაშვილის ,,მოგონებიდან" ერთი ადგილიც:

,,ვისაც ძველი ,,ივერიისათვის" თვალი უდევნებია, ეხსომება, რომ ლექსები ძალიან იშვიათად იბეჭდებოდა მაშინ. მიზეზი ის იყო, რომ ილია ძალიან მკაცრად და სასტიკად ეკიდებოდა ლექსებს და

[1] М. Горький, Статьи. 1905-1916, 2. изд., стр. 16-17.

[2] დაწვრილებით იხ. მ. ხ. ჩიქოვანი, ქართული ფოლკლორი, 1940, გვ. 146-193.

ძალიან ბევრს მოსთხოვდა მელექსეს. როცა ლექსების დაფასება მოგიხდეთ, ნუ დაივიწყებთ ჭკვიანურ თქმულებას:

თავი ყველას ნუ ჰგონია
მელექსეთა კარგთა სწორი,
განა-ღა სთქვას ერთი-ორი
უმსგავსო და შორი-შორი.

თუ რა არის უმსგავსო ლექსები, ადვილად გასაგებია, — დარიგებას გვაძლევდა ილია: თუ ლექსში შეგხვდეთ სიტყვები: საგანი, ფიგურა, ვარდი, ბულბული, მთვარე და სხვა ამისთანაები, ბოლომდე ნუღარ ჩაიკითხავთ, გვერდზე გადააგდეთ, დროს ნუ დაჰკარგავთ. ეს ლექსი კი არ იქნება, არამედ უსაქმო კაცის ნაცოდვილარი, ლექსად ნაჯღაბნი. რასაკვირველია, ამათ რიცხვში არ მოჰყვებოდნენ ილიასი, აკაკისა, ვაჟა-ფშაველასი და ხალხური ლექსები. მაგრამ ილია და აკაკი ისეთი ძუნწები იყვნენ, რომ „ივერიას" ამათი ლექსების ნახვა არ ჰღირსებია"[1].

ჩვენი საკითხისათვის არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ი. მანსვეტაშვილის განცხადებას ი. ჭავჭავაძისა და ფოლკლორის ურთიერთობის შესახებ. ი. ჭავჭავაძის ესთეტიკურ შეხედულებებს ნათლად გაგვირკვევს ეს ადგილიც:

„რაც შეეხება ხალხურ ლექსებს და ვაჟა-ფშაველას, ამათ ყოველთვის დიდი ადგილი ეთმობოდათ გაზეთში. ებეჭდავდით აგრეთვე დავითაშვილის ლექსებს, თუმცა იმასაც ბევრი მდარე ლექსები მოჰქონდა ხოლმე, მაინც რედაქციის კარს არ ეუხშავდით: ესეც იმავე ხალხური პოეზიის წარმომადგენელი იყო"[2].

ი. ჭავჭავაძე დიდ პატივს სცემდა ი. დავითაშვილს, დაბალი ფენიდან გამოსულ პოეტს[3]. ილია მის შემოქმედებაში მშრომელი ხალხის ფიქრსა და აზრს ხედავდა; ი. დავითაშვილი შემოქმედებითად ხალხურ კილოებთან და პოეზიასთან იყო ძუძუნაწოვები. ი. დავითაშვილის დასაფლავებაზე წარმოთქმულ სიტყვაში ი. ჭავ-

[1] ი. მანსვეტაშვილი, მოგონებანი, გვ. 101; ი. მანსვეტაშვილი თავის შესანიშნავ „მოგონებანში" მთელ რიგ სხვა საკითხებთან ერთად იშვიათი სისრულით წარმოგვიდგენს ილიას საზოგადოებრივ-კულტურულ პროფილს. პრობლემის სისრულისათვის საინტერესოა არტურ ლეისტის „საქართველოს გული" და ნინო ნაკაშიძის „მოგონებანი", 1946.

[2] ი. მანსვეტაშვილი, მოგონებანი, გვ. 101.

[3] იხ. დოც. კ. მეძველია, პროლეტარული ლიტერატურის მოტივები ი. დავითაშვილის შემოქმედებაში, სახელგამი, 1932.

ჰავაძემ წაიკითხა ი. დავითაშვილის ხალხურ კილოზე დაწერილი ლექსი:

კაცი ხარ კაცად შობილი,
კაცი გიყვარდესო...
ეკლესიას დახვიდოდე
ყოველ უქმე დღესო.
დავითნი და სახარება
ორივ იქავ ძევსო.
იმათში ესე სწერია:
კაცი გიყვარდესო,
კეთილისათვის ბოროტად
თუ ვინმე გხდიდესო, —
სამაგიეროს ნუ უზამ,
დეე, თვით მიხვდესო!..
ჩვენსა მხსნელსა ეს დაჰმართეს,
კაცთა მოყვარესო...

ამ ლექსის წაკითხვის შემდეგ ი. ჰავჰავიძე ავრძელებს სიტყვას: „ეს აზრები, ეს გრძნობა, ეს სიტყვა ქარით მობერილი არ არის. ეს მარგალიტები იმ ზღვიდამ არის ამოღებული, რომელსაც ერის გულს ეძახიან. აქ არაფერია ნათხოვარი“ [1].

ი. ჰავჰავაძე თავისი გაზეთით ხალხური შემოქმედების მხარდამჭერი და პოპულარიზატორი იყო. ილიას მუშაობა, როგორც ზეპირსიტყვიერების გამომქვეყნებელ-გამავრცელებლისა, დაუფასებელია ქართული ფოლკლორმცოდნეობის ისტორიაში. მისი ღრმა რწმენით, ფოლკლორის შეკრებას, ხალხში ფართოდ გატანას — „დიდი გავლენა უნდა ჰქონდეს ხალხის გონებისა და ცნობიერების განვითარებაზედ, ეროვნულ წარმატებაზედ“ [2]. ამ სიტყვებს ი. ჰავჰავაძე პრაქტიკულად ანხორციელებდა გაზეთ „ივერიაში“, უხვად შეჰდავდა რა ხალხური შემოქმედების სხვადასხვა ჟანრის საუკეთესო ნაწარმოებებს.

რაოდენ მაღალმხატვრული, ქანდაკებასავით ჩამოსხმული და ორნამენტივით განზომილია ის ხალხური ლექსები და სიმღერები, რომლებიც ი. ჰავჰავაძემ გამოაქვეყნა „ივერიაში“.

ნეტავ ვიცოდე, ვინ გიყვარს,
ცისკარო ლურჯო ცისაო,

[1] ი. ჰავჰავაძე, თხზულებანი, ტ. IV, გვ. 173.
[2] ი. ჰავჰავაძე, თხზულებანი, ტ. II, 1941, გვ. 504.

ნეტავ ვიცოდე ვინ გიყვარს,
ღაღანა ვარდო მთისაო,
ნეტავი ჩემი გაგხადა,
ყვავილო ედემისაო,
და თუნდა მომკლა მაშინვე,
მსგავსო მთვარის და მზისაო [1].

ხალხს აქვს ტრფიალების, მიჯნურობის წმინდა, ნაზი, ლირიკული განცდა. ამგვარი რკალის ლექსებში დაფასებულია ქალი, მისი საზოგადოებრივი ღირებულება, სილამაზე. შიგ აძგერებულია ვაჟის გული, მისი მოლოდინის სიხარული და ჟრუანტელი. ვაჟები ტკბილმოუბარი და მოქარგული ენით ამკობენ ქალიშვილებს. ი. ჭავჭავაძემ ხალხური სატრფიალო ლირიკის ბევრი ნიმუში დაბეჭდა.

აი, ზოგიერთი მათგანი.

ქალო, მესმა ქება შენი,
უცხო თემსა მიამბესა,
სანახავად გადმოვიჭერ,
მაგრამ ჯაჭვით დამაბესა;
არ მაღირსეს ნახვა შენი,
ყველგნით მახე დამიგესა,
თვალსა ჩემსა ნახვა შენი
ვაჰ, თუ დაუგვიანდესა [2].

საქართველოში გავრცელებული ხალხური ლექსების დიდი უმრავლესობა პირველად ი. ჭავჭავაძის „ივერიის“ ფურცლებზე იქნა გამოქვეყნებული.

აგიღოთ რამდენიმე ნიმუში:

გოგო, შენს მოლალატესა
მაღლა ღმერთი გაუწყრესა,
ომში შეტანილი ხმალი
მარაკმიაც გაუტყდესა,
იალბუზის მინდორზედა
ნიაღვარიც აუდგესა,
წყალ-ძლიერ მოწყურებულსა
წყაროს წყალიც დაუშრესა,

[1] გაზ. ივერია, 1894, № 24.

[2] გაზ. ივერია, 1892, № 128. აქ კიდევ ბევრი სხვა ლექსია გამოქვეყნებული, რომლებიც რედაქციისათვის შეუკრებია ვინმე მ ე თ ვ ა ლ ყ უ რ ე ს.

გოგო, შენს მოღალატესა
მაღლა ღმერთი გაუწყრესა[1].

„ივერიის" ნომრებში (1886-1889 წლები) სისტემატურად იბეჭდებოდა აფორიზმები და ანდაზები („საანდაზო ლექსები, ამოკრეფილნი „ვეფხისტყაოსნიდამ", „ქილილა და დამანადამ" და „გურამიშვილიდამ"). „როცა მკვლევარი გაზ. „ივერიის" კომპლექტებს ათვალიერებს, განცვიფრებული რჩება ილიას დაუშურველი მუშაობით (განსაკუთრებით 1886, 1887, 1888, 1889 წ-ში). ილიას სული და ავტორიტეტი გაზეთის ყოველ პწკარში გამოსჭვივის. აი ეს საანდაზო ლექსები ხომ ერთი შეხედვით უბრალო რამეა, მაგრამ, ვინაიდან ეს აფორიზმები ასე სათუთად დალაგებული „ივერიებში" იყო დაბეჭდილი, ილიას ავტორიტეტის წყალობით ხალხში სწრაფად გავრცელდა და ამით ნაირფერობა შესძინა ქართულ ლიტერატურას"[2]. ი. ჭავჭავაძე ბეჭდავდა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მიმოხილვებს. მაგალითად, 1881 წლის № 1 „ივერიაში" გამოქვეყნდა ალ. ყაზბეგის „გადაკარგული მხარე", რომელიც მიმოხილვას წარმოადგენს გ. რადდეს თხზულებაზე „ხევსურები და ხევსურეთი".

ი. ჭავჭავაძე ხშირად იმეორებდა მის მიერ გამოთქმულ აზრს იმის შესახებ, რომ საჭიროა ხალხის ცხოვრების, ზნე-ჩვეულებისა და საჭიროებათა შესწავლა ფოლკორული ნაწარმოებების გზითა და საშუალებითო.

„ივერიაში" დაიბეჭდა ქიზიყში შეკრებილი შელოცვანი: მჭვალვის, თვალში მოხვედრილის, ჰიის, მგლის პირის შეკვრის, ტყლიპის, ქალის მუცლის, შეშინებულის[3]. აქვე გამოქვეყნდა ლეგენდა რაფ. ერისთავის ლექსითურთ „ქალი-აყვანა" (შილდასა და ყვარელს შუა პატარა გორას ჰქვია). რ. ერისთავი ლექს ასრულებს:

იქვე დგას [დღესაც ის გორი, თითქოს მინდვრების მცველია,
„ქალი-აყვანა" დაარქვეს, რადგან იმ მწყემსის მკვლელია,
იქ ახლო-მახლო სოფლებში სულ ყველა ამის მთქმელია,
ასე გავიგე ყველასგან ამბავი ძველის-ძველია[4].

[1] გაზ. ივერია, 1892, № 136.

[2] საანდაზო ლექსები, ილია ჭავჭავაძის ამოკრეფილი, წინათქმა და შენიშვნები ი. გრიშაშვილისა, თბ. 1935, გვ. 14.

[3] ივერია, 1885, № VIII.

[4] ივერია, 1882, № 3, გვ. 67-68.

ი. ჭავჭავაძის ,,ივერიამ'' ხელი მოჰკიდა საქართველოს კუთხეებში გავრცელებული ხალხური ,,ვეფხისტყაოსნის'' ვარიანტების პუბლიკაციას. (მაგ., ,,ტარიელი და ნესტან დარეჯანი'', ზღაპარი ს. ჭალაში გაგონილი და ჩაწერილი სოლოღაშვილისა)[1].

,,ივერია'' დიდ ინიციატივას იჩენდა გარდასულ დროთა სახალხო რიტუალებისა და წეს-ჩვეულებათა აღწერებისა და ტექსტების გამოქვეყნებაში. რიტუალები თანდათან დავიწყებას ეძლეოდნენ, იკარგებოდნენ. ამ შემთხვევაში ი. ჭავჭავაძე ხელმძღვანელობდა ისტორიული თვალსაზრისით. ქართველთა უძველესი რელიგიისა და სულიერი კულტურის მიუგნებელი საფეხურების დასადგენად შეღოცვების, დალოცვებისა და დამწყალობების ტექსტების შეურყვნელად, პირვანდელი სახით შემონახვას ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს. გაზ. ,,ივერიაში''[2] ი. ჭავჭავაძე ბეჭდავს საახალწლო ფშაურ დალოცვას:

,,გწყალობდეთაო ლაშარიო, ხახმატიო, გმირ-კოპალეო, ბერ-ბადურაო, გუდანიო, იახსარაო; გწყალობდეთაო მაღალი ღმერთიო, იმ დიდის ხემწიფის დაელათის: თაობითაო, დასტურ ხელოსანთაო, იქ მყოფ დარბაისელთაო მხვეწსაო''.

,,ივერია'' მოუწოდებდა სოფლის ინტელიგენციას — მიაწოდონ რედაქციას ხალხიდან ამოკრეფილი მასალები. გამოქვეყნებულ იქნა შევსურული ხალხური ლექსებიც.

რედაქციამ ამ შაირებს სქოლიოში ასეთი შენიშვნა გაუკეთა: ,,ეს ლექსები შეუკრებია უფ. როსტომაშვილს და ამას გარდა სხვაც ბევრი. მისგან მივიღეთ მთელი რვეული და შეძლებისამებრ დავბეჭდავთ. ძალიან კარგი იქნება, რომ სოფლის სხვა მასწავლებელთაც თვისი ყურადღება მიაქციონ ამ ფრიად საჭირო საგანს და როგორც ჩვენს ხალხთან დაახლოებულთა შეაგროვონ გლეხური ლექსები და გამოგვიგზავნონ. ჩვენ დიდის სიყვარულით მივიღებთ ყოველს ამ გვარს და დავბეჭდავთ''.

ამ თვალსაზრისით ინტერესს იწვევს ეთიკური შეხედულების მქადაგებელი ლექსი, რომელიც ლაზრო ახალგორელის ხელმოწერით გამოქვეყნდა. ამ ლექსსაც აქვს დართული რედაქტორის განმარტებითი შენიშვნა:

---

[1] ივერია, 1894, № 150. სამი ფელეტონი დაიბეჭდა, 1894 წ. ივერიის ნომრებში დაიბეჭდა ს. ცაიშელის წერილები: მეგრელთა ზნე-ჩვეულებანი (ქორწილი, ქელეხი).

[2] 1894, № 1.

,,ეს ლექსი ჩვენ ერთმა 20 წლის ახალგორელმა გლეხ-კაცის შვილმა მოგვიტანა და შეუცვლელად ვბეჭდავთ. ამ ახალგაზრდას სულ ერთი წელიწადია, რაც წერა-კითხვა შეუსწავლია. ვიდრე ანბანი არ იცოდა, ლექსებს ზეპირად სთხზავდა თურმა'' [1].

,,ივერიაში'' ი. ჭავჭავაძემ გამოაქვეყნა ბატონყმობის პერიოდის ხალხური ლექსები:

მინდორშია დამეძინა, დამეხვია კოღოები,
ნეტავი დამაკოცნინა აზნაურის გოგოები.

—:—

ბატონმა თოფი მაჩუქა, ნახევარი ვერცხლიაო,
ჩვენი კნეინის ჩაკოცნა ნახევარი ცეცხლიაო.

—:—

წინათ აზნაურშვილები უწრუწუნებდნენ ჭორებსა,
ახლა უჭირამთ კომბლები, დასდევენ სოფლის ღორებსა [2].

ამავე ნომერში დაიბეჭდა ახლადგათხოვილი ქალისა და დედის დრამატიული საუბარი.

,,ივერიაში'' გამოქვეყნდა მასწ. ვ. კოპტონაშვილის მიერ ახალციხის მაზრაში ჩაწერილი ისტორიული ხასიათის ლექსი ,,ერეკლეხანი''.

ცამა დაიწყო ღრუბლობა,
სულ დედამიწამ ღვარაო,
ერეკლე აწყვერ მოსულა,
შვიდი დღე-ღამე მდგარაო.
რუსმა აართვა ღალატი,
ქურდულებ გეეპარაო,
უკანაც ვეღარ დაბრუნდა,
ჯავახეთ მიეჩქარაო,
ასპინძის ბოლოს ავიდა,
იქ მტერი დეეხალაო.
იქა ქნეს დიდი დოგუში,
დელიბაშს უყვეს ძალაო...
სად მიხვალ ჩემო ერეკლევ,
სად მისდევ, ჩემო ლალაო,

[1] გაზ. ივერია, 1894, № 235.

[2] ივერია, 1885, № VII. ეს ლექსები ჩაუწერია სურამში და რედაქციისათვის მიუწოდებია სოფლის ინტელიგენტს ღ ო ნ ღ ა ძ ე ს.

ხმალდახმალ შევა ქართველი,
ცხვარივით წამოშალაო.
შექეცეს არტანუჯაში,
სულ წყალი გაამშრალაო,
ასპინძის ბოლოს ლეკები
ავლაბარს გაიტანაო[1].

მეორე მხრივ, ი. ჭავჭავაძე დიდ ინტერესს იწვევს, როგორც შემკრებ-ჩამწერი ხალხური შემოქმედებისა. როცა სახელოვანი მწერალი დუშეთში მუშაობდა მომრიგებელ-მოსამართლედ, მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა გლეხობასთან, ეცნობოდა მათ გულისტკივილს, შრომას, ფიქრებს, იწერდა მოსწრებულ სიტყვებს, გამოთქმებს, აგროვებდა ზეპირსიტყვიერების საუკეთესო ნიმუშებს. „არ ვიცი, იყო ვინმე ისეთი პირი, რომელსაც გაელენა ჰქონდა პატარა ილიაზედ, — სწერს კ. აფხაზი, — რომელმაც შთაბერა მას გულში სამშობლოსადმი სიყვარული და ხალხური ხელოვნებისადმი სიყვარული. მე მგონია, რომ ეს შემდეგში შეიგნო ილიამ. მეტადრე, როდესაც მომრიგებელ-მუამავლად და მოსამართლედ იყო, სადაც ხშირად ხვდებოდა და ახლოს ეცნობოდა ჩვენს ხალხს“[2].

სწორედ ამ პერიოდში იწყებს ი. ჭავჭავაძე ხალხური სიტყვიერების ჩაწერას. მის მიერ ჩაწერილი ფოლკლორული ნაწარმოებნი ზოგი თვითონვე გამოაქვეყნა, ნაწილი კი პ. უმიკაშვილისათვის გადაუცია.

ი. ჭავჭავაძემ ფოლკლორული ძეგლები ჩაიწერა 1870-1871 წლებში. მათ შორის აღსანიშნავია „ამირანი“, „ბეჟანი“, „შენმც დაგლევს სისხლის წყალიო“, „გაგვიძეღ, ბერო მინდიავ“, „დუშეთს იყრების ლაშქარი“, „ზურაბის მოკვლა“, „ავარდა ბატონიშვილი“, „ქალაქში ფშავლის შვილები“, „ვერ გაიგეთა, ქართველნო“, „ალალმე, შენი ჭირიმე“, „ირემო, მთასა მყვირალო“, „ქალმა თქვა“ და ბევრი სხვა.

ი. ჭავჭავაძის მიერ ჩაწერილი ხალხური ნაწარმოებები ნომრების მითითებით გამოქვეყნებულია 1937 წელს[3].

---

[1] ივერია, 1894, № 16. ამის შესახებ დაწვრ. იხ. ქს. სიხარულიძე, ქართველი ხალხის ბრძოლა სამშობლოსათვის ერეკლე მეორის ხელმძღვანელობით. კ. კეკელიძის რედაქციით, თბილისი, 1942.

[2] კოტა აფხაზი, მოგონებანი, ლიტერატურული მემკვიდრეობა, გვ. 565.

[3] პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, ნაწ. I, ფ. გოგიჩაიშვილის რედაქციით, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით, თბილისი, ფედერაცია, 1937.

საკმაოდ მოზრდილი ტექსტებითაა წარმოდგენილი ხალხური საგმირო ეპოსის ამირანის, ბეჟანის ვარიანტები. ზურაბ ერისთავის ვერაგობა არის ასახული ხალხურ ლექსში „შენმც დაგლეეს სისხლის წყალიო".

საჭიროდ მიგვაჩნია ი. ჭავჭავაძის მიერ ჩაწერილი ზოგიერთი ხალხური ნაწარმოების პუბლიკაცია.

გაგვიძეღ, ბერო მინდიავ,
მუხლი მაიბი მგლისაო,
გაიყოლიე უმცროსნი,
ვისაც თავი აქვს ცდისაო[1];

ალალმე, შენი ჰირიმე,
დალალმე, გამათხოვესო,
წითელი კაბა ჩამაცვეს,
საყდარში წამიყვანესო[2].

ირემო, მთასა მყვირალო,
რად ჩამოვარდი ბარადა?
— მეუღლე ჩემი მომიკლეს,
დავეხეტები ცალადა[3].

ლამაზო, შენსა ხვეენასა
ღილი მამიწყდა პერანგსა,
გეპოვნოს, — გამამიგზავნე,
მაგ შენი ძმების ლხენასა[4].

დალამდა და დაჰკრა ბინდმა, ცოლეურთან მიდის ბიჭი,
ღამესა ეუბნებოდა:
ამაღამდელო ღამეო, ნუ გათენდები მალეო,
საყვარლის უბეს ვეხვევი, ვეღარ ვიშოვი ხვალეო[5].

ნეტავი შენ ღუღუნელო,
მაღლა ზიხარ, ღუღუნებო[6].

[1] პ. უმიკაშვილი. ხალხური სიტყვიერება. გვ. 190.
[2] იქვე, გვ. 216.
[3] იქვე, გვ. 266.
[4] იქვე, გვ. 303.
[5] იქვე, გვ. 340.
[6] იქვე, გვ. 340.

ნეტავი მოვკვდე ხის ძირსა,
ფოთოლი დამედინოსა,
მოვიდეს ქალი ლამაზი,
თვალს ცრემლი მოედინოსა.

. . . . . .

ვაჟკაცსა გული რკინისა,
აბჯარი უნდა ხისაო,
თვალი ქორებულ მჭვრეტელნი,
ხელმუხლი შავარდნისაო,
ხარი, კამეჩი თავისი,
ცოლი მოსწონდეს სხვისაო.

. . . . . .

ალაზნის პირსა ჰკიდია
ვაჟის ჯურხაის ფარიო,
მოუვლის ომის წადილი,
ხანდიხან შესძრავს ჭარიო [1].

ამგვარი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლებოდა, მაგრამ ეს და სხვა ფოლკლორული ტექსტები მკაფიოდ გვისურათებენ ი. ჭავჭავაძის დამოკიდებულებას ხალხური სიტყვიერებისადმი, მისი იდეური და მხატვრულ-ესთეტიკური ღირებულებისადმი.

ილ. ჭავჭავაძის, როგორც ეთნოგრაფისა და ფოლკლორისტისადმი, ინტერესი რუსულ საზოგადოებრივ აზროვნებაში აღძრა მოსკოვის უნივერსიტეტთან არსებულმა ბუნებისმეტყველების, ანტროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის მოყვარულთა საზოგადოებამ. ეს საზოგადოება სცემდა ყოველთვიურ „ეტნოგრაფიჩესკოე ობოზრენიეს", რომლის რედაქტორიც იყო პროფ. ნ. ა. იანჩუკი. ამ ჟურნალების მასალებიდან ბევრი რამ გამოიყენა აკად. პიპინმა თავისი კაპიტალური სამტომიანი შრომისათვის „რუსული ეთნოგრაფიის ისტორია". ეთნოგრაფიული საზოგადოების უცვლელი თავმჯდომარე და ჟურნალის დროგამოშვებითი რედაქტორი იყო ლიტერატურის ცნობილი ისტორიკოსი და ეთნოგრაფ-ფოლკლორისტი აკად. ვ. თ. მილერი.

ქართული კულტურის ისტორიისათვის მეტად საინტერესოა ის ფაქტი, რომ „ეტნოგრაფიჩესკოე ობოზრენიეს" 1908 წლის № 1-2-ის დიდი ნაწილი მიძღვნილია ი. ჭავჭავაძის შემოქმედებისადმი. ბევრ-

[1] პ. უ ბ ი ქ ა შ ვ ი ლ ი, ხალხური სიტყვიერება. გვ. 407.

გან გაყვანილია პარალელები ა. ს. პუშკინისა და ი. გ. ჭავჭავაძის შემოქმედებითს პრაქტიკასა და მსოფლმხედველობას შორის.

ჩვენი ამ ნარკვევის საკითხის ფართოდ წარმოდგენისათვის საჭიროდ მიგვაჩნია ზოგიერთი ამონაწერი მოვიტანოთ ეთნოგრაფიული საზოგადოების სხდომის ანგარიშიდან, რომელშიც წარმოდგენილ მოხსენებათა ნაწყვეტებში დახასიათებულია ი. ჭავჭავაძე — ხალხური პოეზიისა და ეთნოგრაფიის შემკრები, გამომყენებელი, შემსწავლელი და დამფასებელი. საგულისხმოდ მივაჩნია იმის გახსენებაც, რომ აღნიშნულმა საზოგადოებამ თავისი პირველი სხდომა მიუძღვნა ა. ს. პუშკინს 1899 წლის 25 მაისს.

აკად. მილერის შესავალი სიტყვის შემდეგ საჯარო სხდომას მოუსმენია სამი მოხსენება: ,,ი. ჭავჭავაძე, როგორც ეთნოგრაფი'',— წაიკითხა პროფ. ალ. ხახანაშვილმა; მეორე მოხსენებით თემაზე — ,,XIX საუკუნის ქართველი ხალხის ყოფა-ცხოვრება და ზნე-ჩვეულება თავ. ილია გრიგოლის-ძე ჭავჭავაძის ლიტერატურულ ნაწარმოებებში'' — გამოვიდა გ. ქორდანია, ხოლო დ. ე. არაყიშვილის მოხსენების თემა იყო ,,თავ. ჭავჭავაძე და მისი ლექსები ქართულ ხალხურ სიმღერაში'' [1].

აკად. ვ. მილერი, ატარებს რა ლიტერატურულ პარალელს ი. ჭავჭავაძესა და ა. პუშკინს შორის, აცხადებს: ,,თუ ჩვენ გადავხედავთ ორივე — რუსი და ქართველი პოეტის სულიერ თვისებებს, დავინახავთ პოეტური შემოქმედების დიდ ნიჭს, ჩვენ დავინახავთ მსგავსებას ხალხისადმი სიყვარულში, ამ ხალხის ყოფა-ცხოვრების შესწავლის ინტერესში, მისწრაფებაში, რომ ამ ხალხებს მოუტანონ სულიერი სარგებლობა'' [2]. მაგრამ ი. ჭავჭავაძე ბედნიერი იყო რუს პოეტზე, რადგან იგი მოესწრო დიდ რეფორმათა ბრწყინვალე ეპოქას... ამ დიდი აქტის პრაქტიკულად გატარების დროს იყო შესაძლებელი მხატვრულად გამოსახულიყო ,,გლეხთა განთავისუფლების სცენები'' და მისალმებოდა ბატონყმური ინსტიტუტის დაცემას ლექსით: ,,მესმის, მესმის''. ეს. მილერს იქვე მოჰყავს ამ ლექსის პირველი ორი სტრიქონის რუსული თარგმანი:

Слышу, слышу желанный звук
Павших с народа цепей.

ვ. მილერი ეხება პუშკინის მიერ ჩატარებულ საგანგებო მუშაობას, რის შედეგად მან დაწერა პუგაჩევის აჯანყება, პეტრე დიდის მეფობის ისტორია.

[1] დაწვრ. იხ. ჟურნ. Этнографическое обозрение, М. 1908, № 1-2.
[2] იქვე. გვ. 119.

ილიაცო, შენიშნავს მილერი, დიდ ყურადღებას აქცევდა ისტორიულ მასალათა შესწავლას, რომელიც მან გამოიყენა პოემაში „დიმიტრი თავდადებული“ და სცენაში „დედა და შვილი“.

„ილია ჭავჭავაძე, — აგრძელებს რუსი მეცნიერი, — საქართველოს მწერალთა ერთი პირველთაგანია, რომელმაც მიუთითა ხალხური შემოქმედების შესწავლის სერიოზულობაზე და უკვე 1873 წელს თავ. რაფიელ ერისთავთან ერთად შეკრიბა და გამოსცა გლეხური სიმღერებისა და ანდაზების პირველი კრებული“. „Его деятельность как писателя-патриота, издателя и редактора журналов, беллетриста и практического деятеля, была разнообразна и разносторонна, но все стороны ея объединяются любовью к грузинскому народу“.

როგორც პროფ. ალ. ხახანაშვილი გადმოგვცემს, ი. ჭავჭავაძე იყო სრულიად რუსეთის ბუნებისმეტყველების, ანტროპოლოგიისა და ეთნოგრაფიული საზოგადოების ნამდვილი წევრი.

ა. ხახანაშვილმა ი. ჭავჭავაძისადმი მიძღვნილ სხდომას მოაგონა ფრანგი მეცნიერის დე-ბაის მისასალმებელი სიტყვა, რომელიც მას უთქვამს ილიასათვის 1899 წლის 26 ოქტომბერს:

„...მთელი საქართველო აყვავებული ბაღია, ხოლო კახეთი — საქართველოს ბაღი. იქ ბუნება მდიდარია და საუცხოო. ვაზი ხეებზეა გასული, მის ტოტებს ამძიმებს ქარვისფერი, თუ მუქმწვანე მტევნები. ბროწეულის ხეები მორთულია ყვავილებით თუ ნაყოფით, — თითქოს თვითფერადი ქვებითაა დახუნძული... ბედის მიერ ეს შერჩეული მიწა ყოველთვის მორთულია. იგი გადაჭიმულია ალაზნის მშვენიერ ველზე დაღესტნის თოვლიანი მთების პანორამის წინ... ამ მიწაზე ყვავილები ფერადდებიან და, აი, ერთხელ ამოვიდა თანამოძმეებზე უკეთესი ყვავილი. მზემ დააფრქვია მას ოქროს სხივები... კეთილი ფერია გამოცხადდა გაცისკროვნებული მთვარის სხივებით და ყვავილს კოცნით მიანიჭა პოეზიის უკვდავი გენია. ამ დროიდან საქართველო ამაყობს ყვავილების სილამაზით — თავისი საუკეთესო პოეტით“. ამ სიტყვების შემდეგ ალ. ხახანაშვილი ახასიათებს ი. ჭავჭავაძის მხატვრულ შემოქმედებას, ეხება მას, როგორც მკვლევარ-ეთნოგრაფს, ზეპირსიტყვიერების შემკრებს, გამომცემელსა და რედაქტორს.

ილ. ჭავჭავაძე, — ამბობს ალ. ხახანაშვილი, — თავის მრავალფეროვანი მოღვაწეობის ყველა სფეროში იყო დაკვირვებული და ენერგიული. ასევე იგი საოცარ ინტერესს იჩენდა ხალხური ენის, სასაუბრო მეტყველების, ლექსიკის, ყოფა-ცხოვრებისა და ფოლკლორის დარგშიც. ყველაფერ ამას ი. ჭავჭავაძისათვის პრინცი-

პული მნიშვნელობა ჰქონდა. ფოლკლორი ერთ-ერთი ძირითადი წყარო იყო ი. ჭავჭავაძის ესთეტიკური შეხედულებებისა.

ხალხური პოეზიის სხვა სახეობაგან პირველად დ. ჩუბინაშვილის „ქართულ ქრესთომატიაში“ მოხვდა ხალხური ანდაზები. ორი წლის შემდეგ, 1848 წლის „ზაკავკაზსკი ვესტნიკში“, რომელიც ხალხურ სიძველეთა შემსწავლელის პლატონ იოსელიანის ხელმძღვანელობით გამოდიოდა, დაიბეჭდა ხალხური ძეგლი „სიმღერა სამ ლამაზ ასულზე“ („Песня о трех красавиц“)... იმავე ჟურნალში 1853 წელს დაიბეჭდა შთიულთა ხალხური ლექსი აღა მამად-ხანის მიერ ობილისზე შემოსევის შესახებ. ხალხური სიმღერა ზურაბზე, რომელიც კედელში ჩააშენეს, თემად აიღო დ. ჭონქაძემ. ეს მოთხრობა დაიბეჭდა ჟურნალ „ცისკარში“ (1866 წ.). მაგრამ უფრო ორგანიზებულად და ხვავიანად ხალხური პოეზიის ნიმუშებს გზა გაუხსნა გაზ. „დროებამ“. ფოლკლორისადმი შეუნელებელი ინტერესის მაჩვენებელია 1873 წელს ჟურნ. „კრებულში“ გამოქვეყნებული პოეტ რაფ. ერისთავის „ხალხური სიმღერები და ანდაზები“.

ალ. ხახანაშვილი წერს ი. ჭავჭავაძის შესახებ: „Пробуждению интереса к народной поэзии много он содействовал как личным участием в записывании народных песен, так и предоставлением страниц своего журнала и газеты в распоряжение лиц, занимающихся собиранием памятников народного творчества“.

უფრო ქვევით ვკითხულობთ: „За кн. И. Чавчавадзе последовали талантливые поэты из грузин-горцев, братья Разикашвили—по преимуществу настраивающие свою звучную лиру на народные мотивы. Первым же писателем, поднявшим знамя народности, народного блага, был кн. И. Г. Чавчавадзе“.

როგორც აქედან ჩანს, ი. ჭავჭავაძის შემოქმედებასთან ხალხური პოეზიის სხვადასხვა ჟანრების დამოკიდებულების საკითხები ისმებოდა ხოლმე მეცნიერებაში, მაგრამ ეს საკითხები მთელი სიგრძე-სიგანით არ ყოფილა გაანალიზებული, დალაგებული და შესწავლილი. ნამდვილად ილია ჭავჭავაძის შემოქმედების ელემენტების მეცნიერული შესწავლა, წყაროების გამონახვა და დიდი მემკვიდრეობის შესწავლა საბჭოთა ხელისუფლების პირობებში შეიქნა შესაძლებელი.

* * *

ი. ჭავჭავაძე ყოველწლიურად იხდიდა „ილიობას“. ილიას სახელის დღეობა იმ კუთხის ზეიმი და დღესასწაული იყო. იგი წარმოადგენდა, ა. ლეისტის ცნობით, ლიტერატურის, ხელოვნების,

ჰეშმარიტი პოეზიის, ამხანაგური პაექრობისა და ხალხური ქალიშვილობის, შემოქმედებითი ტალანტის დათვალიერების ოლიმპოს. ილია ლექსებს ათქმევინებდა ვაჟა-ფშაველას, გრიგოლ აბაშიძეს და ხალხური პოეზიის მოჭმელებს.

,,ძალიან უყვარდა (იგულისხმება ი. ჭავჭავაძე — გ. ს.) სიმღერა ,,მუმლი მუხასა'' და ეს იყო მგონი, ერთადერთი სიმღერა, რომლის ასრულებაში თვითონაც იღებდა მონაწილეობას.

მუმლი მუხასა,
გარს ეხვეოდაო;

დაიწყებდა ილია და ბოლოს მაღალის ხმით, მაგიდაზე მუშტის დაკვრით გაათავებდა:

მუმლი დაიხრჩო,
მუხა გადარჩაო.

ისეთი ახალგაზრდული გატაცებითა და გრძნობით შეჰყვირებდა, თითქო თვალწინ ხედავდა, როგორ იხრჩობოდნენ საქართველოს მტერნი (მუმლი) და როგორ გადარჩა მუხა (საქართველო). ძალიან უყვარდა ილიას სუფრაზე ლექსების მოსმენაც. ხშირად ათქმევინებდა ხოლმე ლექსებს მგოსნებს ვაჟა-ფშაველასა და გრიგოლ აბაშიძეს, აგრეთვე კოლა ერისთავს, რომელმაც ბევრი ლექსი ჩვენი პოეტებისა იცოდა ზეპირად და დიდის ექსპრესიით კითხულობდა. უნდა შევნიშნო აქ, რომ ილია დიდი პატივისმცემელი იყო ვაჟასი და მის პოეტურ ნიჭს ძალიან მაღლა აყენებდა.

სადილის დასრულებამდე ილია ჩავიდოდა ეზოში გლეხებთან, იქ დალევდა მათთან და ამღერებდა ხალხურ ლექსებს. ნასადილევს გაამართვინებდა ჰიდაობას, რომელშიაც ჩამოსული სტუმრებიც იღებდნენ მონაწილეობას" [1].

ფაქტია, რომ ი. ჭავჭავაძე ხალხურ სიტყვიერებას სილამაზისა და მხატვრულობის გამო მაღალ შეფასებას აძლევდა. ამავე აზრს ანვითარებს თავის მცირედ მოგონებაში მწერალი და ფელეტონისტი დავით მესხი, რომელმაც ჩემი თხოვნით ქვემომოყვანილი ამბავი გადმომცა [2].

,,ორჯერ თუ სამჯერ დავესწარი ილიას ,,ხუთშაბათობას'', — წერს დ. მესხი. აქ თავს იყრიდნენ წევრები რედაქციისა და გარეშენიც, ვინც კი ქართულ მწერლობაში თავის კალმით მოღვაწეობ-

[1] ბ. ლასხიშვილი, მემუარები, გვ. 92-93.

[2] დ. მესხის მოგონება (ხელნაწერი), ჩემთან ინახება. გ. ს.

დნენ — იმ დროის ლიტერატორები, რედაქტორები და სხვ. ხალხურ პოეზიასა და ფოლკლორს რომ დიდს ყურადღებას აქცევდა ილია, ეს იქიდანაც დასტურდება, როგორ ბრძოლას აწარმოებდა ის ,,ძველებთან'' ენის გამარტივებისა და გახალხურებისათვის. ,,ხუთშაბათობაზე'' ხშირად მოიყვანდა ილია მასალებს ფოლკლორიდან, ამ მასალებს ენის განძად სთვლიდა და ხშირადაც მიმართავდა თავის ნაწარმოებებში''.

უფრო ქვევით, დ. მესხი მოგვაგონებს: ,,იშვიათია მისი ნაწერი, რა სახისაც არ უნდა იყოს, რომ ხალხური თქმულებანი, იგავები, თუ მოსწრებული სიტყვები შიგ არ ერიოს.

საუბარშიც უყვარდა ხოლმე ხალხური სიბრძნიდან მაგალითების მოყვანა''.

ი. ჭავჭავაძე ხალხის ჭკუას, გამოცდილებას და მრავალსაუკუნოვან დაკვირვებას შეუცდომელს უწოდებდა. ი. ჭავჭავაძე აღიარებდა, რომ ანდაზები ხალხის გონიერების, ისტორიის ქარ-სუსხში შობილი და ჩამოყალიბებული შეგონებაა. ანდაზა ადამიანის პრაქტიკული მოქმედების სახელმძღვანელო, მორალური კოდექსია. ი. ჭავჭავაძე ხალხის გონებისა და ნიჭის ჭეშმარიტად დიდი პატივისმცემელი იყო. ასე, მაგალითად, ,,კაცია ადამიანის?!'' შესაელში მისი ავტორი მეცნიერული სიღრმით ხსნის ანდაზის შექმნის რთულ ფსიქიურ სიტუაციას:

,,მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო''. სადა ხარ ახლა ამ გონიერის სიტყვისა მთქმელო? ვიცი, სადაცა ხარ: ხალხში ხარ, უხილავო, და ხალხისა ხარ. ისიც ვიცი, რაცა გქვიან. შენ ხალხის გენიას გეძახიან. ისიც ვიცი, რა თვისებისა ხარ: შეუცთომელი და ყოველთვის მართალი ხარ'' [1]. ილია ჭავჭავაძე მუდამ გაოცებული იყო გლეხების პრაქტიკული ჭკუით, მათი გამოთქმის ხატოვანებით, დაკვირვების არაჩვეულებრივი უნარით, მოკვეთილი წინადადებების ხმარებით, ფილოსოფიური განსჯითა და განსჭვრეტით.

,,საზოგადოდ ილიას, — ამბობს ი. მანსვეტაშვილი, — დიდად მოსწონდა გლეხების დარბაისლობა, ნამუსიანობა, ჭკვიანური, ზრდილობიანი სიტყვა-პასუხი. მეტადრე აკვირვებდა ილიას გლეხების ფილოსოფიური, გულგაუტეხელობა, როდესაც რაიმე უბედურება ეწვეოდათ'' [2].

---

[1] ი. ჭავჭავაძე. მხატვრული ნაწერები. 1937, გვ. 387.

[2] ი. მანსვეტაშვილი, მოგონებანი. გვ. 134.

ილიას თავის ნაწარმოებებში უხვად გადმოჰქონდა ხალხის პრაქტიკული მეტყველების მარგალიტები. ამ სიტყვებით საზრდოობდა მისი მთელი შემოქმედება. ეს იყო თავისებური ფორმა ხალხთან დაახლოებისა. როცა ი. ხონელის (ილია ბახტაძის) ფელეტონს ასწორებდა ი. ჭავჭავაძე, ,,გიკვირდა რა დაუშრეტელი წყაროდან მომდინარეობდა ის საოცარი ცოდნა ქართული ენისა, რომელსაც ილია აქ გამოიჩენდა ხოლმე. შევიდოდა სიტყვების სივრცე-სიღრმეში, დაიწყებდა მეტყველების სალაროში კვლევა-ძიებას, ძებნას მალული ძალებისას და ქართული ენის სიმდიდრიდგან ისეთ მარგალიტებს გადმოგვიფენდა, რომ მასთან შედარებით შჩედრინის ოხუნჯი თქმულება მიჰკნებოდა, როგორც შემოდგომის ფურცელი" [1].

ი. ჭავჭავაძემ სასახელოდ ატარა ნაციონალურ-რევოლუციური გამათავისუფლებელი მოძრაობის დროშა. თავის მოღვაწეობაში ილია მუდამ ზრუნავდა ხალხის ცხოვრების შესწავლისათვის, ხალხის დახმარებისათვის. შემოქმედებითი პლათფორმასავით გვესმის არჩილის საუბარი კესოსთან: ,,ჩვენ დაბადებულნი ვართ, ისინი (იგულისხმება გლეხები — გ. ს.) კი გვირისტით შეკერილნი, რომელიც მარტო ბუნებამ იცის და ბუნება — ხომ იცი, რა ოსტატია. ისინი ჩაკირულნი არიან, ჩვენ — დონდლონი, დუნენი. აბა იმათს სიმღერას უყურე? ერთი გრძელი კვნესაა და მაინც სიმღერას ეძახიან. ჩვენი სიმღერა კვნესა არ არის და მაინც ლხენა ვერ დაგვირქმევია".

ამ გვირისტით შეკერილ და ჩაკირულ ხალხში, ამ მტირალ და მკვნესარე სიმღერათა შორის ეძებდა ილია ხალხის პოეტური სიტყვის სიმძლავრეს, სიდიადეს, მოელვარე ჩირაღდნებს. ილიას სწამდა, რომ პოეტი ხალხის ჭირ-ვარამის, განწყობილებებისა და უკეთესი მერმისისათვის მებრძოლი უნდა იყოს. ი. ჭავჭავაძე ამბობდა: ,,პოეტს ხალხი დაჰბადავს და ხალხის ცხოვრება ძუძუს აწოვებს; ამ საფუძველით ამბობენ, პოეზია ხალხის ცხოვრების გამომთქმელიაო. ,,დეეს დეეის ძუძუ გამოზრდის" [2].

* * *

ი. ჭავჭავაძე, ჩვენი პრობლემის მიხედვით, სამი მხრივ აწარმოებდა ძალზე საჭირო და საინტერესო მუშაობას: 1. თავის ჟურნალ-გაზეთებში აქვეყნებდა როგორც თავის, ისე სხვათა მიერ შეკრე-

[1] ი. მანსვეტაშვილი, მოგონებანი, გვ. 78.

[2] ი. ჭავჭავაძე, ტ. IV, სტატია სხარტულა, გვ. 49.

ბილ ხალხურ ნაწარმოებებს, 2. მან მწყობრი შეხედულებანი გამოთქვა ზეპირსიტყვიერების მხატვრულ-ესთეტიკური ღირებულების შესახებ[1], და 3. თავის მხატვრულ ქმნილებებში უხვად და ოსტატურად ჩააქსოვა ფოლკლორის ნიმუშები.

ჩვენი ნარკვევის ამ თავში ჩვენ შევეხებით საკითხს: ი. ჭავჭავაძემ რომელ ნაწარმოებში რა სახით გამოიყენა ხალხური პოეზიის სხვადასხვა ჟანრი და რა ესთეტიკურსა და მხატვრულ თვალსაზრისს უდებდა ამ ხერხს. უნდა ითქვას, რომ ი. ჭავჭავაძის შემოქმედების ეს მხარე აქამდე არ ყოფილა მეცნიერულად შესწავლილი და გაშუქებული ჩვენს ლიტერატურაში. მწერალი ყოველ მხრივ უნდა იქნას შესწავლილ-შეფასებული. ვფიქრობთ, ეს შრომა მცირედ წვლილს მაინც შეიტანს ამ საქმეში.

„ილია, — წერს მიხ. ჩიქოვანი, — შემოქმედებითს დამოკიდებულებაში იყო ხალხურ პოეზიასთან, ის არა მარტო პასიურ ჩაწერას აწარმოებდა, არამედ საკუთარი ნაწარმოებებისათვისაც იყენებდა ფოლკლორულ შედევრებს. ამას შესანიშნავად ადასტურებს ი. ჭავჭავაძის კლასიკური ნაწარმოებები „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“ ზაქროს სათავგადასავლო მოთხრობის სახით.

ილიას შემოქმედებითს დამოკიდებულებას ფოლკლორთან ისიც ადასტურებს, რომ დიდი მგოსანი ზოგჯერ საკუთარ ნაწარმოებებს ეპიგრაფად ხალხურ სიბრძნეს წინაუმძღვრებდა ხოლმე. ავიღოთ, მაგალითად, ილიას დრამატიული პოემა „ქართველის დედა“. ამ ნაწარმოებს, რომელსაც ილიამ ქვესათაურად „სცენა მომავალ ცხოვრებიდან“ მისცა, აზრის ნათელსაყოფად ხალხური ოპტიმისტური სავაჟკაცო ლექსი წაუმძღვარა:

გაგვიძეღ, ბერო მინდიავ,
მუხლი მაიბი მგლისაო,
გაიყოლიე უმცროსნი,
ვისაც თავი აქვს ცდისაო[2].

---

[1] ი. ჭავჭავაძე. ტ. II, 1941, სტატია ხალხის ზნე-ჩვეულებათა შესწავლის შესახებ.

[2] მიხ. ჩიქოვანი, ქართული ფოლკლორი, 1946, გვ. 147. ეს საგმირო ლექსები ილიას თვითონ ჩაუწერია 1871 წლის 22 მარტს ბევში, ს. სტეფანწმინდას. მთქმელი უცნობია. იხ. პ. უმიკაშვილი, ხალხური ზეპირსიტყვიერება, I, გვ. 83 და 561. მ. ჩიქოვანის სასკოლიო შენიშვნა 147-ე გვერდზე. ჩვენ ქვევით დავრწმუნდებით, რომ ი. ჭავჭავაძე გაცილებით მეტ ნაწარმოებში ემყარება ხალხურ სიუჟეტებს და ამას გარდა იყენებს ანდაზებს, აფორიზმებს, ფრთოსან ფრაზებს და გამომსახველობის სხვა ხერხებს. გ. ს.

ბუნებრივია, რომ ი. ჭავჭავაძე არა მარტო უვლიდა და პატრონობდა ხალხურ შემოქმედებას, არამედ იყენებდა კიდეც თავის მხატვრულ ნაწარმოებებში, პუბლიცისტურ წერილებსა და საგაზეთო ფელეტონებში.

პოემა „განდეგილს“ — ამ შესანიშნავ ფილოსოფიურ-მხატვრულ ქმნილებას — აქვს მინაწერი „ლეგენდა“. ხალხურ სიტყვიერებაში ჩვენ გვაქვს ანალოგიური ხასიათის ძეგლი. ასეთი ბევრიცაა, მაგრამ ძირითადი ვარიანტი, ჩვენის ფიქრით, ჯერხნობით საძიებელია.

„კაკო ყაჩაღის“ წყაროდ, — სწერს დ. მესხი, — დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, ილიამ ხალხური „არსენა“ გამოიყენა“. „არსენას ლექსი“ მიმზიდველი და შთაგონების წყარო იყო ბევრი მწერლისათვის (ალ. ყაზბეგის დრამატიული თხზულება „არსენა“, ს. შანშიაშვილის „არსენა“ და სხვ.). თავისუფლებისათვის თავდადებულ გმირს — არსენას ქართველმა მშრომელმა ხალხმა საქებარი უძღვნა.

ი. ჭავჭავაძემ სახალხო გმირის მოქმედება, მისი გმირული სული თავისი პოემის შთამაგონებელ წყაროდ გაიხადა. პოეტი ამ გზით ამბოხებულ გლეხებს დიდი ძალითა და ექსპრესიით ხატავს. არსენა ლეგენდარული გმირია. „ხალხმა ხოტბა შეასხა მას, როგორც გლეხთა აჯანყების ბელადს, რომელშიც მკვეთრად იჩინა თავი ქართველი ხალხის თვისებებმა: სიმამაცემ, სიცოცხლის ხალისიანობამ, თავისუფლებისადმი სიყვარულმა“ [1].

პოემაში ი. ჭავჭავაძე გულთბილად ახასიათებს სახალხო გმირის არსენას დამსახურებას. მხედარი კაკოს სახით არსენას მემკვიდრეს ხედავს. ყველა სიხარულით ლაპარაკობს კაკოს ბრძოლასა და შეურიგებლობაზე. ი. ჭავჭავაძეს სწამს, რომ არსენასავით მიუვა ხალხს სალაპარაკოდ კაკოს დამსახურება.

ზაქრო ეუბნება კაკოს:

შენზედ მოუბნობს კაცი და ქალი,
ვისაც ენა აქვს, შენ ყველა გაქებს;
შენი ამბავი, ეხლა მართალი,
ზღაპრად მიუვა ჩვენს შვილიშვილებს.
რომ ბედში მყოფი შენ ძმად მიგაჩნდეს,
ეგ ვერაფერი სიყვარულია,
საქმე ის არის, კაცს ის უყვარდეს, —
ვინც ბედისაგან დაჩაგრულია...

[1] გაზ. პრავდა, 1937. 13 მაისი.

ი. ჭავჭავაძე იმდენად გატაცებულია სახალხო გმირის სახით, რომ ტექსტში 4-ჯერ ახსენებს არსენას სახელს. თავისთავად ეს გარემოება უცილობლად სიმპტომატურია. ხალხური გმირის ხასიათი, ამ გმირის სოციალური პროფილი სავსებით აკმაყოფილებდა ი. ჭავჭავაძის ესთეტიკურ მოთხოვნებსა და ლიტერატურის რეალისტურ თეორიას.

არსენა იდეალია ტყეს შეფარებული მებრძოლთათვის.

მარტო არსენას, თუ გახსოვს შენა,
გლეხკაცი როგორც ძმა ჰყვარებია,
გლეხკაცის ბედი, ჭირი და ლხენა,
შვილსავით კალთით უტარებია.

ან და:

აბა კაციცა ისა ყოფილა,
და ქუდიც იმას, ძმავ, ჰყვარებია!
ნეტა იმ დედას, ვისგანც გაზრდილა
და ვისაც ძუძუ უწოვებია.

მთელი სიზუსტით შეგვიძლია ვივარაუდოთ, თუ რაოდენი ღრმა სიყვარულით იყო გამსჭვალული ი. ჭავჭავაძე არსენას პიროვნებისადმი, მისი ძლიერი ხასიათისა და უშიშრობისადმი.

ცოტა ქვევით, ილიას პოემაში, იშვიათი სიყვარულით არის დახასიათებული არსენა — ჩვენამდე „ზღაპრად მოსული". უფრო მეტიც. არსენა სულშეწუხებული გლეხკაცობისათვის იყო „ჯავრი და ლხენა", „სული და გული".

არსენა ჩვენი, ის მხნე არსენა,
ჩვენამდინ, ძამო, ზღაპრად მოსული,
ის იყო ჩემი ჯავრი და ლხენა,
ის იყო ჩემი სული და გული.

ან და:

ეგრედ გონება ხალისიანი,
არსენას ამბით მე მეზრდებოდა;
მიყვარდა მე ის კეთილდღიანი
და არსენობა მენატრებოდა.

აქედან აშკარაა, რომ ი. ჭავჭავაძის ღრმა რწმენით არსენა მაგალითი იყო უსამართლობის წინააღმდეგ მეომართათვის, მის საბრძოლო ტრადიციებზე იზრდებოდნენ თაობები. ჩვენი მწერალი

იმასაც გვიჩვენებს, რომ არსენას ლექსში მოთხრობილი საგმირო საქმენი აყალიბებდა მეომარი ქართველი ახალგაზრდობის შეგნებას. კაკო რეალურად არსებული პიროვნება იყო.

კ. აფხაზი გადმოგვცემს:

„რაც შეეხება მის (იგულისხმება ილია — გ. ს.) და მისი ნაწარმოების ისტორიას, მე მხოლოდ „კაკო ყაჩაღის“ შესახებ მახსოვს კარგად, რომ კაკო პირდაპირ ცხოვრებიდან არის აღებული. კაკო გახლამთ ერთი კარდანახელი გლეხი ვინმე გაუხარაშვილი, რომელმაც მართლა ესროლა თავის ბატონს (რომელიღაც ვაჩნაძეს) და ყაჩაღად გავარდა. იმალებოდა ალაზნის (სიტყვა „ალაზნის“ წაშლილია ფანქრით და შესწორებულია „კარდანახის“. რედ. შენიშვნა) და გამვლელ-გამოვლელს სცარცვავდა. ხმა და სახელი დიდი ჰქონდა გავარდნილი“ [1].

ი. ჭავჭავაძემ იშვიათი ოსტატობით, დიდი რეალისტური ხელოვნებით დაუკავშირა ერთმანეთს ცხოვრების სიმართლე და ხალხური გმირული ეპოსი.

ლეგენდა ბაზალეთის ტბის შესახებ პოეტურად გაჩარხა ი. ჭავჭავაძემ. რაც მნიშვნელოვანია, პოეტმა ლეგენდა დაუკავშირა ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის იდეას. ბაზალეთის ტბის ლეგენდა ფოლკლორული რეპერტუარის ძალზე სერიოზული განძია.

რაღაცნაირი დამთხვევაა: „ბაზალეთურნი ტბანი“ იხსენიება ხალხურ ისტორიულ ლექსში „დუშეთს ეყრების ლაშქარი“, რომელიც ილ. ჭავჭავაძეს ჩაუწერია ხევსურეთში 1871 წელს [2]. ი. ჭავჭავაძისა და ამ ხალხურ ლექსს შორის რაიმე იდეურ ან მხატვრულ ანალოგიაზე ლაპარაკიც არ შეიძლება. საინტერესოა შეხვედრა, რომელსაც თავისთავადი მნიშვნელობა ენიჭება მხოლოდ.

ხალხურ ლექსში ამგვარადაა ჩართული ბაზალეთის ტბის შესახებ ფრაზა:

> დუშეთს ეყრების ლაშქარი, არ სწვდების წვიმის ცვარიო,
> არ ეყვნენ ასახვეტლათა ბაზალეთურნი ტბანიო,
> შიგ დადგეს, ვერ დაეტევის თრიალეთს დიდი მთანიო,
> არაგვზედ შამადიოდა, თავშალმ დაბრუნდეს წყალიო [3].

---

[1] კ ო ხ ტ ა ა ფ ხ ა ზ ი. მოგონება, ლიტერატურული მემკვიდრეობა, გვ. 565.

[2] პ. უ მ ი კ ა შ ვ ი ლ ი, ხალხური სიტყვიერება, I, 1937, ხევსურ., ილია ჭავჭავაძის ჩაწ. 1871, შენიშვნა 562-563 გვერდებზე.

[3] პ. უ მ ი კ ა შ ვ ი ლ ი, ხალხური სიტყვიერება, I, 1937, ფ. გ ო გ ი ჩ ა ი შ ვ ი ლ ი ს რედაქციით, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით, გვ. 91.

ი. ჭავჭავაძე რომ თავისი ლექსის სარჩულად ლეგენდას ემყარება, ამას ადასტურებს სიტყვები: ,,ამბობენ თამარ დედოფალს...'' ე. ი. ეს ამბავი ადრე ხალხს უთქვამს, შეუთხზავს.

ამბობენ თამარ დედოფალს
ის აკვანი იქ ჩაუდგამს,
და ერს თვისთა ცრემლთ ნადენით
ტბა კარვად ზედ გადუხურავს.

ამას კი აღარ ამბობენ, —
აკვანში ვინ ჩააწვინა,
ან თვით ერმა თვისი ცრემლი
ზედ ტბად რისთვის დაადინა...

იქნებ აკვანში ის ყრმა წევს,
ვისიც არ ითქმის სახელი,
ვისაც დღე-და ღამ ჰნატრულობს
ჩუმის ნატვრითა ქართველი?

ი. ჭავჭავაძეს აქვს ისეთი ნაწარმოებნი, რომლებიც ხალხურ კილოსა და წყობაზეა აგებულნი. ასეთია, მაგალითად, მისი ,,გამოცანები'' (1871 წ.). აქ პოეტმა მკაცრად გააკრიტიკა ტრადიციული ცხოვრების დამცველები, ისინი, რომლებიც მზად იყვნენ ხალხის ინტერესები ჩინ-მედლებზე გაეყიდნათ (რ. ანდრონიკაშვილი, გ. კ-მუხრან-ბატონი, გრაფი ლორის-მელიქოვი და სხვ.). მათზე დაწერილი ეპიგრამები, ი. მანსვეტაშვილის თქმით, ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა ხალხში, რის გამოც დიდი განგაში ატყდა მაღალ წრეებში, ილიაზე იერიში მიიტანეს.

ილიას აქვს ლექსები, რომლებშიც გამოყენებულია ხალხური სტრიქონები (,,ორხმიანი საახალწლო ოპერეტი'', ,,დამაკვირდი'', უსათაურო ,,თავს იქებს, თუმცა მის ქება'' და სხვ.). ,,ორხმიან საახალწლო ოპერეტში'' ი. ჭავჭავაძე ახასიათებს როგორც ცნობილ მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებს (გ. წერეთელი, ზოილი, სილ. ხუნდაძე, ილია ხონელი, აკ. წერეთელი, მიხ. მაჩაბელი, ივ. მაჩაბელი, ნ. ცხვედაძე, ი. გოგებაშვილი), ისე მაშინდელ პრესას (,,კვალი'', ,,მოამბე'').

რაც შეეხება ,,დამაკვირდის'', იგი განათებულია ხალხის გონიერი ნათქვამებით. მას ჩვენ საანდაზო ლექსები შეგვიძლია ვუწოდოთ.

1.

ამოწვდილს ხმალსა მტრისასა.
წინ მიაგებე ფარიო,
დროზე ნახმარი ფარიცა
იგივე ხმალი არიო.

2.

პატიოსან მტერთა შორის
მოციქული ნამუსია.

3.

ხმალი იმოდენს ვერა იქმს
მრისხანე და ძლიერიო,
რასაც იქმს მშვიდობიანი
კალმის პატარა წვერიო.

4.

წუთისოფელი ესეა:
ღამე დღეს უთენებია,
რაც მტრობას დაუქცევია,
სიყვარულს უშენებია.

5.

ვაჟკაცად იმას არ ვაქებ,
ვინცა სისხლისა მღვრელია,
ვაჟკაცად იგი მიქია,
ვინცა უბედურთ მხსნელია.

ი. ჭავჭავაძეს აქვს ორიგინალური გამოთქმები, რომლებიც ხალხში ანდაზებივით არიან გავრცელებულნი. ეს გამოთქმები ხალხურს უახლოვდებიან სიბრძნითა და მოკვეთილობით. ილია ხალხურიდან სვესხულობს აზრის სინათლესა და სიმკვრივეს, ლექსის ფორმის სილამაზეს. ასეთია, მაგალითად, შემდეგი:

რათ მინდა ხმალი, თუნდ იყოს მჭრელი,
თუ სიმართლისთვის დამიჩლუნგდება.
...ნუ უღალატებ ძველს ამხანაგსა,
ის შენ აცხოვრე, მან შენ გაცხოვროს!
(„გუთნის დედა").

მაგრამ იქ ყველა გვიადვილდება,
სადაც ჩვენვე ვართ ჩვენი ბატონი.
(„კაკო ყაჩაღი").

,,მეფე დიმიტრი თავდადებულში'' ბრმა მეფანდურე ხალხურ კილოზე დამღერის ქართლის ისტორიას. ლექსის ფორმა და ბევრი გამოთქმა ხალხური პოეზიის სალაროდანაა წამოღებული.

წინა კაცი უკანასი ხიდიაო ნათქომია,
დღეის ვაგლახს ამით დასძლევს,
ვინცა ხვალისა მდომია.

ოცჯერ ზომვა, ერთხელ ჭრაო
წესია მეფეთ ქებულთა.

ტყუილია სულთქმა, უში,
კაცი უნდა კაცად იყვეს,
სანთელივით თვით დაიწვას
და სხვას კი გზას უნათვიდეს.

არ არის მკვდარი, ვინც მოკვდეს
და ხალხს შესწიროს დღენია.
მკვდრად იგი თქმულა, ვისაც აქ
სახელი არ დარჩენია.

ი. ჭავჭავაძე უხვად იყენებდა ანდაზებსა და ფრთოსან ფრაზებს როგორც პუბლიცისტურ, კრიტიკულ, საპოლემიკო, ისე მხატვრულ ნაწერებში — პოეზიასა და პროზაში. ჩვენის დათვლით ი. ჭავჭავაძეს გამოყენებული აქვს სულ 260-ზე მეტი ხალხური ანდაზა, ამათგან ბევრი რამდენჯერმეა განმეორებული. ანდაზას, იგავს, ფრაზას თუ სხვა ხალხურ ეპიტეტებს ი. ჭავჭავაძე იყენებდა რომელიმე პრინციპული დებულების, შეხედულების დასასაბუთებლად, ან რომელიმე გმირის ტიპიური გარემოსა და ხასიათის ნიშანდობლივი მხარის ხაზგასმისათვის. ილია სპეციალურად არჩევს ხალხურ ანდაზებს, რომლითაც მოწინააღმდეგეს აზრის სისწორეს უმტკიცებს და მკითხველს ხალხური სიბრძნით ელაპარაკება. მან იცის, როგორ სიტუაციაში რომელი ანდაზა და იგავია ვარგისი.

ჩვენი მწერალი ზოგ ანდაზას იყენებს პირდაპირ, როგორც ხალხშია გავრცელებული, ზოგს აბრუნებს, ცვლის ოდნავ, საკუთარ სიტყვებს უმატებს, რომ ამით საკუთარ მოსაზრებასა და შეხედულებას მეტი გამჭვირვალობა მისცეს. მაგრამ ილიასეული შეცვლა ანდაზას არ ამახინჯებს, არ უკარგავს პირვანდელ სიმახვილესა და სიბრძნეს. ილიას გენიალობაც იმაშია, რომ იგი ხალხის მრავალსაუკუნოვან განძს უნარჩუნებს პირველყოფილ სინედლესა და სიჭა-

ბუკეს. ი. ჭავჭავაძე[1] ამ მხრივაც ფასდაუდებელი ამაგი დასდო ზეპირსიტყვიერებას.

მოვიტანოთ რამდენიმე მაგალითი ანდაზებისა და ხალხური გამოთქმებისა ი. ჭავჭავაძის პუბლიცისტიკასა და მხატვრულ შემოქმედებაში.

ი. ჭავჭავაძე ებრძვის ,,მამების'' უმოძრაობას, ტრადიციისადმი ერთგულებას და სწერს: ,,რაც მამა-პაპას უჭნია, ის ჩვენ უნდა ვქნათო, — ეს ჩინეთის ფილოსოფია არის. თუ მაგას მივყევით, ჩვენ ჩინებსავით შევდგებით და წინ ფეხს ვეღარ წავდგამთ'' [1].

,,თუ სათაფე მღვრიეა, ბოლოში ამაო იქნება წმინდა წყლის ძებნა'' [2].

იგივე ანდაზა სხვა ტექსტში სიტყვაგადასწითაა ნახმარი. გლახა ჭრიაშვილი ამბობს: ,,თუ წყალი სათაფეში აიმღვრა, ბოლომდის მღვრიედ ივლის'' [3].

იმ ზღაპრისა არ იყოს: ,,ასმა კაცმა ვერ შეჭამაო, ერთი კაცის ლუკმა იყოო". ეს სიტყვები სწორედ ჩემს აპრილის სტატიას უხდება".

,,მელას რაც აგონდებოდა, ის ესიზმრებოდაო, ნათქვამია'' [4].

,,როგორიც მღვდელიაო, ისეთი ერიაო, ამბობს ქართველი ანდაზად''.

,,დევს დევის ძუძუ გამოზრდის'' [5].

ი. ჭავჭავაძე იყენებს ხოლმე შ. რუსთაველის ცნობილ ანდაზებსა და აფორიზმებსაც.

,,სხვა სხვის ომში ბრძენიაო, ამბობს რუსთაველი'' [6].

იგივე გამოთქმები გამოყენებულია ,,გლეხთა განთავისუფლების სცენებში'' და ,,ოთარაანთ ქვრივში''.

,,ყვავი რა ვარდსა იშოვის, თავი ბულბული ჰგონია'' [7].

თავს იქებს, თუმცა მის ქება
სხვისგანაც გაგვიგონია;
ყვავი, რა ვარდსა იშოვის,
თავი ბულბული ჰგონია.

---

[1] ი. ჭავჭავაძე. ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას-ძის ერისთავის კონდოვის მიერ „შუშლილის" თარგმანზედა. ცისკარი, 1861, № 4. გვ. 26.

[2] მისივე, ტ. IV, გვ. 9.

[3] მისივე, გლეხთა განთავისუფლების პირველ-დროების სცენები.

[4] მისივე, ტ. IV, გვ. 29.

[5] მისივე, ტ. IV, გვ. 49.

[6] იქვე, გვ. 65.

[7] მისივე, ტ. IX, გვ. 129.

ბული ჰომიროსის ,,ილიადასა'' და ,,ოდისეაში'', ჰესიოდეს ,,თეოგონიაში'', ოვიდიუსის ,,მეტამორფოზებში'', ვოლტერის, ომარ ხაიამის, რუსთაველას, პუშკინის, ჩეხოვის, ლოპე დე ვეგას, შექსპირის, ბაირონის, აკაკი წერეთლის, კრილოვის, საბა სულხან ორბელიანის ნაწარმოებებში, მით სარგებლობდნენ ორატორული ხელოვნების წარმომადგენლები: გორგია, ლისია, ციცერონი. მ. გორკი იშვიათი ოსტატობით ჰქმნიდა ახალი ეპოქის შესატყვის ფრთოსან ფრაზებს.

როგორც ზევით მოტანილი მრავალრიცხოვანი მაგალითებით დავრწმუნდით, ი. ჭავჭავაძეც დიდი მიგნებულობითა და საჭირო რაოდენობით იყენებდა და გარკვეულ პირობებში კიდეც თხზავდა ანდაზებს, ფრთოსან ფრაზებს, ჰკუამახვილურ წინადადებებს.

დასკვნა:

1. ი. ჭავჭავაძემ ბევრი საგულისხმო და სახელმძღვანელო მოსაზრება გამოთქვა ხალხური შემოქმედების სოციალ-პოლიტიკური და ესთეტიკურ-შემეცნებითი მნიშვნელობის შესახებ. იგი ქართული ფოლკლორისტიკის ერთ-ერთი ფუძემდებელია.

2. ი. ჭავჭავაძე თავისი მხატვრული ტილოების მასალად იყენებდა ხალხური შემოქმედების სხვადასხვა ჟანრებს, სახეებს, ემოციური გამომსახველობის ფორმებსა და პოეტურ სამკაულებს. ილიას ესთეტიკურ შეხედულებებს სავსებით ეთავსებოდა ფოლკლორისადმი ასეთი დამოკიდებულება.

3. ი. ჭავჭავაძის პუბლიცისტური, პოლემიკური, კრიტიკული წერილები და მხატვრული ნაწარმოებნი გამდიდრებულია ხალხის ტალანტით შექმნილი ბრძნული ანდაზებით, ფიგურალური გამოთქმებით, მოსწრებული თქმებით, აფორიზმებითა და ფრთოსანი ფრაზებით.

4. ი. ჭავჭავაძე, როგორც რედაქტორ-გამომცემელი და ჩამწერ-შემკრები, განსაკუთრებული სიყვარულით ეკიდებოდა ხალხური პოეზიის საუნჯეების შეკრებას, ჩაწერას, მათს პუბლიკაციას. ამ მუშაობით ი. ჭავჭავაძემ ტრადიცია მისცა მომდევნო თაობებს ფოლკლორის შეკრებისა და კვლევის საქმეში.

მოხმობილ დასახელებული ლიტერატურის საძიებელი

1. აკად. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, 1941.

2. მისივე, ბაში-აჩუკის ერთი ეპიზოდისათვის, საიუბილეო კრებული, აკაკი წერეთელი, 1940.

3. М. Горький, О литературе, М. 1937.

4. მისივე, Статьи 1905-1916 г. г.

5. პროფ. ა. ხახანაშვილი, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1904.

6. პროფ. ა. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. I.

7. Акад. Ю. Соколов, Русский фольклор, М. 1938.

8. Проф. М. Азадовский, Литература и фольклор, Л. 1938.

9. М. Сперанский, Русская нар. словесн., т. II, 1919.

10. Акад. А. Н. Веселовский, Собр. соч., т. I.

11. პროფ. მიხ. ჩიქოვანი, ქართული ფოლკლორი, აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, 1946.

12. მისივე, ხალხური ვეფხის-ტყაოსანი, 1937.

13. მისივე, აბუსერიძე ტბელის თხზულების ფოლკლორული წყაროები, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. V, 1934.

14. მისივე, შოთა რუსთველი და ქართული ფოლკლორი, კრებული რუსთაველი სკოლაში, 1937.

15. მისივე, აკაკი წერეთლის ლექსების ფოლკლორული ვარიანტები, ჟურნ. ჩვენი თაობა, № 6, 1940.

16. დოც. თ. ბეგიაშვილი, აკაკი წერეთელი და ქართული პოეტური ფოლკლორი, ჟურნ. კომუნისტური აღზრდისათვის, 1940.

17. დოც. ქს. სიხარულიძე, ვაჟას პოემა ეთერი და ხალხური ეთერიანი, კრებული ლიტერატურული ძიებანი, ტ. I, 1943.

18. მისივე, აკაკი წერეთელი და ხალხური შემოქმედება, კრებული აკაკი წერეთელი, საიუბილეო გამოცემა, 1940.

19. მისივე, ქართველი ხალხის ბრძოლა სამშობლოსათვის ერეკლე მეორის ხელმძღვანელობით, აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, 1942.

20. დოც. კონსტ. მეძველია, პროლეტარული ლიტერატურის მოტივები იოსებ დავითაშვილის შემოქმედებაში, სახელგამი, 1932.

21. დოც. გ. სამხარაძე, აკაკი წერეთელი და ქართული ფოლკლორი, ა. წულუკიძის სახელობის პედინსტიტუტის შრომები, ტ. I, 1937.

22. მისივე, ლერმონტოვი და რუსული პოეტური ფოლკლორი, ალ. წულუკიძის სახელობის პედინსტიტუტის შრომები, ტ. VI, 1946.

23. აკაკის თვიური კრებული, № 1, 1897.

24. პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, ნაწ. I, ფ. გოგიჩაიშვილის რედაქციით, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით, 1937.

25. საანდაზო ლექსები, პოეტ-აკადემიკოს ი. გრიშაშვილის წინათქმითა და რედაქციით, 1935.
26. ლიტერატურული მემკვიდრეობა.
27. ი. მანსვეტაშვილი, მოგონებანი.
28. არტურ ლეისტი, საქართველოს გული.
29. ნ. ნაკაშიძე, მოგონებანი, 1946.
30. გ. ლასხიშვილი, მემუარები.
31. ცისკარი, 1861, № 4.
32. ილ. ჭავჭავაძე, ტ. II, IV, V, IX.
33. მისივე. მხატვრული ნაწერები, 1937.
34. გაზ. ივერია, 1894, № 16, № 54, № 150, № 65, № 1; 1892 წლისა № 128, № 136.
35. ჟურნ. ივერია, 1879 წ. № 1, 1882 წ. № 3, 1885 წ. № VIII.
36. გაზ. პრავდა, 1937 წლის 13 მაისი.
37. ჟურნ. Этнографическое обозрение, М. 1908, № 1-2.

ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები, ტ. VII, 1947.

Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, т. VII, 1947.

Transactions of the Tsulukidze State Pedagogical Institute of Kutaisi v. VII, 1947.

ზალვა ჩხარტიშვილი

„დემონის" ფსიქოლოგიური ანალიზი

წინამეცნიერული აზროვნებისათვის მსოფლიო წარმოდგენილი იყო, როგორც კეთილი და ბოროტი სულების დაუსრულებელი ბრძოლის ასპარეზი. სამყაროს ცენტრში იგულისხმებოდა ადამიანი, რომლის მიმართ დამოკიდებულებაში განისაზღვრებოდა ღვთაებრივი და დემონური ძალების თავისებური ხასიათი: ყველაფერს, რასაც ბედნიერება მოაქვს ადამიანისათვის, კეთილი სული ქმნის, ხოლო ადამიანის ყოველგვარი უბედურების წყაროა ბოროტი ძალაა. ამ შეხედულების მიხედვით ადამიანი თავისი ბუნებით კეთილია. თუ მასში ბოროტმა სულმა არ მოახერხა ჩასახლება. მაგრამ ადამიანის კეთილმოქმედების უნარს აღემატება ზებუნებრივი ძალების შესაძლებლობა, რის გამოც იგი ამ უკანასკნელთა სათამაშო არსებად არის ქცეული: ადამიანი ყოველთვის საკუთარ ყოფიერებაში განიცდის მსოფლიო საიდუმლო ძალების ბრძოლის შედეგებს, იგი ყოველთვის საკუთარი ცხოვრების ტრაგედიით უხდის ხარკს კეთილისმყოფელ სულთან ბრძოლაში გამარჯვებულ ბოროტ ძალებს.

როდესაც, საზოგადოების წინსვლასთან ერთად, თავისუფალი ფანტაზიის ადგილი მეცნიერულმა აზროვნებამ დაიკავა და ადამიანს შესაძლებლობა მიეცა მის გარშემო მიმდინარე მოვლენებისათვის არა მარტო ადამიანურ ღირებულებათა თვალსაზრისით ეცქირა, არამედ, როგორც თავისთავად, ადამიანის ინტერესებისადმი ინდიფერენტულ, ობიექტურ მოვლენათა კანონზომიერ ცვალებადობისათვის, საიდუმლო ძალები — ანგელოსები, დემონები და ფერიები განიდევნენ ბუნებიდან და განვითარებული ადამიანის ცნობიერებაში ტელეოლოგიური პრინციპის ადგილი ობიექტური სინამდვილის მიერ ნაკარნახევმა მიზეზობრივმა აუცილებლობამ დაიჭირა. მაგრამ ეს ზებუნებრივი ძალები მაინც დიდხანს დარჩნენ რელიგიურ და ფილოსოფიურ წარმოდგენებში, ლიტერატურული შემო-

ქმედებისა და ხელოვნების სახეებში და ახლა ცნობიერების ამ ფორმებში განაგრძნობდნენ ადამიანის ცხოვრების მართვას.

ამ თემაზე დაიწერა მსოფლიო მნიშვნელობის მრავალი ლიტერატურული ნაწარმოები, რომლისთვისაც დროთა ვითარებას დღემდე ვერ წაურთმევია თავისი ღირებულება. ისინი დღესაც შთაგონებენ რელიგიური რწმენისაგან განთავისუფლებულ ადამიანებს.

მ. ი. ლერმონტოვის „დემონში“ ეს თემა პოეტურ ფორმაშია გაშლილი. ჩვენს მიზანს შეადგენს, რამდენადაც აქ ამის შესაძლებლობა გვექნება, ამ ნაწარმოებს პოეტური ფანტაზიის სამოსი ჩამოვაცილოთ და თვით სიუჟეტის აღმოცენების რეალურ ფსიქოლოგიურ საფუძვლებზე მივუთითოთ. ის ძირითადი ფილოსოფიურ-იდეური მოსაზრებანი, რომელთა ნიადაგზედაც ავტორმა პოემა აგო, რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში კვლევის ინტერესების გარეშე რჩება. ფსიქიკური საფუძვლები, საიდანაც პოემაში განცდილი ფსიქიკური სახეების აღმოცენება შეიძლებოდა, ჩვენი აზრით, ავტორის მიერ არც კი იყო გაცნობიერებული.

ამდენად წინამდებარე ნარკვევი არ წარმოადგენს პოემის ყოველმხრივ ფსიქოლოგიურ ანალიზს. როგორც ვთქვით, იგი მხოლოდ ერთ საკითხს ეხება. სახელდობრ, ცდილობს გამოარკვიოს შემდეგი: ფსიქოლოგიურად რამდენად შესაძლებელი იყო თამარის მდგომარეობაში მყოფ ადამიანს რეალურ მოცემულობად აღექვა და განეცადა დემონის სახე და მასთან დაკავშირებული ყველა ის ურთიერთობა, რომელიც თამარის სულიერი ცხოვრების ძირითადს შინაარს შეადგენს. აქვე მივუთითებთ იმ ფსიქიკურ მოტივებზე, რომლებმაც გვიჩვენეს პოემის გმირის თამარის ფსიქიკური ცხოვრების მიმდინარეობის თავისებური ხასიათი.

ადამიანთა განვითარების გარკვეულ საფეხურზე „ბოროტი სული“, რომელიც აქამდე ადამიანს თითქოს გარედან ეელინებოდა, თვით ადამიანში იწყებს ჩასახლებას და მას შინაგანი კონფლიქტებისა და დაუსრულებელი სულიერი ტანჯვის მატარებელ არსებად აქცევს: დემონი და ღვთაება ახლა თვით ადამიანის სულის სიღრმეშიაც ებრძვიან ურთიერთს. ადამიანი განიცდის თავის თავს, როგორც ურთიერთთან დაპირისპირებულ სიკეთესა და ბოროტებას. იგი თვითონ ატარებს თავის თავში დამარცხებული სათნოების ტრაგედიას, რომელიც მხოლოდ იმდენად არსებობს, რამდენადაც განიცდება. ასეთ შემთხვევაში მორწმუნე ადამიანი მოუხმობს თავისთან ღვთაებრივ ძალებს, რათა განდევნილი იქნას მისგან „სული ბოროტი“, მაგრამ ყოველგვარი ეედრება „რჩება ამაოებად“.

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ასეთი გარემოება ადამიანთა სოციალური განვითარების გარკვეულ საფეხურზე იჩენს თავს, სახელდობრ, იმ პერიოდისათვის, როცა მორალური კატეგორიები საკმაოდ ჩამოყალიბებულ სახეს ღებულობენ. ველურისათვის, რა თქმა უნდა, უცხოა წინაგანი კონფლიქტებისაგან გამოწვეული მწვავე სულიერი ტკივილები.

მხატვრულ ლიტერატურაში ჩვენ ხშირად ვხვდებით კეთილი სულის ძლიერებით აღჭურვილ ადამიანებს, რომლებიც ებრძვიან საიდუმლოებით მოცული ბნელი ძალების მიერ ადამიანთა ენებისათვის მოგზავნილ მოციქულებს. ისინი იმარჯვებენ, ან კიდევ იღუპებიან ამ ბრძოლაში. ასეთ სიუჟეტზე არც ერთი ძლიერი მხატვრული ნაწარმოები არ შექმნილა. ეს უკანასკნელნი დღემდე დარჩნენ მხოლოდ, როგორც პირველყოფილი ფანტაზიის ნიმუშები.

სამაგიეროდ კეთილი და ბოროტი სულების ბრძოლა ადამიანის სულის სიღრმეში, როგორც გაორებული ადამიანის ბრძოლა თავისთავთან, დიდი ავტორების ყველაზე საყვარელ თემად იქცა.

მ. ლერმონტოვის დემონიც ასეთ თემაზეა აგებული. ვფიქრობთ, ამ პოემის **ერთადერთ** მოქმედ გმირს თამარი წარმოადგენს, სხვა ყველაფერი მკრთალი, პოეტური ფონია, რომელზედაც თამარის სახე უნდა გამოკვეთილიყო.

პრიმიტული აზროვნების საფეხურზე ადამიანის ცნობიერებაში ცოცხალი და მკვდარი ბუნება ჯერ კიდევ არ იყო ურთიერთისაგან გამიჯნული: ბუნების ყოველგვარი მოვლენა ცოცხალი, **განსულიერებული** სახით იყო წარმოდგენილი. ადამიანი უცქეროდა რა გარე სინამდვილეს **საკუთარ მოთხოვნილებათა თვალსაზრისით**, იგი მასში, თავისთან მიმართებაში, ორი განსხვავებული რიგის მოვლენებს ამჩნევდა: მოვლენათა ერთი ჯგუფი საკეთილდღეოდ მიმდინარეობდა და უზრუნველყოფდა მის სასიცოცხლო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. ეს მოვლენები, ადამიანის აზრით, **კეთილ სულებს** შეიცავდნენ, რადგან ისინი მისდამი საკეთილდღეოდ იყვნენ განწყობილნი. მოვლენათა მეორე ჯგუფი ადამიანის ინტერესების საწინააღმდეგოდ მიიმართებოდა, იგი სტანჯავდა და ავიწროებდა მას. ამ მოვლენებს, რადგან მათ უბედურება მოჰქონდათ ადამიანისათვის, პრიმიტული აზროვნების მიხედვით, ბოროტი სულები განაგებდნენ.

ვინაიდან ბუნების მოვლენებს სულები ამოძრავებდნენ, მსოფლიო ადამიანის მიმართ კეთილად და მტრულად განწყობილ სულებით უნდა იყოს სავსე. ამგვარად წარმოიშვა პრიმიტული ანტუ-

რიზმი — პირველყოფილი რელიგია, რომელიც ქრისტეანობის ეპოქაშიაც დიდხანს მართავდა გულუბრყვილო ადამიანის ცნობიერებას.

შრომის პროცესმა და მის ნიადაგზე აღმოცენებულმა სოციალურმა ურთიერთობამ ადამიანები მჭიდროდ დაუკავშირა ურთიერთს; ისინი იძულებულნი გახდნენ ანგარიში გაეწიათ ურთიერთისათვის, საკუთარ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების პროცესში მხედველობაში მიეღოთ ურთიერთის ინტერესები, საკუთარი მოთხოვნილებანი სხვა ადამიანთა მოთხოვნილების შესატყვისად შეეზღუდათ. ამ ნიადაგზე აღმოცენდა ზნეობრივი კატეგორიები, რომელთა გარეშედაც შეუძლებელი იყო ადამიანთა სოციალური ცხოვრების შემდგომი განვითარება. ნელა, თანდათანობით, ზნეობრივი ნორმები თვითონ გადაიქცნენ, ადამიანის, როგორც სოციალური არსების, **ყველაზე მაღალი ღირებულების** შემცველ მოთხოვნილებად. ცხოველისაგან განსხვავებით ადამიანმა თავისი ადამიანური ბუნება ყველაზე მეტად ამ მოთხოვნილებაში დაინახა. ამიტომ იგი ყველა დანარჩენი დაბალი ღირებულების სასიცოცხლო მოთხოვნილებებს დაუპირისპირა და თითოეული მათგანის დაკმაყოფილების პირობათა განსაზღვრას მის ნიადაგზე შეუდგა.

ცივილიზირებულმა სარწმუნოებამ მორალური კატეგორიები რელიგიური მომსახურეობის ნორმებად აქცია: სინდისის სიწმინდის დაცვა საიქიოში ღვთაებრივი ცხოვრების ძირითად პირობად გამოაცხადა და ამით ზნეობრივი მოთხოვნილების ღირებულება განუსაზღვრელად აამაღლა. ახლა მორალური ნორმების დაცვა არა მარტო ამქვეყნიური ცხოვრებისათვის იყო აუცილებელი, არამედ იგი სამუდამო ნეტარებასაც განსაზღვრავდა.

ქრისტიანობა მოითხოვდა ადამიანისაგან, რომ იგი არა მარტო მოქმედებაში, **სხვებთან** ურთიერთობაში, ყოფილიყო ზნეობრივი, არამედ ზნეობრივი დარჩენილიყო **შინაგნად, საკუთარი თავის მიმართაც**: ზნეობრივად შეუფერებელ მოქმედებაზე ფიქრი ღვთაების წინაშე ისეთივე დანაშაული იყო, როგორც თვით განხორციელებული უზნეო მოქმედება. ამიტომ ადამიანები ცდილობდნენ თავი არა მარტო შორს დაეჭირათ ასეთი მოქმედებისაგან, თავიდან მოეშორებინათ ფიქრიც კი ასეთ მოქმედებაზე. ამ გარემოებამ ხელი შეუწყო (ერთი მხრივ მაინც) იმას, რომ მოცემული ეპოქისათვის დამახასიათებელი ზნეობრივი ნორმების დაცვა **გარეგანი იძულებიდან ადამიანის ბუნებრივ თვისებად, მის შინაგან მოთხოვნილებად გადაქცეულიყო.**

ადამიანმა რომ ზნეობრივი ნორმები დაიცვას, ხშირად იძულებული ხდება უარი თქვას მოცემულ პირობებში ძირითად სასიცოცხლო (ვიტალურ) მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე. ზოგჯერ ადამიანი განსაკუთრებული მოთხოვნილების იმპულს გრძნობს მოთხოვნილების საგნის მიმართულებით: მოთხოვნილების საგანი მას არ ასვენებს, მისკენ იზიდავს, თითქოს სამოქმედოდ იწვევს. მაგრამ ჩვეულებრივად ადამიანი მაინც ახერხებს შინაგანი აქტიობის (ნებელობის აქტის) შედეგად მორალური მოთხოვნილების სასარგებლოდ იმოქმედოს: იგი არა მარტო უარს ამბობს ზნეობისათვის შეუფერებელ პირობებში აქტუალურ ვიტალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე, არამედ ხშირად საკუთარ თავს ამ მიმართულებით ფიქრსაც კი უკრძალავს. ამ უკანასკნელის შემთხვევაში იგი რჩება ზნეობრივი საკუთარი თავის წინაშეც და ამიტომ შინაგან თავისუფლებასა და სულიერ სიმშვიდეს განიცდის.

იქ, სადაც ნებელობის პათოლოგიურ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე, ზნეობრივი ადამიანი შინაგანი კონფლიქტებისა და მძიმე სულიერი ტანჯვის მატარებელ არსებად იქცევა. იგი თავისთავში ორ სუბიექტს, ორ ურთიერთისადმი დაპირისპირებულ არსებას განიცდის. ამ ორი არსებიდან ერთი, რომელშიაც იგი თავის საკუთარ პიროვნებას ხედავს, ზნეობრივია, ადამიანურია, ხოლო მეორე, რომელიც მას თითქოს გარედან რაღაც უცხო, საიდუმლოებით მოცულ ძალად ევლინება, უზნეოა და მისგან მისი პიროვნების შეუფერებელ ქცევის აქტებს მოითხოვს. იგი ცდილობს მოცემულ ინდივიდში ჩაჰკლას ის, რასაც ეს უკანასკნელი ცხოვრების უმაღლეს პრინციპად — თავის პიროვნებად აცხადებს.

რელიგიური ცნობიერება პიროვნების ამგვარ გაორებას ბოროტ სულებს მიაწერდა: ბოროტი სული არ ასვენებს ადამიანს, იგი მუდამ თან სდევს მას, ზოგჯერ ახერხებს მასში გადასვლას და ცდილობს ცდუნებისა და შინაგანი კატასტროფის გზით სამუდამოდ დაღუპოს იგი.

ნამდვილად ასეთ შემთხვევაში ზნეობრივ და ვიტალურ მოთხოვნილებათა დაპირისპირებასთან გვაქვს საქმე. ვიტალური მოთხოვნილებანი თავიანთი პირველწდელი სახით ცხოველურ ხასიათს ატარებენ. ადამიანი, როგორც სოციალური არსება, როგორც ადამიანი, თავის თავს უმაღლეს მოთხოვნილებებში, განსაკუთრებით ზნეობრივ მოთხოვნილებებში განიცდის და ამიტომ განსაკუთრებით უფრთხილდება ამ მოთხოვნილებებს.

ვიტალური მოთხოვნილებანი სასიცოცხლო მოთხოვნილებანია, რომელნიც დაუშრეტელი ბიოლოგიური ენერგიის წყაროდან იკვებებიან. ამიტომ ნებისყოფის პათოლოგიური სისუსტის შემთხვევაში ადამიანს, რომელსაც საკუთარი თავის მართვის უნარი მეტად თუ ნაკლებად დაკარგული აქვს, ისინი აიძულებენ ზნეობრივი მოთხოვნილების შეუფერებელ პირობებშიაც იქნენ მის მიერ რეალურად თუ ოცნების ფორმით დაკმაყოფილებულნი. ადამიანი ასეთ მოქმედებას მისი პიროვნებისათვის შეუფერებელ, მასში არსებულ, მაგრამ მისთვის რაღაც უცხო ძალების მოქმედებად თვლის. მაგრამ, რამდენადაც ივი **მაინც მისი** მოქმედებაა, მიმართული საკუთარი პიროვნების ძირითადი ინტერესების წინააღმდეგ, იგი მძიმე სულიერ ტკივილებს განიცდის. მორწმუნე ადამიანი ასეთ შემთხვევაში ფიქრობს, რომ მასში ბოროტი სულია ჩასახლებული, რომელიც ცდილობს აცდუნოს ივი და ზნეობრივი ცხოვრების გზიდან გადაიყვანოს, რათა შემდეგ სამუდამოდ წაართვას საქირო ბედნიერება.

თამარი ნებივრად ზრდილი, უდარდელი, სიცოცხლითა და უმანკობით აღსავსე ულამაზესი არსებაა. მისთვის ჩვეული ცხოვრების პირობებში იგი ფსიქიკურად ჯანსაღი ქალიშვილის სახით გვეელინება. პოემის ძირითადს ნაწილში კი **პათოლოგიური** პიროვნების სახით არის წარმოდგენილი.

საქორწინო ზეიმზე, რომელსაც თამარი ოცნებით გატაცებულ ქალწულის, რაღაც საიდუმლო ნეტარებით აღვსილი მოლოდინით ხვდება, ჭენებით მოღლილი ცხენი საკუთარ სისხლში მოსვრილ, უკვე გარდაცვლილ საქმროს მოუტანს. ახალგაზრდა ქალი, ნაცელად განუსაზღვრელი ბედნიერებისა, რომელიც რამდენიმე წუთის შემდეგ უნდა დაწყებულიყო, ერთბაშად კოშმარულ სინამდვილეში ექცევა. ეს თავისთავად აუტანელი შემთხვევა თამარისათვის მით უფრო მძიმე ხდება, რადგან მან აქამდე არ იცოდა რა იყო ცხოვრების უბედურება და საერთოდ ადამიანური ტანჯვის სიმძიმე.

ბუნებრივია, რომ ტრაგიკულმა შემთხვევამ თამარს ძილი წაართვა, ხოლო ღამის მყუდროებამ აამეტყველა მისი შინაგანი ძალა, რომელიც მწვავე ოცნების ფორმაში გაიშალა. დაკარგულ ბედნიერებას, ზნეობრივ მოვალეობასა და ღვთაებრივ სათნოებას თამარის ოცნება წრფელი ცრემლებით დანამული მგლოვიარებით უნდა შეემოსა. ასეთ მომენტში პირადს ბედნიერებაზე ფიქრი ბოროტებაა, მორწმუნე ადამიანის შეუწყნარებელი დანაშაულია უზენაესი

არსების წინაშე. და მართლაც „თავის ლოგინში შეწუხებული, ცხარე ცრემლებით“ ტირის თამარიც.

მაგრამ რას დასტირის იგი, დაკარგულ სატრფოს, თუ იმ პირადს ბედნიერებას, რომელიც მას სატრფოს დაკარგვით გამოეცალა ხელიდან. თუ ამ უკანასკნელს, მაშინ მას მაინცდამაინც დიდად სამწუხარო არაფერი აქვს, რადგან იგი ხვალვე შეუძლია უკანვე დაიბრუნოს. მაგრამ სინდისი, ადამიანისა და ღვთისადმი მოვალეობა თამარს ამ მიმართულებით ფიქრის უფლებას არ აძლევს და, აი, აქედან არის რომ იწყება მისი შინაგანი ტანჯვა.

ასაკშიშესული ქალწულის ვნება, დაკმაყოფილების მომენტის მოახლოების განცდით აზვირთებული, ანგარიშს არ უწევს ქალის სულიერი ცხოვრების ტრაგიკულ მდგომარეობას, იგი ბრმა აუცილებლობით აწვება სინდისის უწმინდეს ნორმებს, ცდილობს გადალახოს ისინი და ცნობიერებაში თავისი დაკმაყოფილებისათვის საჭირო იდეალური პირობები შეჰქმნას: ოცნების ფორმაში მაინც მიწვდეს იმას, რასაც იგი რეალურად ვერ ეღირსა. ნებისყოფის პათოლოგიური სისუსტე ვერ უზრუნველყოფს სინდისის სისპეტაკეს და თამარიც იძულებული ხდება „სიამის ცეცხლით, შიშით და სევდით“ ყური დაუგდოს იმ „ჯადოსნურ ხმებს“, რომლებიც მას ქალწულისათვის გამოუცნობი სიღრმიდან ესმის.

სიამის ცეცხლი, შიში და სევდა
იმ წუთის განცდას ვერ შეედრება,
ადუღდენ უცბად ყველა გრძნობები,
გულმაც დაგლიჯა თვის ბორკილები...
და ისევ ესმის თამარს ყურებში
ის მომხიბლავი, ახალი ხმები...[1]

ოცნებით გატაცებულ ვნებიან ქალს

ღონე ელევა, თვალთ უბნელდება,
უხურს ბეჭები, ალმური ასდის...
მოხვევნა სწადის, არ ძალუძს მოცდა,
მარჯნის ტუჩებზე უნდება კოცნა.

სხვა შემთხვევაში ქალწული თავისთავს აპატიებს სიყვარულზე ვნებიან ოცნებას მიეცეს. ამით იგი, რა თქმა უნდა, მძიმე სულიერ ტკივილებს არ იგრძნობს. მაგრამ იმ სიტუაციაში, რომელშიაც

[1] მ. ი. ლერმონტოვი, დემონი, კ. ი. ჯაფარიძის თარგმანი.

თამარი მოცემულ მომენტში იმყოფებოდა, ასეთი ოცნება პიროვნების ზნეობრივ სისუსტეს ამჟღავნებს, იგი სინდისის წაბილწვას მოასწავებს და ეს არის რომ უბედურ ქალს, რომელსაც სურს დარჩეს ზნეობრივი საკუთარი თავის წინაშე, ასე საშინლად აწამებს. თამარი **ერთდროულად განიცდის სიამესა და ტანჯვას, რადგან ერთსა და იმავე დროს ერთ მოთხოვნილებას აკმაყოფილებს, ბოლო მეორეს შეურაცხყოფს:** სქესობრივი ვნების სასარგებლოდ ზნეობას ავიწროებს. იგი სასოწარკვეთილი შესჩივის მამას:

დღისით — ლოცვისთვის ძალა არ შემწევს,
ვერა ვპოულობ იმისთვის სიტყვებს:
ძარღვებში რაღაც სისხლი დამირბის...
ვერ მატყობ — ეხმები, დღითი-დღე ვსჭკნები...
სული უზომო ტანჯვას განიცდის...

თამარი თავის პიროვნებას სქესობრივ მოთხოვნილებაში კი არ განიცდის, არამედ ზნეობრივ სიწმინდეში და მისი ცხოვრების სიმძიმე იმაშია, რომ ძალა არ შესწევს უკანასკნელი პირველის შეურაცხყოფისაგან დაიცვას: სინდისის უმანკოება აზვირთებული ვნების ტალღების მიერ წალეკვამ გადაარჩინოს. მას წარმოუდგენელი აქვს საკუთარი თავის, საკუთარი სურვილების მართვის უნარი და ამიტომ იძულებული ხდება პასიურად დაემორჩილოს ამ უკანასკნელთა შორის უძლიერესს.

ცნობიერების შინაარსთა ის ნაკადი, რომელიც სქესობრივი მოთხოვნილების იმპულსით არის განსაზღვრული, თამარს იმდენად უფრო საშიშ, მისი პიროვნებისათვის უცხო და ზნეობრივად შეუფერებელ მოვლენად ეჩვენება, რამდენადაც მეტიდამეტი სიამით ათრობს მას იგი. თამარი თავისთავში ორ ურთიერთისადმი დაპირისპირებულ არსებას განიცდის, რომელთაგანაც ერთი, რომელსაც იგი თავის პიროვნებად სთვლის, უძლურია და ამიტომ მუდამ შეიწროებული რჩება. ქალისთვის ადამიანის ბუნება, ადამიანის შინაგანი ძალები საიდუმლოებითაა მოცული და ამის გამოა, რომ, მისი აზრით, ის იდუმალი ძალა, რომელიც მას მოსვენებას არ აძლევს, **მაცდურად მოვლენილი ბოროტი სულია.**

წამებული ქალი ცდილობს მონასტრის კედლებს შეაფაროს თავი, რათა იქ ღვთაებრივი ძალების დახმარებით ჩამოიცილოს ბოროტი სული და მაცხოვრის კალთის ქვეშ ზნეობრივი სიმშვიდე იგრძნოს. მაგრამ აქ მისი სულიერი ტანჯვა კიდევ უფრო აუტანელი ხდება: მონასტრის კედლებში მან თან მოიტანა დაუცხრომელი ხორციელი

ენების ცეცხლი, რომელიც „წმინდა ხატის წინ“ ლოცვად დაყრდნობილ თამარს ავი ოცნების სურათებს უშლის და სიზმრად განცდილი სიტკბოების მოლოდინით ავსებს.

მთელ დღეს ოხრავდა, ელოდებოდა...
მართლაც სიზმარში რისთვის სტკბებოდა!..
ის, მომხიბლავი, თვალსევდიანი,
ტკბილ მოსაუბრე ალერსიანი,
ამაოდ ხომ არ ეცხადებოდა?..
დიდიხანია, რაც იტანჯება.
რადა და რისთვის — თითონ არ იცის.
წმინდა ხატის წინ ლოცვად დადგება,
მაგრამ ლოცულობს მხოლოდ იმისთვის.

იგი აღქმის ინტესიობის შემცველი ოცნებით განცდილ ჰაბუკს მოელის, რომელმაც მას საბედისწერო სიტკბოება უნდა მოუტანოს. ამ ჰაბუკმა სამუდამოდ უნდა მოჰკლას თამარში ზნეობრივი არსება, მოსტაცოს თამარს საიქიო ნეტარება და სამაგიეროდ ხორციელი სიტკბოებით აღავსოს. ასეთი არსება არ შეიძლება კეთილ სულს წარმოადგენდეს. იგი დემონური ხასიათის მატარებელი უნდა იყოს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, თამარი მასზე, როგორც თავის მოთხოვნილების საგანზე, მაინც განუსაზღვრელადაა შეყვარებული, ამ მოვლენას თამარი განიცდის **მონასტრის „წმინდა კედლებში“, რაც კიდევ უფრო აძლიერებს მის ზნეობრივ ტანჯვას და ფსიქიკურად არლვევს და შლის მის პიროვნებას.**

მაგრამ მოლოზნად გამოწყობილი,
ისე, ვით წინეთ ფარჩით მკობილი,
თამარ ღელავდა, უცემდა გული,
იმავ ოცნებით ატოკებული.
და ტრაპეზის წინ, როს ლოცვად იდგა,
ღვთის სადიდებელ გალობის ჟამსა,
ლოცვის დროს, ხშირად გაიგონებდა
იმავ მომხიბვლელ და ნაცნობ ხმასა.

ბოლოს თამარის მოლოდინი **ჰალუცინაციით** სრულდება. შეუბღუდველი ოცნება მას დემონის სახით სინამდვილის ფორმაში წარმოუდგენს საოცნებო ჰაბუკს, რომელსაც თამარი ხორციელი სიტკბოებისათვის ქალწულის უმანკოებას მიუტანს მსხვერპლად. თამარი, როგორც ზნეობრივი არსება, უკანასკნელად, ჰაბუკის

ამბორის წინ, ერთხელ კიდევ გაიბრძოლებს არსებობისათვის, მაგრამ იგი ამ უკანასკნელს ვერ უძლებს და თავის თავში კვდება.

თამარი დემონს იმიტომ კი არ შეიყვარებს, რომ დემონი კეთილ არსებად აქციოს. დემონის სიყვარულში იგი საკუთარ ადამიანურ ხორციელ ინტერესსა და მისწრაფებას კი არ ჰკარგავს, არამედ მას ნახულობს და ეს გარემოებაა, რომ მისი აუტანელი ყოფის პირობად იქცევა.

ფსიქოლოგიური თვალსაზრისით სრულიად გაუმართლებელი იქნებოდა თამარის შინაგანი ტანჯვა, რომ მას დემონი მხოლოდ სიკეთისათვის, მხოლოდ მისი გაღვთაებრივებისათვის შეეყვარებინა. ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინ იგი ყოველგვარ პიროვნულ ინტერესებზე ამაღლდებოდა, ღვთაებრივი თვისებებით აღიჭურვებოდა და სულიერი კმაყოფილებისა და მარადიული ზეიმისათვის განეწყობოდა.

თამარის ტრაგედია იმაშია, რომ დემონი თვითონ მასშია ამ საბედისწერო სიყვარულის სახით წარმოდგენილი. თამარის ხორციელებით იწვის და ეს ცეცხლია, რომ უმანკო ქალწულთან დემონის ენით ლაპარაკობს, ეს ცეცხლია, რომ მას ზნეობრივ ნორმებს უნადგურებს და სულიერ სიმშვიდეს ურღვევს.

პოემის ავტორისათვის დემონი რეალური ძალაა. იგი ბოროტი სულია, რომელიც გარედან ეელინება თამარს, ამ უმშვენიერეს არსებას, და ცდილობს სამუდამოდ დაღუპოს იგი. მაგრამ, რა თქმა უნდა, ავტორის ასეთი მოსაზრება არაფერს ამბობს იმის წინააღმდეგ, რაც ზემოდ ჩვენ მიერ იყო გამოთქმული, რადგან ამ მხრივ ავტორიც იმავე თვალსაზრისისაა, რომელზედაც პოემის გმირი ქალი თამარი იდგა.

დასკვნისათვის

1. სოციალური განვითარების იმ საფეხურზე, როცა მრავალურმა კატეგორიებმა იწყეს ჩამოყალიბება ადამიანურმა ფანტაზიამ, თვითდაკვირვების საფუძველზე, პიროვნებისაგან განაყენა ერთიმეორის საწინააღმდეგოდ მიმართული ზნეობრივი და ვიტალური მოთხოვნილებანი, მიანიჭა მათ სუბსტანციონალური არსებობისათვის საჭირო ნიშნები და ამით შეჰქმნა წარმოდგენები დემონური და ღვთაებრივი სულების შესახებ.

2. მ. ი. ლერმონტოვის „დემონის“ ფსიქოლოგიურ საფუძველს ადამიანის ბუნების ფანტასტური გამოვლენის ფორმები (ღვთაება და დემონი) შეადგენს. პოემის ერთადერთი მოქმედი გმირი თამა-

რის პიროვნებაა, რომელშიაც ურთიერთს ებრძვის ადამიანის ზნეობრივი და ვიტალური — ღვთაებრივი და დემონური ბუნება.

3. თამარი თავისთავს ზნეობრივ მოთხოვნილებაში (ღვთაებაში) განიცდის და ამიტომ ზნეობრივისადმი დაპირისპირებული ვიტალური (დემონური) მას უცხო, გარედან მოვლენილ ძალად ეჩვენება. ეს ძალა წარმტაცი ბაგრამ დამღუპველი ბუნებისაა; იგი ცდილობს თამარში მოჰკლას ზნეობრივი არსება და ამიტომ ქალწულის ცნობიერებისათვის დემონურ ხასიათს ატარებს.

4. ასაკშიშესული ქალწულის ვნება, დაკმაყოფილების მომენტის მოახლოების განცდით აზვირთებული, ანგარიშს არ უწევს ქალის სულიერი ცხოვრების ტრაგიკულ მდგომარეობას. იგი ბრმა აუცილებლობით აწვება სინდისის უწმინდეს ნორმებს, ცდილობს გადალახოს ისინი და ცნობიერებაში თავის დაკმაყოფილებისათვის საჭირო იდეალური პირობები შეჰქმნას. დემონი, ამ ნიადაგზე აღმოცენებული, თამარის მიერ აღქმის ინტენსიობით განცდილი ოცნების ჰალუცინაციური სახეა.

5. თამარი დემონს იმიტომ კი არ შეიყვარებს, რომ იგი კეთილ არსებად აქციოს; დემონის სიყვარულში იგი საკუთარ თავში არსებულ ბიოლოგიურ მისწრაფებას კი არ ჰკარგავს, არამედ მას ნახულობს. დემონი თვით თამარშია დაუცხრომელი ხორციელი ვნების სახით და ეს გარემოებაა, რომ გარკვეულ სიტუაციაში მისი აუტანელი ყოფნის პირობად იქცევა.

ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები, ტ. VII, 1947.

Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, т. VII, 1947.

Transactions of the Tsulukidze State Pedagogical Institute of Kutaisi v. VII, 1947.

მიხეილ ზარძუა

იდეები და გრძნობადი სახეები „მერანში“

ამ შრომაში განხილული იქნება ნ. ბარათაშვილის ცნობილი ლექსი „მერანი“ მასში მოცემული იდეებისა და ამ იდეათა გამომხატველი გრძნობადი სახეების ურთიერთმიმართების თვალსაზრისით. ეს მოითხოვს შემდეგი საკითხების გარკვევას: 1. რა არის ძირითადი იდეა ანუ დედააზრი ნაწარმოებისა, 2. რა ცალკეული აზრებია მოცემული იმ ძირითადი იდეის გაშლისა და განვითარებისათვის და 3. რა გრძნობადი სახეები შეესაბამება თითოეულ მათგანს.

საკითხის ასე დაყენება შეიძლება გამართლებულ იქნას იმ მოსაზრებებით, რომ: 1. მართალია, პოეზიის ენა არ არის ცნებათა ლოგიკური ენა, რომელიც ცდილობს განიტვირთოს ყოველგვარი წარმოდგენისეული დანართისაგან და, რაც შეიძლება, უშუალოდ განგვაცდევინოს ცნებები მარტოოდენ სიტყვების საშუალებით, არამედ იგი ხატოვანი ენაა, რომელიც ყოველთვის ცდილობს, რომ მოცემული ცნებები, რაც შეიძლება, მეტად გრძნობადად განგვაცდევინოს; მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს იდეები მხატვრულ ნაწარმოებში მეორეხარისხოვანი იყოს. არა! შემოქმედების შინაარსის ანალიზი გვიჩვენებს, რომ მხატვრული ნაწარმოების დაბადება სწორედ იდეის დაბადებაა გრძნობადს სახეებში. ამიტომ ხელოვნების ნაწარმოებში მოცემულ იდეათა და გრძნობად სახეთა ურთიერთმიმართების გარკვევა თავისთავად მნიშვნელობასმოკლებული არ უნდა იყოს. 2. ნ. ბარათაშვილის შესახებ არსებულ მდიდარ ლიტერატურაში თავიდანვე იყო აზრთა სხვადასხვაობა იმაზე, თუ როგორია პოეტის დამოკიდებულება ცხოვრებისადმი, სწამს მას ამქვეყნიური არსებობის აზრი, თუ არა, ე. ი. არის ნ. ბარათაშვილი პესიმისტი, ამ ცნების პირდაპირი გაგებით, თუ არა. „მერანში“ არსებული იდეებისა და გრძნობადი სახეების ურთიერთმიმართების გათვალისწინება ამ კითხვაზე დამაკმაყოფილებელი პა-

სუხის გაცემასაც გააადვილებს. და 3. თუ გაირკვევა ნაწარმოების იდეებისა და გრძნობადი სახეების ურთიერთობა, მაშინ არსებული აზრის სისწორე თუ უმართებულობა ბარათაშვილის პოეზიაზე და, კერძოდ, „მერანზე“ ლიტერატურული გავლენის შესახებ უფრო ადვილად გასათვალისწინებელი გახდება.

I

ი დ ე ე ბ ი

როდესაც პოეტური ქმნილების იდეურ მხარეზე ვლაპარაკობთ, მაშინ ორ გარემოებას მაინც უნდა მიექცეს საგანგებო ყურადღება: ნაწარმოების, ვითარცა მთლიანის, იდეას, ერთი მხრივ, და ნაწარმოებში მოცემულ ცალკეულ იდეებს, მეორე მხრივ. მაშასადამე, საკითხი ისმის, უწინარეს ყოვლისა, იმის შესახებ, თუ რა ძირითადი იდეაა ჩაქსოვილი „მერანში“.

ადამიანის არსებობას უმაღლესი აზრი გააჩნია. ამ აზრის გაცნობიერება, მისი ამოხსნა წარმოადგენს ადამიანის დანიშნულებას. სრულიად შესაძლებელია ადამიანის კეთილდღეობის, მისი ბედნიერების მიღწევა; არსებობის უმაღლესი აზრის ამოხსნა კაცობრიობის ბედნიერების აუცილებელი საწინდარია. ეს აზრი ჯერ-ჯერობით ამოხსნილი არ არის. საჭიროა თავგანწირულებამდის მისული ძიება მის მისაკვლევად. საზოგადოდ ასე შეიძლება გამოითქვას „მერანის“ ვითარცა მთლიანის, ძირითადი იდეა. ეს უნდა იყოს თვით ის ზოგადი, ძირითადი აზრი, რომელმაც „მერანი“ წარმოშვა. პოეტის მიერ საკითხის ასე დაყენებას თავისი ისტორია აქვს. თვით თ საკითხი იმის შესახებ, რომ ადამიანის არსებობას აზრი გააჩნია, რომ ამ აზრის მიგნება და შემდეგ მისი ამოხსნაა ადამიანის უმაღლესი დანიშნულება, გულისხმობს, რომ პიროვნებაში ამ კითხვის მიმართ დაეჭვებასა და მერყეობას ჰქონია ადგილი. მართლაც, თუ თვალს გადავაელებთ ნ. ბარათაშვილის პოეზიასა და კერძო მიმოწერას, ნათლად დავინახავთ, რომ ადამიანის ცხოვრების აზრის არსებობაში დაეჭვებისა და სასოწარკვეთის განცდები უცხო არ ყოფილა პოეტისათვის. ხშირად იყო ხოლმე პოეტის ცხოვრებაში მომენტები, როდესაც იგი აბსოლუტურ პესიმიზმამდის მიდიოდა. ერთ-ერთ წერილში ზაქარია ორბელიანისადმი ის რას წერდა პოეტი: „ის, რომ მიზანი ჩვენის დანიშნულებისა გამოუცნობელი რჩება, რომ ადამიანის სურვილები უსაზღვროა, ხოლო ყოველივე ამქვეყნიური წარმავალია, ყოველივე ამან აავსო ჩემი

სული საშინელის სიცალიერით“ [1]. პოეტის ამდროინდელი განწყობილება, როგორც ვხედავთ, ასეთია უაზროა ადამიანური არსებობა ამ ქვეყნად, რადგან „მიზანი ჩვენის ცხოვრებისა გამოუცნობელი რჩება“; უბედურია ადამიანი ამავე დროს, რადგან მას **აქვს მოთხოვნილება მიზნის არსებობისა**; რადგან ადამიანს სურს, რომ მის არსებობას აზრი და მიზანი გააჩნდეს. ტრაგიკულია ადამიანის ბედი, რადგან „ადამიანის სურვილები უსაზღვროა, ხოლო ყოველივე ამქვეყნიური წარმავალია“. აქ ლაპარაკია არა რომელიმე შემთხვევითს, პიროვნულ, თუნდაც ეროვნულ მოვლენაზე; არა ისტორიულად გარდამავალსა და ცვალებადს ბედზე, რომელიც, შესაძლებელია, თუნდაც ასეული ათასი წლის შემდეგ შეიცვალოს, არამედ მარადიულ ბედზე, ადამიანის ხვედრზე, საზოგადოდ, რომელიც გარდაუვალია დროში, გარდაუვალია პიროვნულად. ესაა აბსოლუტური პესიმიზმი. ისეთი მსოფლმხედველობა, რომლის პოზიციებიდანაც ადამიანის ამქვეყნიური არსებობის ყოველგვარი გამართლების ცდა წინასწარ მოხსნილია.

ნ. ბარათაშვილის მსოფლმხედველობაში ასეთი თვალსაზრისი ძლიერაა წარმოდგენილი. ამ თვალსაზრისის გამოვლინებას წარმოადგენს ჩემს მიერ ზემომოტანილი ამონაწერი, აგრეთვე სხვა მრავალი კერძო წერილი, და უმთავრესად კი თვით პოეტური შემოქმედება ნ. ბარათაშვილისა.

ეს განწყობილება განსაკუთრებული ძლიერებით გამოვლინდა ლექსში „ფიქრნი მტკვრის პირას“, სადაც პოეტურ ფორმებშია მოცემული იგივე აზრი ადამიანის არსებობის განწირულობის შესახებ: „ვინ არის იგი, ვის თვის გული ერთხელ აღივსოს და რაც მიელოს ერთხელ ნატვრით, ისი ეკმაროს?“ და რადგან ასეთი არავინაა, არ არსებობს ქვეყნად ადამიანი, რომლის სურვილის დაკმაყოფილება იმავე ადამიანის დაკმაყოფილებას ნიშნავდეს, საზოგადოდ, ამიტომაც ადამიანის ცხოვრება არის „ფუჭი და მხოლოდ ღა ამაოება“.

მაგრამ ბარათაშვილის პოეზიის თავისებურება ამაში როდი მდგომარეობს. ამ იდეების ანაბარა ბარათაშვილი ვერ გახდებოდა მსოფლიო მასშტაბის პოეტად. არა! მისი პოეზიის თავისებურებაცა და სიდიადეც იმაშია, რომ იგი აბსოლუტური პესიმიზმის, არსებო-

[1] ნ. ბარათაშვილი, ლექსები, პოემა. წერილები, 1939 გვ. XC. პოეტის სიტყვები ყველგან ამ გამოცემის მიხედვითაა ციტირებული.

ბის აზრის სრული უარყოფის ფარგლებში არასოდეს არა რჩებოდა. მართალია, მთელი მაშინდელი სულიერი და მატერიალური კულტურის ანალიზი მხოლოდ ნეგატური შეფასების საბუთს აძლევდა ნ. ბარათაშვილს, ვითარცა მოაზროვნეს, მაგრამ იგივე ბარათაშვილი — პოეტი, თავისი გენიალური პოეტური ინტუიციით რაღაც სხვას ხედავდა, სხვა აზრს გულისხმობდა ადამიანის არსებობაში; ისეთ აზრს, რომელიც ბარათაშვილისათვის მიკვლეული არ არის, მაგრამ მისი მოძებნა სრულად შესაძლებელია. ეს გარემოება იმავე ლექსში (,,ფიქრნი მტკვრის პირას'') იჩენს თავს:

არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,
იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნვოს.

თუ ამ ლექსს განვიხილავთ, როგორც ლოგიკური აზროვნების ნიმუშს, იძულებული ვიქნებით, რომ მისი ალოგიურობა ვაღიაროთ: ადამიანის ცხოვრება ფუჭია და ამაო, რადგან იგი ,,საწყაულია აღუვსებელი'', ე. ი. საბოლოო მიზანი არ არსებობს. ეს დადგენილი აქვს პოეტს. იქვე ამბობს, რომ მაინც უნდა ვიზრუნოთო, რადგან ,,კაცნი გვქვიან, შვილნი სოფლისა''... მაგრამ უბედურნი სწორედ იმიტომ ვართ, რომ ,,კაცნი გვქვიან, შვილნი სოფლისა'' და ამავე სოფლისთვის რატომ ღა უნდა ვიზრუნოთ? თუ წმინდა ლოგიკურ თვალსაზრისზე დავდგებით, ამაზე პასუხს ვერ მივიღებთ.

მაგრამ ადამიანის სულიერ ცხოვრებაში არის სხვა მხარეც, რომლის მთლიანად გადმოტანა ლოგიკურ სფეროში ძნელია. არის ისეთი მომენტი ხელოვანის თუ მოაზროვნის სულიერ ცხოვრებაში, როდესაც იგი უშუალოდ განიცდის იდეათა სამყაროს, უშუალოდ გრძნობს იდეებს, მაგრამ მათი აბსტრაჰირება, მათი ობიექტივაცია ვერ მოუხერხებია (ბელინსკი ამას ,,იდეათა აღქმას'' უწოდებს; დოსტოევსკი — მოვლენათა ,,შეგრძნებას''). და აი, ბარათაშვილიც უშუალოდ განიცდის ადამიანის არსებობის გამართლების იდეას; იგი ამ იდეას გრძნობს, საზოგადოდ, მაგრამ მისი ობიექტივაცია ვერ მოუხდენია და რადგანაც გამართლების არსებობას გრძნობს, დასაბუთების გარეშე ამბობს:

. რადგანაც კაცნი გვქვიან, შვილნი სოფლისა,
უნდა კიდეცაც მივსდიოთ მას...

პესიმიზმი აზროვნებითი კრიზისია საზოგადოდ. თანმიმდევარ პესიმისტს შემოქმედების უფლება არა აქვს. თუ ყოველივე ,,არის

მხოლოდ ამაოება“, მაშინ, ცხადია, იმთავითვე მოხსნილია ამაოების შესახებ რაიმე გარკვეული, პოზიტური რაობის შექმნის ცდა.

ნ. ბარათაშვილი რომ პესიმიზმის პოზიციაზე დარჩენილიყო, რომ არ შერყეულიყო მისი რწმენა ადამიანის ყოფნის ამაოების შესახებ, მაშინ იგი კრიზისს თავს ვერ დააღწევდა, კატასტროფის წინაშე აღმოჩნდებოდა და ამისი ბუნებრივი შედეგი იქნებოდა პოეტური შემოქმედების შეწყვეტა. მაგრამ ასეთი კრიზისიდან ნ. ბარათაშვილი იხსნა გენიალურმა პოეტურმა ინტუიციამ. ამ კრიზისიდან იგი იხსნა შინაგანი ხილვის იმ დიდმა ძალამ, რომელიც მუდამ შთააგონებდა მას უკვდავ პოეტურ შედევრებს და რომელმაც ბიძა მისთან, გრიგოლ ორბელიანთან, მიწერილ ერთ-ერთ წერილში ათქმევინა: „მე შინაგანი ხმა მიწვევს უკეთესი ხვედრისაკენ, გული მეუბნება, რომ შენ არა ხარ ახლანდელის მდგომარეობისათვის დაბადებულიო! ნუ გძინავსო! მე არ მძინავს, მაგრამ კაცი მინდა, რომ ამ პატარა ღრე-კლდეს გამიყვანოს და დავდგე გაშლილს ადგილას. ოჰ, რა თავისუფლად ამოვისუნთქავ მაშინ, რა ხელმწიფურად გადავხედავ ჩემს ასპარეზსა“[1].

ამ სტრიქონების ავტორს, ცხადია, რაღაც ღირებულების მქონე რაობა ეგულვება ქვეყნიურ ცხოვრებაში, რომ იქ საასპარეზოდ მიიღტვის. მეორე მხრივ, ის რაღაც ღირებულება გარკვეული სახით არა აქვს მოცემული და ხელთ რჩება მხოლოდ მიზნის ცნობიერება, რომლის შინაარსიც გონებას ვერ ჩამოუყალიბებია ცნებებში, რომ მასზე მსჯელობა ყოფილიყო შესაძლებელი. ამდენად ბარათაშვილი კრიზისს განიცდის. მაგრამ ეს კრიზისი დროებითი ხასიათისა: იგი არ არის პოეტური კრიზისი, რამდენადაც მის პოეტურ ინტუიციას რაღაც შინაარსი ეგულვება ყოფიერების რომელიღაც სფეროში.

ამის შედეგი უნდა იყოს ის მარადიული ძიება, გამუდმებული გადახრა სასოწარკვეთასა და იმედიანობას შორის, რაც ბარათაშვილის პოეზიაში ესოდენ უხვად მოიპოვება. კაცობრიობის უბედურება, ბარათაშვილის აზრით, იმაში როდია, რომ მას (კაცობრიობას) ფიზიკური, რეალური შესაძლებლობანი არ გააჩნია კეთილდღეობის მისაღწევად. არა! უბედურება იმაშია, რომ თვითონ იმ კეთილდღეობის გარკვეული იდეა არ არის მიგნებული; საქმე იმაში კი არაა, რომ ადამიანთა მოდგმა უძლურია მიზნის განხორციელებისათვის ბრძოლაში, არამედ, უმთავრესად იმაში, რომ „ჰა-

[1] გვ. XC.

„ჩანს **ჩვენის ცხოვრებისა გამოუცნობელი რჩება**“ [1], რომ ყოველივე წარმავალია და ამაო ამაოებათა. ვიმეორებ, ესაა არა ფიზიკური უძლურება ერისა თუ კაცობრიობის, არამედ გნოსეოლოგიური უძლურებაა, გონების ჩიხია, **რომელშიაც** რაღაც განგებას მოუმწყვდევია ერიცა და კაცობრიობაც.

როგორც ვთქვით, ბარათაშვილის ლოგიკური აზროვნება უძლური აღმოჩნდა კაცობრიობის არსებობის აზრის მოძებნისათვის; ვერ მონახა გამართლება ადამიანის ყოფნისა ამ ქვეყნად. მაგრამ დაეჭვების ყველა მომენტში ისევ პოეტური ინტუიცია დაეხმარა მას, რომ ის საძიებელი საგანი როგორმე მაინც განეცადა; უშუალოდ, ხელოვანის თვალით, ეხილნა იგი სფერო არსებობისა და ამით რწმენა მაინც ჰქონოდა ხელთ.

გარკვეული აზრით, შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, **რომ ბარათაშვილის პოეზია არის რწმენის პოეზია** და **არა რაციონალური ძიების ილია ჭავჭავაძისებური პოეზია**. მართალია, ეს რწმენაც ხშირად მერყეობს, ხშირად იცვლება ცხოვრების აზრისადმი ურწმუნოების განცდით, მაგრამ პოეტს რაღაც ხმა მაინც ჩასძახებს ხოლმე და ეს ხმა არსებობის აზრის გამართლების სახით მოევლინება ბარათაშვილის შემოქმედებას.

ბარათაშვილი, როგორც აღვნიშნე, მსოფლიო მასშტაბის პოეტია. ეს მასშტაბი მის პოეზიაში დასმული კითხვებითა და იქ მოცემული იდეებით განიზომება. თვითონ პოეტის პიროვნების მიმართებაც ცხოვრებისადმი, — არსებობის კანონზომიერებისადმი პიროვნების მიმართების ნიშანს ატარებს, ამავე მიზეზისა გამო. განწყობილებათა ცვალებადობა პოეტის სულიერ სამყაროში ხშირად ქმნის სულიერ კრიზისს და ეს კრიზისი იმდენად პრინციპულია, რომ თვითონ პოეტის პიროვნული ტრაგედია საერთო-საკაცობრიო ტრაგედიის მოტივებით ჟღერს. ერთი ასეთი კრიზისი 1841 წელს შეიქმნა პოეტისათვის. ეს ჩანს ლირიკული ლექსიდან „**ჭაშვე ტაძარი**“. ეს ლექსი განსაკუთრებული ძალით ღალადებს პოეტის განწირულობაზე; იმაზე, რომ ამქვეყნიურ არსებობაში მისთვის თავშესაფარი არ არსებობს. ამდენად ლექსი უაღრესად პესიმისტურია, პოეტური დასაბუთებაა იმ აზრისა, რომელიც ზაქარია ორბელიანისადმი მიწერილ წერილში იყო გამოთქმული.

არსებობის აზრის, უკანასკნელი მიზნის მაძიებელ პოეტს ბოლოსდაბოლოს უპოვნია თავშესაფარი — საბოლოო მიზანი — წმინდა

[1] ხაზგასმა ჩემია. მ. ზ.

სიყვარულის სახით. ამ ტაძარს შეჰფარებია პოეტი და განუზრახავს იქ დარჩენილიყო სამუდამოდ, რადგან იგი მიუჩნევია არსებობის უდიდეს აზრად, კაცობრიობის უკანასკნელ მიზნად.

მუნ გუნდრუკის წილ შევჰსწირავდი წმინდა სიყვარულს,
რომლის საკურთხად დავსდებდი მე ჩემს გულსა და სულს;
ამა სიამით, ნეტარებით, ესრეთ აღვსებულს,
მეგონა ვჰხედავ სასუფეველს, აქ დაშენებულს.

თუ, მართლაც, სიყვარული აღმოჩნდებოდა არსებობის უდიდესი აზრი, მაშინ ბარათაშვილიც, რასაკვირველია, შეურიგდებოდა, მიიღებდა ამ აზრს და ამ ახლადაღმოჩენილ ტაძარში საბოლოოდ დარჩებოდა. ცხადია, ამით სულიერი კრიზისი დაძლეული იქნებოდა და ბარათაშვილიც საბოლოოდ ჩამოყალიბდებოდა სატრფიალო ჰანგების მგოსნად, რის მაგალითიც არა ერთი და ორი მოეპოვება მსოფლიო ლიტერატურის ისტორიას. მაგრამ ჩვენი პოეტის ძიების საგანი არ აღმოჩნდა სიყვარული. იგი აღმოჩნდა არა საბოლოო და უდიდესი აზრი არსებობისა, არამედ ცვალებადი და წარმავალი:

მაგრამ საწუთრო განა დიდხანს ვისმეს ახარებს?
განქრა ტაძარი — და უდაბნო ჩემდა მდუმარებს;
მას აქეთ ჩემს გულს ნეტარება არ ასადარებს,
მის ნაცვლად სევდა და წყვდიადი დაისადგურებს.

საქმე აქ იმაში კი არ არის, რომ ნ. ბარათაშვილმა, როგორც მოაშიკე ყმაწვილმა კაცმა, მარცხი განიცადა რომელიმე ბანოვანთან. არა! საქმე იმაშია, რომ თვით საგანი არ არის ღირსი იმისა, რომ არსებობის უდიდეს აზრად იქნას აღიარებული. ჰაბუკ პოეტს ეგონა: ვიპოვეო უკანასკნელი მიზანი ადამიანის არსებობისა, მაგრამ საწინააღმდეგო აღმოჩნდა:

მოისპო მჰსწრაფლად მისი ნაშთი და მისი კვალი...
დამშთა მე მხოლოდ მისს ლამპრისგან ცეცხლი დამჭრალი...

ვერღა აღმიგო სიყვარულმა კვალად ტაძარი!
ვერსად აღვინთე დაშთომილი მისი ლამპარი!
ესრეთ დამიხშო უკუღმართმან ნუგეშს კარი,
და დავალ ობლად, ისევ მწირი, მიუსაფარი.

თუ პოეტის 1841 წლის განწყობილების მოკლედ გამოთქმას შევეცდებით, შეიძლებოდა ეს განწყობილება შემდეგი სიტყვებით გამოთქმულიყო:

და დავალ ობლად, ისევ მწირი, მიუსაფარი!.

ასეთი სულიერი განწყობილება, თავისთავად, უდიდესი სულიერი კრიზისის მაჩვენებელია. ეს ისეთი წერტილია პოეტის ცხოვრებაში, რომელიც ან პოეტური თვითმკვლელობით (შემოქმედების შეწყვეტით) უნდა დამთავრდეს, ან და უნდა მოიძებნოს კრიზისიდან თავის დაღწევის რაიმე სხვა გზა.

და ასეთი გზა, მართლაც, გამოიძებნა, კრიზისი დაძლეული იქნა. ,,მწირი, მიუსაფარი'' პოეტი ხელიდან დაუსხლტა ყოვლისშთამნთქმელი პესიმიზმის, აბსოლუტური არარაობის განცდას და ისევ არსებობის დიადი აზრის ძიებისკენ იბრუნა პირი. ამ კრიზისიდან თავის დაღწევის, ოპტიმიზმისაკენ შემობრუნების შედეგად დაიბადა გენიალური ,,მერანი''.

ახლა სრულიად ნათელი უნდა იყოს ზემოთქმულის აზრი: ,,მერანის'' ძირითადი იდეა ისაა, რომ აღიარებულია სიცოცხლის უმაღლესი აზრის არსებობა და დაშვებულია შესაძლებლობა მისი მიკვლევისა. ასეთი აზრის დაშვება მნიშვნელოვანი იყო ბარათაშვილისათვის განსაკუთრებით იმ კრიზისის შემდეგ, რომელიც მან განიცადა ,,ვეპოვე ტაძარში''. მნიშვნელოვანი ისიცაა, რომ ქრონოლოგიურად ,,მერანი'' ,,ვეპოვე ტაძარს'' მისდევს; უკანასკნელი 1841 წელსაა დაწერილი, ხოლო ,,მერანი'' კი — 1842 წელს.

,,მერანი'' კრიზისიდან გამოსვლის ბრწყინვალე დადასტურებაა და ასევე ბრწყინვალე ძეგლი მსოფლიო პოეზიისა, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს კაცობრიობის არსებობის უდიდესი აზრი, მისი საბოლოო მიზანი, ნათლად ჰქონდეს პოეტს გათვალისწინებული. არა! აქ მხოლოდ პოეტური ინტუიციით დანახულია ახალი სფერო, სადაც იმ საბოლოო მიზნის მოძებნა უნდა გახდეს შესაძლებელი.

მაგრამ პოეტი ხედავს, რომ არსებულ გარემოში დიადი აზრი არა ჩანს. იგი არა ჩანს ცნობიერად არსებულ იდეათა სამყაროში, მაგრამ სადღაც, არსებობის რომელიღაც სფეროში რომ არსებობდეს, ამას ინტუიციით გრძნობს. მისი პოეტური თვალი ხედავს იმას, რაც ჯერ კიდევ მისსავე გონების თვალს ვერ დაუნახავს. როგორ უნდა მოიქცეს ასეთ შემთხვევაში პოეტი? სასოწარკვეთას ვერ მიეცემა, რადგან განიცდის, გრძნობს სასურველი აზრის არსებობას და სჯერა მისი მიკვლევის შესაძლებლობა. მაგრამ ვერც კმაყოფილებას მიეცემა, რადგან გარკვეულად ვერ და უნახავს ის, რისი არსებობაც სწამს და მიგნების შესაძლებლობაც სჯერა. აქედან — **იდეა საძიებელი საგნის არსებულს მიღმა მდებარეობისა**, ე. ი. გნოსეოლოგიურად და მატერიალურად არსებულის

ფარგლებში არ მოიპოვება საძიებელი. რომ საბოლოო მიზანი გამოკვლეულ სფეროში მდებარეობდეს, მაშინ მარტოოდენ პრაქტიკული მოქმედება იქნებოდა საჭირო მის დასაუფლებლად. მაგრამ რადგანაც იგი აქ არ არის, უნდა დავასკვნათ: იგი არსებულს მიღმაა. მაშასადამე: მთავარიდან ლოგიკურად გამომდინარე იდეაა: **ჯერ კიდევ გამოუკვლეველ სფეროში არსებობა ადამიანის ყოფიერების საბოლოო მიზნისა.**

თუ ზემოთქმულს გავითვალისწინებთ, თუ გავიზიარებთ იმ აზრს, რომ: 1. „მერანის“ დედააზრი იმის აღიარებაა, რომ ადამიანურ არსებობას უმაღლესი აზრი გააჩნია და 2. აქედან გამომდინარეობს, რომ იგი უმაღლესი აზრი ჯერ კიდევ მიუკვლეველ სფეროში მდებარეობს, მაშინ, ცხადია, ამ გზით წარმართულ შემოქმედებას ამაზე შეჩერება არ შეეძლო. ნ. ბარათაშვილი, საერთოდ, აქტიური, მებრძოლი ბუნების პოეტი და მოქალაქეა. მისი დევიზია: სოფლისათვის ზრუნვა. და, თუ ყოფიერების უმაღლესი აზრის არსებობა დადგენილია, მაგრამ ისე კი, რომ იგი ჯერ კიდევ გაურკვეველია და მიუგნებელი, ცხადია, აქტიური, მებრძოლი პოეტის ბუნება ამ მიუკვლეველის მიკვლევისაკენ უნდა გასდგომოდა გზას. **აქედან იდეა ძიებისა.**

ძიება სხვადასხვაგვარი ხასიათისა შეიძლება იყოს: დადგენილი მეთოდებით, გაკვალული გზებით კვლევა ობიექტურად არსებული ქვეყნის ემპირიული მოვლენისა, ერთი მხრივ, როდესაც მსგავს მოვლენათა კვლევის გამოცდილებით წინასწარ ვიცით შედეგები უმთავრეს ხაზებში; და მეორე მხრივ, სრულიად გაუკაფავი გზით სელა ახალ-ახალი სინამდვილის შეცნობისაკენ, როდესაც გამოცდილება ბევრს ვერაფერს გვშველის, თუ გენიალური ჭვრეტის უნარი არ მოგვეშველა. ბარათაშვილის გაჭრა არსებობის აზრის საძიებლად სწორედ მეორე კატეგორიის ძიებაა; იგი მეთოდებით ვერ იხელმძღვანელებს, რადგან ასეთი გაჭრისა და ძიების გამოცდილება კაცობრიობას არა ჰქონია. **აქედან იდეა უპრეცედენტო ძიებისა.**

ზევით აღვნიშნე, რომ ბარათაშვილს უშუალოდ განცდილი აქვს იდეალის არსებობა. მისი პოეტური თვალი ხედავს იმას, რაც ჯერ კიდევ ლოგიკურ გარკვეულობაში არ ჩამოყალიბებულა, რისი ობიექტივაცია ჯერ კიდევ არ მომხდარა. მაშასადამე, საძიებელია არა უშუალო, პოეტური განცდა სინამდვილისა, არამედ მისი გააზრება, მისი ობიექტივაცია, ლოგიკური ფორმულირება ისე, რომ იგი ობი-

ექტური აზრის კუთვნილება გახდეს და ამით ადამიანებისთვის სრულიად გააზრებული. აქედან **იდეა მაძიებელი აზრისა.**

აზროვნება ადამიანის კუთვნილებაა. ობიექტური სამყაროს შეცნობა მხოლოდ ადამიანისთვისაა შესაძლებელი. მაძიებელი აზრის მფლობელიც ადამიანია. მაგრამ განა ყოველი ადამიანი ფლობს მაძიებელ აზრს? რასაკვირველია, არა! ამისთვის საჭიროა რჩეული ადამიანი. ადამიანის არსებობას გამართლება სჭირდება; საჭიროა იმის დასაბუთება, რომ ადამიანის ამქვეყნიურ ყოფნას უმაღლესი აზრი გააჩნია, მაგრამ ყოველი ცალკეული ადამიანი ამის მოთხოვნილებას არ განიცდის. არა თუ ამოხსნა არსებობის აზრის საჭირბოროტო კითხვისა, არამედ თვითონ საკითხის დასმაც რიგითი ადამიანის ძალ ღონეს აღემატება. ამიტომ, ბუნებრივია, მაძიებელი აზრის მატარებელი უნდა იყოს რჩეული ადამიანი, ამ შემთხვევაში — პოეტი. აქედან **იდეა მოაზროვნე, აზრის მატარებელი კაცისა.**

ცნობილია, რომ ვინც ყოველდღიურობაზე მაღლა აიწევს, ვინც საქვეყნო საქმეებს შეეჭიდება, მან პიროვნულ-ადამიანურიდან ბევრი რამ უნდა დათმოს. თუ რჩეული ადამიანი კაცობრიობის საქმისთვის თავს გადასდებს, თუ იგი განიზრახავს უდიდესი საქმის გაკეთებას, მაშინ მას მოუხდება მსხვერპლის გაღება იმისათვის, რომ საერთო-საკაცობრიო საქმე უკეთ შეასრულოს. აქედან **იდეა თავგანწირულებისა.**

თავგანწირული ლტოლვა არსებული სამყაროს ფარგლებიდან, კეთილშობილური ძიება საკაცობრიო იდეალისა ნაკარნახევია იმით, რომ თვით იმ იდეალის არსებობა როგორღაც დაშვებულია; მაგრამ, როგორც ითქვა, იგი მხოლოდ დაშვებულია და არა გამოკვლეული საკაცობრიო კეთილდღეობის გრძნობით გამსჭვალული რჩეული იწყებს ამ დიადი იდეალის ძიებას, მაგრამ მისი მოძებნის აუცილებელი პირობა — სწორი გზა — ხელთ არა აქვს. ამის გამო ხშირია წუთები დაეჭვებისა, საკუთარი ძალების რწმენაში გულის გატეხისა. გამოცდილება გზას არ უნათებს მაძიებელ აზრს; მან თვითვე უნდა გამონახოს ძიების საშუალებაცა და საძიებელი იდეალიც. აქედან **დაეჭვებისა და საკუთარი უძლურების განცდა.**

მართალია, ის გზა, რომელსაც პოეტი დაადგა საკაცობრიო იდეალის მოძებნის მიზნით, არ იყო გაკაფული გზა. მართალია, თვით უმაღლესი აზრი ადამიანის არსებობისა არ იყო მიგნებული. მაგრამ მისი მიგნების წყურვილი არა ერთსა და ორს ჰქონია ადამიანთა შორის. ნ. ბარათაშვილმა იცის, რომ თაყის კეთილშობილურ მისწრაფებაში იგი მარტო არ არის. ადამიანთა შორის საუკეთესონი მიილტვიან იმავე მიზნისაკენ, რომლისკენაც ჩვენი პოეტი

შიილტვის. აქედან **იდეა სოლიდარობისა, თანამოაზრეებთან აზრის გაზიარებისა.**

პოეტმა იცის, რომ მან დიდი, საკაცობრიო საქმე იკისრა. თუ მისი ცდა წარმატებით დაგვირგვინდება, ამით დაკმაყოფილებული იქნება არა მარტო მისი სუბიექტური მოთხოვნილება, არამედ საერთო-საკაცობრიო მოთხოვნილებაც. თუ მიზანი მიგნებული იქნება, თუ იდეალი გარკვეული სახით წარმოდგება ადამიანთა წინაშე, ამის შემდეგ საზოგადოებას ის ღა დარჩება საზრუნავად, რომ მისი განხორციელებისათვის იბრძოლოს. ასეთი შედეგი ბრწყინვალე დაგვირგვინება იქნებოდა პოეტის მიერ განზრახული ძიებისა. მაგრამ თუნდაც რომ ასეთი წარმატება არ იქნას მიღწეული, პოეტის ცდა მაინც მწიშვნელოვანია, რამდენადაც მან ადამიანებს ძიებისაკენ მაინც მიუთითა. აქედან **პოეტის საზოგადოებრივი როლის იდეა.**

რა თქმა უნდა, „მერანში“ მოცემული ყველა ცალკეული აზრი აქ არაა აღნუსხული. მათგან მხოლოდ უმთავრესი ავიღე და ისიც ისეთნი, რომელთაც გარკვეული გრძნობადი სახეები შეესატყვისება. ახლა ვნახოთ, თუ რა გრძნობადი სახეებით განასხეულა ნ. ბარათაშვილმა ზემოაღნიშნული იდეები.

II

გრძნობადი სახეები

ნაწარმოების დედააზრი ყოველთვის ყველაზე მეტად განყენებული აზრია. ამის გამო იგი ყველაზე ნაკლებად ემორჩილება სახეებში ჩამოყალიბებას. ასეთი განყენებული აზრის ბუნებრივი გამოხატულება — სიტყვაა. „სიტყვა განყენებული აზრის ობიექტივაციაა. იგი არათვალსაჩინო განცდის უშუალო მოცემულობად გადაქცევის საშუალებას იძლევა“ [1]. ამიტომაა, რომ დედააზრის გამოთქმას ყოველთვის სიტყვით ცდილობენ, იქნება იგი დედააზრი მეცნიერული შრომის, მხატვრული ნაწარმოების თუ სხვა რამ მოვლენისა.

„მერანის“ დედააზრი სიტყვებში ჩამოვაყალიბე. ამ თავში კი, სადაც აზრების გამომხატველ თვალსაჩინო, გრძნობად სახეებზე იქნება ლაპარაკი, ამ დედააზრის შესატყვისი გრძნობადი სახე არ იქნება მოცემული. „მერანის“ დედააზრის განხორციელებას წარმოადგენს მთლიანად იგივე ლექსი თავისი დამხმარე აზრებით, გრძნობადი სახეებითა და სიტყვიერი ინვენტარით.

[1] დ. უზნაძე. ზოგადი ფსიქოლოგია, გვ. 383. 1940.

გადავდივარ ცალკეული აზრების გამომხატველ გრძნობად სახეთა განხილვაზე.

1. როგორც ვთქვი, „მერანში“ არსებული ერთ-ერთი აზრი ანუ იდეა არის შემდეგი: **ადამიანის არსებობის საბოლოო მიზანი მოთავსებულია ისეთ სფეროში, რომელიც ადამიანის გონებას ჯერ კიდევ ვერ გამოუკვლევია.**

ეს სფერო გრძნობადად სივრცის სახითაა მოცემული. ასევე სივრცის სახით აქვს პოეტს წარმოდგენილი მთელი სულიერი და მატერიალური სამყარო, რომელიც გაყოფილია გამოკვლეულ და გამოუკვლეველ სფეროებად. მათ შორის არის საზღვარი — „ბედის სამძღვარი“. ამ საზღვარს შიგნით მხოლოდ წარმავალი მოვლენებია, ფუჭი და ამაო ცხოვრებაა, სადაც დიდი დაბრკოლებებია, სტიქიონია გამეფებული: სიცხე, ქარი, კლდე, ღრე, წყალი, ერთი სიტყვით, ისეთი მატერიალური სხეულები, რომელთა გადალახვა, მართლაც, რაინდულ გამბედაობასა და კეთილშობილურ თავგანწირვას მოითხოვს.

სხვაგვარად შეუძლებელიც იყო იმ იდეის გამოხატვა სახეებში. საძიებელი საგანი რომ სრულიად უბრალოსა და ადვილადმისაღწევ ადგილას ყოფილიყო მოთავსებული, მაშინ, ცხადია, იგი აქამდისაც მიგნებული იქნებოდა ისე, რომ მისი აღმომჩენელი დიდად ვერაფრით მოიწონებდა თავს. საქმე სწორედ იმაშია, რომ რთულია არსებობის აზრის ამოხსნა: დაბრკოლებებითა და წინააღმდეგობებითაა აღსავსე მისკენ მიმავალი გზა. აი, ამ სიძნელის გამოსახვას ემსახურება ისეთი თვალსაჩინო წარმოდგენები, რომელნიც სხეულებრივად, მართლაც, ფიზიკურ დაბრკოლებას წარმოადგენენ. როდესაც ვკითხულობთ სტრიქონებს:

გაჰკვეთე ქარი, გააპე წყალი, გარდაიარე კლდენი და ღრენი ან და

ნუ შეეფარვი, ჩემო მფრინავო, ნუცა **სიცხესა**, ნუ ა **ავდარსა**-ო,

თვალწინ წარმოგვიდგება ბნელი სტრიქონების სამეფო, უდიდეს დაბრკოლებათა ქვეყანა, სადაც სვლა, მართლაც ძნელია და ამიტომ იქ გაჭრას მხოლოდ რჩეული თუ გაბედავს.

2. საძიებელი საგანი არსებობის გამოუკვლეველ სფეროში მდებარეობს. ეს გარემოება ბუნებრივად მოითხოვს ძიებას. აზრის ძიება, ჭართალია, ლოგიკურად სივრცეში არ ხდება, მაგრამ პოეტს ხომ მთელი იდეათა სამყარო სივრცის სახით აქვს წარმოდგენილი. მისი

პოეტური **მე** სხეულებრივად განიცდის იდეათა სამყაროს. ეს სამყარო ორადაა გაყოფილი: გამოკვლეულ და გამოუკვლეველ სფეროებად. გამოკვლეულ სფეროში იდეალი არ არსებობს, ხოლო გამოუკვლეველში კი მისი არსებობა წინასწარაა დაშვებული. საჭიროა ძებნა. და აი, ეს ძებნის პროცესი, აზრის ძიების პროცესი, სხეულებრივად განფენილი სამყაროს გამოუკვლეველ სფეროში, ასეა წარმოდგენილი: სტიქიონების სამეფოში, წინააღმდეგობებითა და დაბრკოლებებით აღსავსე მხარეში მიჰქრის მხედარი და ეძებს თავის საძიებელს. სხეულებრივად აქ წარმოსახულია მერანზე ამხედრებული ადამიანი, რომელიც მიილტვის წინ, მაგრამ ჯერ საზღვრებს ვერ გასცილებია,

3. პოეტს სწამს, რომ საძიებელი საგანი ნამდვილად მოიპოვება სამყაროში, მაგრამ არც მისი გარკვეული სახე აქვს წარმოდგენილი და არც მით უმეტეს, მისი ადგილსამყოფელი იცის, ამიტომ მისი ძიება, გაჭრა სივრცეში, რაიმე გარკვეულ მიმართულებას მოკლებულია. პოეტის რწმენით, ჯერ არავინ ყოფილა ისეთი, რომ საძიებელი საგნის მიკვლევა ეცადოს, ამისთვის რაიმე მეთოდი ჰქონოდეს, გარკვეულ ადგილამდის მიეღწიოს და დამაჯერებლად ეთქვას: აი, ამ მიმართულებით უნდა წარიმართოს ძიება, რადგან საძიებელი საგანი ამა და ამ ადგილასაა მოთავსებული და იქ მისვლაა საჭიროო. პოეტი მის მიერ მოწყობილ ექსპედიციას განიცდის, ვითარცა სრულიად უპრეცედენტოს და ამ უპრეცედენტო ძიების იდეის გრძნობად სახედ იგი ჰვრეტს მოძრაობას გაურკვეველი მიმართულებით, უგზოუკვლოდ.

მირბის, მიმაფრენს, **უგზო-უკვლოდ**, ჩემი მერანი...

4. ჩემი აზრით მერანის გრძნობადი სახე თვითონ მაძიებელი აზრის თვალსაჩინო ხატი უნდა იყოს. ამის შესახებ ჯერ კიდევ ილიამ გამოთქვა აზრი, რომელსაც კიტა აბაშიძეც დაეთანხმა[1]. ილია იმ აზრისა იყო, რომ მერანი პოეტის აზრს აღნიშნავსო. ეს, მართლაც, ასე უნდა იყოს. ზემოთ აღვნიშნე, რომ პოეტს სჯერა კაცობრიობის არსებობის აზრის მოცემულობა, მაგრამ ეს მას სწამს და არა აქვს დასაბუთებული, რადგან პოეტის ინტუიციით განცდილი — მოაზროვნის თვალით არაა გასინჯული მეთქი. სხვაგვარად შეუძლებელია წარმოვიდგინოთ ნ. ბარათაშვილის პოეზიის და კერძოდ, მისი „მერნის“ აზრი. ლოგიკურმა აზრმა უნდა დაასაბუთოს

[1] ეტიუდები, გვ. 84.

და ამით ნათელი მოჰფინოს სიცოცხლის აზრს, რომელიც პოეტურად განიცდება ნ. ბარათაშვილის მიერ. და აი, ეს მაძიებელი აზრი განსხეულდა მერანში.

თუ ამ აზრს შევიწყნარებთ, თუ თვით მერანს ჩავთვლით პოეტის მაძიებელი აზრის სხეულებრივ ფორმად, მაშინ შეიძლება ასეთი საკითხი დაისვას: შეესატყვისება, თუ არა აზრის ცნებას მერანის ფორმა? ხომ არაა ეს ფორმა უხეში, შეუფერებელი იმის გამოსახატავად, რასაც აზროვნება ეწოდება? ამით ერთგვარი მარცხი ხომ არ განიცადა პოეტმა? რასაკვირველია, ცნებების, იდეების გასათვალისწინებლად განცდაში არსებული ყოველგვარი სხეულებრივი წარმოდგენა შემთხვევითია იმიტომ, რომ ოვით იდეის ცნება არ გულისხმობს თვალსაჩინო წარმოდგენის არსებობას. მაგრამ ეს შემთხვევითობაც რამდენიმედ მაინც განსაზღვრულია და შეზღუდული, რადგან კულტურული ცხოვრების ისტორიულმა პროცესმა საზოგადოებრივი თანაცხოვრების მანძილზე ერთგვარად შეაპირობა ადამიანთა არა მარტო მატერიალური, არამედ სულიერი ცხოვრებაც. საზოგადოებრივმა ცხოვრებამ მსგავს განცდათა არსებობაც გახადა შესაძლებელი. თუ საკითხი დაისმის ასე: „აზრის“ დახატვა რომ გვინდოდეს ტილოზე, ან მისი გამოქანდაკება, მერნის სახეს მივსცემდით, თუ არა მას? ან და, სხვას რომ ასე გაეკეთებინა, შევიწყნარებდით, მივიღებდით თუ არა მას? ერთი შეხედვით, შეიძლება ამ კითხვაზე უარყოფითი პასუხი უფრო სამართლიანი მოგვეჩვენოს.

მაგრამ ვსინჯოთ საკითხის განხილვა მის მთლიანობაში, სრულ კონტექსტში: პოეტის წარმოსახვაში მთელმა მატერიალურმა და იდეურმა სამყარომ სხეულებრივი, განფენილი ფორმა მიიღო — სივრცის ფორმა. ეს სივრცე არაა იდილიური ქვეყანა, მშვიდი და სურნელოვანი ელისეს ველები, არამედ დაბრკოლებებით აღსავსე, სტიქიონების სამეფოა. აი, აქ, ამ სივრცეში ეგულება პოეტს კაცობრიობის იდეალი. საჭიროა იქ გაჭრა და ძიება. ასეთ გარემოში, ადვილად გასაგებია, შეუფერებელი იქნებოდა მშვიდი, სახედანაკაწებული, ჭაღაროსანი ადამიანის ან მშვენიერი ათინას გრძნობადი სახე, რადგან ზემოაღწერილი გარემოდან მათი სათუთი სხეული ძლევამოსილი ვერ გამოვიდოდა. საჭირო იყო სტიქიონთან ბრძოლა და ამისთვის, სრულიად ბუნებრივად, გაჩნდა პოეტის წარმოსახვაში ისეთი არსება, რომელიც ისტორიულად მებრძოლისა და მამაცი რაინდის მარადიულ თანმხლებად იგულისხმებოდა — მერანი, კეთილშობილი და ძლიერი ცხოველი, ყოველისდაც კულ-

ტურის განსაზღვრულ საფეხურზე არცერთი ექსპედიცია არ ტარდებოდა.

მირბის, მიმაფრენს, უგზო-უკვლოდ, ჩემი **მერანი**

უნდა ნიშნავდეს: ჩემი აზროვნება კაცობრიობის იდეალს ეძებს. და თუ გავიხსენებთ შემდეგ სტრიქონებს·

გაჰკვეთე ქარი. გააპე წყალი, გარდაიარე კლდენი და ღრენი,

მაშინ, შეიძლება, მაძიებელი აზრის გრძნობად სახედ მერნის არჩევა კიდევ უფრო მიზანშეწონილი მოგვეჩვენოს.

5. შემდეგი გრძნობადი სახე, რომელიც „მერანში“ ყურადღებას იქცევს, არის მხედარი. ვინ უნდა იყოს მხედარი? როგორ შეიძლება ამ **სახის** ამოშიფვრა? ცხადია, მხედარი იმ აზრის მატარებელი ადამიანის სახე უნდა იყოს. მხედარი თვითონ პოეტია. როდესაც საკითხს ასე ვაყენებთ, როდესაც ვამბობთ, მხედარი თვით პოეტის სახეაო, მაშინ ერთი უხერხულობა იჩენს თავს: ზემო აღნიშნული იყო, რომ: 1. პოეტის ინტუიციამ უშუალოდ განიცადა, ირწმუნა ყოფიერების აზრის არსებობაო, 2. რადგან ეს უშუალოდ განცდილი ობიექტივაციაქმნილი არ იყო, ამიტომ პოეტმა მაძიებელი აზრი აამოქმედა იდეალის მისაკვლევად და ეს აზრი მერნის სახეში განასხეულაო. ახლა კი მხედარი პოეტის სახედ ვაღიაროთ. იბადება კითხვა: როგორღაა ეს შესაძლებელი? თუ საქმის ვითარებას კარგად გავსინჯავთ, ამაში შეუძლებელი არაფერი იქნება. საქმე იმაშია, რომ პოეტური ინტუიციაც და მაძიებელი აზრიც პიროვნების ფსიქიური ფუნქციებია, რომელნიც ცალ-ცალკე, დამოუკიდებლად კი არ მოქმედებენ, არამედ პიროვნების ერთიან მე-ში არიან გაერთიანებული. პიროვნება, რასაკვირველია, მეტია მისსავე ფსიქიურ ფუნქციებზე, პიროვნება ამ ფუნქციების შემცველია. და, თუ იგი თავისი მე-ს ცალკეულ მოვლენებს განიცდის, ვითარცა მოქმედსა და მაძიებელს, მაშინ, სრულიად ბუნებრივია, მთლიანი **მე** ამ ფუნქციათა მფლობელად განიცდება პიროვნების მიერ.

ნუ შეეფარვი, ჩემო მფრინავო, ნუცა სიცხესა, ნუცა ავდარსა,
ნუ შემიბრალებ დაჭანცულობით თავგანწირულსა **შენსა მხედარსა**.

მტრული სტიქიონები წარმოგვიდგება თვალწინ: ქარი, წყალი, სიცხე, ავდარი, კლდე, ღრე... და ამ სტიქიონში მიჰქრის აღვირახსნილი მერანი. მას მიაქროლებს გაბედული რაინდი — მხედარი.

მას უკან არაფერი ეგულვება — უკანასკნელი შესაფარი ტაძარიც დაინგრა იქ. ხსნა მხოლოდ წინაა. ოდნავი შეჩერება, ოდნავი შეკრთომა და ყველაფერი დაიღუპება. გაბედული წინსვლაა ერთადერთი გამოსავალი. ჰეშმარიტად გრანდიოზული სახეა მსოფლიო კაცისა.

6. ასეთი გაბედული ექსპედიცია ბუნებრივად გულისხმობს თავგანწირულებას. მაგრამ ფაქტიურად თავგანწირულება ცარიელი სიტყვები როდია. თვით ცნება გაწირვისა შეიცავს რისიმე დათმობას, დათმობას ისეთი რამესას, რაც გამწირველისათვის ინდიფერენტული არ არის, მაგრამ იგი მაინც თმობს მას რომელიღაც უფრო დიადი და ღირებული მიზნისათვის.

პოეტმა საკაცობრიო საქმე იკისრა. ამისთვის ადამიანის მთელი სიცოცხლეა საჭირო. მაშასადამე, დასახული მიზნის მიღწევას უნდა შეალიოს პოეტმა მთელი თავისი ადამიანური არსებობა, მთელი თავისი ფიზიკური და სულიერი შესაძლებლობანი. ამ იდეის გამოსახატავად ნ. ბარათაშვილს მეტისმეტად შესაფერისი გრძნობადი სახეები აქვს შერჩეული. აი ესენიც:

ნუ დავიმბრახო ჩემსა მამულში, ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის;
ნუ დამიტიროს სატრფომ გულისა, ნუღა დამეცეს ცრემლი მწუხარის, —
შავი ყორანი გამითხრის საფლავს მდელოთა შორის
ტიალის მინდვრის,
და ქარიშხალი ძვალთა შთენილთა, ზარით, ღრიალით,
მიწას მამაყრის.

ყველაზე მეტად საყვარელი საგნები დათმო პოეტმა, რადგან უამისოდ საკაცობრიო საქმეს ვერ გააკეთებდა. და ამ დათმობისადმი კეთილშობილურ-რაინდული დამოკიდებულებით ხელსახებად მოგვცა ის დიადი აზრი, რომელსაც საქვეყნო საქმისათვის თავდადება და თავგანწირულება ეწოდება.

7. მაგრამ ვისთვისაა ყველაფერი ეს? იქნებ ძიებაა თვითმიზანი პოეტისათვის. იქნებ იდეალების ძიება თავისთავადაა ღირებული და მას არავითარი სოციალური ღირებულება არ გააჩნია? არა! ნ. ბარათაშვილი არა მარტო დიდი პოეტია, არამედ იგი დიდი მოქალაქეცაა. ამდენად მისი აზრის გაქანება იდეალის მარტოოდენ მოძებნაში კი არ ხედავს თავისი მოქმედების გამართლებას, არამედ ეს გამართლება მას სოციალურ სფეროში მოეპოვება.

და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა
გაუადვილდეს,
და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი შავის ბედის წინ
გამოუქროლდეს.

აქამდის გაუკვალავ სივრცეში ამჟამად რაინდმა მხედარმა გაირბინა თავისი მერნით. მაშასადამე, კვალი მაინც დარჩება მისი. ეს კვალი კი მოძმეთათვისაა ნავარაუდევი, რომელთა ჰუნეები, აგრეთვე შავ ბედს გამოქცეულნი, ამ ნაკვალევში მიმართულებას მაინც ნახავენ საორიენტაციოდ.

8. ამასვე უკავშირდება კიდევ ერთი გრძნობადი სახე. ესაა სახე „ვარსკვლავთა თანამავალთა“. ეჭვს გარეშეა, რომ თანამავალი ვარსკვლავები თანამოაზრე ადამიანებია, რომელთაც აწუხებთ საქვეყნო საქმე, რომელნიც ფიქრობენ ადამიანის ამქვეყნიური არსებობის აზრის შესახებ. თუ შევიწყნარებთ ყველაფერ იმას, რაც ზემოდ ითქვა „მერნის“ ძირითადი იდეისა, იქ არსებული ცალკეული აზრებისა და გრძნობადი სახეების შესახებ, მაშინ თანამავალ ვარსკვლავებად უეჭველად თანამოაზრე ადამიანები უნდა ჩავთვალოთ.

ეს ნარკვევი პოლემიკური ხასიათისა არაა. ამიტომ სრულიად ზედმეტად მიმაჩნია ამ კონკრეტულ საკითხზე არსებული სხვა თვალსაზრისების განხილვა-გაკრიტიკება, მაგრამ აქ გამოთქმული აზრი თავისთავად გულისხმობს უარყოფას, სახელდობრ, პატივცემული მკვლევარის პ. ინგოროყვას დებულებისას, რომლის მიხედვითაც ბარათაშვილმა, რუსთაველის ავთანდილის მსგავსად, თავისი მხედარი ვარსკვლავებთან გაასაუბრა[1].

მაშასადამე, მაძიებელი აზრი პოეტისა — მერანი — თავის უსასრულო ძიებაში მოძმეთათვის სარგებლობის მოტანას სცდილობს, მაგრამ ამ კეთილშობილური იდეალის ძიებაში თანამოაზრე ადამიანთა სოლიდარობაცაა ნაგულვები. „მერანი“ განსაკუთრებით საზოგადოებრივი ხასიათის ნაწარმოებია, მისი ძიების საგანი ადამიანთა კეთილდღეობის საგანია და არა ასტრალურ მოვლენათა ჰვრეტა. ამიტომ სრულიად ბუნებრივი ჩანს „თანამავალ ვარსკვლავთა“ ჩათვლა თანამოაზრე ადამიანებად.

9. „მერანი“ კრიზისიდან გამოსვლაა. ამ ნაწარმოებით, მართალია, ბარათაშვილმა თავი დააღწია შემოქმედებითს ჩიხს, მაგრამ

[1] ნ. ბარათაშვილის თხზულებათა 1939 წლის გამოცემა, ბიოგრაფიული ნარკვევი, გვ. *LXXX*.

ეს იმას ნიშნავს, თითქოს მისი ყოველგვარი დაეჭვება ამით მოხსნილიყოს. მართალია, პოეტმა ირწმუნა ყოფიერების აზრის არსებობა, მაგრამ, როგორც ზემოთაც ვთქვი, რწმენის საგნის კონკრეტიზაცია ვერ მოახდინა. ამ გარემოებას, რასაკვირველია, უკვალოდ არ ჩაუვლია. დაეჭვება მუდამ თან ახლდა ნ. ბარათაშვილის აზრის ყოველგვარ მოძრაობას. ამ ეჭვებმა „მერანშიაც“ იჩინა თავი და „შავი ყორნის“ სახით ჩამოყალიბდა.

მირბის, მიმაფრენს, უგზო-უკვლოდ, ჩემი მერანი,
უკან მომჩხავის თვალ-ბედითი **შავი ყორანი.**

პოეტის მაძიებელი აზრი მიჰქრის წინ, კაცობრიობის არსებობის უმაღლესი აზრის აღმოსაჩენად, მაგრამ იმავე დროს არ ასვენებს ეჭვები, რომელნიც დამარცხებას უჭადის მხედარს. ყორნის ჩხავილი საკუთარი უძლურების მამხილებელი შინაგანი ძახილია პოეტის პიროვნებისა, რომელსაც ძლიერი ნებისყოფა თუ გადაარჩენს თავის საძიებელ საგანზე ხელის აღებისაგან. ეჭვები დამარცხების ქადილია, განწირულების მომასწავებელია. ასეთ შემთხვევაში და ამგვარი განცდის გრძნობად გამოსახულებად ყორნის მოცემა სრულიად ბუნებრივია. ყველა ხალხის შეგნებაში შავი ყორანი, მისი ყრანტალი, დამარცხების ქადილთანაა დაკავშირებული. ეს გარემოება ხდის ამ გრძნობადს სახეს უფრო ძლიერად და ღირებულად.

„მერანი“ მსოფლიო მასშტაბის ნაწარმოებია. მისი სიდიადე იმითაა უზრუნველყოფილი, რომ იგი უკვდავ იდეათა განხორციელებული ძეგლია. მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ დიადი იდეები გრანდიოზული გრძნობადი სახეებითაა განხორციელებული. ჰეშმარიტად დიადი ნაწარმოები ყოველთვის გულისხმობს იდეათა და სახეთა ბუნებრივ შესატყვისობას. სწორედ ასეთი ქმნილებაა „მერანი“.

М. Б. ЗАРКУА

ВЗАИМООТНОШЕНИЯ ИДЕЙ И НАГЛЯДНЫХ ПРЕДСТАВЛЕНИЙ В СТИХОТВОРЕНИИ Н. БАРАТАШВИЛИ „МЕРАНИ“

Резюме

Лирическое произведение Н. Бараташвили „Мерани“ является одним из крупнейших творений поэта и важным памятником мировой литературы. Мировой масштаб стихотворения обеспечен постановкой вопроса всемирно-исторического значения — вопроса о смысле человеческого существования.

Все литературное наследие поэта указывает на то, что он постоянно находился под влиянием великих сомнений о том, стоит ли жить на свете вообще, имеет ли смысл человеческое существование на земле. Иногда эти сомнения доходят до кульминации и в это время поэт провозглашает, что человеческая жизнь только суета сует; но там же, с другой стороны, проповедует, что надо жить и действовать на благо человечества, во имя человечности („Думы на берегу Куры“). Но неверие в смысл человеческого существования доходит до предельной высоты у нашего поэта в 1841 году, что и выразилось в стихотворении „Нашел я храм“. Это был кризис в творчестве Н. Бараташвили.

Выходом из этого кризиса является стихотворение „Мерани“. Здесь поэт верит в существование конечного и великого идеала человечества, но этого идеала не находит в пределах современного материального и духовного бытья. Поэтому он направляет свою мысль на поиски великого идеала человечества. В этом исканни необходимо преодолеть „предел судьбы“ и мчаться по беспутьи в борьбе с жестокими стихиями. Идея социальной солидарности осеняет всю эту рыцарско-благородную экспедицию вопрошающей мысли великого поэта.

Мотив мирового бытья, искание конечной цели человеческого существования в стихотворении выражается грандиозными чувственными образами: На фоне стихийных сил—ветра, наводнения, зноя и холода, через пропасти и скалы, мчится непокоримый Мерани — чувственный образ непокоримой и вечно-ищущей мысли человека.

В стихотворении особенно ярко вырисовывается чувственный образ всадника, символизирующего личность самого поэта.

Все остальные чувственные, наглядные образы, символизирующие отдельные мысли данного стихотворения, глубоко чувствительны и тонки, по чему целое произведение легко захватывает душу читателя и внедряет в него веру грандиозных возможностей человеческого познания.

ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები, ტ. VII, 1947.

Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, т. VII, 1947.

Transactions of the Tsulukidze State Pedagogical Institute of Kutaisi v. VII, 1947.

ოთარ ჯინორია

ვილი ბრედელი — გერმანელი ანტიფაშისტი მწერალი [1]

I

ფაშისტმა ბარბაროსებმა წარმოუდგენლად დააკნინეს გერმანული ლიტერატურა, რომელსაც გოეთეს, შილერისა და ჰაინეს სახელები ამშვენებდნენ. ფაშისტურ გერმანიას არავითარი ლიტერატურა არ შეუქმნია. ის, რასაც როზენბერგი და გებელსი „ახალ" გერმანულ ლიტერატურას უწოდებდნენ, მართოდენ ნაჯღაბნია უბადრუკი... მაგრამ გერმანელი ხალხის სამწერლო შემოქმედებითი უნარი სრულიადაც არ დაშრეტილა. ფაშისტური ბატონობის წლებში გერმანულ ლიტერატურას მხოლოდ სამშობლო დაჰკარგოდა დროებით: მისი ნამდვილი მესვეურები უცხოეთში იყვნენ გახიზნულნი და იქ აგრძელებდნენ გოეთეს, შილერისა და ჰაინეს ტრადიციას. ემიგრაციაში მოღვაწეობდა გამოჩენილ გერმანელ მწერალთა ანტიფაშისტური პლეადა. უცხოეთიდან, რომელიც დროებით მათ სამშობლოს მაგიერობას უწევდა, აწვდენდნენ ფაშიზმის უღელქვეშ მგმინავ და ფაშისტური პროპაგანდით მოშხამულ გერმანელ ხალხს თავის მაღალ სიტყვას, ამხედრებდნენ გერმანელთ ფაშიზმისაგან განთავისუფლებისათვის და საკაცობრიო იდეალთათვის საბრძოლველად იოანეს ბეხერი და ბრუნო ფრანკი, ეგონ ერვინ კიში და ოსკარ მარია გრაფი, თომას მანი და ჰაინრიხ მანი, სტეფან ცვაიგი და არნოლდ ცვაიგი, ლუდვიგ რენი და ერიხ ვაინერტი და სხვანი მრავალნი.

---

[1] წაკითხული იყო მოხსენებად დასავლეთ ევროპის ლიტერატურის ისტორიის კათედრის სხდომაზე 1942 წლის მაისს. ტექსტში შეტანილია ზოგი შესწორება და დამატება, მას შემდეგ განელილი ხანით ნაკარნახევი.

ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ და ხალხური გერმანიისათვის მხატვრული სიტყვით ამ მებრძოლთა მძლე პლეადის თვალსაჩინო წევრი იყო და რჩება ვილი ბრედელიც.

ვილი ბრედელი ტიპიური და ერთი უმნიშვნელოვანესი მესვეურთაგანია გერმანული პროლეტარული ლიტერატურისა, რომლის ისტორია სულ ორ-სამ ათეულ წელს თუ დაითვლის, რადგან არსებითად იგი პირველი იმპერიალისტური ომის შემდგომ გერმანულ ვითარებაში ჩაისახა და განვითარდა.

გერმანელი პროლეტარის შვილი, თვითონაც მუშა, ვილი ბრედელი მთელი თავისი არსებით გერმანიის პროლეტარიატს ეკუთვნის, მის ყოფას და საქმეს, მის ყოველდღიურ „წვრილ" ზრახვას და ისტორიულ დიდ ბრძოლას. პირველი იმპერიალისტური ომის მძიმე წლებში და მათ მომდევნო შეუპოვარ ბრძოლებში გერმანელი პროლეტარებისა იმპერიალიზმთან ჩამოყალიბდა და გამოიწრთო ვილი ბრედელი, როგორც ადამიანი და მოქალაქე, როგორც კომუნისტი მოღვაწე და პროლეტარული მწერალი.

დაიბადა იგი 1901 წელს.—მაგრამ უმჯობესია თვით მას მივცეთ სიტყვა... აი მისი ცხოვრება, მის მიერვე მოკლედ მოხსრობილი:

„...ჩემი ცხოვრება განუყოფელად ეკუთვნის მუშათა კლასის ბრძოლას და გამარჯვებას სოციალიზმისას. მამაჩემი, ძველი ჰამბურგელი სოციალ-დემოკრატი, მუშა-მეთამბაქოე, წარსული საუკუნის მიწურულის მოწინავე მუშათა რიგს ეკუთვნოდა. იგი ძლიერ იყო დაინტერესებული არჩევნებით, სასტიკად ღელავდა, მთელი არსებით ეძლეოდა წინასაარჩევნო მუშაობას, ავრცელებდა ფურცლებს, ესწრებოდა საარჩევნო კრებებს, იდგა სოციალ-დემოკრატთა დროშასთან საარჩევნო შენობის წინ და არჩევნების შემდეგ რამოდენსამე კვირას რჩებოდა, მაღალი საბრძოლო განწყობილებით აღტკინებულთ. მაგრამ შემდეგ მთელი წლით — მორიგ არჩევნებამდე — მამაჩემს სრული პოლიტიკური პასიურობა იპყრობდა. მსოფლიო ომმა რომ იფეთქა, მან დახია თავისი საწევრო წიგნაკი და ფიცი დასდო ებრძოლნა რაიხსტაგის მოღალატეთა წინააღმდეგ, რომელთაც ხელი გაუწოდეს კაიზერს და სამხედრო კრედიტების სასარგებლოდ მისცეს ხმა. კომუნისტური პარტიის დაარსების დღიდან იგი აქტიური წევრი შეიქნა მისი. მამა გარდამეცვალა 1930 წელს.

მაშინ, როდესაც ჰამბურგის სახალხო სკოლაში სიარული შევწყვიტე (მე პირველი კლასიდან გამომაძევეს), უკვე მეორე წელს მძვინვარებდა ომი. მე ხარატის შეგირდად დავდექი ძმ. ლეზერთა ქარხანაში, სადაც წყალქვეშა ნავების ხელსაწყოები მზადდებოდა.

რამოდენიმე დღის შემდეგ მე მუშაობა ახალგაზრდობის კავშირის წევრი გავხდი. აქ მივიღე პირველი სტიმული მარქსიზმის შესასწავლად. ერთი წლით გვიან მივემხარი მარცხენა „თავისუფალ ახალგაზრდობას", ხოლო შემდეგ — მარცხენა რადიკალებს („ბრემენ არბაიტერპოლიტიკ" ის ჯგუფს). სამხედრო ქარხნების მუშათა გაფიცვის შემდგომ, 1918 წლის იანვარს, მე, რამოდენიმე ახალგაზრდა ამხანაგთან ერთად, დავიწყე შეგირდებისა და ახალგაზრდა მუშების ორგანიზირება. მალე გავხდი სპარტაკელი და აგრეთვე წევრი ახალგაზრდული ორგანიზაციისა, რომელიც თავის თავს „თავისუფალ პროლეტარულ ახალგაზრდობას" უწოდებდა. ამ ხნის განმავლობაში ბევრს ვსწავლობდი. ვეუფლებოდი პოლიტიკურ წრეებში მარქსიზმს და მალე გაიღვიძა ჩემში ინტერესმა მხატვრული ლიტერატურისადმი. ლიტერატურულ წრეებში ვკითხულობდით ჩვენ შექსპირის, გოეთეს დრამებს, — „ფაუსტს", „დონ-კარლოსს" და სხვათ. მე ვკითხულობდი ყველაფერს, რაც კი ხელთ ჩამივარდებოდა, ყოველგვარი გარჩევის გარეშე.

მე ვმუშაობდი ხარატად გემთსაშენებსა და მეტალურგიულ ქარხნებში, დავეხეტებოდი ამხანაგებთან ერთად მთელი გერმანიის გასწვრივ, ხოლო 1922 წელს მიუნხენიდან ფეხით გადავიარე ალპები და ჩავედი ვერონასა და ვენეციაში. იტალიაში ჩვენ, საში ახალგაზრდა ამხანაგი, იტალიელ მუშათა ფაშიზმის წინააღმდეგ პოლიტიკური ბრძოლის მომენტში მოვხვედით. ფაშისტთა რაზმზე გალაშქრებისა და პოლიტიკური ძალაუფლების მუსოლინის ხელში გადასვლის შემდეგ ჩვენ დაგვაპატიმრეს და ტრიესტით გადაგვასახლეს ავსტრიის საზღვარზე. აქედან ჩვენ ფეხით გავემართეთ ვენას, საიდანაც პარტიის დახმარებით დავბრუნდით ჰამბურგს.

ჰამბურგის ოქტომბრის აჯანყებიდგან რამოდენიმე კვირის შემდგომ მე დამაპატიმრეს ტჲურინგიაში იარაღის შესყიდვისათვის, რომელიც ჰამბურგში მივიღე მანქანათა ნაწილების სახით. ცხრა თვის წინასწარი პატიმრობის შემდეგ, მე მომესაჯა ორი წლის პატიმრობა, შემდეგ კი ე. წ. „ჰინდენბურგის ამნისტიაში" მოვყევი. განთავისუფლების შემდეგ პარტიამ ბრემენს გამაგზავნა გაზეთ „არბაიტერკაიტუნგ"-ში სამუშაოდ. შემდგომ ვმუშაობდი მაგდებურგისა და ესენის პარტიული გაზეთების რედაქტორად. 1925 წლის მიწურულს ჰამბურგს დავბრუნდი და მოტორიან ხომალდზე „ბარბარა"-ზე დავიწყე მუშაობა ხარატად და მზეთავად. ხმელთაშუა ზღვით შვიდი გზობა მოვახდინე იტალიაში, ესპანეთში და ჩრდილო აფრიკაში. „ბარბარა"-ზე პარტიული უჯრედი დავაარსე და ტრან-

სპორტელთა კავშირში შევედი, რადგანაც მეტალურგთა კავშირიდან პროფკავშირელმა რეფორმისტებმა გამრიცხეს ბოხუმში.

გემიდან გადმოსულმა, კვლავ დავიწყე მუშაობა ჰამბურგის მეტალურგიულ ქარხნებში. პოლიტიკური მუშაობისათვის მანქანათმშენებელ ქარხანაში „ნაგელ და კემპი“ დამითხოვეს შავ სიაში შეტანით. მაშინ პარტიულმა ხელმძღვანელობამ „ჰამბურგერ ფოლკსციტუნგ“-ის რედაქციაში სამუშაოდ გამაგზავნა. ამ გაზეთში მოთავსებული ორი წერილის გამო მე, როგორც რედაქტორს, სახელმწიფოს ღალატი დამედო ბრალად ერთი წერილი 1929 წლის ბერლინის სისხლიან მაისს შეეხებოდა, მეორე კი გერმანიის საიდუმლო შეიარაღებას ამხელდა. ლაიპციგის სახელმწიფო სასამართლომ ორი წლის ციხე მომისაჯა, რაიც 1930 წლიდან 1932-მდე მოვიხადე. ციხეში მჯდომმა დავსწერე ჩემი პირველი წიგნები — „მანქანათმშენებელი ქარხანა ნ. და კ.“, „ქუჩა როზენჰოფ“ და „პარაგრაფი საკუთრების დასაცავად“. განთავისუფლების შემდეგ მე ისევ „ჰამბურგერ ფოლკსციტუნგ“-ის რედაქტორი გავხდი. 1933 წლის 1 მარტს მე დამაპატიმრეს და საკონცენტრაციო ბანაკში მომათავსეს. ცამეტი თვის პატიმრობის შემდეგ განთავისუფლებული, ვალდებული ვიყავი ყოველდღე გამოვცხადებოდი პოლიციას. 1934 წლის მაისში, ჩვენი პარტიის არალეგალური ხელმძღვანელობის თანხმობით, მთებით გავიქეცი ჩეხოსლოვაკეთში და, პრაღაში ჩასულმა, დავიწყე ჩემი ახალი წიგნის „გამოცდის“ წერა, რომელშიც შევეცადე ლიტერატურული ფორმით გადმომეცა საკონცენტრაციო ბანაკში ჩემ მიერ განცდილი.

მე მივიღე მონაწილეობა საბჭოთა მწერალთა ყრილობის მუშაობაში და ახლა ვარ მოსკოვს, ვწერ და, როგორც რედაქციის სამდივნოს და მისი გერმანული კომისიის წევრი, ვმუშაობ მწერალთა დიდი ფრონტისათვის ფაშიზმის, იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ და საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირის დასაცავად“ [1].

ამ სიტყვებით მჭერმეტყველ „აღსარებას“ რევოლუციონერი მწერალისა კიდევ შემდეგი უნდა დაემატოს:

1935 წელს ეკუთვნის ვილი ბრედელის მაღალმხატვრული მოთხრობა „ჯაშუში“, რომელიც ფაშისტ ჯალათთა სულიერ უგვანობასა და სიმდაბლეს ხატავს. რევოლუციური ესპანეთის ფრანკოსა და იტალიელ და გერმანელ ფაშისტთა წინააღმდეგ გმირული

[1] Интернациональная литература, 1935, № 6, გვ. გვ. 146, 147.

ბრძოლის წლებში ვილი ბრედელს ვხედავთ ჩვენ რესპუბლიკელთა მხარეზე მებრძოლი ინტერნაციონალური ბრიგადის კომისრად. 1937 წელს აქვეყნებს ის თავის დიდ რომანს ,,შენი უცნობი ძმა'', რომელიც თემატურად უშუალო გაგრძელებას წარმოადგენს მისი ,,გამოცდისა''. 1939 წელს ეკუთვნის მისი ,,შეხვედრა ებროზე'' — სამხედრო კომისრის შენიშვნები, სურათები რესპუბლიკელ ესპანელთა ტრაგედიიდან, და ,,კომისარი სენ ჟუსტი'' — საფრანგეთის დიდი რევოლუციის შესახებ მოთხრობათა კრებული, საიდანაც სავსებით ნათელია მოთხრობა ,,მთის მტრები'', რომელიც პარიზელ ,,სანკიულოტთა'' ბელადის ჟან-პოლ მარატის შარლოტა კორდეს მიერ მოკვლის ამბავს გადმოსცემს. დასასრულ, 1941 წლიდან დაიწყო მან გამოქვეყნება თავისი სამკარიანი რომანისა: ,,ნათესავნი და ნაცნობნი'', რომელშიც გერმანიის მუშათა მოძრაობაა ასახული XIX საუკუნის მიწურულიდან მოყოლებული, ხოლო ამჟამად ვილი ბრედელი გერმანიაში იმყოფება, როგორც ერთ-ერთი წამყვანი წევრი ამჟამინდელი გერმანიის პროგრესულ ინტელიგენტთა გაერთიანების — ,,Kulturbund''-ისა, აქტიურად იღწვის თავისი, ფაშიზმისაგან ხსნილი, სამშობლოს პოლიტიკური და კულტურული აღორძინებისათვის.

ასეთია ვილი ბრედელის ღვაწი და შრომანი. მას უნაშთოდ მიუძღვნია თავისი სიცოცხლე და უნარი გერმანელი პროლეტარების დიდი განმათავისუფლებელი ბრძოლისათვის. იგი ხალასი რევოლუციონერია, მებრძოლი, დამოუკიდებლად იმისა, მუშაა ის თუ კალამი ჯჭირავს ხელთ, მიუხედავად იმისა, საბყრობილეშია ის, ჰერქვეშ თუ სამშობლოდან გაძევებული. მის პიროვნებაში ბრწყინვალედ ერწყმიან ურთიერთს პარტიული მუშაკი და მწერალი. და სწორედ ამით განახორციელებს ის ტიპს ჰეშმარიტი პროლეტარული მწერლისას.

II

ვილი ბრედელის ლიტერატურული განვითარება გერმანული პროლეტარული პროზის გენეზისს ემთხვევა. მის სამწერლო მოღვაწეობას და გერმანულ მუშურ რომანს ერთი ძირი აქვთ, საერთო ფუნქცია და ზრდის ერთგვარი ხასიათიც.

გარემო, რომელშიც გერმანული პროლეტარული რომანი ჩაისახა და იშვა, ყოველის უპირველეს, მძაფრი ბრძოლის, სახელდობრ, პოლიტიკური ბრძოლის გარემოა და მისი დანიშნულება ამ გარემოს შესატყვისად, უმთავრესად, პარტიული პროპაგანდაა.

14. ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, ტ. VII, 1947.

ამიტომ გერმანული პროლეტარული რომანის საწყისები და თავდაპირველი ხასიათი არაა საკუთრივ ლიტერატურული. მის პირველ სახეს წარმოადგენს გაზეთის საპროპაგანდო ფელეტონი, ხოლო მისი პირველი მესვეურნი, მათ შორის ვილი ბრედელიც, პარტიული მუშაკები, მუშათა კორესპონდენტები არიან, რომელნიც მხატვრულ ამოცანებს კი არ ისახავენ მთავარ მიზნად, არამედ პოლიტიკურ აგიტაციას. პოლიტიკური ინტერესების ეს უპირატესობა განსაზღვრავს გერმანული პროლეტარული რომანის ადრინდელს ხასიათსაც — მის მთავარს ღირსებას, რომელიც მის აქტუალურობაში, მუშათა ცხოვრებასთან, მათ ბრძოლასთან და საყოველდღეო ყოფასთან, მჭიდრო კავშირი მდგომარეობს, და მთავარს ნაკლსაც, რაც ის არის, რომ მასში პროპაგანდა სჭარბობს მხატვრობას, რომ მისი საღი პოლიტიკური ტენდენცია შიშველადაა მოცემული, იმ მხატვრული სამოსის გარეშე, ლიტერატურული განსახიერების პირობას რომ შეადგენს.

თავის მხრივ გერმანული პროლეტარული რომანის ეს პირველანდელი თავისებურება მისი შემდგომი განვითარების ხასიათსა და მიმართულებასაც განსაზღვრავდა. სახელდობრ: **საგაზეთო-პოლიტიკური რომანის დაბალი დონიდან ის მხატვრული პოლიტიკური რომანის სიმაღლეზე უნდა ასულიყო.**

მებრძოლმა შეიქმედმა, განვითარების ეს ორივე საფეხური განვლო ვილი ბრედელმა.

ვილი ბრედელს გაუტკბელს ყაირაზე მოუხდა მუშაობის დაწყება. ,,ის, რაც ამ უკანასკნელ ხანებში გაჩნდა გერმანიაში პროლეტარული რომანის სახით, — წერდა 1932 წელს ბრედელის თანამოკალმე კურტ კლებერი, — უმთავრესად ომისა და კაპის პუტჩის[1] გამომსახველ რომანს წარმოადგენდა. იყო უტოპიური რომანებიც. მაგრამ არ იყო რომანი საყოველთაო ბრძოლისა, რომანი გერმანული ინდუსტრიის, გლეხთა შრომის, ინტერვენციის საშიშროებასთან ბრძოლის შესახებ, რომანი, რომელიც სამარცხვინო ბოძზე მიაკრავდა სოციალ-ფაშისტთა გამცემლობას, რომანი გერმანული პროფესიონალური მოძრაობის ბელადთა ბიუროკრატიული გადაგვარების შესახებ, რომანი პროლეტარული თვითდაცვისა, რომანი რაციონალიზაციის, მასობრივ გაფიცვათა შესახებ. თითქმის არა-

[1] კაპის პუტჩი — 1920 წელში მონარქისტული ოფიცრობის ცდა ს.-დ. ებერტის მთავრობის დამხობის და დიქტატურის დამყარებისა, რომელმაც საბაბი მისცა ებერტს იარაღით ჩაეხშო მუშათა ნაციონალური მოძრაობა, განსაკუთრებით ფართოდ რურის ოლქში განვითარებული.

ფერი იყო ისეთი, რასაც განესახიერებინა გერმანული პროლეტარიატის შეუპოვარი ბრძოლა სოციალ-ფაშიზმთან, საკუთრივ ფაშიზმთან, ბრძოლა გერმანული კაპიტალისა და მის სულისჩამდგმელთა მმართველობის ნაირი ხერხების წინააღმდეგ"[1]. სწორედ ამგვარი რომანი მისცა პირველმა გერმანელ პროლეტარიატს ვილი ბრედელმა.

მისი პირველი თხზულება, 1931 წელს გამოქვეყნებული, „მანქანათმშენებელი ქარხანა N. და K." იყო პირველი გერმანული დიდი საწარმოო რომანი, რომელიც სავსებით შეეფერებოდა გერმანელი პროლეტარების იმდროინდელ საბრძოლო ამოცანებს. „ეს რომანი, — წერს კურტ კლებერი, — არა მხოლოდ თავისი შინაარსით, არამედ თავისი ქმეუანობითაც აღემატება წინა პროლეტარულ რომანებს. მარტივად რომ ითქვას, — ეს იყო სწორედ ის, რასაც მრავალ წელს მოელოდნენ პროლეტარული მწერლებისაგან და პროლეტარული ლიტერატურისაგან არა მხოლოდ გერმანიაში, არამედ საფრანგეთშიც, ინგლისშიც, ამერიკაშიც და საბჭოთა კავშირშიც"[2]. თვით ვილი ბრედელი 1939 წელს შემდეგსა წერდა ამ თავისი თხზულების გამო: „მე მინდოდა რაღაც ახალი დამეწერა, ახლებურად მომეთხრო ერთი ქარხნის მუშათა ცხოვრებისა და ბრძოლის შესახებ. მე ვიცოდი, ცხადია, რომ წიგნის ბაზარზე გაცილებით დიდია მოთხოვნილება წიგნებზე ბარონებისა და პრინცესების შესახებ, ვიდრე ხარატთა და ზეინკალთა შესახებ, რომ წიგნები სასახლეთა შესახებ უფრო საღდება, ვიდრე წიგნები ქარხნების შესახებ. მაგრამ მიუხედავად ამისა, მე გადავწყვიტე დამეწერა ის, რაც მოვიფიქრე"[3]. მან გაუგზავნა თავისი ხელნაწერი შესანიშნავ ანტიფაშისტ მებრძოლსა და მწერალს (მსოფლიო ომის ჟარცეცხლში კომუნისტად ქცეულს არისტოკრატსა და გვარდიელ ოფიცერს) ლუდვიგ რენს და ასეთი პასუხი მიიღო მისგან: „ჩემო მეგობარო, ეს სწორედ ისაა, რაც ჩვენ გვჭირდება"[4].

„მანქანათმშენებელი ქარხანა N. და K." ერთი პირველ მხატვრულ სახელმძღვანელოთაგანია პროლეტარული ბრძოლისა, ისეთი მუშათა რომანი, როგორიც უნდა ყოფილიყო ის მძაფრი კლასობრივი ბრძოლის ცვლად გარემოში, სადაც, კურტ კლებერის თქმისა არ იყოს,

[1] „მანქანათმშენებელი ქარხანა N. და K." რუსული თარგმანის წინასიტყვაობა, გვ. 3.

[2] იქვე, გვ. 4.

[3] Интернациональная литература, 1939, № 3-4, გვ. 300.

[4] იქვე, გვ. 301.

„ყველაზე ძვირფასია პროპაგანდა და აგიტაცია“ [1]. ეს წიგნი რევოლუციონერი მუშის მიერაა დაწერილი რევოლუციისათვის მუშათა აღსატკენად და დასარაზმად. ამით განისაზღვრება ამ რომანის თვისებანი, ღირსებანი და ნაკლოვანებანი, რომელნიც განსაკუთრებულ ადგილს განუკუთვნებენ მას გერმანული პროლეტარული რომანის გენეზისში.

ამ რომანის მთავარ ღირსებას მისი არაჩვეულებრივი სისადავე და დამაჯერებლობა შეადგენს. სადაა მისი აღნაგობაც, სადაა სიუჟეტიც; ადამიანებიც, მასში გამოყვანილნი, სადანი არიან. ეს სისადავე იქედან მომდინარეობს, რომ ვილი ბრედელს არაფრის თხზვა არ უხდება, რომ იგი ინტიმურად შეზრდია თავისი წიგნის ობიექტს — ქარხანას, რომლის ყოველდღიურ ყოფას ის უკანასკნელ წვრილმანამდე იცნობს და გრძნობს. სწორედ ამ ყოველდღიურ ყოფას, რომელიც, ასე ვთქვათ, ობიექტად განვრცობილს „მე“-ს წარმოადგენს მისას, აგვიწერს თუ განასახიერებს ის თავის წიგნში. ამიტომაა მისი სისადავე დამაჯერებელი.

ვილი ბრედელი პლასტიკურად განასახიერებს ქარხნის ცხოვრებას. „ჩვენ ვხედავთ წარმოების საშუალებათ. ვხედავთ ქარხნის მოწყობილობას, მის განყოფილებებს. მეტიც: ჩვენ ვხედავთ შრომის პროცესს. ვგრძნობთ ბერკეტების ძაგძაგს, მღარველთა მოძრაობას. საჭრისთა წივილი ისე მკაფიოდ გვესმის, რომ იმის თქმაც კი შეგვიძლია, რკინას ღრღნის საჭრისი თუ სპილენძს. აქ სუნიც კი იგრძნობა ქარხნისა, ზეთის ეს მსუბუქად გადაკრული გემო. ეს მხრჩოლავი ორთქლი, ბურღვისათვის გაცივებულ წყალს რომ ასდის, სახარატო დაზგებს ეფინება და ტრანსმისიებით ქვევით მიედინება. ხვარტი, საქარხნო დარბაზი, ტყავის, ქონისა და რკინის შმორი. ჩვენ გვესმის ჩაქუჩთა რეკვა, ჭედვის ხმაური, ქლიბების წივილი. მოკლედ, ჩვენ მთელი ქარხანა გვიპყრობს მსწრაფლ, თავისი სიცოცხლით, თავისი სურნელით, და უმალ თვალს მიმოვავლებთ, ვიცით უკვე თუ სად ვიმყოფებით“ (კურტ კლებერი) [2]. ასევითვე ოსტატობით გვიჩვენებს ვილი ბრედელი ინდუსტრიულ მუშას, მის შრომას, ცოცხლად და კოლორიტულად განასახიერებს ის არა მხოლოდ მანქანის მუშაობას, არამედ მანქანასთან მდგომი მუშის შრომასაც, მუშას, ცოცხალ მანქანად ქცეულს.

---

[1] „მანქანათმშენებელი ქარხანა *N.* და *K.*“ რუსული თარგმანის წინასიტყვაობა, გვ. 5.

[2] რუსული თარგმანის წინასიტყვაობა, გვ. 5.

უკვე აქ იჩენს თავს ვილი ბრედელი, როგორც საგანთა დინამიკის ხატვის ოსტატი და ამდენად მისი პირველი წიგნი ბრწყინვალე ნიმუშია ინდუსტრიული რომანისა.

მაგრამ ვილი ბრედელი არაა მხოლოდ მხატვარი ინდუსტრიული სამყაროსი: იგი წევრიცაა მისი. ქარხანა და მანქანასთან მდგომი მუშა არ წარმოადგენენ მისთვის აბსტრაქტული დაკვირვების ობიექტებს, ქარხანა მის რომანში მძაფრი სოციალური ბრძოლის არენადაა წარმოდგენილი, ხოლო მუშა, უფრო სწორად, მუშათა მასა — როგორც მატარებელი და მამოძრავებელი ამ ბრძოლისა. აქ მხატვარს ერთვის პოლიტიკოსი.

ვილი ბრედელი ვრცელს სურათს ხატავს მუშათა ბრძოლისას თავის ეკონომიურ და პოლიტიკურ უფლებათათვის ქარხნის კედლებში. მუშათა მასა, მის მიერ განსახიერებული, პოლიტიკურად ჭრელი შედგენილობისაა. მუშები განესხვავებიან ერთმანეთს: მათი უმრავლესობა ორგანიზებულია, მაგრამ მათ შორის არიან სოციალ-დემოკრატები, არიან კომუნისტები, არიან უპარტიონიც; ყველანი ისინი თავისებურად მონაწილენი არიან იმისა, რასაც განყენებულად ქარხნის ცხოვრება ჰქვია, ზუსტად კი — მუშათა კლასობრივი ბრძოლა. ჯერ: „შემთხვევითი შეტაკებანი, კატასტროფები, საქარხნო უჯრედის დაარსება, საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტის წინააღმდეგ აგიტაცია, ბრძოლა სანარდო სამუშაოს შესაკვეცად, თავდაცვის მიზნით მოწყობილი გაფიცვა, წითელი სიების შედგენა, კომიტეტის ყოველწლიური არჩევა, კოლექტივის წინასწარი კრებანი, ძველი ფაბქარხკომის დაშლა“... შემდეგ: „მასიური გაფიცვა, ლოკაუტი, საგაფიცვო პუნქტებზე მოძრაობა, ღალატი, დამკვრელი კოლონები, უმუშევართა სოლიდარობა, ქუჩის ბრძოლები პოლიციასთან, გაფიცვის მარცხი“ (კურტ კლებერი). — აი რას გვიხატავს ვილი ბრედელის არა მხოლოდ მხატვრული, არამედ აგრეთვე პოლიტიკურად ბასრი კალამი.

აქ ვილი ბრედელი სრულღირებული პოლიტიკური მწერალია: ის კი არ აღწერს მარტოოდენ, არამედ იბრძვის კიდეც, განასახიერებს და ქადაგებს. ეს შეადგენს მისი „მანქანათმშენებელი ქარხნისა“ და აგრეთვე ყველა შემდგომი რომანის ღირსებასა და ძალას.

მაგრამ ამ დიდ ღირსებასთან ერთად, ვილი ბრედელის „მანქანათმშენებელ ქარხანას N. და K.“-ს და აგრეთვე მის მომდევნო ადრინდელ რომანებს დიდი მხატვრული ნაკლიც ახასიათებს, რომელიც უმთავრესად მათი სააგიტაციო-საპროპაგანდო ფუნქციიდან მომდინარეობს. ეს ნაკლი ის არის, რომ ვილი ბრედელს ჯერ კი-

ღევ ცოცხალი სახეების, კონკრეტული ხასიათების ხატვა არ ეხერხება.

ვილი ბრედელი ზედმიწევნით იცნობს თავის კლასს და მახვილი თვალით სჭვრეტს მის ცხოვრებას; ეს აძლევს მას საშუალებას დინამიკური და პოლიტიკურად მკვეთრი პანორამა დახატოს მუშათა მასის ბრძოლისა. მაგრამ მძაფრი პარტიული ტენდენცია ართმევს მას, როგორც მხატვარს, ობიექტურ სიმშვიდეს, აუცილებელს იმისათვის, რომ ამ მებრძოლი მასის მხატვრული დიფერენცირება მოახდინოს, რომ ამ მასაში მისი ცოცხალი შემადგენელი ერთეულები გაარჩიოს, მუშები, რომელნიც მხოლოდ ელემენტები კი არ არიან კოლექტივისა, არამედ თავისუფალი და კონკრეტული ინდივიდუუმებიც, ადამიანური ხასიათები.

გერმანელი პროლეტარული კრიტიკოსი ერნსტ ოტვალტი ვილი ბრედელის ადრინდელი რომანების გამო შენიშნავს: „იგი ცოცხალი ადამიანებიდან კი არ გამოდიოდაო, არამედ იმ ფუნქციიდან, რომელიც რომანიულს პიროვნებას რომანის მოქმედებაში ჟნდა შეესრულებინა“ [1]. თავისი პოლიტიკურ-„ფუნქციური“ თვალსაზრისიდან გამოსული, ვილი ბრედელი მუშური ყოფა-ცხოვრების კონკრეტულ-ობიექტურ სურათს კი არ იძლევა, არამედ სუბიექტურ-აბსტრაქტულს: ის მუშათა მასის უშუალო მრავალსახეობაში კი არ ეძებს ბრძოლის იდეას, არამედ ამ იდეის მიხედვით განასახიერებს მასას. ვილი ბრედელი მხოლოდ თავისი მიზნისათვის საჭირო ტიპებზე ჩერდება, რათა მათ ერთობლივობამ მუშათა კოლექტივის სასურველი სურათი შეადგინოს. ანუ უფრო სწორად — მეტიც: ის მხოლოდ თავისათვის საჭირო ტიპებს ხატავს და არა კონკრეტულ სახეებს, რათა ამით გარკვეულ მძაფრ პოლიტიკურ ეფექტს მიაღწიოს. ამიტომაა, რომ ვილი ბრედელი, თუმც დიდი ოსტატობით, მაგრამ მაინც მხოლოდ ზოგად, შინაგან სიცხოველესა და ცხოვრებრივ მრავალსახეობას მოკლებულ სურათს ხატავს მუშათა კლასისას. მხატვარს ვილი ბრედელში პოლიტიკოსი ჩრდილავს. პოლიტიკური ტენდენციურობის გამო მას არ ეხერხება ტიპიურის ინდივიდუალურთან შერწყმა; ტიპიური მასთან შთანთქამს ინდივიდუალურს და მისი რომანის გმირებიც, როგორც ასეთნი, იმ ფუნქციის გარეშე, რომელსაც ასრულებენ, სისხლსა და ხორცს არიან მოკლებულნი, ცივ სქემებს წარმოადგენენ, ასე ვთქვათ, კლიშეებს ხასიათებისას. ამიტომაა, რომ მუშათა მასა „მანჭანათ-

[1] *Internationale Literatur*, 1935. № 2, გვ. 111.

მშენებელ ქარხანაში N და K" წარმოდგენილია, როგორც რაღაც დინამიკური, მაგრამ სუბიექტურ, ფსიქოლოგიურ სუბსტრატს მოკლებული რამ, და ვილი ბრედელი აქ, ადამიანთა აღწერისას, საგანთა დინამიკის მხატვარი რჩება ისევე, როგორც მანქანისა და შრომის პროცესის აღწერებში იყო.

ვილი ბრედელის ამ ახალგაზრდულ ნაკლს ღრმა ფსიქოლოგიური, ბიოგრაფიული მომენტი უდევს სარჩულად, და ეს მხოლოდ მას კი არ ახასიათებდა, არამედ საერთოდ გერმანულ ახალგაზრდა პროლეტარულ-რევოლუციურ ლიტერატურას. თხუთმეტი წლის ასაკიდან მთელი თავისი დღენი ის პარტიული ფუნქციონერი იყო, თავისი პირველი რომანები მას პატიმრობის წლებში დაუწერია. „განა გასაკვირია, — წერს ერნსტ ოტვალტი, — თუ კი ასეთი ბიოგრაფიის მქონე მწერლის დამოკიდებულება ლიტერატურასთან ისეთი გაელენებით იქნებოდა განსაზღვრული, რომელნიც უშუალოდ ლიტერატურის არსებაში არ არიან საძებარნი? თუმცა ვილი ბრედელს არ შეიძლება ლიტერატურის პრინციპული შეუფასებლობა დასწამდეს, მაგრამ არე ცხოვრებრივ მოვლენათა, რომელნიც აღწერისა და განსახიერების ღირსნი ჩანან, ვილი ბრედელისათვის იმ საგნებით შემოიფარგლებოდა, რომელნიც უშუალოდ და პირდაპირ პარტიის ყოველდღიურ ბრძოლას უკავშირდებიან. დიფერენცირებაზე აქ ბევრი არაფერი ითქმის. სექტანტური ხასიათი (der sektiererische Charakter), რომელთანაც გერმანიის ახალგაზრდა პროლეტარულ-რევოლუციურ ლიტერატურას მრავალ წელს უხდებოდა ბრძოლა, უკავშირდება აქ „ფუნქციონერულ" თვალსაზრისს ლიტერატურაზე, რომლის თანახმად მხატვრულ ლიტერატურას, როგორც დამხმარე საშუალებას პოლიტიკოსთათვის, შეზღუდული ღირებულობა მიეწერება. ეს ოსტატობის სისუსტე კი არ იყო იმდენად, — განსაკუთრებით ეს მწერალ ბრედელზე ითქმის, — დამაჯერებელი ხასიათების განსახიერებას რომ აბრკოლებდა, არამედ შეგნებული, ყალბი, ლიტერატურის მცდარი გაგებიდან გამომდინარე შემოფარგვლა მხოლოდ იმით, რაც მწერალს „უმთავრესად" მიაჩნია" [1].

ვილი ბრედელის ადრინდელ თხზულებათა ეს ნაკლი, — ტიპოლოგიური სქემატიზმი, — ორგანულ, თვისობრივ ნიშანს წარმოადგენს გერმანული პროლეტარული ლიტერატურისა მისი განვითა-

[1] *Internationale Literatur, 1935, № 2. Ernst Ottwalt, Über Willi Bredels „Die Prüfung".* გვ. 111.

რების პირველი ეტაპისათვის, როდესაც მასში პოლიტიკური ტენდენცია სჭარბობს მხატვრულს. მაგრამ ამ ნაკლის გარდა ვილი ბრედელის ადრინდელ რომანებს მეორეც ახასიათებს, რომელიც თუმც ისევ ყველა ახალგაზრდა გერმანელი პროლეტარული მწერლის კუთვნილებას შეადგენდა, მაგრამ უკვე არა თვისობრივი, არამედ ტექნიკური ხასიათისაა, მწერლის ნაკლოვანი ოსტატობის ნაშედეგარი. სახელდობრ: ვილი ბრედელი პრიმიტიულია ზოგჯერ, ზერელე და ტლანქი.

ვილი ბრედელი, თვითონ მუშა, იმდენად ორგანულად შეზრდია და შეთვისებია მუშურ სინამდვილეს, რომელსაც აღწერს და განასახიერებს, იმდენად ზედმიწევნით იცნობს მას, რომ საკმარისად სთვლის, როგორც კურტ კლებერი ამბობს, მცირე შტრიხის გაკვრას, ერთს მინიშნებას, რათა მისი სურათი ყველასათვის ნათელი და მისაწვდომი გახდეს [1]. ამიტომ მრავალი სახე, ზოგჯერ მნიშვნელოვანიც, მას ზერელედ, მარტივად აქვს ჩახატული თავის რომანში. ამიტომ მისი თხრობა პრიმიტიულია შიგადაშიგ და, კურტ კლებერის მოსწრებული განსაზღვრით, ,,კარგი მომხსენებლის კარგს მოხსენებას'' ჩამოგავს, ან და: ,,საქარხნო-საფაბრიკო ანგარიშის და რეპორტიორის შენიშვნათა მარჯვე შენაზავს'' [2].

მეორე მხრით, ვილი ბრედელს, როგორც პროლეტარული წრიდან გამოსულ მწერალს, ჯერ კიდევ არ ემარჯვება მოპირდაპირე, მტრული კლასის ადამიანთა დამაჯერებლად წარმოდგენა. ,,რევოლუციონერ მწერალს, რომელიც პროლეტარიატიდან გამოსულა, — წერს ერნსტ ოტვალტი, — აქ განსაკუთრებით უმძიმს. სინამდვილის უცოდინარობის გამო იხრება იგი სიტლანქისაკენ, რომელიც ყოველგვარ განსახიერებას გამორიცხავს და რომელსაც საბოლოოდ განსახიერების მეტად მოსახერხებელი, მაგრამ ფრიად ყალბ შავთეთრ-ტექნიკამდე მიჰყავს მწერალი'' [3]. ვილი ბრედელს თავის პირველ თხზულებებში ვერ დაუძლევია ჯერ კიდევ მხატვრობის ეს პრიმიტიული ტექნიკა; ამიტომაც, თუ კი მისი დადებითი ტიპები, კომუნისტები, მოწინავე მუშები, ხშირად პლაკატურ სახეებს წარმოადგენენ, მისი უარყოფითი ტიპები, სხვადასხვა ჯურის სოციალ-ფაშისტები მუდამ კარიკატურებს ჰგვანან.

---

[1] „მანქანათმშენებელი ქარხანა *N.* და *K.*" რუსული თარგმანის წინასიტყვაობა, გვ. 7.

[2] იქვე. გვ. 5.

[3] *Internationale Literatur*, 1935, № 2, გვ. 111.

ასეთია ვილი ბრედელის პირველი რომანი ,,მანქანათმშენებელი ქარხანა N. და K.'' და ავრეთვე ორი მომდევნოცა, — ,,ქუჩა როზენჰოფ'' და ,,პარაგრაფი საკუთრების დასაცავად''. ,,უკვე თავის პირველ რომანებში, — წერს უნგრელი რევოლუციონერი ჟურნალისტი ანდორ გაბორი, — გამოიჩინა მან თავი როგორც ნიჭიერმა პროლეტარულმა მწერალმა, რომელიც ზედმიწევნით იცნობს თავის კლასს, მის სამუშაო და უქმ დღეებს, მის დიად ბრძოლას და ყოველდღიურ ,,წვრილ შრომას. მაგრამ თავის პირველ რომანებში ბრედელი, — განაგრძობს კრიტიკოსი, — როგორც მხატვარი, ყოველთვის არ იდგა იმ მაღალღირებული მასალის დონეზე, რომელსაც ამუშავებდა, თუმც ყოველთვის პასუხობდა იმ მოთხოვნილებათ, რომელთაც უყენებდა თავის თავს, როგორც მწერალს. მისი აღწერები მშრალი იყო და უფერული, ადამიანები სქემატური, ხოლო ცოცხალი პროცესების ნაცვლად ის იძლეოდა მზამზარეულ პოლიტიკურ ფორმულებს'' [1].

მაგრამ ეს ნაკლოვანებანი გარდამავალნი იყვნენ, მისი მხატვრული ნიჭისაგან დამოუკიდებელნი და უფრო გერმანული პროლეტარული მწერლობის გენეტიკური კანონზომიერებიდან გამომდინარენი. პირიქით, უკვე თავის პირველ რომანებში გამოიჩინა თავი ვილი ბრედელმა ნიჭიერ პროლეტარულ მწერლად, რომელსაც შესწევს ძალა შეასრულოს თავისი მოწოდება, იყოს თავისი კლასის მესიტყვე და მთამგონებელი.

იგი მხოლოდ ნიჭიერი მწერალი კი არ იყო, არამედ მშრომელიც, ღრმად და ბეჯითად მომუშავე მხატვრული შემოქმედების მეთოდისა და ფორმის დასაუფლებლად, დაუღალავი და გულმოდგინე მაძებარი კონკრეტული შინაარსისათვის მაქსიმალურად შესატყვისი კონკრეტული ფორმისა. მან დაიწყო როგორც მწერალმაგიტატორმა, მწერალმა მებრძოლმა, მაგრამ დროულად შეიგნო, რომ მხოლოდ იდეოლოგიური გამობრძმედილობა ჯერ კმარა მხატვრისათვის, რომ პოლიტიკურად მკვეთრი და სწორი შინაარსი მკითხველამდე მიუსვლელი შეიძლება დარჩეს დაუხვეწელი თუ სუსტი, შინაარსის შეუსაბამო მხატვრული გაფორმების გამო.

თვით ცხოვრება და განცდილი ბრძოლა ემსახურა მას სკოლად, სადაც მან მხატვრულად წერა ისწავლა. ამგვარად გაიზარდა იგი, თეორიულ საფუძვლებს მოკლებული, მაგრამ ცხოვრებით გან-

---

[1] Интернациональная литература, № 3, Андор Габор: „Вилли Бредель — „Испытание", стр. 128.

სწავლული ნიჭიერი მწერალი, დიდ და შეგნებულ მხატვრად. — სიმკვეთრე და ეკონომიურობა მხატვრულ საშუალებათა, გამომსახველობა და სიცხადე, სიწრფელე და სიმართლე, ადამიანური ფსიქიკის ცოდნა, ტიპიურისა და ინდივიდუალურის თანაზომიერება — აი ყოველივე, რაც მეტნაკლებად აკლდა ვილი ბრედელის ადრინდელს რომანებს და მის მონაპოვარს შეადგენს, მისი ჭარმაგი რომანების — „გამოცდისა“ და „შენი უცნობი ძმის“ დამამკობელს.

III

ვილი ბრედელი წერს: „სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი 1933 წლისა! კონცლაგერში ჩემი პატიმრობის ამ უმძიმეს თვეებში, სიბნელესა და მარტოობაში, ცემათა და ღამეულ მკვლელობათა გარემოში, მე შინაგანად განვემზადე საიმისოდ, რომ რამდენიმეღა დღის სიცოცხლე დამრჩენია. ამ საშინელ თვეებში, როდესაც გარშემო ჩემი საუკეთესო მეგობრები და საყვარელი ამხანაგები კვდებოდნენ, მე განვიაზრე მთელი ჩემი წარსული. ამ მოგონებებმა მომანიჭა მე ძალა და გადაწყვეტილება უფრო მშვიდად და მტკიცედ გამესწორებინა თვალი ბნელი მომავლისათვის და გადამატანინა ყველა საშინელება“ [1].

ასე იშვა ვილი ბრედელის „გამოცდა“: გარდახდილ ბრძოლათა მოგონებანი ასაზრდოებდნენ სიკვდილის ზღურბლზე მდგარი რევოლუციონერის სასიცოცხლო ენერგიას, აღატკენდნენ მის სულში სიცოცხლის წყურვილს იმის ასატანად და შესაცნობლად, რაც ამ წიგნის შინაარსს შეადგენს.

„დაახლოებით ერთი წლის წინათ, — მოგვითხრობს ერნსტ ოტვალტი, — ჩვენამდე მოაღწია ბარათმა ერთი სკანდინაველი მეზღვაურისა, რომელიც ერთ ხანს ჰამბურგის ფულსბუტელის კონცლაგერში იყო ინტერნირებული. ის გვატყობინებდა, რომ ვილი ბრედელი ძველი ციხის „სიკვდილის საკანში“ წევს, რომ მისი ფიზიკური ძალები ილევა და მისი მდგომარეობა მეტად მძიმეა. თანაც გადმოგვცემდა ის ჩვენი ამხანაგის სალამს: ჩემი ნუ გედარდებათო. მე დიახაც ავიტანო, თავს გარკვეულად არ მოვიკლავო და იმედი მაქვს, რომ ოდესმე ყოველივეს აღწერას შევძლებო“... [2]

ვილი ბრედელის „გამოცდა“ ავტობიოგრაფიული რომანია, მაგრამ ეს წიგნი დიდად განესხვავება მრავალს მასზედ ადრე გამო-

[1] *Internationale Literatur*, 1935, № 2, გვ. 105.

[2] იქვე.

ქვეყნებულს აღსარებას, ჰიტლერულ ჯოჯოხეთში განცდილის მომთხრობელს. ,,ეს (,,გამოცდა'' — ო. ჯ.), — წერს ერნსტ ოტვალტი, — სრულიად განსაკუთრებული რამ არის და, შედარებით ყოველივესთან, რაც მის საგანს შეეხება, უდავოდ უმნიშვნელოვანესი წიგნია, რომელიც ძალაუფლების ჰიტლერის ხელში გადასვლის შემდგომ მესამე იმპერიის შესახებ — ანუ: წინააღმდეგ — დაწერილია'' [1].

,,მას (ვილი ბრედელს — ო. ჯ.), — განაგრძობს ერნსტ ოტვალტი, — არ დაუწერია რეპორტაჟი თავის პიროვნულ განცდათა გამო, როგორც ამას სხვანი სჩადიოდნენ და სჩადიან, რომელთაც ვილი ბრედელზე ბევრად ნაკლები განუცდიათ, არამედ იგი საკუთარ განცდათა ლიტერატურული განსახიერების უფრო მაღალ დონეზე დგება, იგი თავისი რომანის სახეთა უკან უჩინარდება და ის, რაც განსახიერებულს რჩება მისგან, როგორც ადამიანისაგან, ყოველივე რომ აუტანია, განუცდია და მოუპოვებია, არის უბადლო პატიოსნება და ის ხალასი ტონი მაღალი სიმართლისა, რომელიც ისეა დამარწმუნებელი, რომ მკითხველი დოკუმენტურ საბუთებს არ მოითხოვს'' [2].

,,...ჩქარი მატარებელი მაინის ფრანკფურტი-ჰამბურგი-ალტონა უახლოვდება ჰამბურგს. ამით მოღვაწეობის ახალი ნაკვეთი იწყება ადამიანისათვის, რომელიც ვაგონის გასასვლელში დგას და ფანჯარაში იხედება. ბერლინიდან მოდის უცნობი, მაგრამ პირდაპირი გზით კი არა, არამედ — ჰანოვერის გავლით.

,,ჰამბურგი! აქაც თუ წარიმართება მისი მუშაობა წინანდებური წარმატებით? მას მძიმე ამოცანა უდგას წინ. იგი სიმტკიცესა და სიფრთხილეს საჭიროებს. ქემნიცში მას მეტად გაუხურდა ფეხქვეშ ნიადაგი. ოთხი თვე იმუშავა მან საქსონიაში განუწყვეტელი დევნისა და გამცემლობის მუდმივი საშიშროების გარემოში. მაგრამ რევოლუციონერ მუშათა რიგები მაინც ურყევად დგანან, მიუხედავად მკვლელობათა, იავარყოფისა და დაპატიმრებათა; ორგანიზაცია ცოცხლობს; მუშაობა მიმდინარეობს... ასე იყო ქემნიცში. ეხლა კი — ჰამბურგი! უცნობი ჯერ არასდროს ყოფილა ჰამბურგში''... [3]

ეს ადამიანი არის ჰაინრიხ ტორსტენი — კომუნისტი, არალეგალური მუშაკი, რაიხსტაგის ყოფილი წევრი, ქემნიციდან პარტიის

---

[1] *Internationale Literatur*. 1935, № 2. გვ. 105.

[2] იქვე, გვ. 105-106.

[3] „*Die Prüfung*".

დავალებით ჰამბურგში ჩაშლილი მუშაობის აღსადგენად და სახელმძღვანელოდ მიმავალი.

მაგრამ ჰამბურგში ჩასვლისთანავე მას აპატიმრებენ ჰამბურგელ წვრილ ვაჭარ, მის შემთხვევით თანამგზავრ ებრაელ გოტფრიდ მიზიკესთან და პარტიულ ამხანაგთან ჯონ ტეცლინთან ერთად. სამთავეს ჯერ ჰამბურგის რატუშის დასაკითხ ოთახებში ათავსებენ, შემდეგ კი — ყოფილს სატუსაღოში, ფულსბჯუტელის კონცლაგერში. ამით იწყება მათი და მათთან ერთად რომანის სხვა გმირთა ,,გამოცდა'': ამაზრზენი წამება, მხოლოდ ცეცხლის სტიქიონის შესადარი, ყოველივეს რომ შთანთქამს, ფერფლავს და ადნობს, ზოგი ირვიათი ლითონის გარდა, რომელიც ამგვარი წრთობის შედეგად უფრო წმინდდა და მკვრივი ხდება მხოლოდ, ,,ზოგი წამება, ანდორ გაბარის თქმისა არ იყოს, იმდენად უადამიანოა, რომ დაუჯერებელი იქნებოდა, განსახიერების რეალობით რომ არ მოეცა ვილი ბრედელს თავის მიერ აღწერილ სცენათა ნამდვილობის საწინდარი'' [1]. ჩვეულებრივი, საშუალო ადამიანი ვერ გაუძლებს ამ წამებას; მას მხოლოდ განსაკუთრებული სულიერი და ფიზიკური ორგანიზმები აიტანენ. და ეს ,,ატანა'' ვნებითი აქტი როდია, მომთმენის სარჯელი, არამედ ტიტანური ნებისყოფის ძლევამოსილი ბრძოლა.

ერთი ამ ტიტანთაგანი არის კომუნისტი ჰაინრიხ ტორსტენი.

პირველსავე ,,დაკითხვაზე'' აპოლიტიკური გოტფრიდ მიზიკე აღიარებს თავს ,,დამნაშავედ'': თითქოს მას ,,მხოლოდ უნდოდა'' ფულით დახმარებოდა კომუნისტებს და მათთვის საკავშირო სამუშაოს ასრულებდა. ვერ უძლებს ,,დაკითხვებს'' ჯონ ტეცლინიც და ამხელს ჰამბურგის ორგანიზაციის ხელმძღვანელის სახელს. და რაკი ტეცლინი არაა მოღალატე — მას მხოლოდ ძალა არ ეყო, სულის სიმტკიცე და ამიტომ გახდა გამცემი — ის თავს იკლავს.

სამაგიეროდ ჰაინრიხ ტორსტენი ხალასი გმირია, თავისი კლასისათვის, თავისი მოწოდებისათვის თავდადებული: მისი მძლეობის წინაშე ყოველგვარი წამება ხდება უძლური, თავისი სიმტკიცით ის თავად ჯალათებში იწვევს გაოცებასა და თანაგრძნობას. რატუშის დასაკითხ კამერაში მას გრძნობიერების დაკარგვამდე სცემდნენ ღვედებითა და კეტებით, ვიდრე მცემელთ ძალა ჰყოფნიდა, შემდეგ კი ნახევრად ცოცხალს, დაბეჟილსა და დასახიჩრებულს

[1] Интернациональная литература, 1935, № 3, Андор Габор: Вилли Бредель — „Испытание", გვ. 128.

ამწყვდევდნენ ბნელ, კარადის მაგვარ გალიაში; მაგრამ მას სიტყვა არ დასცდენია. ,,მისი სიმტკიცე, მისი უტყვი ტანჯვა აჩერებს ჯალათებს. მათ არ გვრის სიამოვნებას მისი ცემა, რადგანაც ის სიხუსტის ნატამალსაც არ იჩენს'' [1]. პირიქით: მათ გაოცება და თანაგრძნობა იპყრობს. ,,ჰოი, თავაღებული!'' — ჩურჩულებს შტურმელთა პოლკის მეთაური ელერნჰრუზენი, — ამის მსგავსი არაფერი ყოფილა ჯერ!'' მორიგე ზედამხედველნი იბარებენ რა მას: ,,...თავს აქნევენ. მზრუნველად მიიყვანენ ქვემო სართულის ერთ-ერთ კაბინეტში. ერთი შეხვევისთვის ზრუნავს, მეორე თავისი თერმოსიდან უსხამს ცხელ ყავას''...

ტორსტენი გადაჰყავთ საკონცენტრაციო ბანაკში. აქ გვემენ მას უსაშინელესი წამებით, რომელიც აბსოლუტურად აუტანელი ჩანს: მას, ხელებზე ხუნდებდადებულს, ექვსი კვირით ამწყვდევენ სარდაფში მდებარე სამარისებრ ბნელს კარცერში, რომელსაც თვით შტურმელები ,,ამაზრზენ ხვრელს'' უწოდებენ. აქ ფიზიკური გამძლეობა არ სჭრის. აქ სულის ალმასისებრი შეუვალობა და შეუდრეკელობა თუ მოიტანს ხსნას. ასეთ ,,ხვრელში'' მყოფ ადამიანს ყოვლის უწინარეს იმისათვის მართებს ზრუნვა, რათა არ გაგიჟდეს. — ,,სამი ბნელი დღისა და ღამის შემდეგ, — მოგვითხრობს ბრედელი, — ტორსტენი მღელვარებამ აიტანა. რამდენ ხანს შეუძლიათ მათ ამყოფონ ადამიანი ამ სიბნელეში? სამ დღეს? კვირას? მეტი... შეუძლებელია. რა მხეცური იდეები არ მოუდის ადამიანებს აზრად! მაგრამ დიდება ყოველივეს, რაც აწრთობს კაცს. სულით არ უნდა დაეცე მხოლოდ''... ,,ამ მარადიულს სიბნელეში რომ რიალებდა იგი თავისი საკანის კედლების მასწორ, მას უწესრიგო აზრები, ეროვნებანი და ახირებული იდეები იპყრობდნენ. პირველ დღეებში ნებდებოდა იგი მათ ნებისმიერ დინებას, მაგრამ შემდეგ დაიწყო მან თავისი თავის დისციპლინირებული აზროვნებისადმი შეჩვევა, თავისი შინაგანი ცხოვრების რეგულირება. იგი დავალებებს აძლევდა საკუთარ თავს და უდიდესი სიმკაცრით ასრულებდა მათ''... ,,პირველი დავალება იყო რეფერატი თემაზე — კაიზერის წარმონათქმიდან: ,,მე არ ვცნობ ამიერიდან არავითარ პარტიას, მე ვცნობ მხოლოდ გერმანელთ!'' ჰიტლერის განცხადებამდე: ,,მე არ ვცნობ ამიერიდან არავითარ პარტიას, გარდა გერმანული ნაციონალ-სოციალისტური პარტიისა!''... ,,ორ ღამესავით ბნელ დღეს

[1] Интернациональная литература, 1935, № 3, Андор Габор: В. Бредель — „Испытание", გვ. 129.

ემზადა ტორსტენი“... და „წარმოუდგა მას გერმანიის კომუნისტურ და სოციალ-დემოკრატულ პარტიათა ფუნქციონერებით სავსე დარბაზი“... და „იგი დარწმუნებულია, რომ ეს ყველაზედ საფუძვლიანი და საუკეთესო მოხსენებაა, მის მიერ ოდესმე წაკითხული“... „მაგრამ შემდეგ დგებოდა საათები, როდესაც მას ეჩვენებოდა, თითქოს ჭკუიდან იშლება. დროდადრო განრიდების ვერავითარი ცდა ვერ სჭრიდა და იგი სულშეხუთული დარბოდა თავისი საკანის სიბნელეში, ისე რომ ვერ მოეთოკა და ვერ შეეკრიბა თავისი ველური, შმაგი აზრები“... მაგრამ ტორსტენმა სძლია კოშმარული სიბნელე! თუმც მრუმე უკუნეთი როდია ერთადერთი საშინელება, ერთადერთი განსაცდელი, რომელსაც იგი იტანს. ტორსტენი ჯერ არ უცემიათ მას შემდეგ, რაც კონცლაგერში მოიყვანეს, მაგრამ მის მეზობელ და ზემო საკნებში მყოფ ტუსაღებს ყოველი ღამით სცემენ. — „ტორსტენი დახუჭული თვალებით წევს მთელმარე — და უეცრივ წამოვარდება მის თავზედ ამტყდარი ხმაურისა და ბრაგუნისაგან. ისევ, როგორც გუშინწინ. კვლავ სცემენ ვიღაცას. იგი დაძაბულად უსმენს. წამიერ ყოველივეს სიწყნარე იპყრობს. შემდეგ კი მის სმენაში დარტყმათა განუწყვეტელი თხლაშუნი იჭრება. ერთი მეორეს მიყოლებული: თხლაშ-თხლაშ! და საკვირველია: არც ყვირილი, არც კვნესა. თხლაშ-თხლაშ! თხლაშ-თხლაშ! როგორც ჩანს ორი სცემს, ჯერი-ჯერ, მაგრამ რატომ არ ყვირის, არ ყმუის მსხვერპლი? ვინ გაუძლებს მდუმარედ ასეთს ტანჯვას?“... „საშინელი ცხოველური ყვირილი.“ და ისევ მკვდარი სიჩუმე. მხოლოდ დარტყმათა თხლაშუნის ხმა... ეს განუწყვეტელი თხლაშ-თხლაშ! თხლაშ-თხლაშ! ჭკუიდან შეაცდენს კაცს“... „ტორსტენს ცივი ოფლი უნამავს შუბლს“... ტორსტენს ყურთა დახშობა უნდა, მაგრამ თავს აგონებს, რომ ეს სიმხდალეა. დიდება ყოველივეს, რაც ადამიანს აწრთობს! რას-ღა დავმართებთ ჩვენ, — ფიქრობს ის, — ამ გამხეცებულს არამზადებს, ასეთი გულგრილი უწყალობით რომ სცემენ სიკვდილის პირამდე ადამიანებს? რას ეუზამთ ჩვენ მათ, ანგარიშგების დღეს რომ ჩაგვივარდებიან ხელთ? ყოველ შემთხვევაში, მყობადი გერმანული პროლეტარული რევოლუცია არ შეეწირება ჰუმანიურობას. 1918 წლის ნოემბერი არ განმეორდება“.

ასე იბრძვის კომუნისტი გმირი. საშინელს „ხვრელში“ მისი ერთადერთი მიზანი არის შეინარჩუნოს სიცოცხლე, სულისა და სხეულის სისაღე. და სიცოცხლისათვის ეს ზრუნვა თვით მიზანი რომ დია, თავმოთნეობით დასახული: ეს არის ერთგულება იმ ვალდებულების, იმ მოწოდებისადმი, რომელთა შესრულებისათვის ის

მრავალგზის გასწირავს თავის სიცოცხლეს. ტორსტენი აწრთობს და ავარჯიშებს თავის მძლე ნებისყოფას, რათა აუტანელი აიტანოს, იგი მზად არის ყოველივე ითმინოს, რათა თავისუფლება მოიპოვოს და თავისი გმირული ბრძოლა განაგრძოს. მეტიც: თვით წამებას იმსახურებს იგი საბრძოლო იარაღად — ჭირთა თმენა აკაჟებს მის ნებისყოფას, აღატკენს მის მაღალ სიძულვილს უგვანო მტრის ბოროტებისადმი. მის მომთმენიანობას ღრმა საბრძოლო იდეა ასაზრდოებს: „დიდება ყოველივეს, რაც ადამიანს აწრთობს!“

აქ, და ასევე მრავალგან, ვილი ბრედელის „გამოცდა“, როგორც მართებულად შენიშნავს ანდორ გაბორი, კლასობრივი ბრძოლის სახელმძღვანელოდ იქცევა, ისე რომ ოდნავადაც არ კარგავს მხატვრულს სიცხოველესა და დამაჯერებლობას [1].

ტორსტენის მეზობლად ახალგაზრდა კომუნისტი იტანჯება — ვალტერ კრაიბელი. იგი განუწყვეტლივ დარბის თავის „ხვრელში“ წინ და უკან და დაჟინებით უკაკუნებს ტორსტენს. მაგრამ ტორსტენმა არ იცის კაკუნის ენა. სიბნელე კი თავისას შვრება... კრაიბელის ძალები იშრიტება, იგი სულიერი დაღუპვის ზღურბლზე დგას... იგი სწყვეტს უაზრო კაკუნს და უკვე აღარ დარბის თავის საკანში... ტორსტენს სერიოზულად აშფოთებს მისი ბედი. მაგრამ თვით ტორსტენის ენერგიაც იშრიტება. ყველა ღონისძიებისა და ვარჯიშის მიუხედავად მისი ძალა იღევა. სულ უფრო იშვიათად ახერხებს ის ამ სიბნელის თავიდან აცილებას, მისგან განრიდებას. მისი ნერვები ვეღარ უძლებენ ამ სიბნელეს... ერთადერთი ხსნა მისგან მეზობელთან კავშირის დამყარება იქნებოდა. მაგრამ როგორ? კრაიბელის კაკუნში რაღაც სისტემაა. და ტორსტენიც თავს იმტვრევს მის შესაცნობად. ხომ არ წაუკითხავს მას საამისოდ რაიმე პატიმართა მემუარებში? გერმანელ რევოლუციონერებს არაფერი უწერიათ კაკუნის სისტემის გამო, არც რუს ბოლშევიკებს. მაგრამ ვერა ფიგნერს? სწორედ „ამ უტეხ, ესოდენ საკვირველ ხალხთან ქალს აქვს მოცემული კაკუნის ტაბულა თავის მოგონებებში: „ოცი წელი შლისელბურგში — რუსეთი ღამის წყვდიადქვეშ“... ასე ამყარებს ურთიერთკავშირს ორი დაღუპვის მიჯნაზე მდგარი რევოლუციონერი და ეს კავშირი ხელახლად შობს მათ საბრძოლო ძალას.

---

[1] Интернациональная литература, 1935, № 3, Андор Габор: В. Бредель — „Испытание“, გვ. 129.

„ტორსტენის დღეები კვლავ აღივსო აზრითა და შინაარსით. კაკუნი ჩინებული აღმოჩენაა; მისი ცოდნა ყოველ პატიმარს მართებს, განსაკუთრებით იზოლაციაში მყოფს. რაოდენი სიყვარული და ერთგულება, რაოდენი თანაგრძნობა და ზრუნვა შეიძლება ჩაქსოვილ იქნას ამ ნელს კაკუნში. იგი აახლოებს ადამიანთ, რომელთაც არასდროს უნახავთ ერთმანეთი, არასდროს გაუცვიათ სიტყვა ერთმანეთისათვის და ახლა თავის სიცოცხლეს უჭირავებენ ერთმანეთს, იმედებსა და შეჭირვებათ". — და ასე: „მსუბუქი კაკუნი სძლევს უსაზრიანეს სიმხეცეს, სძლევს სიმარტოვეს, სიჩუმეს და სასოწარკვეთილებას"...

ტორსტენის ყოფამ ამით ახალი მიმართება მიიღო. ახლა მას მხოლოდ საკუთარი თავისათვის კი არ მართებს ბრძოლა, არამედ ასევე თავისი ახალი მეგობრისათვის, პარტიული ამხანაგისათვის, რომლის საბრძოლო ენერგია იშრიტება. შვიდი თვეა, რაც პატიმრობაშია კრაიბელი და მისთვის, ცხადია, უცნობია პარტიის არალეგალური მუშაობის მასალა, უკანასკნელი საერთაშორისო და საშინაო პოლიტიკური მოვლენები. ტორსტენის წინაშე კრაიბელის ინფორმირების სერიოზული და მნიშვნელოვანი ამოცანა დგას. მაგრამ ყოველის უწინარეს ტორსტენს კრაიბელის სულიერი დეპრესიის დაძლევა მართებს. იგი გადასცემს კაკუნით:

„ — ჩვენ — ჯანსაღნი — უნდა — დავრჩეთ — ყველა — განსაცდელის — მიუხედავად — პირველი — პირობაა — ფოლადის — ნერვები — გთავაზობ — ჩემთან — ერთად — ვარჯიშს — ყოველ — დილა — საღამოს — ცივი — ტილო — თავიდან — ფეხებამდე — საოცრად — ამშვიდებს — შველის — დაძინებას — საღამოთი — და — ამაგრებს — ნერვებს — ჩვენი — მოვალეობაა — ფიზიკურად — შევინარჩუნოთ — თავი — მეთანხმები?" კრაიბელი სდუმს ერთხანს. მაგრამ ის, რასაც ის შემდეგ აკაკუნებს, ძრწოლას ჰგვრის ტორსტენს. — „კიდევ — რამდენ — ხანს — შეუძლიათ — მათ — გვამყოფონ — სიბნელეში?" რა უნდა უპასუხოს ტორსტენმა მეგობარს? როდემდის! რამდენიც მოესურვებათ: ვიდრე პატიმარი ჭკუიდან არ გადასცდება ან და არ ჩაძაღლდება. — „მათ — კიდევ — დიდ — ხანს — შეუძლიათ — აქ — ჩვენი — წამება — მაგრამ — ყოველიევს — თავისი — ბოლო — აქვს — ჩვენი — ბრძოლა — აქაც — გრძელდება — საპყრობილეში — პირველი — პოლიტიკური — ამოცანა — რომლის — შესრულება — გვევალება — რადაც — არ — უნდა — დაგვიჯდეს — გეკითხები — შენ — თანახმა — ხარ?" „ — ცხადია" — არის კრაიბელის პასუხი.

ასე „იჭრება ამ ადამიანის (ტორსტენის — ო. ჯ.) სიმტკიციდან და რწმენიდან მომდინარე ძალა მეორე ბნელს საკანში, სადაც ვალტერ კრაიბელი მასავით თავგანწირვით ებრძვის თავის ფიქრებს, რომელნიც უკვე აღარ ნებდებიან მის ნებისყოფას. და საბოლოოდ ისინი მაინც ნებდებიან, რადგან ამ ადამიანთა ნებისყოფას, რომელიც მათ ამტკიცებს და თითქმის ზეადამიანურ ძალას ანიჭებს, ბრმა, უაზრო ფანატიზმი კი არ შობს და არც გმირული პოზის მოთხოვნილება, არამედ სურვილის, გრძნობის, აზრის და მოქმედების ის ერთიანობა ასაზრდოებს, პროლეტარული კლასობრივი მებრძოლის ნიშანს რომ შეადგენს“ [1].

ექვსი კვირის შემდეგ ტორსტენი სარდაფის ჯურღმულიდან ჩვეულებრივს იზოლატორში გადაჰყავთ, ხოლო შემდგომ — პროცესის მოლოდინში — იგი საკვლევაძიებო ციხეში ზის. აქედან დაწყებული რომანის მთავარი გმირი ვალტერ კრაიბელი ხდება.

კრაიბელის და აგრეთვე სხვა პატიმართა განსაცდელი გვამცნობს ჩვენ მთელ საშინელებას ფაშისტური საკონცენტრაციო ბანაკისას და ფაშისტ ჯალათთა უმაგალითო სიველურესა და სისაზიზღრეს.

ძნელია იმ წამებათა ჩამოთვლა და აღწერა, რომელთაც ჰიმლერის არამზადების სადისტური ფანტაზია უმზადებს აქ პოლიტიკურ პატიმრებს; მხოლოდ მათ, რადგანაც ქურდები, შულერები, სუტენერები და სხვა მისთანანი აქ „პრივილეგირებულთა“ კორპორაციას შეადგენენ. აწყვეტილი ცხოველური ინსტინქტები და შერყვნილი ენებანი, უმდაბლესი ცინიზმითა და კაცთმოძულეობით შეზავებულნი, — ეს არის წყარო იმ სიცოფისა, რომლითაც შტურმელები კომუნისტებს, სოციალ-დემოკრატებსა და განსაკუთრებით, ებრაელებს აწამებენ. განსაკუთრებით ამაზრზენია ის გულგრილობა, რომლითაც ისინი თავის მსხვერპლთ „ამუშავებენ“, და სიამე, რომელსაც მათ ადამიანის გვემა ჰგვრის. „არავითარი სანტიმენტალური აბდა-უბდა“, „არავითარი ჰუმანურობა!“ — არიგებს კომენდანტი ელერნჰრუზენი შტურმელთა რაზმის უფროსს დუზენშენს. და დუზენშენიც არ ზოგავს თავის დათვურ ძალას, რათა თავის ბატონთა წყალობა დაიმსახუროს. ხოლო როდესაც იმედები უცრუვდება ჯალათს, იგივე ელერნჰრუზენი ასე ამშვიდებს მას: „მე-

[1] *Internationale Literatur, 1935, № 2, Ernst Ottwalt: Über W. Bredels „Die Prüfung“, გვ. 107.*

თაურო, თქვენ ცუდად ერკვევით ადამიანებში. მაგრამ ეცადეთ დასძლიოთ გულგატეხილობა. იმედების გაწბილება კარგ გაკვეთილს იძლევა, აწრთობს და **ადამიანებისადმი ზიზღს აჩვევს**''... ადამიანისადმი ზიზღი, საზღაპრო კაცთმოძულეობა — ეს არის ჰიტლერულ ჯალათთა მორალი, მათ სადიზმს რომ ასაზრდოვებს.

წამებანი, რომელთაც შტურმელები პატიმრებს აყენებენ, რაღაც უსაზმნო, სატანური ბოროტების სულით არიან შთაგონებულნი. ჯალათები მხოლოდ ფიზიკური ტკივილის მიყენებით როდი კმაყოფილდებიან, რაოდენ აუტანელიც არ იყოს იგი. არამედ ისინი ისეთი ტკივილის მიყენებას ცდილობენ, რომ მსხვერპლის სული შეძრწუნდეს, რომ მსხვერპლმა სულიერად გასრესილად იგრძნოს თავი, რომ მან თავისი ადამიანური ღირსება, მეტიც, თავისი ადამიანური რაობა შეიცნოს არა თუ მხოლოდ შეურაცხყოფილად და შებღალულად, არამედ — გაუპატიურებულად და იავარქმნილად. მათ გაბოროტება კი არ ამოქმედებთ, არამედ თავისთავადი სიბოროტე. მათ კი არ შესძულებიათ, არამედ დასაბამითგანვე სძულთ: ადამიანისადმი სიძულვილი, ზიზღი ერთადერთი ადამიანური ვნებაა მათი. ამიტომ ისინი კი არ აწამებენ მხოლოდ პატიმრებს, არამედ ისე აწამებენ მას, რომ მისი ადამიანობა გაჰქირდონ და დაამცირონ. მხოლოდ ეს ჰგვრის მათ სიამეს. და ამიტომაა, სწორედ, რომ ტორსტენს ერიდებიან ისინი: მისი ფოლადისებური სიმტკიცე, არა ამტანობა, არამედ შეუვალობა, მის მიერ ყოველგვარი წამების უგულვებელყოფა უძლურს ხდის და სტეხს მათ სადიზმს.

ჯალათთა სადისტური ფანტაზია დაუშრეტელი ჩანს და მათი უსაზმნო სიმხეცე და ტლანქი ცინიზმი საზარლად ვირტუოზულ ფორმებს იღებს.

ღამეა. სარდაფის კიბიდან ხმაური მოდის. შემდეგ იღება პირველი სკანი, გაისმის სილათა ტყლაშუნი, დარტყმათა. ბრაგუნი ტანზე, ცემულის გმინვა, ტირილი და კვნესა. შემდეგ იღება მეორე, მესამე, მეოთხე სკანი. და ყველგან დარტყმების ხმა და გულშემზარავი ყვირილი. ჯალათები ჩერდებიან ტორსტენის კამერასთან, მაგრამ მცირე ყოყმანის შემდეგ მას გაივლიან. ხმაურით იღება კრაიბელის სკანის კარები. დუზენშენი, ტირბესი და მაიზელი ერთხმად ბღავინავენ: ,,ძირს ლოგინიდან!'' კრაიბელი წამოხტება და ღამის პერანგის ამარა დგას მათ წინ. დუზენშენი სინათლეს ანთებს. ცირბესსა და მაიზელს ბეჰემოტის ტყავისაგან დაწნული

გრძელი მათრახები უჭირავთ. კრაიბელი ხელს იფარებს სინათლეს გადაჩეჩილს თვალებზე, ჰოტივით აფახულებს მათ და შესცქერის დაუკითხავ სტუმრებს. — როგორ ცხოვრობ? — ეკითხება მას დუზენშენი. — „კარგად". უპასუხებს კრაიბელი. — რაღაც დაბრკოლებით ამბობ მაგას, თანაც მხოლოდ კარგად? მხოლოდ კარგად? კრაიბელი სდუმს. — „მხოლოდ კარგად ცხოვრობ?" — „მე ძალზედ კარგად ვცხოვრობ". — „შენ მხოლოდ ძალზედ კარგად სცხოვრობ?" კრაიბელი სდუმს. — „დაიხარე!" კრაიბელი იხრება, დუზენშენი ოავზე გადაფარებული ჰერანგით უხვევს მას სახეს და ხრის ქვევით. ცირბესი და მაიზელი მათრახებით სცემენ შიშველ ტანზე. შემდეგ დუზენშენი კვლავ ეკითხება: „როგორ ცხოვრობ? მხოლოდ ძალიან კარგად?" კრაიბელმა არ იცის, რა უპასუხოს. და კვლავ დასტენენ მათრახები მის იარებიანს სხეულზე. ბოლოს მიდიან ჯალათები. დუზენშენი შემოიბრუნებს თავს კიდევ და იტყვის: „მცირე დამატებითი ულუფა, რომელიც უფრო გახშირდება ამიერიდან. თქვენ, ღორები, მართლაც, არა თუ კარგად, არა თუ ძალზედ კარგად სცხოვრობთ, არამედ მეტისმეტად კარგად ცხოვრობთ"... კრაიბელს ესმის, როგორ შედიან ისინი მეზობელ საკნებში, ესმის მათრახთა სტვენა და მსხვერპლთა გულშემზარავი გმინვა.

მაიზელს ორად დაუმწკრივებია ოთხმოცი პატიმარი ციხის ეზოში. თვითონ შუაში დამდგარა და ფართო წრით დაატარებს და დაარბენინებს მწყობრს ეზოს გარშემო. ვინმე თუ ვერ იჭერს სათანადო დისტანციას ან სათანადოდ მაღლა არ იღებს ფეხს, იგი არ ბრაზობს და არ ჰყვირის, არამედ იხსომებს მხოლოდ. შემდეგ ასეთი სიტყვით მიმართავს მწყობრს: „ამიერიდან ყოველდღიურად გევარჯიშებათ ამგვარად და გეტყვით რატომაც, იმიტომ, რომ ყოველ თქვენგანში მჯდომი მამაძაღლი იქნას განდევნილი. აბა რომელი თქვენგანი გრძნობს ამ შინაგან მამაძაღლს?" ოთხმოცი კაცი გახევებული დგას და სდუმს. მაიზელი წარბებს იწევს და იღიმება. ის, ოცმეთაური მაიზელი, ვალდებულებას იღებს, განდევნოს ამ არამზადებში მჯდომი მამაძაღლი. ოთხმოცი კაცი გაჰიმულა ფრონტში შისი ბრძანებით, დადის მარშით, დარბის და დახტის. მაიზელი განაგრძობს: „წინააღმდეგობის სული, უფროსთ წინაშე ურჩობა, კადნიერი გაუგონარობა — ყოველივე ეს თქვენში მჯდომი მამაძაღლის ოინებია. ბედლასი აზრები, რომელნიც სიფრთხილით არა თუ ყოველთვის გამოითქმიან ხმამაღლა, აგრეთვე თქვენში მჯდომი

მამაძაღლის საქმეა. ეგრეთწოდებული საკუთარი თვალსაზრისი — ეს ყველაზე უცილობელი ნიშანია იმისა, რომ ადამიანში მამაძაღლი ცოდვილობს. იგი ყოველ თქვენგანში გატვრენილა! მე ვიცი ეს და განზრახული მაქვს გავაძევო იგი, ისე გავაძევო, რომ თქვენ მხოლოდ ის მოიმოქმედოთ, რაც მე მსურს, და ისე იაზროვნოთ, როგორც ეს მე მსურს!" ყველა სდუმს, ოთხმოცი წყვილი თვალი უსიცოცხლოდ მისჩერებია მას. შემდეგ კვლავ დაატარებს მაიზელი მწყობრს. — „სირბილით!.. მარშ!.. არ ვარგა! სირბილისას ხელები — მკერდის სიმაღლეზე. სირბილით, მარშ!.. არ ვარგა!.. რა ჰქვიან... აი იმას... მარცხენა ფლანგის მეთერთმეტეს... ჰო, ჰო, შენ... როგორ?.. მიზიკე. შემდეგ — ჩემთან... სირბილით, მარშ!.. არ ვარგა!.. მარცხენა ფლანგის მესამე — ავრეთვე ჩემთან... სირბილით, მარშ-მარშ!" პატიმრები ოფლში იწურებიან. ოცმეთაური მაიზელი ნეტარების წუთებს განიცდის. ბოლოს მას ბეზრდება ოთხმოცი კაცის ტარება და მწყობრიდან ექვსი „ურჩი" გამოჰყავს, მათ შორის მიზიკეც, რომელსაც უკვე მწვანე ფერი დასდებია. „თქვენში ის მამაძაღლი განსაკუთრებით ძლიერ ჯანყობს. — მიმართავს მაიზელი მათ, — ამიტომ მცირე დამატებითი გაკვეთილია საჭირო! სმენა!.. გეცოტავა, შე ბინძურო ღორო?" — მიზიკეს ბოდიშის მოხდა უნდა, მაგრამ ვერ ბედავს. დიდი, დაშინებული თვალებით შესცქერის მაიზელს. — „სმენა!" მიზიკე იჭიმება რაც ძალი და ღონე აქვს. — „სირბილით... ხელები მაღლა... მარშ-მარშ!" ექვსივე მირბის კედლის გასწვრივ. უმალვე გატანჯულ და ღონემიხდილ ადამიანებს გული უწყდებს ძგერას, ფილტვები უჩერდება, ფეხები უმძიმდება ტყვიისებრ. — „დაწექ! მიზიკეს ესმის, მაგრამ გაოცებული იცქირება აქეთ-იქეთ. მის წინ და უკან მდგომნი უკვე დაწვნენ, დაწვა მიზიკეც. მაიზელი კი განაგრძობს: „ადექ!.. მარშ-მარშ!.. დაწექ! ადექ!.. მარშ-მარშ!.." მიზიკე მაშინალურად ეცემა. დგება და ისევ ეცემა. გრძნობს, რომ თანდათან თავბრუ ესხმის. „ახლა შემიღონდება გული" — ფიქრობს. მაგრამ არ კარგავს გრძნობას; კვლავ ეცემა და კვლავ დგება. — „სდეგ!" — „მადლობა ღმერთს! მადლობა ღმერთს!" — ფიქრობს მიზიკე. მაგრამ მას იმედები უცრუვდება. — „ხელები თეძოებზე! ჩაცუცქდით! იჯექით! ახლა — ხტომა... დაიწყე! ნუ იმართები. ხტომით!.. კიდე, კიდე!" ექვსივე ჩაცუცქული დახტის ამხანაგების წინაშე, რომელნიც შეჰყურებენ მათს წამებას და ვერაფრით დახმარებიან. მიზიკე გრძნობს, რომ სიცოცხლე სტოვებს მას; იგი ხტის, ხტის, ხტის... უცებ მას საშინელი ნდომა აღეძვრება. იგი ვერ იკავებს თავს. ამავ დროს პირი-

დან ასაქმებინებს... იგი ეცემა. მაიზელი ორ პატიმარს გაათრევინებს მიზიკეს განზე. დანარჩენებმა კი უნდა განაგრძონ. მხოლოდ მას შემდეგ, რაც კიდევ ორი ეცემა, აბრუნებს მაიზელი დარჩენილ სამს მწკრივში. კიდევ ორჯერ შემოუვლიან პატიმრები ეზოს და ბევრს გაუვლიან კედლთან მტვერში გდებულ მიზიკეს და მერმე უბრუნდებიან მეციხოვნე ცირბესს, რომელიც მათ ღრეჭით იბარებს. მაიზელი კი ზედა სართულზე ადის — იქაურ პატიმრებში მჯდომი მამაძაღლის გასაძევებლად...

ამაზრზენ შთაბეჭდილებას სტოვებს, მაგალითად, დოქტორ კოლვიცის, ებრაელის და სოციალ-დემოკრატიული გაზეთის ყოფილი რედაქტორის, წამების სურათები. ...დილით, ყავის დარიგებისას, ყარაული ლენცერი იატაკზედ შიშველად დავარდნილს იპოვის კოლვიცს, ლენცერი ფიქრობს: „მაშ ჩაძაღლებულა“, მაგრამ, მიახლოვებული, ამჩნევს, რომ კოლვიცს სული უდგას ჯერ კიდევ. „ჰეი, ლეშო, ადექ! ეგ რაღა ოინია, ჰა! — ყვირის ლენცერი. კოლვიცი ამაოდ ცდილობს ადგომას ტირის, ზღუჭუნებს. მაშინ ლენცერს ახსენდება: „ჰო, მართლა! ჰმ!“ ორი კალფაქტორი[1] და ლენცერი ცდილობენ მის აყვანას. კოლვიცი საშინლად ჰყვირის. მას წინანდებურს მდგომარეობაში სტოვებენ, ქვის იატაკზე პირქვე გდებულს. შემდეგ მაინც სდებენ საწოლზე ნერვების დასამშვიდებლად რაღაც ბებს აძლევენ. მაგიდაზე გაფისული თოკი გდია და იარების დამაცხრობელი ფხვნილია. კოლვიცს ძენძს აჩეჩვინებენ და დახუთულს საკანში აუტანლად ყარს ფისი. კოლვიცი ფრთხილად ცდილობს მარცხენა გვერდზე დაწოლას; კარგი იქნებოდა ზურგზე წოლა, ტანა რომ შეიძლებოდეს. დუნდულები მას გაბერილ, მოლურჯო-შავი ფერის რაღაც მასად ქცევია. ლიბრები საშინელ ტკივილებს ჰგვრიან. მაგრამ ყველაზედ საშინლად მას მარჯვენა ფეხი სტკივა, — კვირისთავი ატკინეს სკამის ფეხით. მუხლის ქვემოთ დიდი სიმსივნე აქვს და უმცირესი მოძრაობა აყვირებს მას. ეს უკვე მესამე ღამეა, რაც მათ ხელი ჰკიდეს მას. მესამე ღამე! მან იცის, რომ მათ განზრახული აქვთ თავი ჩამოახრჩობინონ მას. აგერაა თოკიც. მრავალჯერ მიუნიშნებიათ კიდეც, მაგრამ მას არ სურს, არ სურს: მას სიცოცხლე სწყურია, მას სიცოცხლე მართებს, სიცოცხლე ბავშვთათვის, ცოლისათვის, მხოლოდ მათთვის. და უკვე არას დროს — ამხანაგებისათვის, რომელთაც, არამზადებმა,

[1] პატიმარნი, ადმინისტრაციის მიერ ციხის მოსამსახურე პერსონალის დამხმარეებად დანიშნულნი.

გასცეს იგი. ...მაგრამ, შესაძლოა, მართლაც სჯობდეს თოკის დაწვნა? არა სჯობს, რომ თვითონ მოუღოს მან ბოლო ყოველივეს? შესაძლოა მათ იქამდე სცემონ მას, ვიდრე თავისას არ გაიტანენ... ფერგადასული, ღონემიხდილი კოლვიცი უნებლიედ შესცქერის თოკს და ძენძს, რომელიც მას დაუჭეჭია. და თავისდა შეუმჩნევლად იღებს ლეიბის ქვემოდან წერილებს — ცოლის წერილები, რაოდენი სითბოა და სიყვარული ამ წერილებში, ერთგულება და თანაგრძნობა. კოლვიცმა ზეპირად იცის მათი შინაარსი. ცოლი ამშვიდებს მას და ამხნევებს. ადგილებს უწერს ,,ჩინური ლირიკიდან'' და ჰელდერლინის ლექსს ,,An der Aether''. კოლვიცი კითხულობს ამ წერილებს, კითხულობს და სტირის. შუადღეს ცირბესი შემოდის. კოლვიცს ეშინიან მისი, ტკივილის მიუხედავად დგება საწოლიდან და მთელი ტანით თრთის ცირბესი კმაყოფილად იკრიჭება: ,,ჰა! დაგამუშავეს წუხელ?'' კოლვიცს ხაფანგის ეშინიან და უარობს: „არა, ბატონო ყარაულო". — „თავს ნუ იგდებ! ჩაიხადე შარვალი! ჰო! ასე! მიჩვენე! შემოაბრუნე უკანალი, იდიოტო!" კოლვიცი უჩვენებს თავის დასისხლიანებულს სხეულს. — „ეს, ძვირფასო, — იღრიჭება ცირბესი, — ამიერიდან წარუშლელი ფერი იქნება შენი. ჩვენ, გქონდეს იმედი, ვიზრუნებთ სათანადოდ: როგორც კი გადავა, უმალვე განვაახლებთ!" ცირბესი მიდის და კოლვიცი წვება და ბედნიერია, რომ ცემას გადაურჩა, მაგრამ კიდევ დიდ ხანს თრთის... შტურმელები რომ აღებენ კარს, კოლვიცი ვალდებულია ფანჯარასთან მდგომი დაუხვდეს მათ; კოლვიცი დგას და ცახცახით იძლევა ხოლმე რაპორტს, ისე როგორც დუზენშენი მოითხოვს: „პატიმარი კოლვიცი! ებრაული ღორი; ებრაული ღორი!"... ამგვარს წამებებსა და დამცირებათ მიაქვთ კოლვიცის დღეები და ასე უახლოვდება იგი თავის საბედისწერო დასასრულს. აი, ეს დასასრულიც. დღისით ცირბესმა მას მაგარი თოკი შემოუგდო საკანში. ღამით კი მაიზელმა და ტოიჩმა დაუპირეს „შეშინება": მათ სინათლე ჩართეს მის კამერაში და საჭვრეტლიდან ადევნებენ თვალს; პატიმარი შიშისაგან გაფართოვებულს თვალებს აცეცებს და თრთოლვით უსმენს; მაიზელი მუშტს სცემს კარებში. — „ჰეჲ, კოლვიც, ადექ! მოემზადე! ჩვენ ეხლავ მოვალთ!" მაიზელი საჭვრეტიდან ხედავს, თუ როგორ ცახცახებს კოლვიცი საბანქვეშ, და სახეზე ბოროტი ღიმი უთამაშებს. — „ღორი, დედაბერივით რომ თრთის!" ტოიჩიც იჭყიტება საჭვრეტელში და ტკბება კოლვიცის სასიკვდილო შიშით. იგი ჰიპოპოტამის ძარღვის მათრახს ურტყამს კარებს: „აბა! ადექ! ორ წუთში შენთანა ვართ!" — და ხმამაღალი

სიცილით ისინი ორიენი მიდიან... მეორე დილით კი ღენცერმა თოკიდან ჩამოხსნა კოლვიცი.

ასეთია ჯოჯოხეთური წამებანი, რომელთაც ფაშისტურ საპყრობილეში ითმენენ ადამიანები. „სარდაფი უსაშინელესი ადგილია ფაშისტურ ჯოჯოხეთისა. შემდეგი საფეხურია იზოლატორი. შედარებით „კარგი" ადგილია საერთო კამერა. ბაგრამ ყოველი ამ „საფეხურთაგანი" შესაძლოა საშინელი ტანჯვის მომგვრელი გახდეს. ყოველგან, „დანაშაულის" სიმძიმის მიუხედავად, პატიმრებს შესაძლოა სიკვდილის პირამდე სცემონ, წამებით ამოხადონ სული ან თვითმკვლელობა ჩაადენინონ. ეს პერსონალის განწყობილებისაგანაა დამოკიდებული გარეშე, შემთხვევითი ცნობებისაგან, ხშირად პატიმრის პიროვნებისაგან — თუ როგორ იტანს იგი წამებას"[1], და მთავარი საშინელება ესაა: არა გარეგანი, ასე ვთქვათ, ფიზიკური მხარე ამ ჯოჯოხეთური ბაკხანალიისა, არამედ — შინაარსეული; ის, რომ ამ წამებათ მხოლოდ ფიზიკური ტკივილები როდი მოაქვთ, რომ ისინი გაცილებით შორს არიან გამიზნულნი: ის, რომ გაცილებით დიდს ტკივილს ისინი ადამიანის სულს ჰგვრიან, შეგნებასა და გრძნობას ადამიანური ღირსებისას, რომელიც ენერგიის სიტლანქით და სატანურის ცინიზმით ითრგუნება და იაფარიყოფა.

ამ საშინელებათა ხატვისას ვილი ბრედელი დიდოსტატურად სძლევს ყოველგვარ სქემატიზმს და იმ აღწერილობითსა და „შავთეთრ" ტექნიკას, რომლითაც იგი თავის ადრინდელ რომანებში განსაკუთრებით მტრული ტიპების წარმოდგენისას სცოდებდა. იგი კი არ **აღწერს** ბანაკის საშინელებათ და მათს, ასე ვთქვათ, უსულო კლიშეებს კი არ იძლევა, არამედ ცოცხალს და კონკრეტულს სახეებში განსხეულებულთ **განასახიერებს** მათ. სხვა სიტყვით: მისი კოშმარული სურათები საკონცენტრაციო ბანაკიდან წინანდებურ რეპორტიორის ჩანაწერის მინაგვარ მკვდარ, „საგნობრივ" აღწერილობებს კი არ წარმოადგენენ, არამედ ხორცშესხმულ, გრძნობად ადამიანთა ქმედების სახით წარმოიდგინებიან და აქედან იძენენ თავის სიცხოველესა და მრავალფეროვანებას, თავის მხატვრულ დამაჯერებლობას. და რაც მთავარია: ადამიანები, როგორც პოზიტიური გმირები — კომუნისტი და აგრეთვე სხვა პატიმრები, ისე ჯალათი მტერმელებიც, უკვე წინანდებურ ცალმხრივ, ტენდენ-

[1] Интернациональная литература, 1935, № 3, Андор Габор: „В. Бредель — „Испытание", გვ. 129.

ციურ ტიპებს კი არ წარმოადგენენ, არამედ მხატვრულად სრულსა და ამდენად ბუნებრივ სახეებს. მისი კომუნისტები არ არიან აუცილებლად უნაკლონი და ყველა ადამიანური ღირსების შემცველნი, მათ ადამიანური სუსტი მხარეებიც გააჩნიათ, მათ შიშიც იპყრობს ხოლმე, თვით ტორსტენსაც კი! მათ ტირილიც შეუძლიანთ და სასოწარკვეთილებაც, ზოგჯერ სულმოკლეობასაც იჩენენ, როგორც ტეცლინი. ამდენად მათი გმირობა პოსტულატური ფორმულა როდია — იგი ცოცხალ ადამიანში გრძნობათა ურთიერთშორის და ნებისყოფასთან წარმოებული მძიმე ჰიდილის მონაპოვარია. ასევე, მისი ჯალათებიც, მთელი თავისი უკაცურობის, არაადამიანური სიმახინჯის მიუხედავად, მაინც ადამიანურნი რჩებიან. ვილი ბრედელი აქ ტიპიურისა და ინდივიდუალურის მხატვრულად შეზავების იშვიათ ოსტატობას იჩენს. „მხოლოდ პირველის შეხედვით ჩანს ყველა ეს შტურმელი ერთმანეთს დამგვანებული თავისი მხეცური დრუნჩებით. — სწერს ანდორ გაბორი. — მართალია, გარეგნულად ისინი ერთნაირად ტლანქნი და ულმობელნი არიან, მაგრამ სავსებით განესხვავებიან ერთმანეთს, როგორც ინდივიდუუმები. მართალია, ისინი მოჩვენებით ერთიან ფრონტს ჰქმნიან პატიმართ წინააღმდეგ, მაგრამ დაკვირვებული თვალი ამ ერთიანობაში ნაბზარებს შენიშნავს: ამ ერთიანი ფრონტის კულისებს უკან ყოველის ყველას წინააღმდეგ ბრძოლა წარმოებს. ეს უთანხმოებანი ფაშისტთა რიგებში კარგი მარქსისტული მეთოდებითაა გახსნილი: წინააღმდეგობანი ყოველი შტურმელის საზოგადოებრივს ყოფასაა დამყარებული ცალკეულად და ამ საფუძველზე შლის ბრედელი თავის გმირთა სოფლმხედველობის სხვადასხვა ნაკუანსებს“ [1]. ანდორ გაბორი აქ ვილი ბრედელის მიერ ფაშისტური მასის ინდივიდუალიზირების მხოლოდ პოლიტიკურ მხარეს აღნიშნავს და არაფერს ამბობს მისი მხატვრული მხარისათვის. მაგრამ ვილი ბრედელის მხატვრული სიძლიერე სწორედ ის არის, რომ ამ მახვილს პოლიტიკურ დიფერენკირებას იგი ფსიქოლოგიურ საფუძველზე ახდენს, რომ პოლიტიკური მომენტი მა'ს შიშვლად კი არ წარმოუდგენია ამჯერად, როგორც თავის ადრინდელ რომანებში, არამედ ფსიქოლოგიურ პრიზმში გარდუტეხია, რითაც მისთვის ზორცი შეუსხამს და სიცხოველე შთაუნერგავს. სწორედ მხატვრულ-ფსიქოლოგიური ინდივიდუალიზირების ოსტატობას უქებს ვილი

[1] Интернациональная литерктура, 1935, № 3, Андор Габор: „В. Бредель — „Испытание“, გვ. 130.

ბრედელს ერნსტ ოტვალტი: „საკონცენტრაციო ბანაკში მოღვაწე შტურმელთა განსახიერებანი, — წერს იგი, — სინამდვილის ნათელსა და სრულ სურათს იძლევა. აქ არიან ბლაგვი სოლდათებიც (d. sturen Soldaten) და გალოთებული არამზადებიც, სანტიმენტალური „კარგი ბიჭიც“, რომელიც მკრუნჩხავს სიმხეცეში ჩაფლულა, და ცივი კარიერისტიც, რომლისთვის გარდა საკუთარი წარმატებისა არაფერია ღირებული; აქ არიან გაბუდაყებული „შტაატსრატი და ლაგერკომენდანტი“ და SA-შტურმფიურერი, რომელიც, ბანაკში ფერშლად მყოფი, ფარულს დისკუსიებს აწარმოებს კომუნისტებთან და უადვილებს მათ ყოფას, სადაც კი საშუალება ეძლევა. ყველა ეს ფიგურა, — ასკვნის ოტვალტი, მკვეთრად და პლასტიკურად ნახატია და მაჩვენებელია პროლეტარული მწერლის უტყუარი მსვლელობისა სიტყვის, ლიტერატურულ ფორმათა დაუფლებისაკენ, მისი გზისა კვალიტეტისაკენ [1].

ფაშისტ ჯალათთა სიმხეცე იმდენად ველურია, მათი ცინიზმი იმდენად მდაბალი, რომ გაოცება გიპყრობს და ეჭვი: რა მიზანი უნდა ჰქონდეს, ან რა აზრი ამ უჯვანოთა მძვინვარებას. მაგრამ მას აქვს გარკვეული მიზანი და აზრი, თუმც იმდენადვე უგუნური, რამდენადაც ბოროტი. ელერნჰრუზენი ასეთ განმარტებას აძლევს დუზენშენს: „ბანაკი არც ციხეა და არც გამასწორებელი სახლი: იგი თავის განსაკუთრებულ ამოცანებს უნდა ასრულებდეს... იგი სახელმწიფოს ყოველ მტერს შიშს უნდა უნერგავდეს და თავზარს სცემდეს. ვინც თუნდაც ერთხელ ყოფილა აქ, იგი თავის უკანასკნელ დღემდე ძრწოლით უნდა იხსენებდეს აქ გატარებულ დროს. ჩვენ არ შეგვიძლია დარწმუნებით ვიმოქმედოთ ამ აშკარა სახელმწიფოებრივს ბოროტმოქმედებზე, — ამან დაამარცხა სწორედ ჩვენი წინამორბედნი, — ჩვენ მათი ტერორიზირება გვმართებს, იმგვარი ტერორიზირება, რომ მათ კვლავ ვერასოდეს გაბედონ სახელმწიფოზე ხელის აღმართვა“. და ვილი ბრედელის „გამოცდის“ ძალა და ღირებულება დიახაც ის არის, რომ იგი მხოლოდ ფაშისტთა უგვანობასა და ბოროტებას კი არ წარმოადგენს, არამედ აგრეთვე ძლიერი მხატვრული საშუალებებით ნათლჰყოფს კომუნისტთა „დაშინების“ და გატეხის ამ „ფილოსოფიის“ მთელს უბადრუკობასა და ამაოებას.

ფაშისტთა ჯალათური ტერორი აბსოლუტურად უძლური რომ არის კომუნისტთა რწმენისა და ნებისყოფის წინაშე, ამას უკვე

[1] *Internationale Literatur*, 1935, № 2, გვ. 111.

ტორსტენისა და კრაიბელის ხასიათები ხდიან უცილობელს. მაგრამ კრაიბელი იზოლატორიდან საერთო კამერაში გადაჰყავთ და აქ იშლება ფართო და სრული პანორამა კომუნისტთა მასის ბრძოლისა, რომელიც საუკეთესო საწინდარია იმისა, რომ ფაშისტური ტერორი, მთელი თავისი მძვინვარე ულმობელობის მიუხედავად, ან და, პირიქით, სწორედ თავისი ჯოჯოხეთური ბოროტების ძალით, მარცხისათვის არის განწირული, მარცხისათვის, რომელიც თვით ფაშისტური რეჟიმის გახწირულებას მოასწავებს.

„კომუნისტებს ბანაკში ერთად უჭირავთ თავი, ისინი მხარს უმაგრებენ შეტორტმანებულთ, წვრთნიან გამოუცდელთ, იპყრობენ ნეიტრალურთ და თვით მეციხოვნეებზედაც ზემოქმედებენ, შლიან რა მათ რიგებს". „კომუნისტთა კამერა გვიჩვენებს, თუ როგორ რჩებიან კომუნისტები ბანაკის საშინელს პირობებში აქტიური კლასობრივი მებრძოლნი, თუ როგორ უსწორდებიან ისინი ბანაკის კედლებს მიღმა მიმდინარე მოვლენებს, თუ როგორ ხმარობენ ისინი ყოველ ღონეს იმისათვის, რათა ბანაკშიც იმ პოლიტიკურს სიმაღლეზე შეინარჩუნონ თავი, რომელზედაც თავისუფლებაში მდგარან. ბრედელის რომანის საუკეთესო ადგილებს ეკუთვნიან სცენები, სადაც ბანაკში ერთიანი ფრონტის ტაქტიკის გატარებაა წარმოდგენილი" [1].

კომუნისტთა შეურიგებელი, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ფაშიზმთან ერთი წამითაც არ წყდება, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ფულსბჯუტელის მაღალი კედლებით არიან მოწყვეტილნი მთელ ქვეყანას და სიკვდილის ზღურბლზე დგანან. თუმც თავისუფალ ქვეყანას ისინი მხოლოდ ფიზიკურად არიან მოწყვეტილნი. კომუნისტთა და მათთან ერთად სხვა პატიმართა განსაცდელში მხოლოდ კონცლაგერის საშინელებანი კი არ ჰპოვებენ გამოხატულებას, არამედ აგრეთვე იმ დროს გერმანიასა და ევროპაში მომხდარი ყველა მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენაც აირეკლება: ფაშისტების მიერ 1933 წლის სექტემბერში გათამაშებული „სახალხო არჩევნების" კომედია, 1934 წლის პარიზისა და ვენის მუშათა რევოლუციური გამოსვლები; პოლიტიკური დისკუსიები, რომელთაც საერთო კამერაში აქვთ ადგილი, თუმც რამდენიმედ დიდაქტიკურნი, მაგრამ რომანის მოქმედებას უშუალოდ დაკავშირებულნი, მსოფლიო პოლიტიკის ყველა უმთავრეს და საჭირბო-

[1] Интернациональная литература, 1935, № 3, Андор Габор: „В. Бредель — „Испытание", გვ. 125.

როტო პრობლემას შეეხება. ამრიგად კომუნისტთა მიერ ბანაკში წარმოებული ბრძოლა მხოლოდ ახალ პირობათა შესატყვისს განგრძობას წარმოადგენს იმ ბრძოლისას, რომელსაც გერმანელი პროლეტარიატის რევოლუციური ნაწილი ეწევა კომუნისტური პარტიის თაოსნობით.

მეორე მხრით, საკონცენტრაციო ბანაკის რეჟიმიც არ აქვს აღქმული და წარმოდგენილი ვილი ბრედელს, როგორც საერთო ვითარებისაგან მოწყვეტილი რაღაც, როგორც რაიმე გამონაკლისი თუ ანომალია. საშინელებანი, მის ატრიბუტს რომ შეადგენენ, თვითმიზანს როდი წარმოადგენენ, არამედ — გარკვეულ სოციალურ ფუნქციას. და ამდენად მის კედლებში, თითქოს რაკურსში, მთელი ფაშისტური გერმანია განსახიერდება.

ესაა განსაკუთრებით ღირებული ვილი ბრედელის „გამოცდაში": აქ ადამიანები, როგორც ანდორ გაბორი ამბობს, „ისე იტანჯებიან, რომ მათში, როგორც სარკეში, აირეკლება „მესამე იმპერიის" მთელი ძაღლური ცხოვრება და რომ ისინი რევოლუციის ავანგარდის დიად სიმბოლოდ წარმოსდგებიან" [1]. და ვილი ბრედელიც ამით ორმაგად იმარჯვებს ბრწყინვალედ — როგორც პოლიტიკური მებრძოლი და როგორც მხატვარი: ინდივიდუალური აქ ისე შეერწყმის ტიპიურს, კერძო — ზოგადს, რომ მხატვრული ორგანულად გადაიზრდება პოლიტიკურში და, პირუკუ, პოლიტიკური — მხატვრულში. „აქცენტი — წერს ერნსტ ოტვალტი — ადგილს ინაცვლებს: საკონცენტრაციო ბანაკი აღარ წარმოადგენს უკვე ადგილს, სადაც მშრომელნი განკაცებულ და ფსიქიატრიული ხერხებით საცნაურ არამზადათა თარეშის წამებული და მთმენი მსხვერპლნი არიან, არამედ ბრედელის განსახიერებით იგი კლასობრივი ბრძოლის ერთერთ უბნად იქცევა, სადაც მუშათა კლასის უმამაცესი, უერთგულესი, უმტკიცესი და უდრეკი მესვეურნი თავის მაღალს ღირსებას იცავენ, აღსავსენი ნათელი შეგნებით თავისი ისტორიული მოწოდებისა, იყონ მესვეურნი მთელი კაცობრიობისა. ესაა განსაკუთრებული ღირსება ამ წიგნისა — რომ ვილი ბრედელი დეკლამატორულ-ჰუმანიტარული ბრალმდებლობით კი არ სცოდავს, არამედ, როგორც სოციალისტური რეალისტი კერძოობითში საზოგადოს განასახიერებს" [2].

---

[1] Интернациональная литература, 1935, № 3, Андор Гъбор: „В. Бредель" — Испытание", გვ. 128.

[2] *Internationale Literatur*, 1935, № 2, გვ. 107.

ასე უპირისპირდება ერთმანეთს ბრედელის „გამოცდაში“ ორი ძალა, ადამიანთა ორი გვარი და ორი მორალი: ერთი — შინაგანი მძლეობისა და დიდების შარავენდედ-მოსილი, და მეორე — უგვანობისა და სიმდაბლის ნიშნით დადაღული; ერთი — ადამიანობის მაღალი და კეთილშობილი საწყისის განმცხადებელი, და მეორე — ცხოველური კაცთმოძულეობისა და სულიერი სიპარტახის მომასწავებელი.

ამ კონტრასტის ნათელსაყოფად, მოვიყვან ერთს მხატვრულად და იდეოლოგიურად ბრწყინვალე ეპიზოდს „გამოცდიდან“. საკონცენტრაციო ბანაკს მაღალი ფაშისტი მოხელე სტუმრებია. იგი პატიმართა ყოფას „ეცნობა“. ელერნჰრუზენთან და დუზენშენთან ერთად შედის იგი ტორსტენის საკანში. კომენდანტი ეკითხება ტორსტენს: — როგორ გრძნობთ თავს? — კარგად — უპასუხებს ტორსტენი. — ხომ არაფერს უჩივით? — არა. — ავად ხომ არა ხართ? — არა. აქ სტუმარი რამდენიმე ნაბიჯს გადადგამს წინ და დაღლილის ხმით მიმართავს ტორსტენს: „ეს ჩვენ გექცევით თქვენ ასე. თქვენ რაღას გვიზამდით ჩვენ?“... შემდეგ ისინი კრაიბელის საკანში შედიან. კრაიბელი ლოგინად წევს, მას ძლიერი ხურვება აქვს. — თქვენ გაცივდით? — კითხულობს სტუმარი. — დიახ. — თქვენ გიწევენ საექიმო დახმარებას? — დიახ. — ჩვენ ასე გექცევით თქვენ. ხოლო თქვენ რაღას გვიზამდით ჩვენ?.. ამავე კითხვით მიმართავს იგი თავისი დაღლილი, მტირალი ხმით საერთო კამერის პატიმართაც, რადგან მოისმენს, რომ მათგან მხოლოდ შვიდს სჭირს გრიპი, რომელთაც კარგად უვლის ფერშალი... და ამ დღის საღამოს არა ერთი ათეული პატიმარი დაფიქრდა იმისათვის, თუ რას უზამენ ისინი ფაშისტებს, როდესაც ძალაუფლებას მუშათა კლასი იგდებს ხელთ. „...ეს საშინელებანი აუცილებელნი იყვნენ,— ფიქრობს ტორსტენი. — გერმანელ მუშებს აკლდათ სიძულვილი თავისი კლასობრივი მტრისადმი. სისხლოვანი სკოლა აუცილებელია პროლეტარიატისათვის, რათა მან იარაღი აიღოს ხელთ...“, კამერაში დიდხანს გრძელდება ცილობა. არიან კიდევ მრავალნი, ვინც ინდივიდუალურს შურისძიებას სცნობს, თვლის, რომ ბოროტებას ბოროტება უნდა მიეზღოს. პატიმრები საათობით მსჯელობენ კითხვისათვის: ვცემდეთ იქნება თუ არა ჩვენს დაპატიმრებულს მტრებს? ერთნი ხმამაღლივ და ცხარედ აცხადებენ, რომ ცემაც, ბნელი კარცერებიც და სულიერი წამებანიც — ყოველივე ეს ფაშისტებმა თვითონ უნდა იგემონ. ვიღაცას წინადადება შემოაქვს, რათა ფარულმა კენჭისყრამ გადასწყვიტოს ეს საკითხი. და კენჭისყრის შე-

დეგიც ასეთია: ოცდაჩვიდმეტი ამხანაგიდან კენჭი ოცდახუთმეტმა ჰყარა, ამათგან ოცდაცამეტი დახვრეტის მომხრეა, ერთი — ჩამოხრჩობისა და ერთიც — სიკვდილამდე ცემისა... და ველზენს, ძველ სოციალ-დემოკრატს, ბანაკში კომუნისტად ქცეულს, ძილი გაურბის ამ საღამოს: იგი იმ საშინელებებზე ფიქრობს, რომელნიც მის ამხანაგებს განუცდიათ და იმაზე, რომ ამ საშინელებათათვის სამაგიეროს მიზღვევა მხოლოდ ერთს სურს, ოცდაცამეტი კი თაკილობს ამას, რომ ოცდაცამეტი ამ საკითხში მტკიცეა, შეუბრალებელი, მაგრამ არა მხეცი. „ამხანაგებო! — სურს მას იყვიროს, — ამხანაგებო! მე მიყვარხართ, უსაზღვროდ მიყვარხართ თქვენ და მე ბედნიერი ვარ, რომ თქვენს რიგებში ვიმყოფები, ამხანაგებო! თქვენ მართალნი ხართ: ქვეწარმავალნი უნდა გასრესილ იქმნან, მაგრამ ისინიც კი არ უნდა იქნან წამებულნი“...

ასე იმარჯვებენ მორალურად ისინი, ვინც საკონცენტრაციო ბანაკში სიკვდილის პირზე არიან მიმდგარნი, იმათზედ, ვის მხარეზეც უხეში ფიზიკური ძალის უპირატესობაა, მაგრამ რომელნიც თავისი შინაგანი უგვანობით არიან დასაღუპავად განწირულნი ფესვებიდან სიდამპლე-შეპარული ხის მსგავსად.

გადის საშინელი თვეები ვალტერ კრაიბელის პატიმრობისა, ტანჯვისა და ბრძოლის მძიმე ხანი. ბრძოლისა სიცოცხლისათვის და რწმენისათვის. დადგა მისი განთავისუფლების დღე. ჯალათებს გადაუწყვეტიათ, რომ კრაიბელი უკვე საკმარისადაა „დამუშავებული“, გატეხილი და მოთვინიერებული, რათა მას „ეშმარიტი“ ანუ „მესამე იმპერიის“ გერმანელის უფლებანი მიენიჭოს. ვალტერ კრაიბელი ელერნჰრუზენის წინაშე დგას და მისგან უკანასკნელ დარიგებას ისმენს — „საგზურს ცხოვრებისათვის“. — „მაშ, კრაიბელ, გინდა დედასთან?“ — „დიახ, ბატონო კომენდანტო!“ — „მე სიამოვნებით გიშვებ, მაგრამ არა მსურს კვლავ მოგესალმო აჰ... ეს მეტად მწარე იქნება შენთვის“. კრაიბელი სდუმს. — „გირჩევ, განაგრძობს ელერნჰრუზენი, ყოველივე დაივიწყო, რაც უკან მოგიტოვებია. ესაა ცხოვრების უმაღლესი ხელოვნება — დაივიწყო ყოველივე ცუდი და კარგი გახსოვდეს. ენას კბილი დააჭირე, ჩვენ არ მოგცემთ ჩვენთან მასხრობის უფლებას. ეს იყო გამოცდა. ახლა კი გადაწყვეტილების მიღება გმართებს შენ. მუდამ გახსოვდეს: ჩვენ ყოველი თანამემამულისათვის ვიღწვით, იმათთვისაც კი, ვის მიმართაც მკაცრი ზომების მიღება დაგვჭირვებია. ახლა კი გასწი!“

...ვალტერ კრაიბელი ოფლად გაღვრილი მირბის ფულსბჲუტელის შოსეზე. იგი არც მარჯვნივ იხედება, არც მარცხნივ, — წინ.

გარბის. მას საშინელი შიში მიერეკება: ვაი, თუ ყოველივე ეს შეცდომაა და იგი კვლავ დააბრუნეს?.. მის თვალწინ ყოველივე ცურავს. მის ტვინში მხოლოდ ერთი აზრი ტრიალებს: იგი თავისუფალია! ხსნილი! სახლისაკენ! იგი კიდევ ერთხელ მოაელებს თვალს გლუ კედლებს, ოთხკუთხ გისოსებიანს ფანჯრებს ციხისას. ო! კვლავ არასდროს! არასდროს დაბრუნდება ის მანდ! იგი თავისუფლად მიაბიჯებს ასფალტზე. შეუძლია იქ წავიდეს, სადაც კი მოესურვება. ცხოვრებამ კვლავ მიიღო იგი თავის წიაღში... მაგრამ მართლაც თუ შეცდომა მოხდა? კრაიბელს აცხელებს და აცივებს ეს ეჭვი. მასში ყოველივე ირევა: სიხარული და შიში. მას არ სჯერა თავისი ბედნიერების. დაბრუნება თუა საჭირო — სჯობს ეხლავ დაბრუნდეს იგი. სჯობს არ მიეჩვიოს კვლავ თავისუფლებას. მაგრამ... სულაც აჯობებს, თუ არ დაბრუნდება. არასდროს! იგი უკვე შორს დაიჭერს თავს პოლიტიკისაგან! ახლა მას შეებულება ეკუთვნის. პირველხნობით უნდა გამოვიდეს იგი მწყობრიდან. მას აქვს ამის უფლება, რადგან ეს არის რაც ამოძერა იგი საფლავიდან... იგიც ადამიანია ბოლოს და ბოლოს და მასაც აქვს უფლება სიცოცხლეზე...

ასე იჭრება ფაშისტური ჯოჯოხეთიდან განთავისუფლებული ვალტერ კრაიბელის წინაშე უმძიმესი დილემა — სიცოცხლე შეინახოს, პირადი ბედნიერება დაიმკვიდროს პოლიტიკურ ბრძოლაზე ხელის აღებით, თუ კვლავ პარტიულ მუშაობაში ჩაება, თავისი ბრძოლა განაგრძოს, რაც თითქმის უთუოდ შეიწირავს მის პირადს კეთილდღეობას და სიცოცხლესაც კი. ვალტერ კრაიბელის სულში საშინელი ბრძოლა მიდის, საპირისპირო გრძნობათა და აზრთა გაფთრებული ჰიდილი. როგორი უნდა მიიღოს მან გადაწყვეტილება? ხომ არ უნდა დაჰმონდეს იგი ელერნჰრუზენს — უღალატოს თავის მოწოდებას, თავის მოვალეობას, შებღალოს თავისი სინდისი და ადამიანური ღირსება? ეს მას სიმშვიდეს მოუტანს, სიცოცხლეს შეუნარჩუნებს. უღირსი და უბადრუკი იქნება მისი ყოფა, მაგრამ იგი ცოცხალი დარჩება და კვლავ არასდროს იგემებს საკონცენტრაციო ბანაკის საშინელებათ. რა იქნება მისი არჩევანი? ამ არჩევანისათვის ბრძოლა ვალტერ კრაიბელის სულსა და მრწამსს არა ნაკლებ სიმტკიცეს და მძლეობას სთხოვს, ვიდრე უკვე გარდახდილ წამებათა ატანას სჭირდებოდა. და ამ არჩევანისათვის ბრძოლაში წარმოდგება ჩვენ წინაშე მთელი თავისი სიდიდითა და მიმზიდველობით ვალტერ კრაიბელის, ჰეშმარიტი კომუნისტის, შეუდრეკელი მებრძოლის, გმირული სახე.

ვალტერ კრაიბელის სულში ამ გადამწყვეტი ბრძოლის, მისი რწმენის უმძიმესი გამოცდის შესახებ მოგვითხრობს ვილი ბრედელი თავისი წიგნის უკანასკნელ თავში და ამ თავში აღწევს ვილი ბრედელის რომანი თავისი იდეოლოგიური მნიშვნელობისა და მხატვრული ძლიერების მწვერვალს.

„პოლიტიკურად ყველაზედ ღირებული თავი: ,,გადაწყვეტილება'', — წერს ანდორ გაბორი, — დამარწმუნებლად გვიჩვენებს, თუ რაოდენ მჭიდროდ უკავშირდება ურთიერთს თხზულების შინაარსი და ფორმა, თუ როგორ ხდის იდეოლოგია თითქოს და ფორმის პრობლემებს ცენტრალურ პრობლემებად შინაარსისა. — როგორ უნდა დაითავრებულიყო ბრედელის რომანი ბურჟუაზიული ესთეტიკის ყველა კანონის მიხედვით? როგორი იქნებოდა ,,ბედნიერი დასასრული'', რომელიც ბურჟუაზიულ მკითხველს დააკმაყოფილებდა? — წამებული განთავისუფლებულია და შეჰხარის თავის ახალს ცხოვრებას, რომელსაც არ ამწარებს გისოსი, ციხის კედლები, წამება, ყოველწამიერი სიფრთხე სიკვდილისა. მოზეიმე ვალტერ კრაიბელი თავისუფალია, საყვარელ ცოლთან ერთად მას შეუძლია დაიწყოს დარდით აღსავსე, მაგრამ, ბანაკის ყოფასთან შედარებით, ესოდენ მშვენიერი ცხოვრება! ავტორი, რომელიც დამკვირვებლის თვალსაზრისით სწერს, ბანაკის საშინელებათა შემდეგ წარმოადგენდა თავისუფალ ცხოვრების ნათელს ბედნიერებას და ამით თავის რომანს ბუნებრივ კომპოზიციურ დაბოლოებას მისცემდა. მართალია, ვალტერ კრაიბელი განთავისუფლებულია და მას შეუძლია დაუბრკოლებლად დატკბეს თავისი მშვიდი ცხოვრებით (განთავისუფლებისას მას საკმაოდ ცხადად განუმარტეს, თუ რა უნდა და რა არ უნდა ჰქნას მან), მაგრამ იგი ისევე ნაკლებადაა ამ ,,ბედნიერებით'' დაკმაყოფილებული, როგორც მკითხველიცვინ არის იგი? განა არის იგი ,,ადამიანი საზოგადოდ?'' განა მოიძევება ასეთი სადმე? განა შესაძლებელია იყოს ასეთი ,,მესამე იმპერიაში?'' ფაშისტებს რომ შესძლებოდათ ცემით ვალტერ კრაიბელის მიყვანა იქამდე, რომ განთავისუფლების შემდეგ იგი მთელის არსებით დაეწაფებოდა ადამიანურს ბედნიერებას მხოლოდ იმიტომ, რომ მას მეტს აღარ სცემენ, მაშინ ფაშიზმი თავის მიზანს მიაღწევდა და ჩვენც ,,ბედნიერს დასასრულს'' მივიღებდით ბურჟუაზიის, მჩაგვრელთა კლასობრივის გაგებით. მაგრამ ვალტერ კრაიბელი არ არის ,,ადამიანი საზოგადოდ'', არამედ პროლეტარი, შეგნებული, რევოლუციონერი პროლეტარი, მებრძოლი, კომუნისტი. ეს ფაქტი, კლასობრივი საზოგადოების სინამდვილის წარმომდგენი, არღვევს

ბურჟუაზიული ესთეტიკის კონიუნქტურულ კანონებს. რომანი გაგრძელებულ უნდა იქნას და ბრედელს მტკიცე ხელით მიჰყავს ის ბოლომდე. „თავისუფლებაში“ ვალტერ კრაიბელი მოუსვენარი, მწვალებლური ყოფით ცხოვრობს, გაურბის სასიხარულო ოჯახურ ბედნიერებას, ებრძვის თავის თავს და ცოლს. პოლიტიკურად და ამიტომ მხატვრულადაც ერთადერთ სწორ, რომანის იდეოლოგიური შინაარსის და კრაიბელის პიროვნების შესატყვის დასასრულს რევოლუციური დასასრული წარმოადგენს: ვალტერ კრაიბელი სტოვებს „ოჯახურ ბედნიერებას“ და უბრუნდება პარტიულ მუშაობას... პროლეტარული მებრძოლი კვლავ დგება გზაზე, რომელსაც შეუძლია ისევ მიიყვანოს იგი საკონცენტრაციო ბანაკში...“[1].

ამგვარად შეიცავს ვილი ბრედელის „გამოცდა“ დიდს საბრძოლო იდეას, იდეას ჭეშმარიტი ცხოვრებისათვის თავგანწირვისა. ერნსტ ტორსტენს, ვალტერ კრაიბელს და მათი გვარის პროლეტარულ მებრძოლთ მგზნებარედ უყვართ სიცოცხლე, სწყურიათ იგი. მაგრამ მხოლოდ სიცოცხლე — ჭეშმარიტ ცხოვრებად ქმნილი. მათ იმიტომ უყვართ და სწყურიათ სიცოცხლე, რომ იგი პირველი პირობაა და საწინდარი ჭეშმარიტი ცხოვრების მოპოვებისა, მათ მით უფრო უყვართ და სწყურიათ სიცოცხლე, რომ ყოველ ნაბიჯზე და ყოველ წუთს სწირავენ მას და მზად არიან მრავალჯერ გასწირონ კიდევ და რაც დიდია საფრთხე, რომელიც მათს სიცოცხლეს უქადის, მით ძლიერია რეაქცია: მტკიცე გადაწყვეტილება სიცოცხლის გაწირვისა ჭეშმარიტი ცხოვრების დიადი იდეალისათვის. და რაც უფრო სანატრელი ხდება სიცოცხლე ფაშისტურ ჯოჯოხეთში, მით უფრო იზრდება გაბოროტება მის დამთრგუნველთა, ფაშისტ ჯალათთა მიმართ. ამით სიცოცხლის წყურვილის მოტივს ვილი ბრედელის გმირები ბრძოლაზე ხელის აღებისაკენ კი არ მიჰყავს, არამედ, პირიქით, იგი ბრძოლის სტიმულს წარმოადგენს მათთვის. ამით სიცოცხლის შენახვის ცხოველური ინსტინქტი, სწორედ ფაშისტთა სადიზმს რომ ასაზრდოებს, ტორსტენისა და კრაიბელის გმირულ სულში გარდაიქცევა ამაღლებულ ქმედებად ადამიანური ნებისყოფისა — სიცოცხლის ნებად ცხოვრებისათვის ბრძოლაში.

ამდენად ვილი ბრედელის „გამოცდა“ არ არის წიგნი, მხოლოდ ფაშისტური კონცლაგერის საშინელებათა აღმნუსხველი და გერმანელ კომუნისტთა ბრძოლის მომთხრობელი, არამედ აგრეთვე არის

[1] Интернациональная литература, 1935, № 3, Андор Габор: „В. Бредель — „Испытание“, გვ. 130.

იგი წიგნი ბრძოლისათვის მომწოდებელი და ამამხედრებელი. და ვილი ბრედელიც, როგორც მისი ავტორი, მხოლოდ მწერალი როდია, არამედ აგრეთვე პარტიული მუშაკი, რომელიც კალმით ხელში იმავ საქმეს განაგრძობს, რომელსაც თავის სიჭაბუკეში სწირავდა სიცოცხლეს და რომლისთვისაც მისი თანამებრძოლნი ახლაც სწირავენ სიცოცხლეს.

ამიტომ მას სრული უფლება ჰქონდა, თავისი ,,გამოცდა'' რომ მიუძღვნა:

,,გმირებს ჰამბურგის პროლეტარიატისას, ამხანაგებს ჰამბურგში სიკვდილით დასჯილთ, ამხანაგებს წამებით თვითმკვლელობამდე მიყვანილთ, ამხანაგებს, რომელნიც ფულსბიუტელის საკონცენტრაციო ბანაკში და ჰამბურგის სხვა ციხეებში იტანჯებიან, და ამხანაგებს, რომელნიც სასიკვდილო საფრთხისა და ტერორის მიუხედავად, მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლას განაგრძობენ''.

IV

ვილი ბრედელის მეორე დიდი ანტიფაშისტური რომანი — „შენი უცნობი ძმა'' — უშუალოდ ,,გამოცდის'' თემას განაგრძობს — თემას გერმანული პროლეტარიატის კომუნისტთა მეთაურობით თავგანწირული და ამაღლებული ბრძოლისას სისხლოვან ფაშიზმთან თავისუფლებისათვის და ადამიანური ცხოვრებისათვის.

ამ რომანის გმირები არიან ჰამბურგელი მუშები არნოლდ კლაზენი, ახალგაზრდა მაგრამ გამოცდილი პარტიული ფუნქციონერი, რომელსაც უკვე გამოუცდია ფაშისტური ჯოჯოხეთი, და კარლ ფიშერი, რომელიც ახლახან დამდგარა განსაცდელით აღსავსე მაგრამ კეთილშობილს გზაზე კომუნისტური ბრძოლისა. ამ ახალგაზრდა მებრძოლთა თავგადასავლის ძაფზე ვილი ბრედელს ოსტატურად აქვს ასხმული დიდად მხატვრული ეპიზოდების მძივი, რომელიც სრულსა და კოლორიტულ ანარეკლს იძლევა ფაშისტური გერმანიის დუხჭირი სინამდვილისა და გერმანიის პროლეტართა და კომუნისტთა ფაშიზმის წინააღმდეგ შეუპოვარი ბრძოლისა.

ეს ბრძოლა, ულმობელი და მკაცრი, შეუდრეკელი და თავაღებული, ერთი წამითაც არ წყნარდება და ცხოვრების ყოველ უბანზე ვრცელდება, იგი წარმოებს ღამით და დღისით, ქარხანაში და ქუჩაში, ოჯახში და სამხედრო ნაწილებში, ლეგალურად და ჰერ-ქვეშ.

16. ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, ტ. VII, 1947.

განასახიერებს რა ამ ტოტალურ ბრძოლას ფაშიზმის წინააღმდეგ, ვილი ბრედელი ახალ ესთეტიკურ მთელში უყრის ინდუსტრიული, საყოფაცხოვრებო და პოლიტიკური რომანების ელემენტებს და მაღალი პროლეტარული რომანის ჟანრს განახორციელებს.

და ამ საყოველთაო ბრძოლის ფონზე მკვეთრად და ცოცხლად გამოიკვეთება ფიგურები გმირული ნებისყოფის ადამიანთა — ხალას კომუნისტთა — ა რ ნ ო ლ დ კ ლ ა ზ ე ნ ი ს ა, და კ ა რ ლ ფ ი შ ე რ ი ს ა. მათი რკინისებური რწმენა და მგზნებარე ენთუზიაზმი არავითარი დაბრკოლების, არავითარი გამოცდის წინაშე არ დრკება. ამგვარი ნებისყოფის, რწმენისა და ენთუზიაზმის პატრონნი უძლეველნი არიან. და არნოლდ კლაზენი და კარლ ფიშერი ამას უცილობელს ჰყოფენ თავისი სარჯელით.

არნოლდ კლაზენს ჩვენ იქიდან ვეცნობით, სადაც ვალტერ კრაიბელი დაესტოვეთ: მასაც გაუვლია კონცლაგერის ჯურღმულები და ჯერ კიდევ ვერ დაუძლევია შიში მათ მიმართ. კრაიბელის მსგავსად, იგი არჩევანის წინაშე დგას. და ამ არჩევანს მისი ნებისყოფა ახდენს. ასე იწყება რომანი: ,,არნოლდ კლაიზენს უყვარს სიცოცხლე, განსაკუთრებით უყვარს მას შემდეგ, რაც შეიცნო, თუ რაოდენ ადვილად შეიძლება მისი დაკარგვა; მგზნებარედ უყვარს მას შემდეგ, რაც ყოველ წუთს სწირავს მას''... ,,იგი ფიქრობდა: ჩემი ჯერიც რომ დადგება და მეორედ რომ ჩავუვარდები მათ ხელთ, აღარ იქნება ჩემი დანდობა''... ,,იგი გააფთრებით ებრძოდა ამ მტანჯველ ფიქრებს, მათ არ ემონებოდა. და ახლა, როდესაც მას ჟრუანტელასა ჰგვრის მათი მოახლოება, უკვე იცის მან, რომ შესწევს მათი დაძლევის უნარი''... ასე უბრუნდება იგი თავის საბრძოლო საქმეს. ჰამბურგში მას აღარ დაედგომება და იგი ბერლინს მიდის. აქ მთელი თავისი ახალგაზრდული ენერგიით ებმება იგი პარტიის არალეგალურს მუშაობაში. ახალსა და ახალს, სულ უფრო რთულსა და საპასუხისმგებლო დავალებებს აკისრებს მას ორგანიზაციის ხელმძღვანელი ს ტ ე ფ ა ნ ი, ბრედელის მიერ ცოცხლად დახატული სპეტაკი, სადა და მამაცი ადამიანი, გულისხმიერი მეგობარი და გონიერი ამხანაგი. არნოლდ კლაზენი პროვოკატორს აღმოაჩენს ორგანიზაციაში, მაგრამ ვიდრე გაამჟღავნებდეს მას, თვითონ ხდება მისი მსხვერპლი. ასე აუხდება მას ის, რისიც ეშინოდა: იგი მეორედ უვარდება ხელთ სადისტებს. ბერლინის გესტაპოს ციხეში მას საგანგებო რეჟიმს უქმნიან: ყოველ მესამე დღეს აშიმშილებენ და ყოველ მეათეს უმოწყალოდ სცემენ; ხელებზე მას

პორკილები ადევს. ასე გადის ნახევარი წელი და სიცოცხლითა და ენერგიით სავსე არნოლდ კლაზენი დამჭკნარ, გასავათებულ, მიხრწნილ მოხუცად იქცევა. მაგრამ სული მას წინანდებურად ჰაბუკური, უტეხი და მხნე რჩება. მას სიტყვაც ვერ დააცდენინეს. თვით ობერუჯალათს, ინსპექტორ ტრაუზენს ჰგვრის ჟრჟოლას გვემა, რომელიც არნოლდ კლაზენს აუტანია: ,,ღმერთო! — აღმოხდება მას — იგი ცოცხალია კიდევ!.. რაღა ადამიანები არიან ისინი, ამ დღეში მყოფთ რომ რჩებათ კიდევ სიყვიუტის უნარი?'' კლაზენს გრძად სთვლიან. მას ეკითხებიან: კიდევ თუ არის იგი კომუნისტი და რატომ სჯერა მას თავისი გამარჯვების? და მისი პასუხია: „ჩვენ გავიმარჯვებთ, რადგან თქვენზე ძლიერნი ვართ!'' ,,ერთი ამას დახედეთ! — აღფრთოვანებით შეჰყვირებს ჯალათი — ამდენხანს ხვრელში ზის, სულს ძლივს იმაგრებს და სთვლის რომ ჩემზედ ძლიერია!..'' ფაშისტს ეს არ ესმის. მაგრამ სწორედ არნოლდ კლაზენი გაიმარჯვებს, რადგან მას, კომუნისტს, დიადი ადამიანური სული უდგას, ხოლო ფაშისტებს უბადრუკი ცხოველური ინსტინქტები-ღა ასულდგმულებენ! სიკვდილის ზღურბლზე მდგარი კლაზენი მაინც იბრძვის. მას სიტყვა არ დასცდენია, მაგრამ კიდევ პარტიული, ადამიანური ვალი ადევს ამხანაგების, მეგობრების წინაშე: მას პროვოკატორი გაუმხელელი დარჩა. და ამ ვალის მოსახდელად იგი გეგმას ადგენს: იგი განუწყვეტლივ, საკანში, დერეფნებში და დაკითხვებზე ყარაულებთან, დამლაგებლებთან და დალაქთან ერთს ჰყვირის, მსგავსად გიჟისა: ,,ვალტერ კეპლერი — პროვოკატორი!'' და მისმა გეგმამ გასჭრა: ამ ძახილმა გაჟონა ციხიდან და მიაღწია მის თანამებრძოლთ. და ამხანაგები რომ ამცნობენ მას, რომ გაფრთხილება მიღებულია, იგი სტირის გახარებული. რომანი იმით მთავრდება, რომ არნოლდ კლაზენი ბერლინიდან ჰამბურგში გადაჰყავთ, საკონცენტრაციო ბანაკში, სადაც იგი უკვე ყოფილა ერთხელ და სადაც მას სადისტი კენიკე მოელის, კენიკე, რომლის გახსენება მას მუდამ შიშის ძრწოლას ჰგვრიდა, კენიკე, რომელმაც მას ცინიკურად უთხრა განთავისუფლებისას: ,,იმედია, ხანმოკლედ ვსცილდებით ერთმანეთს?..'' მაგრამ ახლა მას არ ეშინია კენიკესი... მას აქ კარლ ფიშერი დაუხვდება. და კარლ ფიშერს ათავისუფლებენ. და კარლ ფიშერი გამომშვიდობებისას ამხნევებს მას: ,,მაშ, ნახვამდის, არნოლდ, მაღლა თავი! ჩვენ კიდევ წავიმუშავებთ! როტ ფრონტ, არნოლდ!'' მაგრამ არნოლდ კლაზენმა ისედაც იცის, რომ ჭარლ ფიშერი კვლავ დაუბრუნდება ბრძოლას, ისევე, როგორ იგი, არნოლდ კლაზენი, დაუბრუნდა. მეტიც: მან იცის, რომ ,,ათა-

სებსა და ათასებს მიაქვთ წინ ბრძოლის დროშა", რომ ,,ათასები და ათასები იმათგან, ვინც დღეს ჯერ კიდევ ყოველგვარს წინააღმდეგობაზე იღებს ხელს, ან და მტრის ბანაკშია კიდეც, ხვალ ჩვენს მხარეზე იქნება". ეს ანიჭებს მას, კენიკეს მომლოდინეს, ძალასა და სიმშვიდეს. მას ანიჭებს მხნეობას აგრეთვე ნათელი ოცნება მასზედ, ,,რათა ეს ტყეები, ველები და მთები ჩვენი ქყეყნისა, რომელნიც ყოველ ჩვენგანს ესოდენ უყვარს, ჩვენ ნამდვილ სამშობლოდ იქცნენ... გერმანიად, არმცოდნედ ჯალათებისა, საკონცენტრაციო ბანაკთა, გესტაპოს სარდაფებისა, საომარი ყმუილისა და რასიული სიძულვილისა..." და მტკიცეა, ურყევი მისი რწმენა, რომ ,,ბრძოლა ასეთი გერმანიისათვის არასოდეს შეწყდება. არასოდეს! არასოდეს!" ამიტომ, როდესაც შტურმელები ,,დაკითხვაზე" წასაყვანად გამოეცხადებიან მას, იგი ფერმკრთალი, მაგრამ მშვიდი მიჰყვება მათ...

და ვილი ბრედელიც არნოლდ კლაზენს, ამ ჩვენს უცნობ ძმას, ერთ-ერთს იმ მრავალ გერმანელთაგან, რომელნიც ჩვენთან ერთად ებრძოდნენ თავგანწირვით საქვეყნო მიხაკისფერ ჟამს, ასე აცილებს ომახიანის ხმით:

,,თამამად, არნოლდ, თამამად! შენ დიადი მართალი საქმისათვის იბრძვი. შენ ჯარისკაცი ხარ ყველაზედ მრავალრიცხოვანი არმიისა — თავისუფლებისათვის მეომართა ჯარისა, მსოფლიოს უძლიერესი ძალისა. მაშ, თამამად, არნოლდ!"

* * *

ასე გვევლინება ჩვენ ვილი ბრედელი ჰეშმარიტ პროლეტარულ და ბრწყინვალე ანტიფაშისტ მწერლად გერმანიისა. მისი რომანები, — ,,გამოცდა" და ,,შენი უცნობი ძმა", — დიდი სტილის პანორამებს წარმოადგენენ ფაშისტთა დროინდელი გერმანიის ტრაგიკული სინამდვილისას. ისინი წარუშლელი ფერებით განასახიერებენ ფაშისტურ ჯოჯოხეთს, გაველურებულ ადამიანთა ცხოველურს მძვინვარებას, რომელიც მთელ კაცობრიობას უქადდა წარყვნასა და განადგურებას. მაგრამ, ამავე დროს, ვილი ბრედელის ეს რომანები მჭერმეტყველი საბუთებია იმისა, რომ გერმანია მხოლოდ ფაშისტთა ბუნაგი როდი იყო, არამედ აგრეთვე — ქვეყანა, სადაც დიადი რევოლიუციური, თავისუფლებისმოყვარე სულით გამსჭვალული ადამიანებიც ცხოვრობდნენ, რომელთა თავგანწირული, გმირული ბრძოლა ფაშისტური ტირანიის წინააღმდეგ იმის საწინდარია, რომ გერმანელ ხალხს, ამ ტირანიისაგან მსოფლიოს თავისუ-

ფლებისმოყვარულ ხალხთა მიერ აწ უკვე ხსნილს, საიმედო ავანგარდი ჰყავს, რომელიც მას მტკიცედ და განუხრელად წარმართავს ახალი, ღირსეული ცხოვრებისაკენ.

და კიდევ: დიდი მხატვრული ნიჭი და ოსტატობა, რომელთა ბეჭედიც ვილი ბრედელის ამ რომანებს აზის, უტყუარი ნიშანია იმისა, რომ გერმანული ახალგაზრდა პროლეტარული მხატვრული ლიტერატურა დაჭარმაგებულა ფაშიზმთან ბრძოლაში, გაზრდილა და დასრულებულა, როგორც შინაარსით ისე ფორმითაც.

ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები, ტ. VII, 1947.

Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, т. VII, 1947.

Transactions of the Tsulukidze State Pedagogical Institute of Kutaisi v. VII, 1947.

გიორგი რობაძა

საძირკველი სიტყვის შედგენილობისათვის [1]

საძირკველი საბა ორბელიანის განმარტებით არის „ქედლის დასაწყისი“ (ლექსიკონი), ჩუბინაშვილის მიხედვით კი „ქედლის ფსკერი მიწაში ამოშენებული“ (ქართულ-რუსული ლექსიკონი). საბასავე ლექსიკონში ეგევე სიტყვა საფუძველის სინონიმად არის წარმოდგენილი: საფუძველი — საძირკველი. იქვე საძირკველის გვერდით მოყვანილია საძირკვი იმავ საძირკველის მნიშვნელობით.

საძირკველი ნაწარმოები ფუძეა **სა-** პრეფიქსითა და **-ელ-** სუფიქსით; სა-ძირკვ-ელ- (შდრ. სა-ძირკვ).

ძირკვ ფუძეში **რ** ფონეტიკური ჩანართი უნდა იყოს: ძირკვ- < *ძიკვ-.

*ძიკვ- ფუძის მეგრული ეარიანტია ძეკვ-ი „подпорье из камней или из пней для фундамента деревянного дома [2]. ძეკვ- ფუძის მნიშვნელობითვე მეგრულში იხმარება ძეკვენი-ი.

ძეკვენ- ფუძეში **-ენ-** ნასუფიქსარია, ე. წ. სუფიქს-დეტერმინანტი [3].

ქართ. *ძიკვ || მეგრ. ძეკვ ფუძეში ძირისეულ ნაწილად უნდა მივიჩნიოთ **კვ**, ძ(ი)- || ძ(ე)- უნდა იყოს მიღებული ნააფიქსარი დ(ი)- || დ(ე)-საგან, რაც უძველეს ქართველურ ენებში ნივთთა კლასის საწარმოებლადაა მიჩნეული [4]. *დი-კვ < დი-კვ-; ძე-კვ < *დეკვ.

---

[1] წაკითხულია აკად. ნ. მარის სახელობის ენის ინსტიტუტის „საენათმეცნიერო საუბრებში“ 1947 წელს.

[2] Н. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка. 1914, გვ. 373.

[3] არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, 1942, გვ. 130.

[4] იქვე, გვ. 258.

აღდგენილი ფუძე *დიკვ || *დეკვ უნდა უკავშირდებოდეს გურულ კილოში შემონახულ დოკონ ფუძეს, რაც იმავ ხის მორს ან ჭვას (სახლის საყრდენად გამოყენებულს) აღნიშნავს. დოკონ < *დე-კვ-ენ; შდრ. მეგრ. ძე-კვ-ენ ფუძე.

გურულში დოკონ სახელის სინონიმია ბოკონ-ი. ამავე მნიშვნელობით ეს სიტყვა იხმარება ქართულის ყველა დასავლურ კილოებში (და მეგრულშიც).

ბოკონ ფუძეში თავკიდური ბგერა ბ- ნააფიქსარი ჩანს, გურ. დოკონ ფუძის თავკიდური დ-ს მორფოლოგიური ექვივალენტი, ე. ი. იმავე ნივთთა კლასის აფიქსი[1]. ბოკონ < *ბე-კვ-ენ-.

ბოკონ- ფუძის ვარიანტი უნდა იყოს ქართ. ბუკ-ი ,,ფუტკრის სკა'' (საბა), ბუკ < *ბე-კვ.

მეგრულში ბუკ ფუძეს აქვს დიფერენცირებული მნიშვნელობა: 1. ბუკი ,,ფუტკრის სკა'', 2. ბუკი ,,ხის მორი კერაზე შეშის თავის დასადები''[2].

ამგვარად, კვ ძირი ნაწარმოები ჩანს: 1. დ-ნივთთა კლასის ნააფიქსარით ფუძეებში: სა-ძი-(რ)კვ-ელ- < *სა-დი-კვ-ელ-, სა-ძი-(რ)კვ < *სა-დი-კვ, მეგრ. ძე-კვ-ენ < *დე-კვ-ენ, ძე-კვ- < *დე-კვ-; 2. ბ- ნივთთა კლასის ნააფიქსარით: ქართ.-მეგრ. ბოკონ- < *ბე-კვ-ენ-, ბუკ- < *ბე-კვ-.

რიგს სიტყვებში, სადაც ძირისეულ ელემენტად გამოიყოფა კვ-, ნააფიქსარი დ- გადასული ჩანს ჯ- აფრიკატში, მაგალითად, ქართ. ჯირკ-ი ,,კუნძი დასაწვავი'' (საბა), ,,ხის ნამორი, ჩამოსაჯდომად ვარგისი'' (ი. ჭყონია, ,,სიტყვის-კონა''), გურ. ჯიკვ-ი = ჯირკ-ი, მეგრ. ჯიკ-ი = ჯირკ-ი, ჭან. ჯირეკ-ი = ჯირკ-ი. უფრო ძველი სახეობა უნდა ჰქონდეს დაცული გურულს (ჯიკვ-ი). რ ქართულსა და ჭანურ ვარიანტებში ფონეტიკური ჩანართი უნდა იყოს, თუმცა ამ შესაძლებლობას საეჭვოდ ხდის ჭანური ჯირეკ- ფუძე, სადაც რ-ს მოსდევს ე ხმოვანი.

---

[1] არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძვ. აგებულება ქართვ. ენებში, გვ. 258.

[2] И. Кипшидзе, Грамматика мингрел. кого языка, გვ. 208.

მეგრულ ჯიკ- ფუძეში არნ. ჩიქობავა რ-ს დაკარგულად მიიჩნევს [1].

ჯირკ- || ჯიკვ- ფუძის ვარიანტია ქართულის დასავლური კილოების ჯორკო ,,დაბალი ხისაგან ნამორი საჯდომი'' (ი. ჭყონია, ,,სიტყვის-კონა''):

ჯორკო უნდა მომდინარეობდეს ჯ*ო(რ)კო ნ- < დ*ე-(რ)-კვ-ენ-, შდრ. მეგრ. ძე-კვ-ენ- (< დ*ე-კვ-ენ).

მეგრულში ჯიკ- ფუძის პარალელურად იხმარება ჯიკუტია ,,პატარა ნამორი, კუნძი''. აქაც ძირისეული ელემენტი უნდა იყოს იგივე კვ-. ჯიკუტ-ი(ა) < ჯ*ი-კვ-ედ- < დ*ი-კვ-ედ-. ბოლოკიდური დ-ს გამკვეთრება უნდა იყოს გამოწვეული პროგრესიული ასიმილაციით (ძირისეული კ მკვეთრი ბგერის გავლენით). შდრ. სვან. ჭკიტ < ჭკიდ-, (მეგრ. ჭკიდ-ი), ასევე, მეგრულ ჭიჭკიტ-(ი-ა) ,,ჭიანჭველა'' ფუძეშიც ძირეული მკვეთრი ჭკ- კომპლექსის გავლენით უნდა იყოს გამკვეთრებული ფუძის ბოლოკიდური დ-. ჭი-ჭკიტ- < ჭ*ი-ჭკიდ- < ჭ*ი-ჭკუდ- < დ*ი-ჭკვ-ედ-, შდრ. ქართ. ჯი-ნჭველ ფუძე [2].

ამრიგად, კვ- ძირი, დ- და ბ- ნივთთა კლასის აფიქსდართული, მორის, კუნძის მნიშვნელობით გვხდება ზემოგანხილულ ფუძეებში. დ- აფიქსიანი ვარიანტი პირვანდელი სახით შემონახულია მხოლოდ გურულ კილოში: დოკონ- (< დ*ე-კვ-ენ). სხვა კილოებში იგი გააფრიკატებული ჩანს, გადასული ძ*-სა და ჯ-ში. ძიკვ- || ძეკვ-ენ და ჯიკვ || ჯი(რ)კ, ჯო(რ)კო. დ-ს ორგვარი რეფლექსი — სისინა ძ და შიშინა ჯ არ უნდა იყოს შეპირობებული ქართული სისინა და ხანური შიშინა დიალექტური წრით; ერთსა და იმავე ენობრივ ერთეულში შეიძლებოდა დ-ს მოეცა როგორც სისინა, ისე შიშინა ვარიანტი. შესაძლებელია ასეთივე აფიქსისეული დ-ს რეფლექსებთან გვქონდეს საქმე, როცა ქართველურ ენებში შექცეული შესატყვისობა შეიმჩნევა, ე. ი. როცა ქართულ შიშინა აფრიკატს (ჯ-ს) ხანურში შეესატყვისება სისინა აფრიკატი (ძ), მაგ., ქართ. ჯიხვ-ი, და მეგრ. ძიხვ-ი = ჯიხვი, ქართ. ჯაგარ-ი და მეგრ. ძაგვარ-ი = ჯაგარი, სვან. ძაგვ = ჯაგარი.

---

[1] არნ. ჩიქობავა, ჰანურ-მეგრულ-ქართული შედარ. ლექსიკონი, გვ. 114.

[2] იქვე, გვ. 114.

ზემოგანხილული ფუძეების გარდა კვ- ძირის შემცველი სახელები უნდა გვქონდეს დ- და ბ- ნაფიქსარი ელემენტების დაურთავადაც, მაგალითები:

1. მეგრ. კველა „ხის მორი, საჯდომი“. ამ ფუძის ძირი უნდა იყოს კვ-, -ელ- კი — დეტერმინანტი, შდრ. ქართ. ს ა - ძ ი (რ) - კვ - ე ლ - ი.

2. ქართ. კ უ ნ ძ - ი უნდა იყოს მიღებული *კვ-ედ-, შდრ. მეგრ. ჯ ი კ უ ტ- < *დი-კვ-ედ-.

3. მეგრ. კ ვ ე რ ზ ი ა „მორი, საჯდომი“ უნდა იყოს იმავე ქართ. კ უ ნ ძ - ფუძის ვარიანტი. მეგრ. კვ-ე(რ)ზ-(ია) < *კვ-ედ < *კვ-ედ.

ამგვარად, ირკვევა, რომ ს ა ძ ი რ კ ვ ე ლ - ი სიტყვის ძირკვ- ფუძის პირვანდელი მნიშვნელობაა ხ ი ს მ ო რ ი, კ უ ნ ძ ი, რაც ხის სახლის საყრდენადაა გამოყენებული. ქვის შენობასთან დაკავშირებით ს ა ძ ი რ კ ვ ე ლ ი სიტყვის ამოსავალი მნიშვნელობა საგრძნობლად შეცვლილი ჩანს: ს ა ძ ი რ კ ვ ე ლ ი „კედლის დასაწყისი“ (ხაბა), „კედლის ფსკერი მიწაში ამოშენებული (ჩუბინაშვილი).

Г. В. РОГАВА

К ЭТИМОЛОГИИ ГРУЗИНСКОГО СЛОВА ს ა ძ ი რ კ ვ ე ლ ი „ФУНДАМЕНТ“

Р е з ю м е

Груз. ს ა ძ ი რ კ ვ ე ლ — „фундамент“ — основа производная: ს ა - ძ ი (რ) კ ვ - ე ლ -. В основе ძ ი რ კ ვ - რ является фонетическим наращением, срав. мегрельское слово ძ ე კ ვ - ი (|| ძ ე კ ვ - ე ნ - ი) „подспорье из камней или из пней для фундамента деревянного дома“ [1].

Корневой элемент в основе *ძ ი კ ვ - || ძ ე კ ვ - — კ ვ -, ძ (ი)- || ძ (ე)- восходит к аффиксу класса предмет от დ-, ძ ე - კ ვ - < დ ე - კ ვ - || *ძ ი კ ვ -

[1] И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка, стр. 373.

< *დიკვ-, ძე-კვ-ენ- < *დე-კვ-ენ-, ср. гурийское слово დოკონ-ი ,,фундамент из камней или из пней'' гур. დოკონ- < *დე-კვ-ენ-.

Параллельно гур. основе დოკონ- в западних наречиях грузинского языка употребляется слово ბოკონ-ი ,,фундамент''. В этой основе начальный звук ბ- является морфологическим эквивалентом префикса დ- гур. слова დოკონ-ი.

ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები, ტ. VII, 1947.

Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, т. VII, 1947.

Transactions of the Tsulukidze State Pedagogical Institute of Kutaisi v. VII, 1947.

იასონ მეცხვარიშვილი

ნეიმანის მწკრივის ერთი თვისების შესახებ [1]

§ 1. როგორც ცნობილია, ბესელს ეკუთვნის იდეა ნუბის-მიერი ჰოლომორფული ფუნქციის უსასრულო მწკრივად გაშლისა, წრიული რგოლის შიგნით, ე. წ. ბესელისა და O_n ფუნქციების მიხედვით.

ამ გაშლის მიღებისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს შემდეგ ტოლობას [1]:

$$\frac{1}{t-z} = O_0(t)\,J_0(z) + 2\sum_{1}^{\infty} O_0(t)\,J_n(z), \qquad (1)$$

სადაც $J_n(z)$ — n-ური რიგის ბესელის ფუნქციაა, $O_n(t)$ კი წარმოადგენს $n+1$ ხარისხის პოლინომს არგუმენტის შებრუნებული მნიშვნელობის მიმართ და აქვს სახე:

$$O_n(t) = \frac{2^{n-1}\,n!}{t^{n+1}}\left[1 + \frac{t^2}{2(2n-2)} + \right.$$

$$\left. + \frac{t^4}{2\,.\,4(2n-2)\,(2n-4)} + \ldots\right]. \qquad (2)$$

მტკიცდება, რომ თუ $O_n(t)$ ფუნქცია განსაზღვრულია მე-(2) ტოლობით, მაშინ (1) მწკრივი იკრიბება ფუნქციისაკენ $\frac{1}{t-z}$, ყოველთვის, როცა $|t|>|z|$.

[1] წაკითხული იყო მოხსენებად ალგებრა-გეომეტრიის კათედრის სხდომაზე 1944 წლის დეკემბერში.

ცხადია, რომ (1) ტოლობა შეიძლება ასეც გადავწეროთ:

$$\frac{1}{t-z}=\sum_{n=0}^{\infty}\epsilon_n O_n(t)J_n(z), \qquad (3)$$

სადაც

$$\epsilon_n=2, \quad n>0,$$

$$\epsilon_n=1, \quad n=0.$$

ვთქვათ, განიხილება წრიული რგოლი D, რომლის ცენტრი მოთავსებულია კოორდინატთა სათავეში. ამ რგოლის შიგა და გარე კონტურები აღვნიშნოთ, შესაბამად, c_1 და c_2-თი, ხოლო მათი რადიუსები r და R-ით.

დავუშვათ, რომ z ცვლადი იცვლება საზღვრებში:

$$r\leq|z|\leq R.$$

თუ $f(z)$ ჰოლომორფულია $\overline{D}$-ში, მაშინ, როგორც ცნობილია, ადგილი აქვს ტოლობას:

$$f(z)=\frac{1}{2\pi i}\int_{c_2}\frac{f(t)\,dt}{t-z}-\frac{1}{2\pi i}\int_{c_1}\frac{f(t)\,dt}{t-z}, \qquad (4)$$

იმ პირობით რომ ორივე ინტეგრალი აღებულია დადებითი მიმართულებით.

თუ ამ ტოლობის მარჯვენა ნაწილში $\frac{1}{t-z}$ ფუნქციის მაგიერ შევიტანთ მე-(3) მწკრივს, ადვილად დავრწმუნდებით სისწორეში შემდეგი ტოლობისა:

$$f(z)=\sum_{n=0}^{\infty}a_n J_n(z)+\sum_{n=0}^{\infty}a'_n O_n(z), \qquad (5)$$

სადაც

$$a_n = \frac{\varepsilon_n}{2\pi i}\int_{c_2} f(t)\,O_n(t)\,dt, \qquad (6)$$

$$a'_n = \frac{\varepsilon_n}{2\pi i}\int_{c_1} f(t)\,J_n(t)\,dt. \qquad (7)$$

მე-(5) მწკრივი ცნობილია ნეიმანის მწკრივის სახელწოდებით [2]. ამ შრომის მიზანს შეადგენს, μ პარამეტრის შემოტანის საშუალებით, ნეიმანის მწკრივის ისეთნაირი გარდაქმნა, რომ ზღვარზე გადასვლით როცა $\mu \to 0$, ნეიმანის მწკრივიდან მივიღოთ ლორანის მწკრივი.

§ 2. მე-(3) მწკრივში t ცვლადის მაგიერ ჩავწეროთ μt, ხოლო z-ის მაგიერ $-\mu z$ ასეთი გარდაქმნის შედეგად მივიღებთ:

$$\frac{1}{t-z} = \mu \sum_{n=0}^{\infty} \varepsilon_n\, O_n(\mu t)\, J_n(\mu z). \qquad (1)$$

ცხადია, რომ ამ მწკრივის მარჯვენა ნაწილი არ არის დამოკიდებული μ-ზე. ადვილად დავრწმუნდებით, რომ (1) მწკრივიდან, ზღვარზე გადასვლით როცა $\mu \to 0$, მივიღებთ კარგად ცნობილ მწკრივს:

$$\frac{1}{t-z} = \sum_{0}^{\infty} \frac{z^n}{t^{n+1}}. \qquad (2)$$

თუ წინა პარაგრაფის მე-(4) ფორმულის მარჯვენა ნაწილში $\frac{1}{t-z}$ ფუნქციის მაგიერ ჩავწერთ ამ პარაგრაფის (1) მწკრივს, მივიღებთ:

$$f(z) = \sum_{n=0}^{\infty} a_n\, J_n(\mu z) + \sum_{n=0}^{\infty} a'_n\, O_n(\mu z), \qquad (3)$$

სადაც

$$a_n = \mu \frac{\Theta n}{2\pi i} \int_{c_2} f(t)\, O_n(\mu t)\, dt, \tag{4}$$

$$a'_n = \mu \frac{\Theta n}{2\pi i} \int_{c_1} f(t)\, J_n(\mu t)\, dt. \tag{5}$$

მე-(3) მწკრივს ჩვენ ვუწოდებთ ნეიმანის მწკრივს μ პარამეტრით.

ცხადია, რომ ამ მწკრივის მარჯვენა ნაწილი არ არის დამოკიდებული μ პარამეტრზე.

თეორემა: ნეიმანის მწკრივიდან μ პარამეტრით, ზღვარზე გადასვლით როცა $\mu \to 0$, მიიღება ლორანის წკრივი.

მართლაც, ელემენტარული ოპერაციების დახმარებით დავვილად ვრწმუნდებით სისწორეში შემდეგი ტოლობებისა:

$$\frac{1}{2\pi i} \lim_{\mu \to 0} \left[\mu J_0(\mu z) \int_{c_1} O_0(\mu t) f(t)\, dt \right] =$$

$$\frac{1}{2\pi i} \int_{c_1} \frac{f(t)}{t}\, dt = a_0, \tag{6}$$

$$\frac{1}{2\pi i} \lim_{\mu \to 0} \left[\mu O_0(\mu z) \int_{c_2} J_0(\mu t)\, f(t)\, dt \right] =$$

$$\frac{z^{-1}}{2\pi i} \int_{c_2} f(t)\, dt = \frac{a_{-1}}{z}, \tag{7}$$

$$\frac{1}{2\pi i} \lim_{\mu \to 0} \left[\mu J_n(\mu z) \int_{c_1} O_n(\mu t) f(t)\, dt \right] =$$

$$\frac{z^n}{4\pi i} \int_{c_2} \frac{f(t)}{t^{n+1}} = \frac{1}{2} a_n z^n, \tag{8}$$

$$\frac{1}{2\pi i}\lim_{\mu\to 0}\left[\mu O_n(\mu z)\int_{c_2} J_n(\mu t)f(t)\,dt\right]=$$

